

ଗଢାଳାପି

କୃଷ୍ଣଚନ୍ଦ୍ର ପାତ୍ର
ଅଧିକାରୀ



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ ИМЕНИ
ШОТА РУСТАВЕЛИ



Г. С. Шарадзе

Теймураз Багратиони

Жизненный путь

G. Scharadze

THEIMURAS BAGRATIONI

MONOGRAPHIE

*

Lebenslauf

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1972



සාර්ථක තුවල ම සිංහල මෙහෙයුම් ප්‍රතිච්චිත මෙහෙයුම්
පොතා රූපෝදාන යාධාරීන් පාරිභාශක ප්‍රතිච්චිත මෙහෙයුම්
සිත්‍රාන ප්‍රතිච්චිත

දැනගැම් ජාතියාම්

ඩායාචුරු නිශ්චලනම්බා

ච්‍රිජ්‍යාලා

හාඛපෙනෙයුම් ප්‍රතිච්චිත
තැබෙන ම සිංහල මෙහෙයුම්
1972

• 000 (47.922) (092)
ಕರ್ನಾಟಕ ಸರ್ಕಾರ ಮಹಿಳಾ ವಿಭಾಗ




37 (C 41) (09)
008 (47.922) (092 ಟೆಲಿಮೆರ್ಕಾಶ್ ಡಾಗ್ರಾಫಿಂಗ್)
ಉ 254

ಗ. ಶಾರಾಂದಿಸ ನಾಶಿನಿಶಿ ಗಾಂಧೀಜ್ಯಾಂತ್ರುಲ್ಲಿಂ XIX ಲ. I ನಾಬ್ರಹ್ಮಣಿ
ಗಾಂಥಿಕ್ಯಾಂತ್ರುಲ್ಲಿ ಹಿಂದುತ್ವಾಲ್ಲಿ ಮೇಲ್ನಿಂದಿಸಿ ಡಾ. ಕುಲಾರ್ಥಿನಿಸ ಮಂಡಿಗಾ-
ಣಿಸ ಟೆಲಿಮೆರ್ಕಾಶ್ ಡಾಗ್ರಾಫಿಂಗ್ (1782—1846) ಉತ್ಪಾದಿತಿನಿಸ ಗಢಾ.
ನಾಶಿನಿಶಿ ಉತ್ಪಾದಿತಿ ಟೆಲಿಮೆರ್ಕಾಶ್ ಡಾಗ್ರಾಫಿಂಗ್ ರಂಗಾರ್ಥ ನಾಬ್ರಹ್ಮಣಿ
ಸ್ವೇಚ್ಚಾಣಿಕ ಶಿಕ್ಷಣ ಸಾಧನಾ ಸಾಧನೆ ನಿರ್ವಹಿತ ನಿರ್ದಿಷ್ಟಾಂತ್ರಿಕ, ಅಧಿಕೃತವ್ಯಾಪಕ,
ಪ್ರಾಣಿಗಳ ಪ್ರಾಣಿಗಳ ರಾಧಾರ್ಥ ಡಾ. ಟೆಲಿಮೆರ್ಕಾಶ್ ಡಾಗ್ರಾಫಿಂಗ್ ಸಾಧನಾ ಸಾಧನೆ ಸ್ವೇಚ್ಚಾಣಿಕ.

ನಾಶಿನಿಶಿ ಶೈಲಿ ನಿರ್ವಹಿತ ಗಾಂಥಿಕ್ಯಾಂತ್ರುಲ್ಲಿ ಎಂಬುದು ಟೆಲಿಮೆರ್ಕಾಶ್
ಡಾಗ್ರಾಫಿಂಗ್ ನಿರ್ವಹಿತ ಶೈಲಿ ನಿರ್ವಹಿತ ಗಾಂಥಿಕ್ಯಾಂತ್ರುಲ್ಲಿ ಮೇಲ್ನಿಂದಿರುತ್ತದೆ.

ರ್ಯಾಫಲ್ ಕ್ರಿಂಟನಿ ಸಾರ್ ಗಿಸ ಪ್ರಾಂಶು ಮಿಲ್





ქ ე ს ა კ ა ლ ი

ძელმა საქართველომ, ვახუშტის შემდეგ, ახალ ეპოქაში არ იცის თეიმურაზ ბაგრატიონზე უფრო დიდი მეცნიერის სახელი; თეიმურაზი, ამისთან, პირველი ქართველი ეკრაპული ტაპის მეცნიერიცაა—პეტერ-ბურგის ქართველოლოგიური სკოლის შემწენელი, პირველი ქართველი აქადემიკოსი და ჩვენს დროში აღორძინებული ახალი ქართული მეცნიერების ერთ-ერთი წინამორბედი.

თეიმურაზ ბაგრატიონი თანაბარი ძალით, ნიჭით და ენერგიით იღეწიდა ქართველოლოგიის თითქმის ყველა უბანში—ისტორია, ლიტერატურა, პოეტიკა, რუსთველოლოგია, ლექსიკოგრაფია, ფოლკლორისტიკა, წყაროთმიცოდნელია, გრამატიკა, ნუმიზმატიკა, სტრაგისტიკა... თეიმურაზ ბაგრატიონი იყო იშვიათი ხელნაწერების, უძველესი ნაბეჭდი წიგნების საუკეთესო კოლექციონერი და მათი პირველივე დამფუძნებელი—საქართველოს ერთ-ერთი პირველი პიბლიოგრაფი, საინტერესო მოგზაური გეოგრაფი, რედაქტორი, პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი; ქართველოლოგთა ახალი და საუკეთესო თაობის აღმზრდელი და მასწავლებელი. თეიმურაზი მუშაობდა აგრეთვე ცოდნის სხვა დარგებში (ფიზიკა, გეომეტრია, იურისპრუდენცია, სამხედრო საქმის ხელოვნება, ბოტანიკა, ზოოლოგია...).

აյად. მ. ბროსემ მოგვკა თეიმურაზ ბაგრატიონის იშვიათი სიზუსტით და გულწრფელობით დახატული პორტრეტი: „მე არ შემიძლია განუცვითორებლად წარმოესთქვა თეიმურაზ ბატონიშვილის სახელი, რომელშიაც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონიერასა და კრეილ მეცნიერებასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კეთილშობილურს გასართობს, რომლის მიზანი არის თავისი შრომით უკვდავყოს ხსნება თავისი ერისა, რომლის მდაბალ მოწაფედ, სვინდისის ქვეშ უნდა ვთქვა — აღვიარებ ჩემს თავს“¹.

¹ M. Brosset, Histoire et littérature de la Géorgie, წიგნში: Discours., St. Ptb, 1838, p. 37; დმ. ბაკრაძე, Статьи по истории и древностям Грузии, СПБ, 1887, стр. 9. შეზ. თ. ეთტდანი, ქრონიკები, I, ტფილის, 1892; ვ. ქესხვა, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და შოლვაშვილის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1939, ნავ. 1, ვ. 19.

«Коупеютеис იმდროინდელი პრესის მოწმობით, თეიმურაშ ბაგრატიონი დაიმსახურა „... в течение долголетней жизни своей, ~~получившем~~ ^{получившим} уважение и любовь, приобретшем известность как в России, так и вне пределов ея»².

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს თეიმურაშ ბაგრატიონის, როგორც უაღრესად საინტერესო ცხოვრების, ისე მისი მდიდარი ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის აუცილებლობაზე მიგვითითებს.

თეიმურაშ ბაგრატიონის ბიოგრაფია ჯერ კიდევ არ არის სრულად აღდგუნილი. ამ მხრივ, პირველი საინტერესო ცდა ეცუთვნის პ. კარბელაშვილს³. ახალი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგა შ. მესხიამ⁴. ოღონდ, მისი სიტყვებით, „ჩვენს ხელთ მყოფი მასალები ცავეასის არქეოლოგიური კომისიის ქადაგი“ („Акты...“, თ. ბატონიშვილის წერილები ბროსესადმი და სხვ.) თ. ბატონიშვილის შრავალმხრივ საყურადღებო ცხოვრების სურათის აღსაღენად არაა საქმარისი, მით უმეტეს მისი მემკვიდრეობის დეტალურ ანალიზისათვის“ (გვ. 19), ან კიდევ, „ჩვენთვის მეტამად ხელმიუწვდომელია ის მასალები, რომელიც აღბათ იქ (ლენინგრადში, გ. შ.) ინახება, სადაც თ. ბატონიშვილმა თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი გაატარა“ (იქვე).

მას შემდეგ, ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა გასწიეს ს. იორდანიშვილმა⁵, ტ. რუხაძემ⁶, ა. აბრამიშვილმა⁷, მაგრამ მაინც გარ-

2 ЖМНП. 1846, ноябрь, отд. VII, стр. 38.

3 პ. კარბელაშვილი, თეიმურაშ ბატონიშვილი, გან. „საქართველო“, 1916, №№144—146, 148; უფრო ადრე, თეიმურაშის ბიოგრაფიის საკითხები ოდნავ დ. ბაქრაძემ წერილში: „Где и кем положено основание систематическому изучению письменных памятников Грузии, сб. №10: Статьи по истории и древностям Грузии, СПБ. 1887, стр. 9—10.

4 შ. მესხია, თეიმურაშ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მასალები საქართველოსა და ცავეასის ისტორიისათვის, I, თბ. 1939, გვ. 18—78. ერთ-ბა, მეცნიერისათვის უცნობი დარჩენილა მისი წინამორბედის შრომა, რადგან თავის ნარკეც ივი „პრეველ ცდას“ უწინდებს (გვ. 19).

5 ს. იორდანიშვილი, მასალები თეიმურაშ ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, დამატება წიგნისა: თეიმურაშ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, თბ., 1948, გვ. 67—87.

6 ტ. რუხაძე, თეიმურაშ ბატონიშვილი, წიგნში: ქველი ქართული ლიტიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 121—132.

7 ა. აბრაშვილი, თეიმურაშ ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის; რუხას პირველი ქართველი აკადემიკოსი, წიგნში: ლიტერატურული წერილები. თბ., 1968, გვ. 64—85.

კვევით უნდა ითქვას, რომ ახალი მასალების მოპოვებითა და ანაზღაურებით თეიმურაშის ცხოვრების მთლიანი სურათი ჯერ კიდევ მრავალი სურველი სისრულით წარმოდგენილი⁸. იმ მხრივ, სამართლიანობის მიზანის მიზანის სიტყვები: „Рукописное наследие Теймураза еще далеко не изучено, его биография может пополниться многими сведениями, а грузинская литература — памятниками его научного и художественного творчества”⁹.

8 ჩეენ მხედველობიდან არ გვიჩება იგრუთვე შერილები, რომლებიც ჩვენს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა თ. ბაგრატიონის სიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. იხ. ვეო. იოსევ ლიანი, თეიმურაშ ბატონიშვილი, „ახალგ. კომუნისტი“, 21 10 ივლისი, 1945; შ. მესხია, თეიმურაშ ბაგრატიონი, „ახალგ. კომუნისტი“, 21 ნოემბერი, 1946; ა. დარიაშვილი, პირველი ქართველი აკადემიკოსი. „რკინიგზელი“, 3 ნოემბერი, 1959; ა. აბრამიშვილი, რუსეთის პირველი ქართველი აკადემიკოსი, გან. „საქოლმეურნეო შრომა“ (გურჯაანი). № 1. 1961; ტრ. რუსადე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ქართველი აკადემიკოსი, „სახალხო განათლება“ № 47, 1956; Н. Алания. Первый Грузинский академик, „Веч. Тбилиси“. 1962, № 165; ს. ცაიშვილი, პირველი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი, „ახალგ. კომუნისტი“ 1962, № 50; ი. მეგრელი, პირველი ქართველი აკადემიკოსი, გან. „სამუშაო“, 26 სექტ., 1969.

9 Р. Р. Орбели, Из криптографированных записей Теймураза Багратиона. Ученые записки Института востоковедения, т. XVI, 1958, М.-Л., стр. 394.

ა ღ ჭ რ დ ა

თეიმურაზ ბაგრატიონი დაბადა 1782 წლის 23 აპრილს თბილისში¹. იგი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გორგი XII უმცროსი შვილი იყო პარეველი ქორწინებიდან.

თეიმურაზის დედა ქეთევან — ქიშიყის მოურავის პატანა ანდრონიკაშვილის ასული იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრეობრივ გორგი ერეკლეს ძემ სრულიად ახალგაზრდა ქეთევანზე 1766 წლის 20 სექტემბერს დაიწერა ჯვარი თბილისში². ის ტორიკოსები ერთხმად აღიარებენ ქეთევან ანდრონიკაშვილის მაღალ პიროვნულ ღირსებებს, ჰუა-გონგებასა და სიმამაცეს. „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით, 1778 წლის ოქტომბერში ქართლით მომავალსა ქისიყის მოურავის ასულს, მეფის სძალსა ქეთევანს, მეუღლესა პირმშოსა მეფის ძის გორგისასა, დაუხვდნენ ლექნი ღარის ქარს, ვიღრე ხუთა-საღმდე და მეფის სძალსა ქეთევანს [ა]რა ჰყვა თანა უმეტეს სამასისა მხედრობანი, მორიგედ წოდებული, რომელნიცა თანაგამყოლათ ახლ დნენ მას და არცა გინ ჰყვა თვისთანა მეცნიერი ბრძოლისა. მაშინ თვით იქმნა თავმხედრობისა თვისისა და განამხნო მორიგენი, ეწყო და იძლივნენ ლექნი და გასწუვიტეს მორიგეთა მათ უმრავლესნი ლექთანი. ხოლო ჰსკანა რა მეფემან ირაკლი ესე ვითარი სიმხნე სძლისა თვისისა, მხიარულ ქმნილმან შეიყვანა ტფილის დიდებითა დიდოთა და ზარბაზნისა სროლითა და ღამესა მას ყოველსა ქალაქსა იყო ჩირალდანი³. ეგვივი ამბავი აქვს გაღმოცემული პლ. იოსელიანსაც⁴. 3. გარბე-

1 Q—757, 27г; Н—2225, 18v; Петербургский некрополь, т. IV, СПб., 1913, стр. 234.

2 პლ. ითხელი აანი, ცხოვრება გორგი მეცნიერისა, თბ., 1936, აქადმ გარელიას რედაქციით, გვ. 8—9; პ. კარბელი შვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, გაზ. „საქართველო“, 1916, № 144.

3 ქართლის ცხოვრება, ნაშილი მეორე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან, 133, 1854, გვ. 509.

4 პლ. ითხელი აანი, ცხოვრება..., გვ. 10.

ლაშვილს ამ შემთხვევასთან დაკავშირებით 1881 წელს ჩაუწერია განკუ-
ჯანში მცხოვრები მოხუცის ზაქარია ანდრონიკაშვილის ნაამზობი;
„ერეკლე მეფე საბურთალოზედ მოეგება და ცალ მუხლოსიდან ყოფილ
წელზე ოქროს ხმალი შემოარტყა გმირს ქეთევანის“⁵.

ქეთევანი ერეკლე II კველაზე სასიყვარულო რძალი ყოფილა.
იგი ძლიერ აფასებდა მის ერთგულებას. ურეკლე II შეილიშვილის
ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, „ქეთევანის სიტყუა მეფის ირაკ-
ლის სახლისათვის ბეჭედი იყო“⁶. იმავე ისტორიკოსის მოწმობით, ქე-
თევანმა არც თავისი ძმა ქიზიყის მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი-
დაინდო მეფის ორგულობისათვის და იგი ერეკლესთან ამხილა: „თუთ-
რევაზის დამ ბატონშვილის გიორგის ცოლმა რ[ომე]ლმაცა დაან საი-
დუმლოთ მოახსენა თავის ძმის ღალატი და თუთონ იმანვე ურჩია:
უთუოდ გამოცვალეთო. ასეთი ერთგული იყო მეფის ირაკლისა ის ქა-
ლი. მეფე ირაკლიმაც თ[ავა]დს ზაქარია ენდორონიკაშვილს მისცა ქიზი-
ყის მოურაობა და ამით წართო სრული ძალა რევაზს“⁷. ერეკლეს
მტრობას რევაზს „ჰქეიიანი, გონიერი, მართებული დედაკაცი დიდათ-
უშმიდია: მეფის ირაკლის წინააღმდეგობა ღვთის მტრობა იქნება, ის
ასეთი მეფე ბძანდება აზამცოთ იმის მახლობლებმა, ყოუცლმა ქა-
თუცლმა თავი უნდა გამოიდონ და მეფეს ირაკლის შეეწივნენ“⁸. ერთ
რუსულ წყაროში პირდაპირ ვკითხულობთ: „Первая жена царя Ге-
оргия XII Ираклиевича — Кетеван, из рода Моурава Андronи-
кашвили — была обожаема всею страною“⁹.

ქეთევანს გიორგი ბატონიშვილთან ცხრა შეილი ეყოლა: დავით,
იოანე, ბარბარე, სოფიო, ნინო, რიფსიმე, გაიანე, ბაგრატ, თემურაზ.
თემურაზის შობის 42 დღის შემდეგ — 1782 წლის 2 ივნისს, ქეთევან
ანდრონიკაშვილი 28 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამეცნ კარმა ხალხს
მწუხარებით აუწყა: „ამისთანა გასაცდელი დაგვემართა — ბატონის
რძალი მიიცვალა“¹⁰. აღსანიშნავია გიორგი ბატონიშვილის ერთი წერი-
ლი დავით გარეჯის მონასტრის კრებულისადმი: „მეტათ საქმე მი-
ჰქის, ჩემი მეუღლე მეტათ მწუხარებაში გახლავთ. გიღუპები, თუ
ამას აუტყდა რამე თავითა შეილებითა და ოჯახითა ქუალად ვეღარს
კეთილსა ვიქთ, გვევიდობით შემიწივნეთ მამაშეილობასა, ილოცეთ ამ-
ის სნეულებისათვის“¹¹. პლ. იოსელიანის გადმოცემით, „მეფემან ირა-

5 პ. კარბელაშვილი, დასახ. ნაშრ.

6 ს. კაჯაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგ-
ნი 1, თბ., 1914, გვ. 14; ს — 1654, გვ. 7—8.

7 ავ. ვ. ვ. 37—38.

8 Пок. Кавказ, книга 5-я, СПб., 1904, стр. 253—254.

9 Ad—458.

10 Ad—453.

კლი მწუხარემან სიკვდილისა გამო რძლისა თვისისა წარმოთქვა 
რითა შემდეგი სიტყვა „ახლა დაიღუპა ჩემი ოჯახით“¹¹.

ქეთევანი დაუსაფლავებით დავით გარეჯის უდაბნოშესრუსთავი
ლვთისმეტყველის ტაძარში, ალექსანდრე კახთა მეფის გვერდით¹². ერე-
კლეს თომა ჭინამძღვრისთვის უბრძანებია, „...ჩემის რძლის საფლავი-
დამ მიწა ამოიღევით და საჩქაროთ გამოგვიგზავნეთ... წამლათ ისწავ-
ლებიანო“¹³.

3. კარბელაშვილის ცნობით, „ერეკლემ წმინდათ შეასრულა ქეთევა-
ნის ანდერძი: რაც რამ მზითევში მოყოლილი ოქრო-ვერცხლეული ნივ-
თეულება დარჩა, ყველაფერი მონასტრებს გაუყო და იერუსალიმის
პატრიარქს გაუგზავნეს მიცვალებულის სულის მოსახსენებლად“
(იქვე).

ახლადშობილისათვის სახელოვან პაპას ერეკლე II თავისი მამის
სახელი — თეიმურაზი დაურქმევია. ერეკლე II, თვითონ თეიმურა-
ზის გადმოცემით, არც მერე დაუკლია ადრე დაობლებული პატარა
შვილიშვილისათვის სიყვარული და მზრუნველობა: „რამეთუ მზრდი-
და მე პაპად ჩემი მეფე ირაკლი და განუშორებელად ვიყოფოდი მის
თანა და ფრიადი სიყვარული აქვნდა ჩემი გინამდგან სიჩირსავე შო-
ბისა ჩემისასა სახელ-მსდგა მე სახელი მამისა თვისისა და ოდეს იყო-
ფოდა მეცე, ვიდრემე სნეულებასა მას შინა, ვმსახურებდი მას ძა-
ლისამებრ ჩემისა და ასაკისა“¹⁴.

თეიმურაზ ბაგრატიონის სწავლა-აღზრდას, მისიერ მოწმობით,
ხელმძღვანელობდა თელავის სემინარიის რექტორი ცნობილი მწერალი
და კალიგრაფი დავით ალექსი-მესხიშვილი: „...დავით ალექსიშვილი იყო
შავირდი ანტონი კათოლიკოსისა პირველისა და ჩემის ძმის დავითისა
და ჩემი ფილოსოფიისა, ისტორიისა და ქართულის
ენისა და წერისა მოძღვარი ის იყო. როცა
სწავლის დრო მომივიდა, მეც იმას ვებარე და ის
მას წავლიდა და სხვა ოსტატებიც მყვანდნენ.
იმ ჩვენმა ოსტატმა დავით ალექსიშვილმა საქართველოს ისტორია
დიას კარგად იცოდა და, არამც თუ საქართველოსი, სახოგადოდაც
კარგი ისტორიკოსი იყო“¹⁵. როგორც ვხედავთ, დავით რექტორთან თე-

11 პლ. იოსევ ლიანი, ცხოვრება..., გვ. 11.

12 პლ. იოსევ ლიანი, ცხოვრება, გვ. 10. იხ. ვგრეთვე: Ad—448, 449, 450.

13 Ad—451.

14 თეიმურაზ ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, პარიზ,
1833.

15 თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აქად. მ. ბროსესადმი, ს. ფუ ბანე ი-
შვილის რედ., თბ., 1964, გვ. 30 (მცველობა: წერილები).

იმურაზი სწავლობდა ფილოსოფიას, ისტორიას საზოგადოდ და, საჭიროებულის კერძოდ, აგრეთვე, ქართულ ენასა და წერა-კითხვას, დავით გარდა, მას „სხვა ოსტატებიც“ ჰყოლია, სახელმობრ, ეთებულის გარე ქართულ მწერლობაში ასევე ქარგად ცნობილი პოეტი და მთარგმნელი დავით ჩოლოყაშვილი¹⁶ ასწავლიდა: „ამას გარდა, პაპის ჩემისა მეფის ირაკლის დროსა და მამის ჩემისა მეფის გიორგის დროსა იყო თავადი ჩოლოყაშვილი ჯიშერ ერისთავის ძე დავით დივანბეგი. ეს დავით მეფეებისაგანაც პატივცემული იყო და დიახ განსწავლული კაცი იყო საკვირველის უცხო ზენობისა, მხიარული, მოხუმარი და უცხო პიიტიკოსი: ამან სხვა ენებიც ქარგად იცოდა ქართულს გარდა: ჩემს ყმაწვილობაში ჩემთანაცა და ჩემს ძმებთანაც დიახ შეჩევული იყო და ბატონებისაგან ბრძანებაცა ჰქონდა, რომა ჩვენთვის ზენობა ესწავლებინა“¹⁷. თავის უმცროს ძმას აღზრდაში ცდას არ აკლებდნენ დავით და ითანე ბატონიშვილები. კერძოდ, დავითის შესახებ თეიმურაზი წერს: „კურთხეული გარდაცალებული ძმაც იგი ჩემი მოკირზაბულე იყო და აღზრდელი“¹⁸. თეიმურაზის, ეტყობა, უცხო ენებსაც ასწავლიდნენ: „თუმცა ყმაწვილობაში ვსწავლობდი ბერძულს, მაგრამ უამთა ცვლილებისაგან ვერ შევისრულე“ (წერილები, გვ. 29). ბერძნული მას, ალბათ, ქართულ თარგმანებთან ერთად, დასჭირდებოდა მსოფლიო საეკლესიო მწერლობის უფრო ღრმად გასაცნობად: „...არა უსმენელვარ საღმრთოთა წერილთა და სიყრმიდგან აღზრდილვაზე წერილთა შინა წმინდათა მამათასა ვასილი დიდისა, გრიგორი ღვთისმეტყველისა, ითანე ოქროპირისა და სხვათა მოძღვართა და წმიდისა ეკლესიისა მნათობთა წმიდათა მამათასა ძევლთა და ახალთა“ (წერილები, გვ. 39). თეიმურაზის უფროს თანამედროვეს ითნა ხელაშვილს თავის ერთ ხელნაწერ თხზულებაში (S—285) ჩამოთვლილი აქვს ის სავნები, რომლებსაც თელავის სემინარიაში ასწავლიდნენ: „კატეხეზისი, რიტორება, ლოდიკა, მეტაფიზიკა—ონტოლოლია, კოსმოლოლია, ფსიოლოლია, თე-

16 ამ დავით ჩოლოყაშვილის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, თბ., 1958, გვ. 607; ავთ. ითს ელიანი თეიმურაზის მასწავლებლად ჯიშერ ჩოლოყაშვილს აცხადებს (თეიმურაზ ბატონიშვილი, ვაჭ. „ახალგკომუნისტი“, 10 ივლ., 1945). სინამდვილეში, ჯიშერ ჩოლოყაშვილი დავითის მამა იყო.

17 სსრკ შეცნიერებათა ეკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ანსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდი (ცვემოთ შემოკლებით—ლენ.) — H39. იგი წარმოადგენს თეიმურაზის წერილს ეკადემიური ფორმის გამოქვეყნებული ძევს გ. იმედია შვილს (ლიტ. ძებანი, V, 1949), ხოლო უფრო სრულად გ. შარაძეს („შოთა რუსთაველი“, თბ., 1966).

18 წერილები, გვ. 11.

ოლოლია-ფისიკა, ითევა, იუნიონია, მსოფლიო ისტორია, ლეოლოგია,
ასტრონომია, არქემეტიკა, მათემატიკა, არზიტეტიურა¹⁹.

ბუნებრივია, თეიმურაზიც, რომელიც ამ დროს თელავის სემინა-
რიაში სწავლობდა, ამ საგნებს გაიღლიდა.

გამზრდელ ლალად თეიმურაზს მიჩენილი ჰყოლია ცნობილი პო-
ეტი პეტრე ლარაძე²⁰, რომელმაც შემდეგ აქტიური როლი ითამაშა
თეიმურაზის პოლიტიკური ორიენტაციის შემობრუნების საქმეში²¹.

1795 წელს თეიმურაზ ბაგრატიონი მომსწრე შეიქნა დიდი ეროვ-
ნული ტრაგედიისა—აღა-მაჭად-ხანის მიერ თბილისის აღებისა და გა-
ნადგურებისა, რომლის სანდო მეცნიერული სურათი მან სათანადოდ
შემოგვინახა²². 13 წლის თეიმურაზი პირადად დაწირებდა კრწანისის
ბრძოლას „ვიყოფოდი მეცა თვით აღწერელი ამ მოთხრობათა მეფის
ძე თეიმურაზ, კერქ თ სიყრმისა ასაქსა, მუნ მყოფი, რამეთუ მზრდიდა
მე პაპა ჩემი მეფე ირაკლი“ (საქ. ისტორია, II, პარიზი, 1833).

1798 წლის 11 იანვარს თელავის სამეფო სასახლეში გარდაიცვა-
ლა ერეკლე II. პ. ბუტკოვის ცნობით, ამ დროს ლექთა გაძლიერებუ-
ლი თავდასხმების გამო, თეიმურაზი თავის ძმასთან ითანესთან და
დედინაცვალ მარიამ ციციშვილთან ერთად გორსა და ოსეთს ყოფი-
ლა გახიზნული: „... по слухаю усиливавшихся набегов от лезгин...
сыны Гиоргия (I) Иоанн и Теймураз с мачихою своею Марию
и с детьми ея, (обратились тогда) в Гори и в Осетин“,²³
რაც მცდარია: „ოდეს იყოფოდა მეფე ვითარებე სნეულებასა მას
შინა, გმსახურებდი მას ძალისა მებრ ჩემისა და ასაკისა“—წერს თვი-
თონ თეიმურაზი (საქ. ისტ. II, პარიზი, 1833).

1798 წელს თეიმურაზი დაწინდეს ელენე ამილახვარზე. პლ. იო-
სელიანი ამის გამო წერს: „ამასეუ დღესა დაწინდეს მისსა [ოთარ ამი-
ლახვრის] ქალსა ელენეზედ მეფის ძე თეიმურაზი, რომელსაც არა

19 დავით ბატონიშვილი, მასლები საქართველოს ისტორიისათვის,
2. ჯანაშვილის გამოცემა, ტუილისი, 1905, გვ. 96; აგრეთვე, N—2130, გვ.
39.

20 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924, გვ. 206.

21 თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი, მოოხება ქალაქის თბილისისა სპარსეთის
უანის ყაფარის აღა-მაჭად-ხანისავან, S—191; იბ. აგრეთვე: მისი, საქართველოს
ისტორია, II, თავი 6, პარიზი, 1833; დ. ჩ უ ბ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ქრის-
ტომათია, ნაკვ. 1, სპბ., 1863, გვ. 175—197; Взятие Тифлиса Ага-Магомед-Ханом,
из записок царевича Теймураза, издание К. Н. Бегичева, Тифлис, 1895
და სხვ.

22 П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, часть II,
СПб., 1869, стр. 439.



სურდა იგი ცოლად მიზეზისათვის მის, რომელ იყო პირველ დაწინაურებული მის ძმაზედ მეტყვიდრეზედ დავით, რომელმანაც მამისა არა უჰქონდებოდით შეირთო ცოლად სომეხთა აბიმელიქის სვიმონისა ქალი²³. დავითის საქციელის „გამო ჩამოვარდა დიდი მძულვარება ჯერ სამეცნიერო ოჯახსა და ამილახვარს შორის და შემდეგ თვით სამეფო სახლში. მერე თუმცა ბევრი ინანა გიორგი მეფემ და თვითონ დავით ბატონიშვილმა, მაგრამ გვიანდა იყო; ესრეთის შეცდომის როგორმე გასასწორებლად ამილახვრის ოთარის ქალს ელემზედ ახალგაზრდა თეიმურაზი დავითი დანიშნეს. ამიტომ თეიმურაზი ჩამოვიდა შუაში და, როგორც იყო, ოთარი და დავითი შეარიგა“²⁴.

შ. მესხიას სიტყვებით, „მეფე გიორგის თანხმობით მოხდა ქორწინება თეიმურაზისა ელემზედ დავითის ქორწინების შემდეგ, ე. ი. 1799 წლის დასასრულს“²⁵. თვითონ თეიმურაზის მოწმობით, მისი ქორწინება 1800 წელს მომზღვდარა გორჩში: „მეფობასა შინა მამისა ჩემისა მეფისა გიორგი მეათუამეტისასა თდეს ფიქორწინე გორს მეუღლესა ჩემსა ოთარ ამილახვრის ასულს ელემზედ წელსა 1800 და დავიდგინე მამის ჩემის მიერ ქართლისა განმგედ და მეურნედ...²⁶.

თეიმურაზის სიმამრი ოთარ ამილახვარი ერთდროულად სარდალიც ყოფილა და გორის მოურავიც (მეფის კარზე ამ დროს ორი თანამდებობის დაჭერა, შ. მესხიას ცნობით, დასაშეგებია)²⁷: „მქონდა ამილახვრობა ესე იგი მეფის მემარჯვენე სარდლობა და მქონდა გორის მოურაობა“, წერს ოთარ ამილახვარი მთავარმართებელ ციციანოვს²⁸. ეს თანამდებობანი ოთარის წინაპრებისათვის ჯერ კიდევ თეიმურაზ II უბოძებია²⁹. ამილახვართა ოჯახში თეიმურაზის სიძედ შესვლის შემ-

23 პ. ი ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება, გვ. 83. აქ პლ. იოსელიანი შეცდომით 1798 წლის ნაცვლად 1778 წელს უჩერებს (შდრ. შ. მესხია, დას. ნაშრ., გვ. 27) იხ. იგრეთვე შეჩესის სახ. სახ. ბიბლ. ხელნაშერთა ფონდი, პლ. იოსელიანის არქივი, № 17.

24 პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 2.

25 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

26 ს—3633, ყდის V, თეიმურაზის შინაწერი, იხ. აგრეთვე, ა. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 81, სადაც ელემზე ამილახვარი თეიმურაზზე 15 წლით უტროსად არის გამოცხადებული. შეკვევარი ითვალისწინებს მხოლოდ ელემეს საფლავის ქვეის წარწერას და მხედველობიდან რჩება „აქტებში“ დაბეჭდილი თუდიალური ასია დაქართველოს სამეფო ოჯახის წევრებისა“ (შეღ. 1801 წ.), რომლის მიხედვით, ელემნე ამილახვარი 1783 წელს დაბადებულა (АКТЫ, I, стр. 200).

27 შასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, შიგნში: შასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის თბ., 1948, ნაკვ. 1/20.

28 ი ქ ვ ე, № 124.

29 ი ქ ვ ე, № 122. ამილახორისა და გორის მოურავის სარგოს შესახებ იხ. იგრეთვე: აქვე №№ 124—125. შდრ. ს. კაკაბაძე, საამილახვროს დავთარი შე-17 ს-წის მეორე ნახევრისა, ტუ., 1925.

დეგაც, ოთარისა და დავით ბატონიშვილს შორის მტრობეა შეკრიციანი
შენელებულა: პირიქით, გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ.
1800 წელიდებ, დავითმა ტახტის რეგენტად აღიარებისას ოთარ ამილა-
ხვარს ჩამოართვა საჩდლობა და გორის მოურავობა. მერე ესეც არ
აყმარა და მისი ბრძანებით, სამოცმა ყაზახმა გორს, საკუთარ სახლი-
დან მძინარე ოთარი გამოათარია, თბილისში ჩამოიყვანა და ციხეში
ჩასვა³⁰. ეტყობა, მათ შორის აღრინდელ სიძულვილს ზედ დაერთო
ერთი გარემოებაც: როცა დავით გიორგის ძესა და იულონ ერეკლეს-
ძეს შორის ატყდა მეტოქება სამეფო ტახტისათვის, ჩანს, ოთარ ამი-
ლახვარმა იულონის მხარე დაიჭირა, რადგან იულონის მუკლე სა-
ლომე ამილახვარი ოთარის და იყო³¹.

ოჯახებს შორის ასეთ დაძაბულ ურთიერთობას ზელი არ შეუშ-
ლია თეიმურაზისა და ელენეს ღრმა სიყვარულისათვის. პ. კარბელაშ-
ვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახალ ჯვარდაწერილმა, 18 წლის თე-
იმურაზმა მღვდელ-მონაზონს გრიგორს (ონანაშვილს—გაჩნაძეს) აღა-
შერინა წმიდათა ცხოვრება—წარწერით: „ყოველთა ამათ წმიდათა მა-
დლი, მეოხება და ლოცვა შემწე ეყავნ, მცველ და მფარველ სულით
და ხორცით კეთილმსახურსა მეფის ძეს თეიმურაზს და კეთილმორწმუ-
ნეს მეფის სძალს ელენეს, რომელთა ღვთისმოყვარებისათვის აღიწე-
რა წიგნი ესე, ხოლო მორჩილებით მშრომელი მოხსენებისა მოქენე
ვარ ყოვლად უღირსი იერომონაზი გრიგოლ 1800 წელსა, აგვისტოს
27³². ამას გარდა, მღვდელ დიმიტრი ჯომარდიძეს ახალციხიდან ახ-
ლად დაქორწინებულებისთვის ჩამოუტანია „ლოცვაები“³³, ხოლო უც-
ნობ ქართველ მხატვარს მედალიონის თქ მხარეს გამოუხატავს ისი-
ნი³⁴. ელენე ამილახვარის ქალთან თემურაზს შეილი არ ჰყოლია³⁵.

30 მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის..., № 122.

31 იქვე; პ. კარბელაშვილი, დასახ. ნაშრ; Акты, 1, стр. 310; შდრ. 7. მეტენი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

32 А—878, 180v. შდრ. პ. კარბელაშვილი, დასახ. ნაშრ.

33 С—3633, ყდის V.

34 ფოტობირები დაცულია საქ. სახ. მუზეუმში: იქინოგრ. ფონდი, № 7579.

35 М. Броссе, ЖМНП, 1846, ноябрь, отд. VII, стр. 40; არ ვიცით რას ეყვარება პ. ბუტყოვის ცხობა, შედგენილი 1801 წლისთვის, რომელიც მრავალწერტილით წყდება: „Царевич Теймураз 19 л. Детей имел...“ (Материалы, II, стр. 510 пр. 1).

ელენე ამილახვარის სიშვენიერე და მომხიბვლელობა პუნქტუალური გების საგანიც გამხდარა. კერძოდ, შემონახულია „სტეფანე უერზენია“ ვიშვილის ნათქუამი ელენე ბატონის რძალზე ოთარ ამილახვარის ქალზე შაპი ნაზის ხმაზე”:

„ვიხილე ტურფა კიბარი წერილი: ნაზად ზრდილია,
მასთანა ბმული რჩნი ნარინჯი: უცხო ხილია
ვინც მოეფინების მის სურნელებას: ანუ ჩრდილია,
მის ტრუიალთათვის ესოდენ ტურფად: დიდი ლხინია.

ბრძენთათვის ხილუად კმა საყოფელ არს: მის შეენებანი,
ვითარცა ნახოს გულმან დაგულმან: მისგნივ ნებანი.
ენა დატებების რავამს წარმოესთქუა: მისი ქებანი,
ვითარც ტებილი არს შაქარ-შარბათი: დარიჩინია.

შეიძლო მთიებთა უშერძეს ბრწყინვეს: კეკელა მარდი,
მის მოყუარესა რად უნდა პსჭირდეს: ამ სოფლის დარდი,
რაღვანაც მისი არს სამოთხის ბაღჩის: გაშლილი ვარდი,
მის სურნელება ჯავშ მიხუ იღთ: დარიჩინია.

მას ტრუიალობენ მიჭნურთა გულნა: და ვონებანი,
სანატრელი არს მისის ალერსის: მოგონებანი,
აჩავის შეენის მისებრივ ტურფათ: მორთულობანი,
ვინდ ერთათ შეკრბეს რუსი, ფრანცი, ჩინ მაჩინია.

ელუარეს ღაწუსა მოფენილსა: შეენის ბაგენი,
მარგალიტ კბილნი ტურფად წყიბილნი: ალმასთ მბაგუშლნი,
ბროლისა ცელი, ტან-ლერწამ წელი: მიჭნურთ მდაგუშლნი,
ივი არს სტეფანე ფერშანგოვისა თუალთა ჩინია³⁶.

პოეტის ამ სიტყვებს ადასტურებს დიდი რუსი მხატვრის
ვ. ა. ტროპინინის მიერ 1810-იან წლებში პეტერბურგში შექმნილი
ელენე ამილახვრის პორტრეტი³⁷. გადატენილია აგრეთვე უცნობი
მხატვრის მიერ აქვარელით შესრულებული ელენეს მოხუცებულობის
დროინდელი პორტრეტი³⁸.

როგორც თეიმურაზის მიერ გენ. კნორინგისადმი 1802 წლის 11
აპრილს გაგზავნილი წერილიდან იჩკვევა, თეიმურაზი თურმე გიორგი

³⁶ H. 2130, გვ. 56; ელენე ამილახვრის შესახებ იხ. აგრეთვე: ლენ: E 148;
ვ. ს. ს. არქ. № 33: 7;

³⁷ ამის შესახებ იხ. ვ. შარაძე, ტროპინინის „უცრობი ქართველი ქალის პორტრეტი“, საბჭოთა ხელოვნება, 1969, № 10; დედანი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში.

³⁸ ვ. შარაძე, დასახ. ნაშრ., დედანი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში, ფერწ. 1198a.

XII მეფობაში სახელმწიფო საქმიანობაშიც იღებდა მონაწილეობა:
«Письменным приказом был я назначен судьею: Многие из меня
собирались у меня и я производил суд»³⁹, ხოლო ერთი ჭერისტურას
ავტოგრაფულ მინაწერში თეიმურაზი პირდაპირ ამბობს: „...და დაგი-
ნე მაის ჩემის მიერ ქართლისა განმგედ და მეურნედ“⁴⁰. ტახტის მე-
კვიდრის დავით ბატონიშვილის 1800 წლის 20 დეკემბრის ბრძანებაში
თეიმურაზის შესახებ ნათქვამია: „მე შენ დაგნიშნე ქართლში ნაი-
ბარო“⁴¹. თეიმურაზი მეფესთან და სხვა ბატონიშვილებთან ერთად
ხელს აწერს სამეფო კარის მიერ გაცემულ საბუთებს⁴²; მათ შორის,
რაფიელ დანიბეგაშვილის ინდოეთში გაგზავნის სიგელს (ლენ. E 246).
თეიმურაზის მოწმობით, ვიორგი XII მისთვის მამულად ნაზარსკეტი,
კარაჯალი და ლომისციხე დაუმტკიცებია⁴³, მაგრამ თეიმურაზის სა-
ქართველოში მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა.

პავლე I საქართველოს⁴⁴ რუსეთთან შეერთების მანიფესტი⁴⁵
ხელი მოაწერა 1800 წლის 18 დეკემბერს, ისე, რომ ვიორგი XII კერ-
კილევ ცოცხალი იყო. ათიოდე დღის შემდეგ ვიორგი მეფე გარდაიც-
ვალა. პავლე I უკვე შემუშავებული პქონდა საქართველოში რუსული
მმართველობის სისტემის შემოღების პროექტი⁴⁶. რუსეთის იმპე-
რატორის მანიფესტი თბილისში მოგვიანებით—1801 წლის 16—17 თებერვალს გამოცხადდა, რაც სხვა მოთხოვნებთან ერთად დედაქა-
ლაქიდან სამეფო ოჯახის ყველა წევრის პეტერბურგში გადასახლებას
გულისხმობდა. მართლაც, 9 მარტს პეტერბურგს გაიგზავნენ იოანე,
ბავრატ და მიხეილ ბატონიშვილები, ხოლო 15 მარტს მირიან ბატო-
ნიშვილიც. ამით დამფრთხალი ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში
გადაიხევა, იულინ და ფარნაოზ კი იმერეთში. მზადდებოდა რუ-
სული მმართველობის ცხოვრებაში გატარების გუგმაც, რასაც მოუ-
ლოდნელად ბოლო მოუღო შეთქმულთა მიერ 1801 წლის 12 მარტს
პავლე I მკვლელობამ.

39 Акты, I, стр. 311.

40 С—3633, ყდის v.

41 Акты, I, стр. 296.

42 ი. თ. ფორდინი, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 319, 437, 438, და სხვ.
С. С. ქაკაბაძე, Грузинские документы ЛО ИНА АН СССР, М., 1967,
126, 133, 142, 186, 187 და სხვ.

43 Акты, I, стр. 311; II, стр. 80; აღნიშნულ ტოპონიმთა შესახებ იხ. მ. მეს-
ხია, დასახ. ნაშრ., გვ. 23, სქ. 3.

44 იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო).

45 დაწვრილებით ამის შესახებ იხ. შ. ჩერტია, რუსული მმართველობის სის-
ტემა საქართველოში (1801—1840 წწ.), ენიშვილის მოამბე, VIII, 1940, გვ. 11—69.

ტახტზე ასული ახალი იმპერატორი ალექსანდრე I საქართველოს
შემოერთების უფრო მოქნილ პოლიტიკას დაადგა: მან ეს საყითხი ახა-
სახილველად შეიტანა სახელმწიფო საბჭოში. ამას მართვის მიზანი
ორი თხოვნა მოვიდა: ცალკე—დავით ბატონიშვილი ითხოვდა მეფედ
დამტკიცებას, ცალკე—დარეგან დედოფალი ტახტზე თავისი შეიღების
(კერძოდ, იულონის) უფლების გამორკევებას.

სახელმწიფო საბჭომ აზერთგზის მოიწონა შეერთების პროექტი.
მაგრამ ალექსანდრე I თვალმაქურად თავს იყვებდა მის დამტკი-
ცებაზე. თითქოს ადგილობრივ, პირობების გაცნობის მიზნით, მან თბი-
ლისში გამოგზავნა გენ. კნორინგი, რომელმაც დავით ბატონიშვილი
ჩამოაშორა ყოველგვარ მმართველობას და შექმნა დროებითი მთავ-
რობა ქართველი თავადების—ზაალ ბარათაშვილის, ივანე ჩოლოვა-
ლის, ეგნატე თუმანიშვილის, სულხან თუმანიშვილის და თბილისის
ობერ-პოლიცმეისტერის დარჩო ბებუთოვის შემადგენლობით და გე-
ნერალ-მაიორ ლაზარევის თავმჯდომარეობით⁴⁶. ბოლოს და ბოლოს,
1801 წლის 12 სექტემბერს, პეტერბურგში გამოცხადდა ალექსანდრე
I მანიფესტი საქართველოს ანექსიისა და რუსული მმართველობის
შემოღების შესახებ.

ალექსანდრე I ახალი პროექტით, უმაღლეს ხელისუფლად იწო-
დებოდა მთავარსარდალი (Главнокомандующий) იგივე, მთავარმარ-
თებელი (Главноуправляющий)⁴⁷. სამოქალაქო საქმეებში მას უნდა
დახმარებოდა საქართველოს მმართველი (Правитель Грузии). წესდე-
ბოდა აგრეთვე, საქართველოს უზენაესი მთავრობა. აღმინისტრაცი-
ულად სამეფო დანაწილდა 5 მაზრად (გორის, ლორის, დუშეთის, თე-
ლავის, სიღნაღმის) და 5 დისტანციად (ბორჩალოს, შამშაღილის, ყა-
ხაზის, ბაშბაჟის, შურაგელის).

პირველ მთავარმართებლად და მმართველად საქართველოში გა-
მოგზავნილ იქნენ გენერალ-ლეიტენანტი კნორინგი (1801—1802) და
დეისტ. სტ. სოვეტნიკი კოვალენსკი (1801—1803), რომელებიც თბი-
ლისში ამაღლისა და წმ. ნინოს ჯვრის თანხლებით⁴⁸ 1802 წლის 9 ავ-

⁴⁶ Акты, I, стр. 424; Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 года, СПб., 1866; მ. ჩხერია, დასახ. ნაშრ.

⁴⁷ რომელიც 1844 წელს შეცვალა მეფისნაცვლის (Наместник) თანამდებობაშ.

⁴⁸ როგორც ვიცით, ქართული ეკლესიის უწმინდესი რელიგია—წმ. ნინოს ჯვარი ანანურიან მოსკოვს ჩაუტანა ტიმოთე მიტროპოლიტმა ბაქარ ვახტანგის ძეს, ხოლო ბაქარის შეილაშვილმა გორგი ალექსანდრეს ძემ ივი 1801 წელს ტახტზე ასვლისთან დაკავშირებით მართვა ალექსანდრე I. მმ უკანასკნელმა ქართველთა გუ-
ლის მოსაგებად ჯვრი საქართველოში გამოატანა რუსული მმართველობას, პირველ
მოცეკვებებს.

2. გურამ შარაძე

ს ა რ ა რ თ ვ ე ლ მ ს
პ ა რ პ ა მ ი ნ ტ ი ს
ი რ მ ვ ნ ტ ი კ ი
პ ი რ პ ლ ი რ ი ვ ა

რილს შემოვიდნენ. მალე (12 აპრილს) მათ ალექსანდრე I მანიუსტი თბილისშიც გამოაცხადეს. კნორინგის ცნობით, მანიუსტის ერთგულებაზე ანტონ II კათალიკოსთან, ვახტანგ და დავით ბატონიშვილის თან ერთად თეიმურაზესაც დაუფიცია (Акты, I, стр. 245, 443, 566)⁴⁹. ამასთან დაკავშირებით, გაიცა განკარგულება აპრილის შუა რიცხვებ-ამდე საქართველოს სამეფო ოჯახის უკლებლივ ყველა წევრის რუსეთში გაგზავნის თაობაზე⁵⁰, ხოლო ბევრი ქართველი წარჩინებული კიდევ დაძატიმრებულ იქნა.

1802 წლის 8 სექტემბერს გენ. კნორინგი თანამდებობიდან გადააყენეს და მის ნაცვლად გენ. ვ. დ. ციციანოვი (1754—1806 წწ.) გამოვზავნეს, რომელიც განუხრელად ატარებდა რუსულ პოლიტიკას საქართველოში.

1803 წლის 19 თებერვალს მან რუსეთში გაგზავნა ვახტანგ ერეკლეს ძე და დავით გორგის ძე, შემდეგ კი ერეკლე II რძალი ქეთევანი. ამავე წლის აპრილში, გენ. ლაზარევის განმაურებული მკვლელობის შემდეგ, ვორონეჟში გადაასახლეს მარიამ დედოფალი და თამარ და ჭიბრაილ ბატონიშვილები...

სად არის ამ დროს თეიმურაზ ბატონიშვილი?

სპარსეთში გაქცევა

პლ. იოსელიანის გადმოცემით „ესრეთ, რომელ დიდისა მეცადინებითა მეფის ძემან თეიმურაზ დაუახლოვა მემკვიდრესა დავითს სიმამრი თეისი სარდალი ოთარ ამილახერის შვილი... გარნა შემდეგ მისცა საპყრობილესაცა დროებით, სხვათა თანა, და ესრე იქნა მიზეზად, რომელ მეფის ძე თეიმურაზ, სიძე ოთარისა, გაიქცა სპარსეთსა და ეახლა ყენსა“⁵¹.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ ასეთი დიდი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმის იოსელიანისეულ ახსნას, რასაკვირეველია, არ შეიძლებოდა სერიოზული ანგარიში გასწეოდა. თუმცა ისეთი გამოცდილი მკვლევარი როგორც პ. კარბელაშვილი იყო, დაბეგითებით წერდა: „გიორგი მეფე რომ მიიცვალა 27 დეკემბერს 1800 წელს, სამეფოთ გამზადებულმა დავით ბატონიშვილმა წინ დაუხედაობით ოთარ ამილახერი დააპატიმრა იულონის მომხრეობისათვის (იულონის მეულე სალომე

49 იხ. იგრეთვე, პ. Бутков, Материалы..., II, стр. 510.

50 Акты, II, стр. 65.

51 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აქ. ვაშერელიას რედაქციით, ტფ., 1936, გვ. 223.

ოთარ ამილახერის დად იყო) და სამი თვე თბილისში ტუსაღათ ჰყენ-
და. მიზეზი ეს იყო, რომ თეიმურაზმა 25 თებერვალს 1803 წ. და თავის
ფეხი და ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიპარა⁵².

თვითონ დავით ბატონიშვილს თუ დაუკვერებთ, მისი აუტიციურის სა-
და უსაყვარლესი ძმის ლტოლებილობა პ. ციციანოვის ბრალი ყოფი-
ლა: „...კვალად სიფიცითა და ბოროტებითა ციციშვილისათა ვნებულ
იქმნენ უმრავლესნი თავაღნი და აზნაურნი კანეთისანი და წარვიღნენ
სპარსეთად; ეგრეთვე მეფის გიორგის ძე თეიმურაზ, ვნებული ციცი-
შვილისაგან, წარვიდა სპარსეთად“⁵³. თუმცა გიორგი XII მიერ გენ.
კნორინგისადმი ჭერ კიდევ 1800 წლის 6 აგვისტოს გაგზავნილი წერი-
ლიდან ჩამს, რომ „ბაბა-ხანი და იმასი შვილი აპას მირზა გვთხოვენ,
რომ გავუგზავნოთ უფროსი შვილი დავით და მივცი, მერე ითანეს
მთხოვენ, მერე ბაგრატისა, მერე თეიმურაზსა და მასუკან ჩეენ ჩაგვიძა-
რებენ... ამას არასვენით ჩეენ არ ვიზამთ“ (აქტი, I, გვ. 128).

შ. მესხიამ პირველმა გამოიყელია თეიმურაზ ბაგრატიონის სპარ-
სეთში გაქცევის ნამდვილი მიზეზები: „რუსეთის ხელისუფლების სა-
ქართველოში მტკიცედ დამყარებით, მისდამი შებრძოლების გეგმების
გაუმართლებლობით, თეიმურაზი იმედგაცრუებული დარჩა. ივრეთვე
ხედავდა რა, დღეს თუ ხვალ, მსგავსად სხვა ბატონიშვილებისა, მისი
რუსეთში გაგზავნის აუცილებლობას, არჩია გადახვეწია სპარსეთში და
იქიდან ცდილობდა ეცადა უკანასკნელი ლონისძიებანიც თავის ბიძის
ალექსანდრეს შემწეობით, რომელიც ჭერ კიდევ აღრე იყო გადასული
სპარსეთში“⁵⁴.

1803 წლის 16 თებერვალს ვახტანგ და დავით ბატონიშვილების
რუსეთში გამგზავრების თაობაზე იმპერატორისთვის მირთმეულ პა-
ტაკში საქართველოს ახალი მთავარმართობელი გენერალი პ. ციცია-
ნოვი დასძენდა: «... царевич Теймураз сейчас прислал ко мне
с извещением, что он готов ехать и ожидает моего повеления»⁵⁵.

სამართლიანად შენიშნავს ამის გამო შ. მესხია, რომ თეიმურაზის
„ეს თხოვნა არ იყო გულწრფელი, პირიქით, მიმართული იყო იქით-

52 პ. კარბელაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, გან „საქართველო“, 1916,
№ 144.

53 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, S—3860, გვ. 539—540; A—
1766, გვ. 45v. გამოცემულია თ. ლომთურის მიერ, გვ. 28—29.

54 შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოლვაწეობა, წიგნში:
მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 1, თბ., 1939, გვ. 25—26.

55 აქტი, II., стр. 149. თეიმურაზის რუსეთში გაგზავნა ითანე, ბაგრატ და
მიხეილ ბატონიშვილებთან ერთად, გენ. ლაზარევს ჭერ კიდევ 1801 წლის 9 მარტს
უცდია, მაგრამ თეიმურაზს ივალმყოფობა მოუმიზეზებია (აქტი, I, стр. 309,
326, 328).

ჰნ. რომ თავი უწყინრად მოეჩვენებინა, სპარსეთში გაქცევის /განხერავა უჩინარეულ და მეთვალყურეობა მისდამი შეესუსტებინა⁵⁶

ბავრატ ბატონშვილი თავის „ახალ მოხარობაში“ დაუკარისტუმენტ ცნობებს გვაწევდის თეიმურაზის თბილისიდან გაპარვის შესახურავთშალ წელსა 1803, თებერვლის 6 მოვიდა ციციანოვი პავლე ტფილის მართებლად საქართველოსა. ხოლო ამან ბრძანებითა ხელშეითისათა წარავლინნა როსიად მემკვიდრე საქართველოსა მეფის გორგის ძე დავით და ბიძა მისი მეფის ირაკლის ძე ვახტანგ თებერვლის 18, რომლისა შიშვნეული ძმა დავითის მეფის ძე თეიმურაზ განიღლულ ღამესა მას და წარვიდა ჭარში და მივიღდა ბიძისა თვისისა თანა ალექსანდრესთან, მცფის ირაკლის ძესთან, რომელიცა მას უამსა წარსრული იმერეთით და იყოფოდა ჭარსა შინა, რომელიცა მისრული ძმის წული თვისი შეიტებო ალექსანდრემან და პატივს უყოფდა ვ[ითარც]ა ძესა⁵⁷.

თბილისიდან გაქცეული თეიმურაზი მხლებლებითურთ („გამოლნიცა მისნი“) ტყვედ ჩივარდნია ქართლში მოთარეშე დაღესტნელ ლეკებს. თეიმურაზს მათთვის უთხოვია ბელაქანში თავის ბიძასთან ალექსანდრესთან მიყვანა. ეს თხოვნა ლეკებმა შორს დაიკურეს და ლტოლვილი ყრმა უფლისწული დაღესტნისკენ წაიყვანეს. გზაში, ლეკთა ბელადი ალი „კაცი მხეცუქმილი... მოლმობიერდა ყოვლითურთ განწირულსა ყრმასა ზედა“. ჯერ იყო და, საგზალს უწილადებდა, მერე, უფლისწულის „უკეთილესნი ნივთინ“ თავისთან შეინახა, რათა „ეჩუნურთა ამათ კაცთა“ არ გაეცარცვათ. შირაქში, ჯიბე-უბით ცარიელ უფლისწულზე განრისხებულ ერთ ლექს განუზრახავს თოფით „მშისა მის უზადოსა დაბნელება და დილის მთიებისა დაბუნდვა“. მაგრამ თეიმურაზი სასწაულებრივ გადარჩენილა. ამის შემდეგ, ალი-ბელადმა ლეკებს გზა უქცია და დაღესტნის ნაცვლად მოტყუებით ჭარ-ბელაქნისკენ წაიყვანა. ფადარში, ლეკებმა „ჰსცნეს მცბიერება ბოროტი კაცისა ალისა და არა დამორჩილდნენ ნებასა მისსა“. მაშინ ალი მათ დაემუქრა ჭარელებით, „რამეთუ აწუხებთ თქუწნ სტუმართა მათთა“. გათენებისას, თეიმურაზმა „კვალად განამხნო თავი თქსი“ და „ტებილითა უბნობითა“ და „წესიერითა მისაცემელითა დაიყოლია იგინი“, რომ ლტოლვილები ბელაქანში მიეყვანათ ალექსანდრე ბატონიშვილთან. ალექსანდრე დიდი სიხარულით შეხვედრია ძმისწულს. ამასობაში ბელაქანს მოაღწიეს მდევრებმა—რუსის ჭარშა. „წელსა 1803 მარტის 9 დღესა რამაბათსა მოვიდნენ სასტიკად რუსნი და ჩუშნ ლექთა მწყო-

56 შ. მესხი ა., დასახ. ნაშრ., გვ. 25.

57 ბავრატ ბატონიშვილი, ახალი მოხარობა, A 1766, ფ. 119v. ვამოწეშულის თ. ლომიურის მიერ: თბ., 1941, გვ. 83.

პრითურთ ვებრძოლენით გულს მოდგინედ ჟამ რაოდექნე და ქარეჭუმელითა მძლე გუშემნეს". დამარცხებულმა ბატონიშვილებმა სტანციების მაც კენ აიღეს გეზი, გაუვლიათ ალბულახი—სამუხი—მდ. ქურაქ-ჩაი—მდ. კუნიბი—მდ. თართარი — სოფ. ჩალაბირთი—სოფ. ხინშირისტანი—ასეა-რანი—ნახჩოვანი—შაალი დიზაყი?—მდ. არეზი [...]—[ყარაბაღი]—[თავრიზი]—თეირანი⁵⁸.

ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, თეიმურაზი თბილისიდან ციციანოვს გაეცევია 1803 წლის 18 თებერვალს და შასულა ჭარში ალაქ-სანდრე ბატონიშვილთან (პ. კარბელაშვილი და შ. მესხია თეიმურაზის თბილისიდან გაპარვის თარიღად 1803 წლის 25 თებერვალს მოუთით თებერი)⁵⁹.

პ. კარბელაშვილი, არ ვიცით რა შეაროშე დაყრდნობით, წერს, რომ თეიმურაზს „თან გაპყვნენ სხვათა შორის—ივანე რაშმაძე”, ქიხოსრო თეთრაბე, რამდენიმე თავად-აზნაური და გლეხი⁶⁰. ხოლო „აქტებში” გამოქვეყნებული ცნობით, თეიმურაზის თანმხლებ ლტოლე ვილად ვხედავთ აგრეთვე, დედის მხრით ახლო ნათესავს — ადამ ან-ჯრონიკაშვილს⁶¹, ფამბაკის მფლობელ ნაგი-ბეკის მოწმობით კი, თეიმურაზი ჭარელებთან 50 ქიზიყელი თავადის თანხლებით მისულა⁶². მავრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თეიმურაზმა საქართველოში დატოვა მეუღლე ელენე ოთარ ამილახერის ასული. რა იყო ამის მიზეზი, დღემდე გამოჩვეული არ არის.

ჩენ ვფიქრობთ, რომ თეიმურაზმა ეს ვერ მოახერხა და აი რატომ:

საქმე ისაა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი ჭერ კიდევ 1802 წლის ზაფხულში შეუდგა რუსეთის საწინააღმდევო ცდებს. ამ მიზნით იგი სურამში ჩასულა და აწყობს ადგილობრივ საიდუმლო თათბირებს (ა. ხადირბეკოვთან, ე. აბაშიძესთან, გ. ჩხეიძესთან (ს. აბესაძესთან, ლ. მოურავაშვილთან და რ. აბაზაძესთან ერთად) აგრეთვე, აწარმოებს მიმოწერას თბილისში, იმერეთში, ახალციხეში და სხვაგან. სუ-

58 თეიმურაზ ბაგრატიონი, სპარსული დღიური, A—1764—ა, A—1764—ბ; ასე რომ გაუგებრობა ტრ. რუხაძის ცნობა: „თეიმურაზი მაშინდედ იმერეთის სამეფოში გადასულა, აქედან ალექსანდრე ირაკლის ძის გზებს გაჰყოლია, 1803 წელს სპარსეთში შასულა...“ (ძ. ქართ. ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 123—124).

59 ეტყობა, ისინი ემარტებიან ნ. ლუბროვის შრომას: Закавказье от 1803—1806 года, СПБ, 1866, стр. 83 და „Акты“, II, стр. 303.

60 პ. კარბელაშვილი, დასახ. ნაშრ.

61 Акты, II, стр. 155.

62 Акты, II, стр. 185.



რამელი სახლის პატრონის ნ. ჭუბაძის საშუალებით ჩუსქონის მმართველობა ზედმიწევნით ცნობებს ღებულობდა თეიმურაზის შეუძლების შესახებ. ამიტომ, გენერალ ლაზარევს დაევალა თეიმურაზის სურამიდან გამოყვანა. მართლაც, იმავე წლის 29 ივლისს თეიმურაზი თბილისში ჩამოყვანეს საცხოვრებლად, ხოლო მისი მეუღლე ელენე ამილახვარი გორში დარჩა თავის მამასთან⁶³. ამის გამო, ვფიქრობთ, თბილისიდან გაპარვის წინ, თეიმურაზმა ვერ მოახერხა მეუღლის თან წაყვანა. ამასთან, მგზავრობის საფრთხესაც უნდა ეთამაშა გარკვეული როლი. თავზარდაცემულმა ელენემ მცხეთის სვეტიცხოველს ვერცხლის 197 მისხ. სასანთლე შესწირა ასეთი წარწერით „ქ. საძლი მეფისა ულენა ვეღრვარ სვეტისა ცხოველსა, თვით თეიმურაზ მეფის ძე განეროს ვნებას ყოველსა“⁶⁴.

ციციანოვს ლტოლვილებისთვის მდევარი დაუდევნებია: „ქუალად წელსა ამასვე 1803 წარავლინნა ციციანოვმან მხედრობანი თვისნი როსიისა პოლკი ერთი მუშაობირისა, რომელსა კაბარდინიცეის პოლკად უხმობდენ, წინაძლომითა ღიანარალ გულაკოვისათა, რომელიცა იყო ფრიად მხნე და მამაცი და მიუწერაცა კახთა, რათა შერთდნენ იგინი რუსეთის მხედრობასა და წარემართნენ ჭარსა ზედა „და მოახრონ ძირობა იგი სრულებით. მსმენელთა კახთა მოკრენ ყოველნივე ზემორ-ქვემონი ქიზიყით გაღმამხრელითურთ და წარემართნენ ჭარსა ზედა“—დანანებით წერს ბაგრატ ბატონიშვილი⁶⁵. მდევრებსა და დამხედურებს ჭორის ფიცხელი ბრძოლა გაჩაღებულა; ბაგრატი განავრძობს: „მისრულთა ბელაქნისა ბოლოსა ზედა თუმცა ღა ჰქონდათ ლექ-თა გზანი გამაგრებული და მინდობილ იყვნენ სიმაგრეთა მათ, რომელიცა აქვს ბოლოსა ბელაქნისათა, შესავალი არს ვიწრი და ჭანჭრობი და ქაცვიერი და ტყიანი, რომლის გზისაგან კიდე არა შეიძლების მუნ ვლა მხედრობისა. ამისმა არა მჭვრეტია რუსთა მხედრობამან უყო ზედა დასხმა მხედრობასა ლექთასა და სიმაგრესა მათსა, აოთნეს სრულებით და მიუღეს სანგალებიცა იგი, წარემართნენ და აღილეს ჭარი და ბელაქნი კატეხითურთ, რომელიცა მოსწრეს და მოახხეს; აღიღეს ალაფი მათი და ტყვენი და მოვიდნენ გამარჯვებულნი. გაშინ ძენი მეფისანი მუნ მყოფნი ალექსანდრე და თეიმურაზი, ლოტოლვილნი მუნით წარემართნენ სპარსეთისა კერძ და მივიღნენ თაერიზს“ (იქვე).

„ახალი მოთხრობის“ სხევა ვარიანტში ბაგრატ ბატონიშვილი ურ-რო დეტალურად აგვიწერს ბრძოლის მსვლელობას: „...მისრული ურ-

⁶³ იხ. Акты, I, стр. 181; 311—312, 328; Акты, II, стр. 181—182. იხ. აგრეთვე, ნ. დუბრვინისა და შ. მესხის დასახ. შრომები. ერთი ზუკლიდური ხელნაშერის მოწმობით, ეს ვვენი აბაშიძე სურამის მოურავი ჩანს (ფ. 55, Письма ას ნუმაგი. № 19).

⁶⁴ А. Натроев. Мцхета и егособор Свети-Цховели, Тиф., 1900, стр. 241.

⁶⁵ ბაგრატ ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

დოს, ფონსა ზედა ვერ განვიღნენ, ვინამთვან აქუნდათ ლეკთა გამავრებული ფრიად განსავალი კიდე ალაზნისა, უუზნიქცნენ უცხადესთა შემარტინება ნივანეს ქიზიყელთა ანაგის ბოლოს ალაზანს და ესრეთ წარემართნენ ტყის გზითა და მიეთდნენ ბელაქნის ბოლოს. თუმცა ლეკთა ექმნათ მუნ შესავალსა შინა სანგალი, გარნა მცირესა უძმა აღილეს იგი რუსთა და მოკლეს მუნ არღუთაშვილი მიქელა და პიოზალიშვილი ავთან-დილ, რომელიცა იყვნენ მუნ მყოფნი მეფის ძეს ალექსანდრესთან. თუმცა კუალად ბრძო ალექსანდრემ ლეკთა მხედრობითა, გარნა იძლივა მუნ. ხოლო მეფის ძესა თე იმურაზე გაეჭირა ცხრილი და დაშთა იგი ქვევითად რომელსაცა ნოშრევან ნოდარიშვილმა, მილაზვარმან დედოფლის მარიამისამან, მიართო ცხენი და მით განერა იგი რუსთა, ხოლო ნოშრევან შეიძყრეს რუსთა, რომელიცა პატიმარყოფილი მოკუდა ციხესა შინა ტფილისს. შევიღნენ რუსნი ბელაქნს და აღილეს და მოწვეს ბელაქნი ვიდრე წაბლოვანადმდე... ესე იყო წელსა 1803, ქსა უქა, მარტის 13⁶⁶.

1803 წლის 13 მარტს, ჭარ-ბელაქანში დამარცხებული ბატონი-შვილები, როგორც ვთქვით, სპარსეთისაკენ იღებენ გეზს: „ალექსანდრე და თეიმურაზ, ლტოლვილნი მუნით, წარვიღნენ ყარაბაღს და ყარაბაღით თავრიზს და თავრიზით თეირანს და გამყვნენ რაოდენნიმე ჩინებულნიცა, თავადნი და აზნაურნი გლეხითურთ, კითარცა კახეთით, ეგრეთვე ქართლით“⁶⁷.

66 ბაგრატ ბატონი შევილი, ახალი მოთხრობა, H 25, ფ., 29v—51r; H 26 ფ., 58v—59v. გამოცემული აქვს მ. ჭანაშვილს: მასალები საქართველოს ისტორიისათვის შექრებილი ბატონისშვილის დავით გომირგის ძისა და მისი ძმებისა 1744—1840 წწ. ტფილისი, 1905, გვ. 66—67. ჭარ-ბელაქანში ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების დამარცხების ამბავი პირველწაროებზე დაყრდნობით ვრცლად აქვს გაღმოცემული ნ. დუბროვინის ცნობებით, ციფრანვის ბრძნებით 1803 წ. 2 მარტს სიღნალიდან გენ. გულავარე ჭარისაკენ გაემართა ფეხოსნთა 2 ბატალიონით, 8 ზარბაზნით, 200 კაზაკით. ამასთან დაახლ. 5000 ქიზიყელი თავადი, აზნაური და გლეხი. 9 მარტს მისულან ბელაქანში სადაც ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები გმიაგრებული ყოფილან 10000 ლეკით. გულავარე სასტრიკად დაუმარცხებია ისინი: მოცელია 500 ლეას, ტკვედ ჩიუგდათ 2 ქართველი თავადი დტოლვილი ბატონიშვილების ამალიდან და 136 ლეკი (დუბროვინის დასახ. შრომა, გვ. 91—93. აქვეა დაბეჭდილი ბელაქნის აღების სამხედრო გეგმა). ამ ბრძოლის შესახებ იხ. აგრეთვე Histoire de la Géorgie, II partie. 2 livr., S-Ptb., 1857, p. 275—76; მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (ხაინგილის) ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 135, გ. ჩანგვა შევილი, საინგილო, თბ., 1970, გვ. 51—52.

67 ბაგრატ ბატონი შევილი, იქვე.



თავრიზში ლტოლვილი ბატონიშვილები ბეგლარ-ბეგი⁶⁸ მოუკუნა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ისინი ყაენმა (ფათ-ალი-შაკმა, მაგრავ გამარტინა ხანა ხანა ბეგლარ-ბეგმან თავრიზისამან მისვლად მუნ მეფის ძეთა, რომელისა გამო ებრძანა ყევენა, რათა წარავლინოს მის თანა, მაშინ ბეგლარ ბეგმან თავრიზისამან მისცნა ყოველთა საქირობად მათი და წარავლინა თერანს წინაშე ყევენისა. მისრულთა მეფის ძეთა პატივუცა ყევენმან და ანიჭნა ხალათი და ცხენი ოქროვთა აქაზმულნი და ეგრეთვე თან მყოფთაცა მისთა თავადთა და აზნაურთა უბოძა საბოძარი და დაიმჭირნა თვისთანა უამ ჩაოდენებე და აღუთქვა შეწევნა და განთავისუფლება საქართველოისა რუსთავან»⁶⁹.

* * *

ჭარ-ბელაქანში დამარცხებულ თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელმაც გეზი სპარსეთისაკენ აიღო, ციციანოვმა მისთვის მისანდო პირის ზ. ჭორავესის ხელით 1803 წლის 22 მარტს წერილი დაადევნა. მთავარმართებელი წერდა: გემუდარებით არა როგორც რუსის გენერალი, არამედ როგორც ქრისტიანი აღაშიანი და თქვენი მეუღლის ნათესავი, ის მაინც შეიბრალოთ და თქვენი დაბრუნებით ცრემლები მოსწმინდოთ. ვიცი რა თქვენი რწმენის სიძლიერე, თავს ნებას ვაძლევ მოგავონთ თქვენი მოვალეობანი მის წინაშე. მუხლზე მღვმი გეხვეწებით, თქვენი საკუთარი ბელიერებისთვის, მოიქცეთ ჩემს თხოვნაზე «... я и Государь еще о удалении вашем не доложил»⁷⁰. აქ კი, მთავარმართებელი უკვე ცრუობდა. მან ჯერ კიდევ 26 თებერვალს უპატაკა იმშერატონს თეიმურაზის გაპარვის ამბავე⁷¹.

აზნაურმა ჭორავემა პასუხი მოიტანა: თეიმურაზი მეუღლის (ელენე ამილაბეგრის ასული) ხსენებაზე დიდად შეწუხდა და თქვა, რომ სადაც არ უნდა იყოს არასდროს არ ამოიშლის მის ხსოვნას და სიყვარულს სათუთად შეინახავს⁷². უკან დაბრუნება კი, ეტკობა ახალგაზრდა უფლისწულს მაშინ ფიქრადაც არ გაუვლია თავში. ვაღარჩენილია

68 ამ დროს თავრიზის ბეგლარ-ბეგი იყო ახმელ-ხანი (იხ. აქты, II, стр. 643, 324).

69 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოხარეობა, თ. ლომიურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 84. თეიმურაზი შემდეგში ძლიერ დაახლოებულა შეპის ოჯახთან და ირანის სამეფო კართან, რასაც ცხადყოფს მის მიერ შედგენილი სიი „ვისაც სპარსეთში ვიცნობ“ (ლენ. Н—28, ფ. 244—245г).

70 აქты, II, стр. 182.

71 აქты, II, стр. 303.

72 აქты, II, стр. 183.

„ჩემის გონიერის აჩრას-შიგან განუშორებელო, გონიერის თვალით
ნათლად სახედაო, გონიერის თვალით ნიაღაგ თქვენთან მზრახველო,
თქვენგან ჩემად ულირსად სიყვარულ ჩვეული, მეფის სძალი ელენე ვი-
თარ არ გეწყალვი, სამი წელიწადია და ნახევარი თქვენ მოგშორები-ვარ
და ყოველივე სიამოვნე მწუხარებად შემიცვალე; ერთის საათის მოშო-
რება საძნელეო იყო ჩემთვის, ეს როგორ არ უნდა მოკვირდეს რომ კი-
დევ სულ-დგმულებით გვზრახები. მაგრამ კიდევ ამისთვის ვასულდგმუ-
ლებ ჩემს თავსა, რომ თქვენის ღუთის მოყვარების მოიმედე ვარ, რომ
რომელიც ზეგარემო მაღლი და კურთხევა მოსულია და შეერთებულ-
ნი ვართ, ის არ დაპასნათ და არც ჩემი სიყვარული თქვენის გონიერი-
დამ განაგდოთ. თუ ეჭვად ეს ჩემს გონიერაში შემოვიდა, არც ჩემს
თავს ვაცოცხლებ და ამაზე სარწმუნო ვარ, ბოლოს სინაული შეგექ-
ნების და სიბრალულს ჰყოფთ. გვევდრები ჩემთ ხელმწიფევ, ჩემთ
დიდებავ, მოიგონე პირველი სიხარული და სიყვარული და მეორე
ესე მწუხარების სახმილის აღგზნება თქვენის სატრფოს გულისა და
როდესაც ღუბერნატორის⁷³ წერილი მოგივიდეს, დიახ წრფელი კა-
ცია და სიმართლის წერილიც იქნება, დაემორჩილე და მეც მაყმარე
ამთენის ხნის მწუხარება და სიშორე თქვენის უგანათლებულესობისა;
ნუ განმაშორებ თქვენს მოწყალებასა, — ერთის წლის სიცოცხლე რომ
მქონდეს ასის წლის სიცოცხლეზედ შემეცვლება, თუ უგანათლებუ-
ლესობა თქვენი განვიცადე. ერთი თქვენი ნახვა კი მელირსოს და თუნ-
და მაშინვე მოვკუდე, სანანურათ აღარ მექნება ჩემი თავი და თუ ჩე-
მი ვედრება არ მოისმინეთ, მეც ესრეთ შევრაცხამ, ესრეთ დაგვიწყე-
ბოდე, ვითარცა მკვდარი მისამარებული, და მეც ესრეთი შევრაცხამ
თავსა ჩემსა და თუ განმავდებ და არ შემიწყალებ, ნება თქვენი უგა-
ნათლებულესობისა იყოს, — თქვენ უვნოდ სუფევდეთ და მე თქვენის
ჭირის სანაცვლო ვიყო⁷⁴.

თეიმურაზი მაინც არ ტყდებოდა. იგი თავის ბიძასთან ერთად
ცდილობს ფათ-ალი-შაპთან საერთო ენის გამონახვას და მისი დახმა-
რებით საქართველოს რესუეტისაგან გამოისხის თანმიმდევრული პო-
ლიტიკის გატარებას. შეპიც მას მოწყალე თვალით უყურებს. დარეგან
დედოფლისადმი 1803 წლის 5 ივნისს გამოგზავნილ წერილში ალექ-
სანდრე და თეიმურაზი იტყობინებოდნენ:ჩემს ამბავს მოიხსე-

⁷³ აქ, ლბათ, ნაგულისხმევია. მაშინდელი მთავარმართებელი გვენ. ი. ვ გუდა-
ვაძე (1806—1809 წწ.).

⁷⁴ Акты, III, стр. 63.

ნებთ, ღუთის მოწყალებით ყოვლითურთ სამშეიდობოს ქახტაციურს. ამას წინათ ჩვენის კელმწიფიდამ დიახ მძიმე ხალათები მოგვივიდა და დიდი მწყალობელი ბრძანდება ჩვენი და ჩვენი საქმე ღუთის შეწევნით თქვენად გუნდებად მოვა. ყოველსავე ჩვენს ამბავს თვითეულად ზაქარია გიამბობსთ“⁷⁵.

ეს ზაქარია (ჭორავევი) რომ ციციანოვისგან მიჩენილი აგენტი იყო ამას ლტოლვილი ბატონიშვილები, ეტყობა, ვერ გრძნობდნენ. ციციანოვი ხომ გრაფ კოჩუბეის 1803 წლის 5 ოქტომბერს პირდაპირ წერდა: მე დავიწყე გაქცეულ ბატონიშვილთა უკან დაბრუნების ცდები სხვადასხვა მოენეთა საშუალებით, რომელთა რიცხვში იყო ერთი აქაური აზნაური ზაქარია ჭორავევი⁷⁶. იგი ალექსანდრესა და თეიმურაზის წერილს და ამბავს „თვითონეულად“ დარეჭან დედოფლის ნაცელად ციციანოვს უმაბობდა⁷⁷. ამავე მიზნით ჰყოლია მათვის შეჩენილი ციციანოვს თბილისელი სომეხი გოგია კალუსოვი (ყალუაშვილი).

ა. აბრამიშვილმა ლენინგრადის საგარო ბიბლიოთეკაში დაცულ იოანე ბატონიშვილის კოლექციაში გამოავლინა თეიმურაზის მიერ 1805 წლის 30 ივლისს სპარსეთში დაწერილი ოთხი წერილი დარეჭან და მარიამ დედოფლებისადმი, აგრეთვე დავით და იოანე ბატონიშვილებისადმი, რომლებიც გოგია ყალუაშვილის (იგივე კალუსოვის) ხელით გამოუგზავნია⁷⁸. მიმნდობი ყმაწევილი ბატონიშვილი ღრმადაა დარწმუნებული მის ერთგულებაში: „ყოველს ჩვენს ამბავს ეს გოგია (ყალუაშვილი) მოგახსენებსთ და დიდი მადრიელი ვარ ამისი. მე აქ ვერა ვარგე რა ამისი სიკეთისა და თქვენ იცით, როგორც ამას სიკეთეს უზამთ. ნუ დამივიწყებ. თუ კაცი გაშოისტუმროთ, ისევ ეს გამოისტუმრეთ“ (წერილი დავით ბატონიშვილისადმი)⁷⁹ ან კიდევ: „ყოველს ჩემს ამბავს გოგია (ყალუაშვილი) მოგახსენებს“ (წერილი იოანე ბატონიშვილისადმი)⁸⁰.

ა. აბრამიშვილის ფიქრით, აქედან კაცმა შეიძლება კარგად გაითვალისწინოს, „სპარსეთში გაქცეული და რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილების უჩთიერთწერილობითი კავშირი, რომელიც ათე-

75 Акты, II, стр. 101.

76 Акты, II, стр. 100.

77 Акты, II, стр. 103.

78 ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1968, გვ. 71—75.

ა. აბრამიშვილისათვის უცნობია, რომ ამ წერილის რუსული თარგმანი ლილი ხნის წინ გამოქვეყნებულია: Акты, II, 1868, стр. 185.

79 იქ 3 ვ, გვ. 72.

80 იქ 3 ვ, გვ. 75.

ული წლების მანძილზე გრძელდებოდა და საიდუ მლო ხელი მუშავებოდა ატარებდა” (ხაზი ჩვენია. გ. შ.)⁸¹.



ეტყობა პატივცემული მუხლევარისთვის უცნობი დარჩენილა პ. დ. ციციანოვის 1805 წლის 29 აგვისტოს წერილი თავად ჩარტორიის-კისადმი⁸², საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ვოგია ყალუაშვილი თეიმურაზის ამ წერილებს აღრესატებზე აღრე ციციანოვს აკითხებდა. მაგრამ ციციანოვი კარგად გრძნობდა, რომ მარტო მოენერებით ეერას გახდებოდა. დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ მას პქონია თავრიზის ბეგლარ-ბეგის ახმედ ხანის მოსყიდვის ცდები, რათა ამ უკანასკნელს ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები განჯაში ჩაეყვანა და რუსის ჯარისთვის გადაეცა⁸³.

ალექსანდრე და თეიმურაზი კი შავის კარზე დაუცხრომლად იღვ-წიან თავიანთი გეგმების განხორციელებისათვის, რაც კარგად არის ასახული მათ მიერ 1804 წლის 29 მარტს საქართველოში გამოგზავნილ საპროგრამო წერილში”: „...ჩვენი მოწყალის კელმწიფის ფეხთა მიწა-მთვერს როდისაც ვიახელით და ჩვენი საჩივარი მოვახსენეთ, კელმწიფებმ თავის ურიცხვის მოწყალებით მაშინვე მოელს ერანში ბრძანება გასცა და მაშინვე საქართველოში წამობრძანების თაღარიგებში შავიდა, სხვა რიგათაც მრავალი წყალობაები მიიღო ჩვენზედ და ჩვენთან მყოფსთ თავადებზედ თეთრით თუ ხალათებით, ცხენებით თუ იარაღებით თუ სხვას წყალობაებით... ყოველის აღგილებიდამ ორმოცის დღით ნოვრეზის წინათ ჯარები მოიყენეს და ჯარების სანი ნახა კელმწიფებმ და თავის უფროს შეიღს აბას-მირზას დიდრონი ჯარები უბოძა და ჩვენც თან გვაახლო და ოც და რვას მარტს თეირანიდან გამოვედით და მანლეთ წამოვედით. ჩვიდმეტს დღეს უკან კელმწიფეც თავისის ზღვისებრ მღელვარის ჯარებით თეირანიდან მანდეთკენ წამობრძანდება. ჩვენც ამას გწერთ, რომ რაღანაც კელმწიფებმ ეს ურიცხვი მოწყალება მოიღო ჩვენზედ და ჩვენის ოჯახის ამომგდებლების მანდებამ გაყრა ინება, თქვენც არამცა და არამც ასეთი საქმე გიქმნიათ, რომ დიდებულის კელმწიფის რისხეა თქვენს თავზედ მოაწიოთ და საქართველოს წახდენის მიზეზი შეიქნათ... ათი ათასი და ოცი ათასი ყანდაარი და ყანდაარს ზევითი მთელი ერანი მანდ მოღის. ღმერთმა ხომ იცის, ან უნდა მანდ ამოს-წყდენ და ან უნდა მანდედამ რუსები გაყარონ... წამოღით და წინ მოგვეგებენით“⁸⁴. ბატონიშვილები მხარდაჭერას სთხოვდნენ აგრეთვე პა-

⁸¹ ი ვ ვ ე, გვ. 76.

⁸² Акты, II, стр. 169.

⁸³ Акты, II, стр. 643, 805, 824.

⁸⁴ Акты, II, стр. 159.



ატა აბაშიძეს, თიანეთის მოურავს დიმიტრი ჩოლოკაშვილი⁸⁵ მუხრან-გარებულის მიერობის მიტროპოლიტს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თეიმურაზის ირონიით აღსავს წერილი ასლან ორბელიანისადმი (1804 წლის 12 მაისს გამოგზავნილი): „საყარელო ძმაო ასლან, თეიმურაზი სიყვარულით მოგიკითხავს. შეილები რუსეთში გაგიგზავნეს. რაღა დაგრჩა და ეძებ თბილისში. მართალია ცოლი კი გყავს ლამაზი—ძნელია მასთან განშორება... ამ წერილის მიღების-თანავე, გირჩევ წამოხვიდე ჩემთან“⁸⁶.

ერთი სიტყვით, თეიმურაზი ლრმად ჩაფილო რუსეთ-ირანის ომში. სპეციალურ ლიტერატურაში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ თითქოს თეიმურაზი და ალექსანდრე სპარსეთის შაპს თავისი მიზნებისათვის იყენებდნენ და ეს უკანასკნელიც „პირველ ხანებში, მიუხედავად გარმოლებული საგარეო მდგრმარეობისა, ამ დახმარებაზე უარს არ ამბობდა... როგორც ცნობილია, ბაბახანის დახმარებით დაიმედებული ალექსანდრე ბატონიშვილი ემზადებოდა ლაშქრობისათვის რუსების წინააღმდეგ; მოუწოდებდა ქართველებს დახმარებოდნენ აბაშიძების ლაშქარს. თეიმურაზი ამ მზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა“, ან კიდევ: „ბაბახანი ჭერ კიდევ უჭეროდა მათ და საბოლოოდ გულგატუხილი არ იყო“⁸⁷.

მეტი რომ არ ვთქვათ, გაუბრალოების შთაბეჭდილებას ტოვებს საკითხის ასე წარმოდგენა, რომ თითქოს ქართველი უფლისწულების პრეტენზიების გამო ებრძოდა სპარსეთის შაპი რუსეთს. ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების ზემოთ მოყვანილი 1804 წლის 29 მარტის ცნობილი წერილის დაწერის მომენტისთვის, საღაც ლაპარაკია შაპის მოსალოდნელ დახმარებაზე, რუსეთ-ირანის ომი ხომ უკვე ფაქტიურად კარგა ხნის დაწყებული იყო:

ჭერ კიდევ 1803 წელს სურდა ციციანოვს, რომ რუსეთის ჯარს ბაქოსა და სალიანის საწინააღმდევო ექსპედიცია დაეწყო. მაგრამ ჯარის სიმცირის გამო ალექსანდრე I მაშინ არ დაეთანხმა მთავარმართებელს და ურჩევდა ბრძოლა მომავალი წლის გაზაფხულისათვის გადაედო. მაშინ ციციანოვი შეუდგა განჯისა და ერევნის სახანოების ხელში ჩაგდებისათვის მზადებას. 1803 წლის 2 დეკემბერს მან ალყა შემოარტყა განჯის ციხეს, რომელიც 1804 წლის 3 იანვარს ძლევამოსილად აიღო. ჭავათ-ხანი განჯელი ამ ბრძოლაში დაიღუპა. ციციანოვმა განჯის ელისავეტპოლი დაატევა. განჯის დაცემა უკვე იჩინ-რუსეთის ომის დაწყებას მოასწავებდა, რაღაც განჯი სპარსეთის ჩრდილო პრო-

85 Акты, II, стр. 161.

86 Акты, II, стр. 184.

87 ვ. მეხითა, დასახ. ნაშრ., გვ. 26—27.

ეინციების სტრატეგიულ გასაღებს წარმოადგენდა. ამიტომ სპარსეთის შაპს იმთავით უ უნდა ეზრუნა მის უკან დასაბრუნებლად. ბათა ჩემ ერთოვდა შაპის ეჭვები ერევნისა და ნახევეანის ხანების ერტერეველის ში, რომლებიც რუსეთის დახმარებით შაპის გავლენისგან განთავსუფლებას ცდილობდნენ და ციციანოზე ეჭირათ თვალი. ამიტომ იგი დაუყოვნებლივ შეუდგა უზარმაზარი 40.000-იანი სპარსული ლაშქრის შედგენის სამზადისს.

ერევნისა და ნახევეანის ხანების ალაგმვისა და განჯის უკან დაბრუნების გარდა, შპს, რასაკვირველია, რუსეთისათვის საქართველოს ჩამოშორების მიზანიც ამოქმედებდა, თუმცა ბაბა-ხანს ამ დროისთვის შაპის ტიტული დამტკიცებული არც ჰქონდა. სხვათა შორის, ფორმალობის ზერელედ მაინც დაცვისათვის მას საქართველოს მეფის მხარდაჭერაც აყლდა. საქმე ისაა, რომ ირანის შაპობის პრეტენდენტს კორონაციისას, რომელიც საერთოდ ქ. არდებილში ზდებოდა, აუცილებლად უნდა ჰქონდოდა ირანის ოთხი ვალი ანუ შაპისნაცვალი. ასეთებად კი, როგორც ცნობილია, ითვლებოდნენ არაბისტანის, გურჯისტანის (იგივე საქართველოს), ლურისტანისა და ქურთისტანის ვალები. მათ შორის, ქართველთ მეფეს, ვეირგვინის დადგმის დროს ხმალი უნდა სცეროდა ხელთ; საქართველოში, კერძოდ, ქართლ-კახეთში კი, ამ დროისათვის მეფობის ინსტიტუტი გაუქმებულია და ეს მხარე, რუსეთის გუბერნიად იყო გამოცხადებული. ამის გამოა, ბაბა-ხანი ასე მოწადინებული საქართველოში სამეფოს აღდგენით და მისდამი მიმხრობილი ალექსანდრე თუ თემურაზ ბატონიშვილების გამეფებით (იბ. მისი 1803 წლის წერილი სოლომონ იმერთა შეფისაღმი)⁸⁸. აი, ამეთი საკუთარი ღრმა შინაგანი მიზანზები უკარნახებდნენ ბაბა-ხანს გამოელაშქრა ციციანოვის წინააღმდეგ. მას ამ ბრძოლაში მხარში ედგნენ ალექსანდრე და თემურაზ ბატონიშვილებიც, რომლებსაც თავის მხრით რასაკვირველია საკუთარი ანგარიშებიც ჰქონდათ.

მაგრამ მათ არ გაუმართლა ირანის „უძლეველმა“ ლაშქარმა: 1804 წლის 30 ივნისს რუსებმა ბაბა-ხანის მემკეიდრე აბას-მირზა და ამარცხეს ეჩმიაძინთან (სხვათა შორის, ამ დროს ჩაიგდეს ხელთ თე-იმურაზთან ერთად გაქცეული ადამ ანდრონიქიშვილი)⁸⁹ და კურსი აიღს ერევნის მიმართულებით. აქ, ქალაქის მისადგომებთან, 15 ივნისს ციციანოვა ახალი დამარცხება აგემა სპარსელებს და ერევანს ალყა

⁸⁸ Акты, II, стр. 363; იგრეთ Н. Дубровин, Закавказье..., стр. 413—414.

⁸⁹ Акты, II, стр. 166. მანამდე, 1804 წლის 10 ივნისს ე. მაიორ ტუჩქოვს დამარცხებია სპარსელთა რაზმი (თემურაზიც შიგ შედიოდა), რომელიც ერევნის მხრიდნ გამოქცეულ თაორებს და სომხებს მოსდევდა (П. Г. Бутков, Материалы, III, СПб., 1869, стр. 374).

შემოარტყა. გამარჯვებით გაგულისებული მთავარმართებელი /შეეცა-
და თეიმურაზის გადმობირებას. 1804 წლის 31 ივლისს ციციანურ მას
სწერდა: ერთხელ კიდევ გირჩევ მონანიებას. ორგვერუგაშუალედო,
რომ ვერც დაღესტნელები და ვერც სპარსელები ვერცუალების გადა-
ბიან უძლეველ რუსის ჯართან⁹⁰. თეიმურაზმა უპასუხოდ დატოვა ეს
თხოვნა. ამასობაში ციციანოვს ძლიერ გაუჭიანურდა ერევნის ალყა
და 1804 წლის 2 სექტემბერს იძლებული განდა მოეხსნა იგი. 7 სექ-
ტემბერს მან დატოვა აგრეთვე ცხმიაძინიც. ეს უკვე განჯასთან მოპო-
ვებულ წარმატებებს აღადაცნაზე აყენებდა და სპარსეთის
საბოლოო გამარჯვების იმედს უნერგავდა თეიმურაზს. ამიტომ იყო,
რომ ციციანოვის 1805 წლის 7 მარტის ახალ წერილს უკან დაბრუნე-
ბისა და მონანიების თაობაზე, თეიმურაზმა აქსტაფიდან საკმაოდ მკვა-
ხედ უპასუხა: „აგანვლილთა საქმეთათვის არლარა განვაგრძე მეტყვე-
ლებანი, გარნა უკუთუ გნებავსთ სამსახური ჩევნ მიერ მაღალისა კელ-
შწიფისა, წარმოგზავნონ ოჯახისა ჩევნისაგან ერთი, რომელიცა საონო
იყოს იმპერატორისა, მეფედ ქუეყანისა შინა ჩუენსა და აღადგინოს
მაღალმან ხელმან დაცემული ოჯახი ჩუენი და მაშინ ჩუენ ყოვლისა
ბრძანებისა მისისა მორჩილნი შევიძლებდცა სამსახურთა შესაბამთა
დიდებულისა მისისათა.

და თუ არა ესრეთ იქმნას, არც ჩუშნ ძალ გვაძს მოსულად მანდა,
ვინახთვან არ ვართ ჩუენ გოპთაჭინ მხოლოდ გლახაებრივისა პურის
კამისანი, არამედ ყოველთვის სისხლ დათხევით მცდელი ბაგრატიონთა
ოჯახისა აღდგენისანი⁹¹. ხოლო პეტერბურგში გადასახლებულ თავის
უფროს ძმის დავითს ასე უხსნიდა: „რა ვძნა, ჩემი გული ჩემი ოჯახის
ამ უპატიურობას ვერ ითმენს. თქვენს ადგილზედ ერთი ვიღაცა გი-
ში კაცი იჯდეს და თქვენ ტკვეთ იყვნათ, რათა და ვის გვლისათვის.
თუ რომ ჩვენი თავიანთთან მიყვანა უნდათ, ერთ-ერთი ჩვენი ოჯახი-
დან მეფედ დასონ, საქართველო მოგვცენ..“⁹²

1805 წლის ზაფხულში რუსეთ-ირანს შორის ახალი მძიმე ბრძო-
ლები გაიმართა მდ. არაქსის, ხუდო-ფირის, თექორანის, შაპ-ბულახის,
მუხრატის მიდამოებში. მდ. ზაპამთან 1805 წლის ივლის-აგვისტო-
ში პოლკოვნიკმა კარიაგინმა დაამარცხა აბა-მირზა რომლის დროსაც
მძიმედ დატოვა თეიმურაზი⁹³.

⁹⁰ Акты, II, стр. 184.

⁹¹ Акты, II, стр. 184.

⁹² ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 72. Акты, II, стр. 185.

⁹³ Акты, II, стр. 441, 717, 843—44, 846; Дубровин, Закавказье, стр. 435.

⁹⁴ Акты, II, стр. 604; აგრეთვე, Hist. de la Géorgie, II, 2 livr, p. 281..

⁹⁵ ა ქ ვ ი, გვ. 848.

ამის შემდეგ თეიმურაზს ვხედავთ ერევნის ხანის ლაშქარში⁹⁶ და
ცდილობს რუსეთს მთიელები აუგანკოს⁹⁷. ეტყობა, აქედან წოდები⁹⁸
რაფერი გამოუვიდა, ახალციხეში გადადის და „იმედოვნებს საჭალულოს“⁹⁹
ხის ფაშას მეშვეობით, მიიღოს დახმარება პორტასაგან¹⁰⁰ ჩრდილო-
რუებული ბატონიშვილი 1805 წლის დეკემბერში ისევ ბაბა-ხანთან
გამოემგზავრა¹⁰¹ და 1806 წლის მთელი ზამთარი ურუმიაში გაატარა¹⁰².

1806 წლის 8 თებერვალს გენ. ციციანოვი მუხანათურად მოპე-
ლეს ბაქოში. ახალი მთავარმართებელი გენ. ივ. გუდოვიჩი ახალ ზო-
მებს მიმართავს თეიმურაზის ჩამოსაყვანად. როგორც ირკვევა, იგი
ყაზახთა მოსყიდვის გზით ცდილობს თეიმურაზისა და ალექსანდრეს
ხელში ჩაგდებას. მაგ., ალექსანდრეს დაჭერისათვის იძლევიან 500
ჰოლანდიურ ჩერხონეცები¹⁰³.

სპარსეთის ლაშქრის ზედი-ზედ მარტიმა, ოსმალეთის სულთან-
თან დახმარების გამოძებნის წარუმატებელმა ცდებმა ამ დროს თეი-
მურაზს უკარნახა ორიენტაცია აეღო ნაპოლეონის საფრანგეთზე. სა-
ამისოდ იგი ჯერ კიდევ 1805 წლის 30 ივლისს სოხოვდა დავით ბა-
ტონიშვილს: „...ერთი ქვეყნის პლანი მიბოძე, თუნდ ფრანციული
იყოს, კარგი იყოს და მსუბუქი სატარებელი“¹⁰⁴. ხოლო რუსული და-
ზეერვის ცნობით, იმავე წლის აგვისტოში თეიმურაზი შეხვედრია
სპარსეთში ჩასულ ნაპოლეონის ემისარს გენერალ რომიეს¹⁰⁵.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ნაპოლეონის აგენტურა საქარ-
თველოში დაღასტურებული ფაქტია¹⁰⁶. მით უმეტეს, არაფერია
მოულოდნელი, თუ ისინი ადვილად მოახერხებდნენ ურთი-
ერთობას სპარსეთში გაქცეულ ქართველ ბატონიშვილებთან.
მოგვეპოვება სათანადო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ თე-
იმურაზის უშუალო კავშირს სპარსეთში 1807 წლის შემოღომაზე
ჩასულ ნაპოლეონის ელჩობასთან გენერალ კლოდ მატიუ გარდანის მე-
თაურობით.

ბრისესადმი გაგზავნილ წერილში 1835 წლის 5 სექტემბერს თე-
იმურაზი წერდა: „...ქარგი არის თუ ამ ხელად შეიძლებოდეს ჩემი
წამოსლება (პეტერბურგიდან პარიზში—გ. შ.); დიახ ვიცი, რომ მე

96 ი ქ ე, გვ. 94, აგრეთვე, გვ. 170.

97 ი ქ ე, გვ. 916.

98 Н—2225.

99 Акты, III, стр. 64.

100 ა. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

101 Акты, II, стр. 169.

102 ა. ე ფ რ ე მ ი დ ე, ნაპოლეონის აგენტურა საქართველოში, ქრებული „ლი-
ახვი“, 1963, გვ. 136—140; შდრ. О. П. Маркова, Восстание в Кахетии
1812 г., М., 1951, стр. 220—225.

თქვენის ქვეყანის წარჩინებულიაგანაც და საზოგადოდაც ყოფილთა-
ვან, ვითარცა თვით ნამდვილს მეფის შეიღს, თეს მეუკის ისე პატივს
მომაპყრობენ, ამისთვის უფრო ორმ მცირებისაზე მომაპყრობენ
არის ჩემგან მაგ ქვეყანის ცნობა. მე ისევ მა-
შინ სპარსეთში ვსცხოვრებდი, როდისაც ნიაპო-
ლეონის დროს დიახ ჩინებული გვამნი სპარ-
სეთის კელმწიფის კარს მოსრული, ვითარცა
ლენერალ გარდან, ეგრეთვე სხვანი და სხვანი,
ყოველთანავე ცნობა და მეგობრობა მქონია¹⁰³.

გ. იმედაშვილმა, ხოლო შემდეგ შ. ხანთაძემ მიაქციეს ყურადღება
თეიმურაზის მიერ გარდანის ელჩობისთვის შედგენილ „იტალიურ-
სპარსულ-თურქულ ლექსიკონს“, რომელიც დაბეჭდილია 1809 წელს
პარიზ-მარსელში გამოცემულ წიგნში: „Journal d'un voyage dans la
Turquie — d'Asie et la Perse, fait en 1807, et 1808, Paris — Marsai
lle, 1809“ დამატების სახით: „Vocabulario italiano-persico et turco,
composto Da Sua Altezza Serenissima Timuraz Mirza, Principe
die Giorgia“ (p. 1—52)¹⁰⁴. შ. ხანთაძე ფიქრობს, რომ სპარსეთში
მოგზაურობის აღნიშნული დღიურის ავტორია საფრანგეთის მაშინდე-
ლი ელჩი გენერალი გარდანი. მკვლევარი შედგომაში შეიყვანა იმ
გარემოებამ, რომ იმ ელჩობაში შედითდნენ ძმები გარდანები — ელ-
ჩი გენერალი კლოდ-მატიე გარდანი და საელჩოს მდივანი ანჯე-მატიე
გარდანი და წიგნის ავტორიც ეს უკანასკნელი გახლავთ, რაც ირკვევა
თეიმურაზის ლექსიკონის შემოთ მოყვანილი იტალიური დასათაურე-
ბის გაგრძელებიდან: „Dediçato A. M. de Gardane, fratello della Sua
Eccellenza l'Ambasciatore di Francia appresso l'Imperatore di Persia“¹⁰⁵.
ეს ფაქტიც ცხადად მოწმობს, რომ თეიმურაზის ახლო ნაცობობა
ჰქონდა ნაპოლეონის ელჩობასთან.

103 თეიმურაზ ბაგრატიონის შერილები აკად. მ. ბროსესადმი. ვამოსცა
ს. კუ ბანერ შვილმა, თბ., 1964, გვ. 57.

104 შდრ. შ. ხანთაძე, თეიმურაზ ბატონიშვილის „იტალიურ-სპარსულ-თურ-
ქული ლექსიკონი“, ვაჭ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1950, № 39. ოღონდ
შ. ხანთაძე მართალი არაა, როცა აცხადებს, თითქოს „იმ ლექსიკონის შესახებ დღე-
შდე არავითარი ცნობა არ ყოფილი გამოვევუნებულიო“ (იქვე). იმ ლექსიკონის შე-
სახებ პირველად ცნობა გამოაქვეყნა გ. იმედაშვილმა: „თეიმურაზ ბაგრატიონის რუ-
სთველოლოგიური ცდანი“, ლიტ. ძეგბანი. V 1949. გვ. 182—183, სქ. 1. თეითონ
გ. იმედაშვილისათვის ცნობა ბევრ გიორგაძეს მიუწოდებია (იხ. იქვე).

105 შდრ. ა. აბრამიშვილი, დასიხ. შრომა, გვ. 76, Օ. П. მარკოვა,
დასახ. შრომა, გვ. 221.

მთავარმართებელ ტორმასოვის მოწმობით, თეიმურაზი მეთაურობდა სპარსეთის მთელ არტილერიას¹⁰⁶. ცნობილია, რომ გარდანის სამხედრო მისის მთავარ მიზანს სპარსეთის რეგულარული არმიის (ფეხსანი და არტილერია) მოწყობა შეადგენდა. ეტყობა, გარდანისავე რჩევით, თეიმურაზი დაუნიშნავთ ფრანგი სამხედრო სპეციალისტების მიერ ჩამოყალიბებულ სპარსეთის არტილერიის მეთაურად¹⁰⁷. ამაში გვარწმუნებს დავით ბატონიშვილის შემდგევი სიტკები: „თეიმურაზი იმყოფებოდა ძესთან ყევნისა აბას მირზახსთანა დილითა პატივითა თავად თოფხანათა ზედა, ა ხ ლ ა დ გ ა ნ ს წ ა ვ ლ უ ლ-თა რეგულთა ზე დან ს პარს თ ა ს ა“ (მასალები, მ. ჯანაშვილის გამ., ტფ. 1905, გვ. 96).

მართალია, 1809 წლის მარტში შაპის მოთხოვნით, გარდანმა დატვა თეირანი მაგრამ თეიმურაზი ამის შემდეგაც არ წყვეტს მიმოწერას ნაპოლეონის კართან და პირებს საფრანგეთში გამგზავრებას. ასე მაგალითად, 1810 წლის 18 მაისის წერილში თეიმურაზი ლევან ბატონიშვილს სწერდა: „მე ეხლა წიგნი მაქვს ჩვენი წიგნის პასუხი ფრანციიდამ, სჭობს და თუ გნებავთ ერთად წავალო“. ან იდევა: „კვალად ჩემი მოხსენება ეს არის, მე ყოველის ადგილიდამ ამბავი მაქვს, პარიჟიდამ, პეტერბურგიდამ, სტამბოლიდამ და ტფილისიდამ ხომ ჩემნი კაცნი მოვიდნენ“¹⁰⁸.

თეიმურაზის სიმპათიასა და თანაგრძნობას ნაპოლეონისაღმი ცხადად ამეღლავნებს მისი „ევროპაში მოგზაურობის“ ერთი ადგილი: „მუნევ (დროზედნის მუზეუმში—გ. შ.) ვიხილეთ მდებარე ნაკოლიონის ფრანციისა იმპერატორისა ჩექმა, რომელიც მას სცმია და რო-

105 აქტები, IV, стр. 948.

106 მრავლადაა გადატეხნილი თეიმურაზის ნაშრომები არტილერიისა და სამხედრო ხელოვნების დარჩევი: „1. ტაქტიკა მანევრი მხედრობისა, შეძლევრებული თვისის ქარტინებითა და პლანებით, ფრანცულულიდამ თარგმნილი საქართველოს მეფის გაორების ძის თეიმურაზის მიერ. 2. მხედრობის დარივების 6 ა 3 თლ ე თ ნ. ფრანცულის იმპერატორის მიერ ა... თარგმნილი რუსულისაგან მეფის გორგი XIII-ს ძის თეიმურაზის მიერ. 3. რომაული სამხედრო თეორია ს ჯ უ ლ ნ ი ს ჯ უ ლ ნ ი, შემოკლებით თარგმნილი ლათინურისაგან მის მიერვე, მეცის ძის თეიმურაზის მიერ. 4. ფრანცულული ს ჯ უ ლ ნ ი ს ჯ უ ლ ნ ი ს ი მ ხ ე დ რ ა თ ა დ ა დ რ ი თ ა გ ა ნ თ ა შ ე მ ც უ რ ა თ ა დ ა ს ე ვ ი ნ ე ბ ი ს ა, შემოკლებით ფრანცულულიდამ ქართულად ნათარგმნი მისივე, მეცის ძის თეიმურაზის მიერ, 5. მცირე წიგნი პრაქტიკა არტილერიისა, მანევრათა და სხვათა საგანთა და სანმარითა თვისის მისთა ქმნილი შემოკლებით მეცის ძის თეიმურაზის მიერ“ (ცატალოვი წიგნთაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა, ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბ., 1948, გვ. 43—44). იხ. ლენინგრადის აღმ. ინსტიტუტის ქართული ხელნაწერები: С—8 (ავტოგრაფი. 1808), Н—20, Н—28 (არაუგვ. 1806 წ.).

108 აქტები, V, стр. 40-41, შდო. აქტები, IV, стр. 707—708.

3. გურამ შერძე

მელიმე სამოსელთა მისთაგანი. „შეუძლებელ არს კაცისაგან, რომელ
ვინმცა იხილავს სახესა ნაპოლიონის ასა, გინა ნივთის უდიდესობაზე
ნებულსა მისსა, რომელ მყისვე ნახვისა თანა არა ღმოვიოსჩროს სიღრ-
მით გულისათ და რაღა ქსოვეა? არა ვუწყი უმეტეს ამისსა“ (ს. იორ-
დანიშვილის გამოცემა, თბ., 1945, გვ. 51—52).

სპარსეთში ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობის ცვალებად სურათს უფარდებდა თეიმურაზი თავისი მოქმედების გვეგმას. გვაქვს საფუძველი ვაშტკი იორ, რომ იგი ცდილობდა ანტირუსულ კოალიციაში ინგლისის ვამოყენებასაც. ვფიქრობთ, თეიმურაზი პირადად იცნობდა ინგლისის მაშინდელ დესპანს სპარსეთში ჯემს მორიენს (1780—1849), შემდევში სახელმოხვევილ მწერალს, რომლის ყველაზე განთქმული ნაწარმოები „The adventures of Hajji Baba of Ispalai.“ მას ქართულად უთარგმნია¹⁰⁹.

ანტირესული კოალიციის მოწყობის თეიმურაზისეულ განუხორციელებელ გაგმას ზედ დაერთოთ ირანის ახალი მარცხები რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში 1808—1810 წწ.¹¹⁰. ამასთან ერთად, ეტყობა, არც ბიძამ — ალექსანდრე ბატონიშვილმა გაუმართლა იმედები თეიმურაზის: „შემძაგდა მეფის ძე ალექსანდრეო“ — ამბობს იგი¹¹¹. მათი სრული ურთიერთგაებისათვის, ჩანს, ვიორგი მეფის ოჯახისადმი ალექსანდრე ბატონიშვილის ძველ სიძულვილსაც უნდა შეემალა ხელი, რადგან ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „ვიორგი მეფის წინააღმდევ ყველაზე შეუტიგებელი მეპრძოლი სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილი იყო“¹¹².

1809 წელს რუსეთ-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს მთავარმართებულ ტორმასოვის საიდუმლო დავალებით, მისი ნათესავი ქაპიტანი ტორმასოვი ცდილობდა თეიმურაზის გადმობირებას, მაგრამ ეს ცდაც შაშინ წარუმატებლად დამთავრდა¹¹³. მაგრამ თეიმურაზი თანდათან ჩრდილოებოდა თავისი პოლიტიკური ზრახვების უზიადაგობაში. ამიტომ, 1810 წლის 14 სექტემბერს იგი გამოიწყო ერევანთან გობაში.

109 თარგმანის ფრაგმენტები დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჩართულ ხელნაწერთა ფონდში; H 28.

¹¹⁸ Акты III, стр. 248; Акты, IV, стр. 948.

112 6. ბ ე რ დ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ი ს ტ ი რ ი ი ს ს ა ქ ი თ ხ ე ბ ი, II, თ ბ . 1965 , 83. 459.

¹¹³ Акты, IV, стр. 136.

დაბანაკებულ აბარ-მირზას ლაშქარს და გამოცხადდა რუსეთს 1810-
პირთ ჭარში პოლკოვნიკ ურაკოვთან¹¹⁴. თეიმურაზიც წერს: „წელს
1810 სეკლებრის 14 წამოვედით ერევნის მამულით არეზის გრძელებულ
სუს შესაყარით“ (ლენ. ჩ 28, ფ. 207).

* * *

ახლა განვიხილოთ თეიმურაზის სამშერლო-კულტურული საქმია-
ნობა სპარსეთში. შ. მესხიას სამართლიანი შენიშვნით „ირანში ყოფ-
ნისას იგი ეწეოდა ლიტერატურულ შრომას, ეცნობოდა ირანის ისტო-
რიასა და ლიტერატურას, რასაც მისი მომავალი მუშაობისათვის უაღ-
რესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“¹¹⁵.

პირველ რიგში აღსანიშნავია, უცხო ენების დაუფლება. თეიმურა-
რაზმა აქ შეისწავლა სპარსული, თურქული, ფრანგული და იტალიუ-
რი ენები¹¹⁶. თეიმურაზი სპარსეთში ყოფნისას ეცნობა მდიდარ სპარ-
სულ კულტურასა და ლიტერატურას, იყენებს სპარსულ საისტორიო
წყაროებს: „თარიყე-აღრებერეან“¹¹⁷, „თარიყე-ნადერ-შაჰ“¹¹⁸...

თეიმურაზს თვითონაც უცდია საისტორიო თხზულების შედგენა.
ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თეიმურაზის
შრომა: „აღწერა მოკლედ აწინდელისა სპარსეთის მპყრობელთა შაჰ-
თა გვარეულობისა ყავართასა, თუ საღიდგან შარმოებენ; მეტის გი-
ორგის XIII-ის ძის თეიმურაზის მიერ შეთხსული. ეგრეთე სპარსე-
თისა კარის განვებანი. ესენი წელს 1811 ეამსა მოსვლისა თვისისა-
სა, მათმან უგანათლებულესობამან მეტის ძემან სპარსეთით თავისუ-
ფლად აქ ს. პეტერბურგს მოწევნილმან აღუწერა მათს ბრწყინვალე-
ბას გრაფს კანცლერს ნიკოლაი პეტროვიჩს რუმიანცოვს“¹¹⁹. აღნიშ-

114 Акты, IV, стр. 136—137; Hist. de la Georg., II, 2 livr., p. 298.
დაწერილებათ ძევემოთ.

115 შ. მესხია, დასახ. შრომა, გვ. 34.

116 М. Броссе, ЖМНП, 1846, ноябрь, отд. VII, стр. 39; A. M. Gardane,
დასახ. წიგნი, გვ. 1—52; შ. ხანთაძე, დასახ. წერილი.

117 თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია ივერიისა, სპბ., 1848, გვ. 80.

118 ხელნ. ინსტ. Р—264, რომელსაც აქვს თეიმურაზის ქართული მინაწერი:
„საქართველოს მეფის ძის თეიმურაზის არის სპარსეთიდამ მოტანილი თან 1810
წელს. დაწერილია ნადირ შაჰის ისტორია გურჯისტანის კონსულის ალი რეზა ეს-
პანელისაგან“. შემ. მ. მამაცაშვილი, Обзор персидских рукописей
Института рукописей АН Груз. ССР им. К. С. Кекелидзе (ხელნ. შრომა).

119 А. Цагарели, Сведения, III, СПб., 1894, стр. 179; თეიმურაზ ბატო-
ნიშვილის წიგნთაცავის კატალოგი, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1948,
გვ. 36.

ნულ შრომას ეერც ლენინგრადის, ვერც თბილისის (სადაც თავმოყრილია თეიმურაზისეული ხელნაწერები) სიძველეთსაცავებში სხვაგან ვერ წავაწყდით, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მეცნიერება რა ღარიბია ყავართა დინასტიისადმი მირღვნილი პირებისადმით, ნათლად წარმოგვიდგება თეიმურაზის ამ შრომის მიზნების და ღირებულება.

სპარსულიდან უთარგმნია თეიმურაზს „ათნი გვირგვინი, ქმნილი ანუ შრევან სპარსთა მეფისაგან...“¹²⁰ აქევ დაუწერია 1808 წელს „მცირე წიგნი პრაქტიკა არტილერიისა“¹²¹ და „დავთარი თოფჩებისა სრული“ (1806 წ.)¹²².

თეიმურაზის ერთი ხელნაწერი კრებულიდან ჩანს¹²³, რომ იგი სპარსეთში ორიგინალურ შემოქმედებასაც ეწეოდა. უმცრესად ესაა სასულიერო ხასიათის ლექსები: 1. „სა მო ცე უ ლ ი, სადიდებლად და სინანულით სავედრებლად—ყ[ოვლა] დ წ[მიდ] ისა დუდოფლისა ჩიშნისა ღ[მრთ] ის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამის მიმართ...“, რომელაც აქვს აქროსტიხი კიდურწერილობა: ად ე დ ო ფ ა ლ ი მ ა ც ხ ო ვ ა ე ა ე მ ე ფ ი ს ა თ ე ი ძ უ რ ა ზ“. შ. მეუხისა პზოით, თეიმურაზის ეს სასოცტაებიანი ლექსი 1811 წ. ს. პეტერბურგს დაუმატავრებია¹²⁴. სინამდვილეში კი ავტორს ეს თაზულება სპარსეთიდე ჰაუმთავრებია. მაგრამ ნუსხა იქ დარჩებია და პეტერბურგში 1811 წ. ზეპირად აღუდენა: „თქმული ეამსა უც ოება—ა მყოფობასა ჩემისაა ასარავთად, რომლისაცა ერთი პირი მუშვე დამითა. გარნა ზეპირ თაოდეაიშე ამა ლექსთაგათი მახსოვდეს და აუ აქ უკხოებასვე შინა მყოფმან ქალაქსა შინა ა. აცტერბურგს ვიწყე და ძალითა ყოვლად წილიდისა ღართისშმობელისათა სრულ ვყავ“—აცხადებს იგი (Н — 2225). 2. აქროსტიხი იყაო ქრისტეშე, კიდურწერილობით: „არ არ ა დ ა უ ი დ ე ვ გ უ ლ ს ა ჩ ე მ ს ა ძ ე უ წ წ ყ ე ბ ა დ თ ქ უ ე ნ დ ა გ ა უ ა ქ რ ი ს ტ ე ი ე ს ო დ ა ე ს ე ც ა ჭ უ ა რ ს ა ზ ე დ ა“. შეიძიოდის ღირსია ის გარემოება, რომ თეიმურაზს სპარსეთში რჩული არ გამოიცვლია და მართლმადიდებელ ქრისტიანად დარჩა¹²⁵ და მტკიცედ მისდევდა

120 А. Цагарели. Сведенияя, III, СПб., 1894, стр. 179; თე მუხაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, ს. 111 დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., თბ., 1948; გვ. 32.

121 ლენ. С—8.

122 ლენ. Н—28.

123 Н—2225.

124 შ. მეუხისა, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

125 А. M. de Gardai ეს ცნობა თე კრისტიან კათოლიკომაზე (Voyage... p. 1) ან გარებრობაა, ან შეიძლება თვით თეიმურაზმა უთხრა ასე, ფრანგების გულის მოსაგებად.

ქრისტიანულ კალენდარს. ქიზიყიდან მას სპარსეთში თან მღვდელი
იოანე წალყვანია: „საუფლოთა მათ დღეთა დღესასწაულისათა ციხესი-
ენით მუნ (უზუმჩის) და იმყოფებოდა ჩუენ თანა მღვდელი მისამართში
დიდებილი და ფრიად მოღუაწე იოანე ხიზიყით ნუკრიანს ჰიპერიმეტე-
ლი“. 3. აქროსტიხი „წმიდანისა მთავარ მოწამისა გოორგისა“. 4. აქროს-
ტიხი კიდურწერილობით: „წ[მიღ]აო გოორგი ვაკურთხევ
დღესა შენსა რომელსა შინა ვიშევ მწირი თე-
ომურაზ“ (თქმული თავრიზს 1810 წლის 23 აპრილს). 5. აქროსტი-
ხი კიდურწერილობით: „წინა ნეტარო გძნობ მონა
ულირსი ქებით, რათა მისსნა მტერთაგან შეპ-
ყრობილი და დაუღონოებული განმამხხო ძალი-
თა შენგან ქადაგებულისათა რომლისათვის და-
შუშრ და გუაცხოვნენ ჩუშენ წარწყმვებული დირსო“.

ამას გარდა, თეიმურაზი ცდილობს სპარსეთში გაფანტული ქარ-
თული ხელნაწერების შეგროვებას და სამშობლოში ჩამოტანას. ასე
შეგ., 3. კარბელაშვილის ცნობით, 1804 წ. თეიმურაზის მახლობლად თე-
იმურაზის თბილისიდან აღა-მამიშვილ-ხანის შემოსევის დროს (1795 წ.)
ტყვედ წაყვანილი ქართველი დედაქაცისაგან მიუღია „შემოკლებით
ახსნა პერი არმენიის წიგნთა“, რომელიც საეკლესიო მუზეუმის ფონდ-
ში ყოფილა დაცულია¹²⁶.

ცალკე უნდა შევეხო თეიმურაზის მიერ სპარსეთში შედგენილ
„იტალიურ-სპარსულ-თურქულ ლექსიკონს“. საქმე ისაა, რომ ჩუსმა
მცვლევარმა ო. 3. მარკოვამ ეჭვი შეიტანა მის ავტორად თეიმურაზის
აღიარებაში და ეძიებს ამ დროს არარსებულ სხვა თეიმურაზ ბატო-
ნიშვილს: «... в Тавризе по-видимому, проживал еще и другой
царевич Теймураз. К вышедшему в Париже в 1809 г. дневнику
посольства Гардана приложен краткий итalo-персидско-турец-
кий словарь, составленный как в нем это обозначено цареви-
чем Теймуразом. Автор дневника брат посла говорит о соста-
вителе словаря в своем предисловии: царевичу 45 лет, он като-
лик, человек образованный, пользуясь доверием при дворе в
Тавризе».

Царевич Теймураз Георгиевич не мог быть автором этого словаря, так как ему в 1809 г. когда вышел словарь, было 27 лет, — он родился в 1782 г. К тому же занятия политикой и военным искусством вряд ли могли благоприятствовать кропотливой работе по составлению словаря, его автор царевич Тей-

126 3. კარბელაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, გამ. „საქართველო“, 1916, № 144.

мураз — из старшего поколения. Кто именно, нам неизвестно¹²⁷.

აქ საქმე გვაქვს გაუგებრობათა მთელ წყებასთან: ჯერმა ასეთი უკუკუ-
უგებრობაა ამ დროისთვის საერთოდ, და მით უმეტეს, სპარსეთში სხვა
უფროის თაობის თემურაზ ბატონიშვილის ძიება: თემურაზ გორგ-
გის ძის გარდა, არც ერეკლე II და არც გიორგი XII შთამომავლობა-
ში სხვას არავის რქმევად ეს სახელი. მეორეც: ჩვენთვის დანამდევილე-
ბითა ცნობილი, რომ სპარსეთში მაშინ გაქცეული იყო მხოლოდ ალ-
ქანდარტ ერეკლეს ძე, თემურაზ გიორგის ძე და ერთხანს ლევან იუ-
ლონის ძე ბატონიშვილები. ო. მარქოვას ფიქრით, თემურაზი გარდა-
ნის წიგნის გამოსვლის მომენტში (1809 წ.) 27 წლის იუნ, ხოლო წი-
ნასიტყვაობაში ლექსიკონის ავტორი თემურაზ ბატონიშვილი 45
წლისა იხსენიებათ; არც ესაა საბუთი: გარდანი ამბობს, რომ ჩემი
თავრიზში გავლისას (1807 წ. სექტემბერში და არა 1809 წ. როგორც
ამას მარქოვა გადმოგვცემს) ლექსიკონის ავტორი თემურაზ ბატონი-
შვილი 45 წლის იყოო. სინამდვილეში კი მას უნდა ეთქვა 25 წლის
იყო (1807-1782=25). მაგრამ აქ საქმე უნდა გვქონდეს გარდანის
შეგნებულ განხრახვასთან: მეტი დამაჯერებლობისათვის ლექსიკონის
ავტორი 25 წლის ნაცვლად 45-ისად გამოაცხადა; ამას გარდა, იგი
თემურაზს შეცდომით კათოლიკედაც თვლის! განა ეს სიმართლე
იყო? ხოლო რაც შეეხება ო. მარქოვას მტკიცებას, თითქოს თემუ-
რაზ ბატონიშვილი პოლიტიკითა და სამხედრო საქმეებით იყო გართუ-
ლი და სად ეცალა ლექსიკონის შესაღვენადო, სერიოზულ არგუმენ-
ტად არ ჩაითვლება. ჩვენ უკვე მრავლად ჩამოვთვალეთ სპარსეთში
„პოლიტიკითა და სამხედრო საქმით გართული“ თემურაზ ბატონი-
შვილის ლიტერატურულ-მეცნატული საქმიანობის მაგალითები. ამის
დამატებიც ეცხელია კიდევ თემურაზის „სპარსეთში მგზაურობის დღი-
ურები (1803—1804)“¹²⁸, რომელიც მზადი კვადრის გამოსაყიდვათ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თეომურაზის აღნიშვნული „დღიურები“, ავტორის გამოთქმით, „სისხლით დაწერილი ფიქრები“ (1r), ლირსეულ ადგილს დაიკერს დავით ბატონიშვილის „ახალი ისტორიის“, ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობისა“ და „აქტებში“ გამოქვეყნებულ პირველხარისხოვან ისტორიულ დოკუმენტთა გვერდით. იმას გარდა, იყო დაგვეხმარება თეომურაზ ბატონიშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის აღდგენისა და მოგზაურობის ეპიზოდის ლიტერატურაში მისი მუშაობის აღრინდელი ეტაპის კათვალისწინებაში.

¹²⁷ О. П. Маркова, დასახ. ნაშრ., ვე. 221.

¹²⁸ A-1764- \circ , A-1764- δ ,



როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 1810 წლის 14 სტერტვაშვილისა
თეიმურაშ ბაგრატიონი გამოექცა ერევანთან (არეზისა და ყარსუს
შესაყარი) დაბანაებულ აბას-შირზას ლაშქარს. ბაგრატ ბატონიშვი-
ლის ცნობით¹²⁹, მას თან გამომჰყნენ კიკოლა ბარათაშვილი, პეტრე
ლარაძე, ლორელი აზნაური ლევანი, იოსებ ბასტამაშვილი (იგივე ბას-
ტამოვი)¹³⁰, დავით ველნიშვილი, ქიტესა ველნიშვილი და ზაქარია და-
ლაქიშვილი.

პ. კარბელაშვილი, წყაროს დაუსახელებლად, იძლევა თეიმურა-
ზის მხლებელთა რამდენადმე განსხვევებულ სის. ესენია: ბარათაშვი-
ლი, პეტრე ლარაძე, ქაიხოსრო თეთრაძე, ივანე ბაზლიძე, გრიგოლ
ალაბეგიშვილი და ივანე წიბოლაშვილი¹³¹.

რ. ორბელის აზრით, თეიმურაზის სპარსეთიდან მაშინ უნდა ჩამო-
ჰყოლოდა მომავალში პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ
ენათა პროფესორი მირზა—ჯაფარ თოფჩიშაბეგიც (1790—1869 წ.)¹³². ეს
მაგრამ არც ბაგრატ ბატონიშვილი და არც პ. კარბელაშვილი, ამ პირს
თეიმურაზის მხლებელთა შორის არ ასახელებენ. ვფიქრობთ, ისევ ძა-
ლაში უნდა დარჩეს ვ. ვ. გრიგორიოვის მოსახრება, რომ თოფჩიბაშე-
ვი პეტერბურგს 1817 წელს ჩაჲყა სპარსეთის საელჩოს¹³³ და არა
თეიმურაზის 1811 წელს. მაგრამ ეს არ გამოიჩინეას რ. ორბელის სა-
ერთოდ სწორ ვარაუდს, რომ შესაძლოა მირზა—ჯაფარ თოფჩიბაშევი
სპარსეთში იყნობდა 1803-10 წლებში იქ მყოფ თეიმურაზ ბატონი-
შვილს და ეს ძეველი ნაცნობობა უნდა დასდებოდა სწორედ საფუძვ-
ლად 1817 წლიდან მათ პეტერბურგში დამეგობრებას და მტკიცე თა-
ნამშრომლობას. „ესე მირზა ჯაფარ ცხოვრებს ჩემთანა სციტათა შო-
ნამშრომლობას. „ესე მირზა ჯაფარ ცხოვრებს ჩემთანა სციტათა შო-

129 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომიურის გამო-
ცემა, თბ., 1941, გვ. 108.

130 ეს იოსებ ბასტამაშვილი, როგორც აღექსანდრე ბატონიშვილის 1807 წლის
25 ნოემბრის თავრიზში გაცემულ წყალობის სიგელიდან ირკვევა (საქ. ლიტ. მუჭ. № 104), ყოფილა აღექსანდრეს ამალის ერთ-ერთი წევრის აზნაურ გოორევა (იაგო).
ბასტამაშვილის უფროსი ვაჟი.

131 გამ. „საქართველო“, 1916, № 145, შდრ. Акты, IV, стр. 136.

132 Р. Орбели. Новые биографические данные о Мирзе-Джафаре Топчibашеве (Тезисы докладов IV годичной научной сессии ЛО ИНА, Л., 1968, стр. 37).

133 В. В. Григорьев, С.-Петербургский университет в течение первых пятидесяти лет его существования, СПб., 1870, стр. 22.

რის” — აცხადებს თეიმურაზი¹³⁴. ისინი ერთად ეწევიან ნაყოფი
მთარგმნელობით მოღვაწეობის. მაგ., ერთად თარგმნეს ქადაგთნის
თურქულ და სპარსულ ენებზე.

ლტოლვილი ბატონიშვილი მხლებლებითურთ 15 სექტემბერს გა-
მოცხადდა რუსეთის სანაპირო ჯარის ნაწილში პოლკოვნიკ ურაკოვთან.

რუსეთის ინტერესებისათვის ამ სასიხარულო ცნობას კავკასიის მთავარმართებელი გენ. ა. პ. ტორმასოვი 1810 წლის 18 სექტემბერს ქართლის გუბერნატორს გვნერალ-მაიორ თ. ი. ახვერდოვს ასე ატუო-
ბინებდა: «Сейчас получил я рапорт ген-м. Портнягина, что 15-го числа сего месяца беглый Грузинский царевич Теймураз, с. кн. Баратовым, 2-мя дворянами и 3-мя служителями, выбе-
жав из Персидского лагеря, явился к полк. кн. Уракову. Почеку-
му отправив уже нарочного к ген.-м Портнягину с предписани-
ем немедленно препроводить его ко мне под прикрытием 2-х
эскадронов вверенного ему полка» (Акты, IV, стр. 136).

1810 წლის 27 სექტემბერს გვნერალ ტორმასოვის სამხედრო ბა-
ნაქში მომხდარა მთავარმართებლისა და ლტოლვილი ბატონიშვილის
პირველი შეხვედრა, რასაც ვიგებთ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომა-
რის გრაფ ბ. პ. რუმინცოვისადმი გაგზავნილი მოხსენებით ბა-
რათიდან: «... пользуясь к нему доверием Персидского прави-
тельства и уважением, какое он царевич Теймураз имел, начальствуя всею Персидскою артеллерию, ему порученою, умев
отстранить всякое за счет свой сомнение, выбрал благоприят-
ствующий ему случай и из войск Персидских, под начальством
самого наследника Персии Аббас-мирзы за Эриванью расположенных,
с 5-ю при нем Грузинскими дворянами ушел и явился
прямо на наш передовой Артикий пост, где с приличием был
принят и оттол препровожден в Памбаки, а вчерашнего [27 сент.]
прибыл ко мне в лагерь, где я принял его со всею вежливостью
и благосклонно, дабы сим примером преклонить и остальных
двух Грузинских царевичей Александра и Левана, находящихся
еще в покровительстве Персии»¹³⁵.

სპარსეთში გადახვეწილ თეიმურაზ ბატონიშვილის (ასევე, ალექ-
სანდრე და ლევან ბატონიშვილების) გადმობირების სამზადის გენე-
რალი ა. პ. ტორმასოვი მთავარმართებლად დადგომისთანავე (1809 წ.
სექტემბ.) შეუდგა. ამ მიზნით, მან საქმეში ჩარია თავისი ნათესავი
კაპიტანი ტორმასოვი, თეიმურაზის დაი რიცსიმე ბატონიშვილი და
თეიმურაზის აღმზრდელი — ლალა პეტრე ლარაძე. რაც შეეხება თე-
იმურაზის მცულლეს — ელენე ოთარ ამილახვრის ასულს, რომელიც

¹³⁴ ლენ. ჩ 28, ფ. 148.

¹³⁵ Акты, IV, გვ. 136.

თბილისში იუთ დარჩენილი ჯერ კიდევ მთავარმართებელ პ. ჭ. ციცია-
ნოვის დროიდან ამოქმედებდნენ, მაგრამ მის ყოველ ცდას მაშინ უ-
დევი არ მოჰყოლია¹³⁶.

თვითონ მთავარმართებელი ა. პ. ტორმასოვი გვემოწმება¹³⁷, რომ
«... еще в прошлом году [1809 г.], когда племянник мой к. а. Тор-
масов был мною отправлен в Персию по продолжавшимся тогда
сношениям с Персидским правительством о постановлении переми-
рия, то я поручил ему, изыскав случай секретно внушить царе-
вичу Теймуразу Георгиевичу, лабы он, обратясь к благоразумию
возвратился в недра своего отечества и семейства им оставлен-
ного, с полным доверием к милосердию Е. И. В. и предал бы се-
бя под сильный покров всемилостивейшего Г. И. Внушения сии
еще тогда произвели в нем впечатление и он изъявил к сему

¹³⁶ Акты, II, ვ. 183; Акты, III, ვ. 63; შდრ. ვ. ვესეია, დასახ. ნაშრ.
ვ. 28—29.

¹³⁷ Отношение ген. Тормасова к гру. Румянцову от 28-го сентября 1813
года, Акты, IV, ვ. 136. თეიმურაზი რომ სპარსეთში მართლაც შეეცლო ენახა
კაპიტან ტორმასოვს, ეს, ჩვენი ფიქრით, დამაკურებელია, რადგან რუსეთ-სპარსე-
თის 1810 წლის საზეო მოლაპარაკების დროს, სპარსეთის მხრიდან, თეიმურაზიც
ლებულობდა მონაწილეობას და, მას კონტაქტი, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური
მაინც, ექნებოდა რუსეთის წარმომადგენლობასთან.

მაგრამ თუ რაოდენ სწორია მთავარმართებლის ინფორმაცია, თეიმურაზ ბატო-
ნიშვილმა ჯერ კიდევ მაშინ გამოიძეუნა ჩვენს მხარეზე გადმოსვლის მიღებეკილე-
ბათ, ჩანს სპარსეთიდან თვითონ თეიმურაზის მიერ ლევან ბატონიშვილისადმი (ლე-
ვანი მშინ თეოთში იუთ რუსეთის საწინააღმდეგო ამბობების მოსაწყობად და მთაწ-
უთ კიდევ) 1810 წლის 18 მაისს გამოგზავნილი საიდუმლო წერილიდან, რომელიც
ამ მოლაპარაკების შემდეგაა დაწერილი: «Если хотите знать о здешнем известии,
то Персияне не заключили мира с Русскими.. Я весьма старался о незаключении мира между Россиею и Персию и видно,
что я сие дело разстроил, но увидим что впредь будет» (Акты, IV, 707—708). „რუსეთის ქვეშვერდომბის მიღრეკილების მქონე ბატონიშვილი“ გა-
ნაბრძობს. Если полезно было нам к Русским ехать, то мне удобнее было, так
как я более вас.. имел возможности прибегнуть к ним». ის კი არა, მცენვარე
ბატონიშვილი რუსეთის სეჭნაღმდევთ რაღ ც დიდი სამხედრო კოლოცის მოწყობაზე
ფიქრობს: „Еще скажу тебе, что я из всех мест имею известия, т. е. Парижа,
Петербурга, Константинополя и из Тифлиса, из сего последнего сами мои
люди приехали... და ამ საკათხე საერთო ენა მას რუსეთის ერთ-ერთ მფი-
ციალური წარმომადგენლობაც კი გამოუნახ-ცს: «Русский посланец барон Вреде и
с ним бывший Грузин, кизлярский житель Федор Романович, коего называют
Оруг-Беком, день и ночь у меня были; из них ни один не Русский: один Немец,
другой Грузин и от них мне ничего скрытного не могло быть: они имели
позволение от Шах-заде ходить всегда ко мне».

свою наклонность». Гарриетти სამსახურისათვის გენერალმა ტორმა მასოვმა თავისი ნათესავის — კაპიტან ტორმასოვის დასაჯილთოებრივ იმპერატორისაგან წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდერში მიმდინარეობულ თხოვა¹³⁸.

ბევრს იღვწოდა ძმის ჩამოსაყვანად და მთავარმართებლის გულის მოსაგებად ბატონიშვილი რიცხვით გოორგის ასული: „Вп[еч]ем он [Теймураз] во все сие время был поддержан в таком расположении (изулиссиме რუსეთის მხარეზე თეიმურაზის თათქოს-და გადმოვლის სურვილი — გ. ზ.) через родную сестру его царевну Рипсиму Георгиевну, которую я уверил, что если брат ея добровольно возвратиться с чистосердечным раскаянием, то будет Все-милостивейше прощен и сищен свое счастье и которая не представала через посылаемых ею верных людей уговаривать его к сей решимости»¹³⁹.

რიცხვით ბატონიშვილის ასეთი თავდავრწყებული გარების ნამდვილი სარჩული იქვეა გამეღავნებული თვით გენ. ტორმასოვის მიერ: რიცხვით «давно уже располагает ехать в С.-Петербург для определения малолетних детей ея в Пажеский корпус и снабжу их всех нужными пособиями для пути». არც სხვაგა, იმურებს ნიტუკებს რიცხვით ერთგულების დასახასიათებლად მადლიერი მთავარმართებელი: «Царевна Рипсима Георгиевна, родная сестра царевича Теймураза, много способствовавшая к вызову его из Персии...» ასე კიდევ: «... она по усердию и преданности своей к России была единственою виновницею полезного для Грузии вызова из Персии царевича брата ея...» და სთხოვს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს გრაფ რუმინცოვს შესაფერისად დაუფასოს ლვაშვილი რიცხვით ბატონიშვილს და რამენაირად ხელი შეუწყოს მას პეტერბურგში ბინის შოვნისა და მცირეწლოვანი შვილების პაჟების კორპუსში მოსაწყობად¹⁴⁰.

მაგრამ მაინც განსაკუთრებული როლი თეიმურაზის სპარსეთიდან დაბრუნების საქმეში ითამაშა მისმა აღმზრდელმა — ლალამ პეტრე გოორგის ძე ლარაძემ. ბატონიშვილთა კარის ბოქაული გაბრიელ წინამდღვრიშვილი, ალბათ, მთავარმართებლის ჩაგონებით შესჩენია პეტრეს — წადი და შენი გაზრდილი მოიყვანეო. მჩავალი წყალობის დაბირებით პეტრე დაუყოლებიათ ამ საქმეზე, „რაფი გულშე ერთი დიპირებით პეტრე დაუყოლებიათ ამ საქმეზე, „რაფი გულშე ერთი დიპირებით გამთელება უნდოდა“¹⁴¹. პ. კარბელაშვილის

138 Акты, IV, стр. 136.

139 Акты, IV, стр. 136.

140 Акты, IV, ვვ. 134.

141 შდრ. პ. კარბელაშვილი, დასახ. შრომა.

გადმოცემით „ით პეტრეს დარღი რა იყო: 1747 წელს, პპრილის სულ თეომურაზ მეორე შაპნადირთან წავიდა სამეფოს საქმეებისა/გამო. წასვლის დროს სომხით-საბარათიანო აბდულ-ბეგს ჩატერთვაში დულაბეგი ცოლშვილით სამშეილდის ციხეში დაბინავდა. გვიტრიტებულა მომეტებული წილი საბარათიანოსი, მოიმზრო ზოვიერთა აღრიბევანის ხანები და ქართლის მეფობა მოინდომა, ერეკლეს შეუთვალია — ქართლი ჩემია, შენ კახეთში მიბრძანდიო. თბილისის ციხე ჯარიანათ აბდულა ბეგს ეჭირა. ამ დროს ქვეშის ციხე მდ. მაშავერის პირზედ გიორგი მღვდელს ლარაძეს ეჭირა და ოთხშოც კაცით შიგ გამაგრებული იდგა. აბდულ ბეგი ბევრს ეხვიწა, ბევრს წყალობას დაპირდა მაგრამ გიორგი მღვდელი სულ ამას უპასუხებდა: „სანამ თეომურაზი და ერეკლეს სახელი იხსენდა საქართველოში, მე იმათ ევრ ვუღალატებო“. აბდულ ბეგმა ძალითაც ვერა გააწყო რა. გაიმარჯვა ერეკლემ, 1749 წ. თეომურაზიც მობრძანდა სპარსუთიდგან და გიორგი მღვდელა შეიყვარა და თავის ერთგულთა თანა აღრაცხა. ბოლოს პატრები რო გააძევეს თბილისითგან, იმათი ხარების საყდარი სახლებიანათ უბოძა და დააბინავა. რუსის მთავრობამ მთავარმართებლის ციციშვილის ბრძანებით დაიჩემა ხარების საყდარი სახლებიანათ, ლარაძები გამორჩევეს. პეტრე ლარაძემ პირობა ჩამოართვა ტორმასოეს და რიცხვიმეს — თუ თეომურაზი მოყვანა, ხარების საყდარი სახლებიანათ უნდა დაეპროცენებინათ. პეტრემ შეასრულა თავისი პირობა, მაგრამ ტორმასოვმა რაკი თეომურაზი ხელთ იგდო, პეტრე გამოაპანდურეს კიდეც. თეომურაზმაც მოიძულა პეტრე მოტულებით მოყვანისათვის და ეს უფრო ცეცხლს უკიდებდა საბრალო პეტრეს და თავ-პირში იცემდა — ეს რა მიქარვა ჩავიღინე, ეს რა ღვთის რისხვა მომეცვლინაო“¹⁴².

1810 წლის იანვრის დამდეგს პეტრე ლარაძე ჩამდენიმე კაცით სპარსეთში გაიპარა და თბილისში განვებ ერთი ალიაქოთი ასტებეს და ვითომ მდევარიც აფრინეს აქეთ-იქით პეტრეს დასაქორად. პეტრე შვიდობიანად მივიდა თეომურაზ ბატონიშვილთან, ვითარცა რუსთა მთავრობისაგან შეიტრებული და საქმე გაჭირვებული, გამოქცეული¹⁴³.

142 პ. კარბე ლაშვილი, დასახ. თხ. მოყვანილი ცნობის წყაროებად პ. კარბელაშვილი უთიოებს: საქართველოს სიძველენი, 1, № 248, და საქმე კანტორის 1815 № 549 და ეგზ. კანც. № 279.

143 იქვე, შდრ. ე. თავაიშვილი, თხზულებანი, გვ. 167. ამდენად გაუგებარია ტრ. რუსაბის განცხადება, თითქოს „1803—1810 წლებში პ. ლარაძე სპარსეთში ახლდა თეომურაზ ბატონიშვილსო“, ქართ. ლიტ. ისტ. II, თბ., 1966, გვ. 695.

თვითონ პეტრეს დაუწერია ორი თხზულება; „ჩახრუხათად რვაწყობილი და შაირნი მწირობასა შინა თქმული პეტრე ლოგაზი-საგან, უითარითაცა მხნედ მორბედობით ჰმსახურა მეფის კარის მისამართის და ძლიერის კელოვნებით გამოიყვანა სპარსეთით“¹⁴⁴ და „იარ-ბიკონი კვალად მეფის ძეს თეიმურაზზედ თქმული, მისვე პეტრე ლა-რაის მიერ“¹⁴⁵ სადაც დაწერილებით, თანაც თავისი ღვაწლის გაზევა-დებით იგი აღწერს თეიმურაზის სპარსეთიდან ჩამოყვანის ამბავს.

როგორც ზემოთაც ვთქვით, თეიმურაზ ბატონიშვილი ამ დროს ერევანთან დაბანაკებულ აბას-მირზას ლაშქარში იყო და სწორედ აქე-დან გამოაპარა იგი პეტრე ლარაძემ 1810 წლის 14 სექტემბერს:

„განვეავირე სპარსთა გული, თვთ მემკვიდრეს უქმენ ხლათი,
გამოვაპე შუა რაზმი, ჸსოებს რა დილის სალავათი
წამოეუძღვ ტკბილსა პატრონს, ჩალად ვრაცხე რისხვა მათი,
ბეკერ რიცხველი მომდევარი, დავაწმილე მოვამათი“.

მაგრამ ხიცათი ამით მაინც არ დამთავრებულა. აბას-მირზასაგან თავ-დალწეულთ, არფაჩაიზე ისევ დასხმიათ თავს სპარსთა ახალი რაზმი:

„ოსმალის მამულს მიბრანა, შესლვა ბიძასთან ტკბილობით,
არფაჩაის წინა დაგვეხდა, რაზმი სარდლისა ყრილობით,
გზა მათ შეეპყრათ მივრიდე, მსწრაფლად არ გულშეცვლილობით“.

პეტრეს რჩევით ლტოლვილებს თავი აურიდებიათ სპარსელთა რაზმ-თან პირდაპირ შებმაზე და ალაგაზისკენ მიუმართავთ, თუმცა სპარ-სელთა შემოტევების მოგერიება მაინც მოუხდათ :

„ეულავ ბრძანა, რა ვპყოთ, არჩიე, რა გვმართებს დამწარებულთა,
შეგვიძერან, მყისად დაგვხოცონ, სპარსთა გაამაყებულთა
უპარატე: პატრონო, ალაგაზე, მიემართოთ მოსწრაფებულთა,
მთა ზურგად ვიპყრათ, ვერ გვავნონ, ყაფართ გამესისხლებულთა“.

ალაგაზეს თავშეფარებული ლტოლვილები იქედან ღამით გამოპა-რულან და ასე დაულწევიათ თავი სპარსელთა ალყისაგან:

144 ს—155, გვ. 130r—133r. შეღ. კ. კეკილიძე, ქართლ. ლიტ. ისტ. II, ტფ., 1924, გვ. 206; შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

145 ს—155, გვ. 136. ორივე ეს თხზულება პ. ლარაძეს მიუწერია თეიმურაზი-სათვის „მწირობაში“—პეტრებურგში ყოფნის ღროს—1812 წელს, როგორც ამას არყევეს მათვეს დართული მნაშერია: „ეს ზემო იანბიკონი, პეტრე ყარიბმან მის-წერა მეფის ძეს თეიმურაზს სანკტეპერებურელსა შინა, მისგან განშორებული სკოვ-რებდა რა საკუთრად ნაჯირავებას სახლსა შინა წელსა ჩიყბ [1812]. ზემო შაირნი და ჩახრუხაულნიცა ამავე წელსა შინა ჰსოება პეტრემან“ (S 155, გვ. 136).

„დამე შეიქმნა სპარსო გული, ბნელს ღამეს და მკრთალია,
დილას ელოდნენ იქალდენ, გადმოვგდეან შათი ზრუყალია,
მაცე ღამესა შეუდევ, მთას ვიქმენ შენავალია,
უძლოდი სიმხნით ქვეითად, მუხლთა დაემართე ძალია.

უკუნ ღამეს მიმავალმან, ბნელით შევვლენ გზა უვალია
უგზოდ ვრებდი, არა იყო არავისგან დანავალია,
წევრს შევედით, გავეითენდა, სპარსი დაქშოვნ ღამაშურალია“.

დილაზე (1810 წლის 15 სექტემბერს) ისინი მოსულან ბაშ შორაგალში, რუსთა სამხედრო ბანაჟში — ართიქს და გამოცხადებულან პოლკოვნიკ ურაკოვთან, რომელიც დიდი პატივით გამასპინძლებია მათ:

„შემოვედით ბაშ შორაგალს, ართიქს დაგუხდა ურაკოვი,
განაღამცა მდიდრად იყო, პურალობით ჩვენშედ მოვა“.

ამის შემდეგ თეიმურაზსა და პეტრეს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა (დანამდვილებით, ამისი მიზეზი ჩვენ დღეს არ ვიცით):

„უღმრთოთა ენით ჰქონეს გველებრ ძრომა, მლიქევნელთა სიტყვით ზედა
შეთქრომა,
ილიზლეს, შექმნეს ტებილად განცხრომა, არღა ძალ ედუა მათგან განრომა;
მაშინ პირს შესლევს ჩემწედა წყრომა, რათა აცხადოს წყალობის ცხრომა,
თერგვა შთათირა ძრავილი შრომა ჩემი, უხმარ მყო, დამკლა, დამტრომა“.

თეიმურაზი სპარსეთიდან სრულიად უსახსროდ ჩამოსულა: «... царевич при тайном удалении своем из Персии оставил там все свое имущество и находится без всякого состояния» (Акты, IV, стр. 137)¹⁴⁶. პ. ლაიაძეც გვიმუშებია: „არაუი მაქვნდა ვაშლითურთ, მით ვემერით მუცლის ძლომაა“ S—155.

მთავარმართებელმა ტორმასოვმა ლტოლვილი ბატონიშვილი მასე თბილისში ჩამოიყვანა¹⁴⁷ და „.... определил ему на содержание с семейством и со свитою его 300 р. с. в месяце и дал особенно 200 р. с. для покупки необходимых ему вещей, по уважению тому, что он выбежал к нам налегке и без всякого экипажа“, (Акты, IV, стр. 137).

¹⁴⁶ როგორც სოლ. რაზმაძის ერთი ჩვენებიდან (ცაა, რვ. XII. ფ. 2148 — 2149) ირკვევა, თეიმურაზს სპარსეთში (ცერძოდ თავრიზში) სხვა ნივთებთან ერთად, ოცდაოქტეტესმეტდე წიგნი დარჩენია (ნ. ალ ანია, სოლომონ რაზმაძე, თბ., 1968, 83. 36—37).

¹⁴⁷ „წელს 1810 ოქტომბრის 2, კვირიაკს, შემოველ ტფილისს“ — წერს თეო-მურაზ (ლენ. Н 28, ფ. 200 გ).

გენ. ტორმასოვს თავისი ანგარიშები პქტნდა: «Теперь же оставлю я употребить старания склонить его на доброволытий отъезд в С.-Петербург, дабы пасть к стопам Е. И. В. и испросить себе всесильное покровительство» (იქვ).

მაგრამ ასეთი „თავაზიანობის“ ბოლომდე ერთგული რომ არ იქნებოდა მთავარმართებელი, ჩანს მისი სიტყვებიდან: «Если-же паче чаяния встретим я со стороны царевича Теймураза Георгиевича нерасположение на отъезд в Петербург, чего однако-же не ожидаю, в таком случае я объявлю ему, что на сие есть воля Е. И. В. и не остановлюсь отправлением его, между тем он во все сие время пробудет под строгим, но неприметным надзором» (იქვ).

მაგრამ ძალის ჩვენება გენ. ტორმასოვს არ დასჭირებია: 1810 წლის 4 ოქტომბერს თეიმურაზ ბაგრატიონს მისუვის თხოვნით მთავართავს პეტერბურგში თავისი ნებით გამგზავრების თაობაზე. რაზე-დაც პასუხი არ დაუყოვნებიათ. 1810 წლის 6 ოქტომბერს მთავარმართებელმა მას აცნობა: «... Я по истинному моему к Вам благорасположению не отклоняюсь удовлетворить в полной мере таковому Вашему желанию и готов, со стороны своей, оказать Вам все зависящие от меня пособия. Заботливость о выгодах ваших в пути я предоставляю себе и снабжу Вас всеми нужными к сему способами»¹⁴⁸.

1810 წლის 15 ოქტომბერს კი თეიმურაზის განზრახვა გავეკასიის მთავარმართებელმა პეტერბურგს აცნობა: «Грузинский паревич Теймураз Георгиевич, в вящее доказательство чистосердечного раскаяния своего в прежнем поступке и желая лично пасть к стопам Е. И. В. ... тотчас по возвращений моем из похода в Тифлис сам вызвался с просьбою о скорейшем отправлении его в С.-Петербург. Почему со всею охотою удовлетворяя столь доброму его расположению, я приготовил все нужное к его пути и не останавливаясь нимало, завтрашний день отправляю вместе с супругою его царевною Еленою» (Акты, IV, стр. 137).

„მთვართობა ტფილისიდამ პეტერბურდაძდის“

მთავარმართებლის ხაზინიდან გამგზავრების ხარჯებისათვის თეიმურაზ ბაგრატიონს მიულია «... 4.500 р. ассигнациями,—на покупку приличного экипажа как для них, так и для свиты на прогоны и содержание в пути» (Акты, IV, стр. 137).

148 ს. ით რ დანი შვილი, მასალები თეიმურაზ ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, შიგნში: თეიმურაზ ბატონიშვილის შიგნთხაცევის კატალოგი, თბ., 1948. გვ. 67.

საინტერესოა ვინ შედიოდნენ თეიმურაზის ამაღაში? რამდენიმე როდ, პირდაპირი ცნობები ამის შესახებ დღემდე არ მოგვიაჩნია ამიტომ, ვარაუდის სახით, მოგვიძება თეიმურაზის ამაღის შესახებ ლობრივ მაინც შევსება ჩვენს ხელთ ამჟამად არსებული მასალების მიხედვით.

რ. ორბელის ცნობით «На основание записей путевого дневника Теймураза, мы знаем, что помимо членов семьи и охраны, при нем находилось свыше двадцати человек, в их числе священник, врач, поэткой, слуги, а также лица, связанные с ним обстоятельствами, которые предшествовали его срочному выезду в Петербург»¹⁴⁹.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზის ამაღა, თავისი ოჯახის წევრებისა და დაცების გამოკლებით, თურმე ოცს აღემატებოდა. მაგრამ, სახელ-დობრ, თუ ვინ იყვნენ ისინი, ამის შესახებ, ალბათ, წყაროში მათი მოუქსენებლობის გამო, მკლევარი არაფერს გვეუბნება.

ჩვენი აზრით, თეიმურაზის ამაღაში, პირველ რიგში უნდა შესულიყვნენ სპარსეთიდან ჩამოყოლილი 7 მხლებელი: ბაგრატ ბატონი-შვილის ცნობის მიხედვით, კიქოლა ბარათაშვილი, პეტრე ლარაძე, ლორელი აზნაური-ლევანა, იოსებ ბასტამაშვილი (იგივე ბოსტოლანდ-შვილი, ბასტამოვი), დავით და ქიტესა ავლინიშვილები, ზაქარია დალაჯიშვილი¹⁵⁰. 3. კაბელაშვილი, აქ დასახელებულ კ. ბარათაშვილსა და 3. ლარაძის გარდა, სახელებს კიდევ ოთხ პირს: ქახხოსრო თეთრაძე, ივანე ბაზლიძე, გრიგოლ ალაბეგიშვილი და ივანე წიბოლაშვილი¹⁵¹. ამათ უნდა მიემატოს კიდევ ის თოხი კაცი, რომელთაც ვერ მოახერხეს თეიმურაზთან ერთად სპარსეთიდან გამოქცევა და რომელთა საქართველოში დაბრუნების ნებართვა თეიმურაზმა ჩამოსვლისთანავე (1810 წლის 4 ოქტომბერს) მთავარართებელ ტორმასოვისგან გამოიხოვა, რაზედაც მას თანხმობა მიუცია: «Получа сейчас письмо Вашей Светлости, в коем вы ходатайствуете за двух грузинских князей и двух дворян находящихся за границей... во уважение просьбы вашей, я исходатайствую им Всемилостивейшее Его Императорского Величества прошение. Билет же на свободный их пропуск в Грузию при сем прилагают». 152. თეიმურაზს იქვე ჩამოთვლილი აქვს მათი სახელები, ოღონდ, გვარე-

149 Р. Орбели, Новые биографические данные о Мирзе Джаяфаре Топчибашеве...

150 ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 107.

151 გაზ. „საქართველო“, 1916, № 145.

152 ს. იორდანი შვილი, ზახალები..., გვ. 68.



ბის მოუხსენიებლად: „ჩემის დაშთომილთა კაცთა: სოლომონიქედან მეტად განვითარებული ხასიათის და დავითისი ტორმესოვისაგან“ (იქვე). პირველი მოუხსენიებლად:

ს. იორდანიშვილის მიერ ზუგდიდის მუზეუმში მოკოვებული მასალების მიხედვით, თეიმურაზის ამალაში მყოფ სპარსეთიდან ჩამოყოლილ ქართველებს, შეიძლება კიდევ რვა კაცი მიემატოს, რომლებიც თეიმურაზს უკვე საქართველოში შეურჩევია პეტერბურგში წასაყვანად. ესენია ექიმი ივანე კოროვევი, გორის დეკანოზი სიონი გოგებაშვილი, ზურაბ ერისთავი, გრიგოლ ბერძნიშვილი, ქაიხოსრო აბაშიძე, გიორგი ელიოზიშვილი, თარჯიმანი თევდორე თაზაროვი და ვინძე კოშელოვი, აგრეთვე, 12 წლის სოლომონ რაზმაძე¹⁵³.

ისიც უნდა ითქვას, რომ პეტერე ლარაძე, რომელიც ამალაში შედიოდა, თეიმურაზს პოეტის სურვილის წინააღმდეგ წაუყვანია, რასაც გვამცობს პ. ლარაძის „ჩახრუხაულნი და შაირზი“:

„პეტერბურგს უცხოებაში, მყო ძალით წანაყოლები,
რად სახმარიყო საჩემოდ, მუნებრ მებელ-სტოლები,
გზაზედ ვეველრე დათხოვნას, მივგზავნე მისნი ტილები,
არა ინება, შარბინა, ჩერქეზ ქირმანის ჩილები .

სატაბტოს ქალაქს დამაგდო, უოვლითურთ შეუშუნარებლად,
უცხო, უენო უთვისო, მყო სახლით განაგარებად“¹⁵⁴.

აქეც უნდა აღვნიშნოთ, რომ თეიმურაზის პეტერბურგში გამგზავრებით ისარგებლა მთავარმართობებულმა და მას თან გააყოლა რიცსიმე ბატონიცვილიც თავისი მცირებულოვანი ბავშვებით¹⁵⁵.

რ. ორბელის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში ყურადღება მიაქცია თეიმურაზ ბაგრატიონის ავტოგრაფულ ჩანაწერს: „მოგზაურობა ტფილისიდამ პეტერბურლამდის“¹⁵⁶ და გამოაქვეყნა მისი პირველი ვრცელი აღწერილობა¹⁵⁷. ამის შემდეგ, თეიმურაზის ამ თხზულების ა. კობანიძის მიერ მომზადებული ტექს-

¹⁵³ იქვე ვ. 69, 74, 75, 76, 77, 80, 84; აგრეთვე, გამ. „საქართველო“, 1916, № 145.

¹⁵⁴ ს—155, ვ. 244. შდრ. ქ. კეკილიძე, ქართ. ლიტ. ისტ. II, ვ. 206—207; შ. მესხიძე, დასახ. ნაშრ., ვ. 34.

¹⁵⁵ Акты, IV, стр. 134.

¹⁵⁶ ლ. ჩ—28, ფ. 184—217.

¹⁵⁷ Р. Орбели, Грузинские рукописи ИВ АН СССР, вып. I, М.-Л., 1956, стр. 87—88.

ტი 1962 წელს გამოსცა ვ. შადურმა¹⁵⁸, ხოლო ს. ყუბანეიშვილმა ქადაგის ნასკნელად იგი დამატების სახით დაურთო მის მიერ გამოცემულა. წიგნის: „თემურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბრონის მუზეუმის მუზეუმის თბ., 1964, გვ. 93—101). ორივე გამოცემა უნიკალურ ავტოგრაფულ ხელნაწერს ემყარება. მიუხედავად ამისა, ერთმანეთს არ ემთხვევიან, ხოლო რ. ორბელის ბოლოდროინდელი გამოკვლევით, ისინი არასრულიც ყოფილან, კერძოდ, ამალის წევრთა რაოდენობის შესახებ ცნობა, არც ერთ ბეჭდურ გამოცემაში არ დასტურდება¹⁵⁹ (იხ. ლენ. ჩ. 28, ფ. 199v., 200v).

„მოგზაურობაში“ თემურაზს დაწვრილებით აქვს გადმოცემული მგზაურობის დეტალები და მარშრუტი¹⁶⁰.

1810 წლის 16 ოქტომბერს, თემურაზ ბაგრატიონი თავისი მეუღლის — ელენე ოთარ ამილახერის სასულისა და ამალის თანხლებით, თბილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა. თბილისიდან მთავარმაზრებელს დაცვის მიზნით გაუყოლებია მაიორი მ. ი. ლუბეცოვი, ოფიცერი პეტანოვი და ყაზახთა რაზმი („ტფილისიდამ წამოგვცვა მაიორი მიხაილ ოსეფიში დუბიცეოვი... ეგრეთვე ყაზახები და პეტანოვი“), რომლებიც ვლადიკავკასიდან შეუცვლია პოდპოლკოვნიკ ფირსოვს ერთი ასეულით („ვლადიკავკასით... გამოგვცვა გზაზედ ერთი როტა ორი ზარბაზნით და პოლპოლკოვნიერ ფირსოვი“).

თემურაზსა და მის ამალის თბილისიდან გაუვლიათ ჯიქურაულთ-გარი — ანანური — ფასანაური — კაიშაური — კოპი — სტეფანწმინ-და — ლარსი — ვლადიკავკასი — ხუმბალია — კონსტანტინერდუ-თი — მოზდოვი — ევატერინოვგრადი — მარინსკი — იაგორევსკი — ალექსანდრია — სევერნა — სტავროპოლი — მოსკოვსკა-დონსკი — ბედასნი — პრეგრალნა — ვესტოსლავსკი — მედვეჟენკა — ლუ-ტნიცკი — პეშანაკო — ზაუტრი — დივანაჩევი — ნიკენი-იეგრილ-სკი — მეჩეტნა — კაპალნიკი — ბათაისკი — აქსაი — ძველი ჩერქეზ ქიჩმანი — ახალი ჩერქეზი — კაზანკა — პავლეცა — ვორონეცი — ტულა — მოსკოვი — ტევერი — ცარსკოე სელო — პეტერბურგი¹⁶¹.

158 ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, შემდგენელი ვანო შალური, თბ., 1962, გვ. 310—317.

159 Р. Орбели, Новые биографические данные о Мирзе Джагафаре Топчибашеве..., стр. 37.

160 „მოგზაურობის“ ტექსტს ვიყვნებთ ს. ყუბანეიშვილის გამოცემის მიხედვით (თბ., 1964.).

161 ტოპონიმების ვადმოცემისას დაცულია თემურაზის დასახელებანი.

1811 წლის 12 იანვარს, თითქმის 3 თვეს მგზავრობის შედეგ, თეიმურაზი ჩასულა რუსეთის სატახტო ქალაქში¹⁶². ეს კოცხელი გამოიყენება „მოგზაურობა ტფილისიდამ პეტერბურღამდის“ სიტუაციის გამოიყენება მაღალი მხატვრული ღირსებებით. შეიძლება ეს იმითაც აიტენას, რომ ავტორს არც ჰქონია ამისი პრეტენზია. მის თხზულებს მხოლოდ ჩანაწერების ხასიათი აქვს და ისიც შევი ნამუშევარია მხოლოდ. თეიმურაზის მისი არც გადათეთრება უცდია. მიუხედავად ამისა, სარტერესთა „გზაში სახელდახელოდ ჩაწერილი მოკლე ცნობები იმ ქალაქების, სოფლების, ადგილებისა და პირების შესახებ, რომლებიც ავტორმა ნახა რუსეთში. შედარებით მეტ მასალას იძლევა იგი ტულის ქარხნების, მოსკოვის თეატრისა და რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილების შესახებ“¹⁶³.

რ. ორბელის სიტყვებით, «Дневник, веденный Теймуразом за время переезда из Тифлиса в Петербург (16 октября 1810—12 января 1811 г.)» содержит описания многочисленных путевых встреч Теймураза на Кавказе и в России с представителями местного военного и гражданского управления — С. А. Булгаковым, И. П. Дельпоцо, П. Б. Гладковым, отдельными частными лицами, нумизматом И. П. Гардининым, артиллеристами Л. Н. Софиано и Ф. Н. Вороновым и др. Можно предполагать что, с некоторыми из этих лиц Теймураз и в дальнейшем поддерживал знакомство».

თხზულებაში მოიხსენიებიან ისტორიული პირები და მათთან შეხვედრები, კერძოდ, გაბრიელ ყაზიბეგიშვილი, ფარნაოზ და იოანე ბაგრატიონები, იონა ხელაშვილი და სხვები. არაიშვიათად ვხვდებით მოგზაურის მახვილი თვალით დაკვირვებებს რუსულ ყოფასა და წესნიველებებშე (მაგ., ვრონევის აღწერა). პროფესიულ ინტერესს იჩინს თეიმურაზი ტულის სამხედრო ქარხნებისადმი. იგი ხომ აბას-მირზას ლაშქარში არტილერიას მეთაურობდა. ავტორის ფაქიზ გემოვნებას ამეღავნებს ცარსკე სელოს სასახლის აღწერა და ა. შ.

რუსული სინამდვილის ამსხაველ გაბრიელ რატიშვილის „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“ და გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“ გვერდით, თეიმურაზ ბაგრატიონის „მოგზაურობა ტფილისიდამ პეტერბურღამდის“ საპატიო

162 შერ. ნ. მაბათაბის სიტყვები: „1810 წელს პეტერბურგში ჩავიდა შეიძი წლის განმავლობაში ირანის სამეფო კარზე შეედლებული თეიმურაზ ბატონიშვილი“ (ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967, გვ. 96).

163 ვ. შადური, შესავალი წერილი წიგნში: „ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“, თბ., 1962, გვ. 56.

* * *

პეტერბურგში ჩასული თეიმურაზი, პირველ ხანებში, ვფიქრობთ უნდა გაჩერებულიყო მასზე ადრე იქ ჩასულ იოანე და ჯიბრაილ ბატონიშვილებთან, რადგან მისივე მოწმობით, სწორედ ეს უკანასკნელი მასპინძლობდნენ ცარსკოე სელოდან მოყოლებული პეტერბურგამდე: „მოვიდნენ სასურველნი ძმანი ჩემნი იოანე და ჯიბრაილ და მოჰყვნენ თანა ზაზა და გოდერძა და შევექეცით მხიარულებითა დიდითა ამათთანა“.

იმპერატორის კარი ყურადღებით მოეკიდა თეიმურაზის სატახტო ქალაქში ჩასულის ფაქტს და უკვე ერთი კვირის შემდეგ — 1811 წლის 18 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრი ო. კოზოლავლევი თეიმურაზ ბაგრატიონს შეატყობინებს: «По всеподданейшему докладу, Государь Император Высочайше повелеть соизволил: представить Вашу светлость Его Императорскому Величеству в следующее воскресенье, т. е. 22 сего Генваря по утру прежде обедни»¹⁶⁴.

მარტლაც, 1811 წლის 22 იანვარს, კვირას, დილით ალექსანდრე I ზამთრის სასახლეში დიდი პატივისცემით მიუღია ქართველი ბატონიშვილი, რასაც თვით თეიმურაზიც გადმოგვცემს: „...მოვედით პეტერბურგს, წარვდევით იმათ იმპერატორობითის დიდებულებას წინაშე პატივისცემით წელსა 1811, იანვრის 22 კვირიაკეს“¹⁶⁵. ამასვე გვემოწმება ბაგრატ ბატონიშვილიც: „თეიმურაზ მისრული იანვრის 12 წელსა 1811 პატივისცა იმპერატორმანცა და მისცა ნიკო შემგზავსებულთა ძმათა თანა“ (ახალი მოთხოვბა, გვ. 108).

1811 წლის 31 მარტს ალექსანდრე I გამოსცა ბრძანება, რომლთაც თეიმურაზი დაჯილდოვდა წ. ინს I ხარისხის ორდენით: «Желая изъявить Наше к Вам благоволение, мы Всемилости-вейше пожаловали вас кавалером Ордена Святые Анны Первого Класса, коего знаки при сем препровождаемые, повелеваем вам возложить на себя и носить по установлению»¹⁶⁶.

ხოლო მის მეუღლეს — ელენე ამილახვარის ასულს 1811 წლის 20

164 ს. იორდანიშვილი, მასალები..., გვ. 77.

165 მოგზაურობა..., გვ. 101.

166 ს. იორდანიშვილი, მასალები..., გვ. 71—72; ტრ. რუხაძე, ეტყობა; ამ იცნობს ამ დოკუმენტს: „პეტერბურგში თუ არა თეიმურაზის რაიმე ორდენი, ამას შესახებ ჩვენ ვერას ვიტუვით“ (ძვ. ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 132).

ივლისს, იმპერატორის თანხმობით, წმ. წამებულ ეკატერინეს მიერა
ჯვრის ორდენი უბოძეს¹⁶⁷.

საინტერესოა, რა ბედი ეწია პეტერბურგში ჩასულ აცვალებულზე ამალას? როგორც მოსალოდნელი იყო, თეომურაზი იმთავითე შედ-
გომია ამალის წევრთა კეთილდღეობაზე ზრუნვას და რამდენიმე თხოვ-
ნით მიუმართავს იმპერატორის კარისთვის, რაზედაც 1811 წლის 13
აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრმა თ. კოზოლავლევმა აცნობა:
«По письму Вашей Светлости от 19 прошедшего февраля, каса-
тельно награждения и отправления в Грузию некоторых из
Свиты Вашей чиновников, я имел щастие (!) докладывать Госу-
дарю Императору. Е. И. В. Высочайше повелеть соизволил: на-
ходящегося при Вашей Светлости лекаря титулярного советни-
ка Короева произвести в Коллежские асессоры, а дворянину
Лорадзеву выдать единовременное вознаграждение сто пятьде-
сят рублей ассигнациями; на отправление же их в Грузию дать
прогонные деньги: Короеву по чину, а Лорадзеву на две ло-
шади.

О пожаловании Титулярного Советника Короева в Коллеж-
ские Асессоры я объявил уже Высочайший Указ Правительст-
вующему Сенату. О выдаче же ему равно и Дворянину Лорад-
зеву прогонных денег, и сверх того сему последнему единовре-
менно ста пятидесяти рублей ассигнациями, я теперь же сооб-
щил Высочайшее повеление Г. Министру Финансов для учине-
ния зависящего со стороны его распоряжения»¹⁶⁸.

როგორც ირკვევა, პ. ლარაძე მაშინ არ წამოსულა საქართველოში.
პ. ლარაძის ერთი შენიშვნიდან ჩანს, რომ 1812 წლისთვის იგი ისევ
პეტერბურგშია, ცხოვრობს ცალკე, ნაქირავებ სახლში და თეომურაზ-
ზე ისევ განაწყენებულია: „პეტრე ყარიბმან მისწერა (ლაპარაკია სამ-
დურავ შაირსა, ჩახრუხაულსა და იამბიკოებზე—გ. ვ.) მეფის ძეს თეო-
მურაზს სანკტპეტერბურლსა შინა, მისგან განშორებული სცხოვრებდა
რა საკუთრად ნაჯირავებსა სახლსა შინა, წელსა წყიბ [1812]-ს“¹⁶⁹.

თეომურაზისევ მუამდგომლობით, მისი თარჯიმნის თ. რ. ნაზარო-
ვისთვის ერთბაშად კაპიტნის ჩინი უბოძებიათ, რასაც ვიგებთ სახელ-
შიფიფთ კანცლერის გრაფ. ნ. რუმინაცოვის 1811 წლის 26 სექტემბრის მი-
წერილობიდან თეომურაზისადმი: «Я докладывал Государю Им-

167 იქვე, გვ. 73. ამ ბრძანების საფუძველზე, ელენე ამილახვარი გახდა იმ-
პეტერატორ პავლე I ქვრივის მარია თევდორეს ასულის (1759—1828) შიერ დაარსე-
ბულ წმ. ეკატერინეს სახელობის ორდენის წევრი.

168 მასალები, გვ. 74—75.

169 ს. 155, გვ. 136 ვ.

ператору по письму Вашей Светлости, коим вы ходатайствовали о находящемся при вас приставом Титулярном Советнике Назарове, и вменяю себе за удовольствие уведомить Вашу Светлость, что его Императорское Величество всемилостивейше пожаловать созволил его, Назарова чином Капитана»¹⁷⁰.

ჩავლიდან ნახევრი წლის შემდეგ, 1811 წლის ზაფხულში, გარდაცლილი ამალის ერთი წევრი — თემურაზის მოძღვარი და კარის მღვდელი გორელი დეკანოზი სიმონ გოგებაშვილი. თემურაზ ბატონიშვილს შინაგან საქმეთა მინისტრის ო. კოზოდავლევისადმი მიუმართავს თხოვნით, გორე მცხოვრებ ს. გოგებაშვილის ქვრივისათვის პენსის დანიშვნის შესახებ, რაც ო. კოზოდავლევს 1830 წლის 30 სექტემბერს დაუქმაყოფილებია კიდევაც: «Отношение ко мне Вашей Светлости об исходатайствовании какого-либо пособия от щедрот Монарших вдове Горийского Протонеря Симеона Гогибова, находившагося в свите вашей и недавно умершего, я имел обязанность сообщить по принадлежности Г. Обер-Прокурора Святейшего Синода князю Александру Николаевичу Голицыну.

Он уведомляет, что по всеподданейшему его докладу Государю Императору о награждении упомянутой вдовы Гогибовой, Его Императорскому Величеству благоугодно было повелеть: сообщить обстоятельство сие на рассмотрение Екзарха Грузии Митрополита Варлаама, с тем, чтобы участь вдовы протонеря Гогибова, принял он в Архиастырское свое попечение, каковая Монаршая воля и сообщена уже им Его Преосвященству Митрополиту Варлааму»¹⁷¹.

ეს ამბავი პ. კარბელაშვილსაც აქვს გადმოცემული სხვა წყაროს დაყრდნობით (ეგზ. კანც. 1811, № 17)¹⁷².

თემურაზისვე წარდგინებით, ამალის წევრებს ზურაბ ერისთავსა და გრიგოლ ბექანიშვილს ებოძათ საქმაოდ მაღალი ჩინები, ამასთან, ზ. ერისთავსა და კოშელოვს თბილიში დაბრუნების ნებართვა: «Его Императорское Величество, по представлениям Вашей Светлости, Всемилостивейше повелеть созволил: произвестить Князя Зураба Эристова в Титулярные Советники, а Грузинского дворянина Григория Бежанова в Губернские Секретари и выдать прогонные деньги отправляющимся в Грузию князю Эристову на три, а Кошелову на две лошади до Тифлиса и сверх того сему последнему одновременно сто пятьдесят рублей асигнациями»¹⁷³.

როგორც ვხედავთ, თემურაზის ამალის წევრებიდან ოთხს (კო-

170 მასალები, გვ. 77—78.

171 მასალები... გვ. 75—76.

172 გაზ. „საქართველო“, 1916, № 145.

173 მასალები..., გვ. 76.

როვეი, კოშელოვი, პ. ლარაძე, ზ. ერისთავი) პეტერბურგში მცხვდების
წელს ვე მიუღიათ საქართველოში დაბრუნების ნებართვა. ჭიშკეში მქობ
თი — პ. ლარაძე ისევ პეტერბურგში დარჩენილა, სხვა სამი წევრი
კი, როგორც ჩანს, უკან დაბრუნებულა¹⁷⁴.

შედარებით ვეიან მომხდარი ამალის დანარჩენი წევრების — ქა-
ოხოსრო აბაშიძეს, კიკოლა ბარათაშვილის და გიორგი ელიოზიშვილის
დაწინაურება. სე მაგ., 1817—24 წლებში თეიმურაზი დაუცხროილად
ზრუნავს ქაიხოსრო აბაშიძის სამხედრო კარიერაზე, რაც დამთავრდა
ამ უკანასკნელის ეგერთა პოლკში განწყესბით¹⁷⁵, ხოლო კიკოლა (ნი-
კოლოზ) ბარათაშვილს ჯერ პორტჩიქის ჩინი, ხოლო 1819 წლის 20
ნოემბრის ბრძანებით: «Е. И. В. Высочайше повелеть соизволил:
находящегося в свите Грузинского Царевича Теймураза Георгиича Грузинского князя Николая Баратова по удостоению
Комитета Министров произвести в Губернский Секретарь»¹⁷⁶.
ამ ბარათაშვილს პეტერბურგში შესძენია ვაჟი, რომელიც აგრეთვე
თეიმურაზმა შემდეგში პაერის კორპუსში მიაღებინა¹⁷⁷.

წარმატებას მიაღწია იოსებ ბატომაშვილმაც, რომელიც თეიმუ-
რაზის თხოვნის საფუძველზე, სათვადაზნაურო პოლკში ჩარიცხეს.
გრაფი კონოვნიცინი 1820 წლის 12 ნოემბერს თეიმურაზს ატყობინებ-
და: «В следствие представления моего, Е. И. Высочества
цесаревич соизволил, Дворянина Иосифа Бастамова определить
в Дворянской полк, о приеме коего в оный от меня уже предпи-
сано 2-го Кадетского Корпуса Генерал-майору Маркевичу»¹⁷⁸.

დიდი ამაგი დასკდო თეიმურაზმა მის ამალაში მყოფ სიყრმის მე-
გობარს გიორგი ელიოზიშვილს, რომელიც 1828 წელს, მისი რეკომენ-
დაციით, დაგილდოედა „чином Губернского Секретаря“¹⁷⁹.

როგორც „მასალებიდან“ იჩკვევა, სხვადასხვა დროს, თეიმურაზს
დახმარება გაუწევია რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი სხვა
ქართველებისათვისაც (ივანე თარხნიშვილი, ივანე დავითიშვილი, გო-
გია პეტრიაშვილი, ფარსადან აბაძე¹⁸⁰..).

1817 წლიდან თეიმურაზის ამალის უნდა შეპმატებოდა მისი ძეე-
ლი ნაცნობი სპარსეთიდან მიწითა გაფარ თოფჩიბაშევიც. შემდეგში
აღმოსავლურ ენათა პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში¹⁸¹.

174 შდრ. რ. ორ ბ ე ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 37.

175 მასალები, გვ. 79, 80, 84.

176 იქ 3 ვ. გვ. 82.

177 იქ 3 ვ. გვ. 85—86.

178 იქ 3 ვ. გვ. 81.

179 იქ 3 ვ. გვ. 69—71.

180 მასალები, გვ. 81, 84, 85.

181 В. Григорьев. დასახ. ნაშრ., გვ. 22. შდრ. რ. ორბელის დასახ. ნაშრ.

ა. საცხოვრებელი სახლი და გარის გადახსნა პირველი მომენტი

იმპერატორ ალექსანდრე I თანხმობით, 1811 წლის 1 იანვარს ე. ი. თეიმურაზ ბაგრატიონის პეტერბურგში ჩასვლის წინა დღეს, ფინანსთა სამინისტროს ქართველი ბატონიშვილისათვის გამოუყვით ცალკე კაპიტალი 150.000 რა. რაოდენობით, რომლითაც თეიმურაზს რუსეთში 1000 სული ყმა უნდა ეყიდა¹⁸². მაგრამ თეიმურაზს ამ თანხმის ნაწილით ვალები დაუფარავს, ხოლო დანარჩენის ანგარიშზე 1813 წელს პეტერბურგელი ვაჭრის, ვინმე ვერტმანისაგან უცნდია საკუთარი სახლი, რასაც ვიგებთ ფინანსთა მინისტრის 1813 წლის 21 ივნისს მოხსენებითი ბარათიდან სახელმწიფო კანცლერისადმი: „На письмо
Б. С-ва, от 14 сего Июня, имею честь уведомить, что так как из капитала Грузинскому Царевичу Теймуразу Георгиевичу на покупку недвижимого имения в России, определенного не предполагалось ему доселе никакой выдачи и по расписи о Государственных доходах и расходах на нынешний 1813 год, оной включено не было, то и не возможно мне в нынешнем году учинить ни выдачи купцу Вергману следующей ему за купленный у него царевичем Теймуразом дом суммы (до 30 ჩვენია — з. 3.), ни зачета в пошлины, так как и то и другое есть для государственного казнечейства одно и то же, а предполагаю я платеж сей произвести, как о том объявлено от меня и Г. Вертману, в будущем 1814 году, для чего и приказал уже экспедиции о Государственных доходах потребную для того сумму включить в число расходов на 1814 год, до того же времени Г. Вертман будет пользоваться на капитал ему следующими процентами; о чем по приказанию моему экспедиция о Государственных доходах выдала уже Г-ну Вертману и свидетельство, и оное доставила для вручения ему и Его Светлости Царевичу Теймуразу Георгиевичу”¹⁸³.

მას შემდეგ, პეტერბურგის საცნობარო შივნებში თეიმურაზ ბატონიშვილი გატარებულია როგორც საკუთარი სახლის მფლობელი შემდეგი მისამართით: «Теймураз Георгиевич, грузинский царевич, владелец дома № 28 ул. девятой линии Васильевского острова»¹⁸⁴.

¹⁸² მასალები... გვ. 73—74.

¹⁸³ მასალები, გვ. 78.

¹⁸⁴ Указатель жилищ и зданий в Санкт-Петербурге или Адресная книга с планом, издал Самуил Аллер на 1823 год, СПб., 1822, стр. 145.

მაშასადამე ვერტმანის სახლი, რომელიც 1813 წელს დატონიშვილს შეუძენია, მოთავსებული ყოფილა ვასილე გურიაშვილის მეცხრე ხაზზე № 28-ში და როგორც სსრკ მეცნიერებათა ეკადემიის აღმოსავლეთურნიველის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ურთი ხელნაწერიდან (E — 145) იჩვევეთ, შეიცავდა ორ სრულ ქვის სართულს (თითოეულ სართულზე სამ-სამი ვრცელი ოთახით) და ერთ ნახევარ სართულს („მეზონის“), საკუთარი ეზოთი. თეიმურაზის სახლი რომ მართლა ორსართულიანი ყოფილა, მასვე ადასტურებს 1830-იან წლებში აქ სტუმრად ჩასული თბილისელი სომეხი ბაღბეგ ბას-ტამვა (ზასტამაშვილი), რომელმაც დაგვიტოვა ამ სახლის აღწერილობა¹⁸⁵.

როგორც ს. ალექსის ზემოთ დასახელებული საცნობარო წიგნიდან იჩვევეთ, 1823 წლიდან თეიმურაზ ბატონიშვილის სახლს ნომერი შეცვლია და № 28-ის ნაცვლად გამზღარა № 81¹⁸⁶, რაც გაგრძელებულა 1835 წლამდე. მაგალითად, თვითონ თეიმურაზი ასე ატყობინებდა თავის მისამართს მ. ბროსეს 1830 წლის 18 ივნისს: „საქართველოს მეფის ძეს, ბატონის შვილს თეიმურაზს, აქვს თავისი საკუთარი სახლი სანქტ პეტერბურლს, ვასილის ოსტროვსა შინა მეცხრე ლინიაზედ მახლობელ მდინარისა ნევისა, № 81“¹⁸⁷

1835 წელს პეტერბურგში კვლავ შეიცვალა ქუჩების დანომრეის
სისტემა და ოეიცურაზის სახლი № 81-ის ნაცვლად გახდა № 3. საქ-
მე ისაა, რომ 1835 წლამდე გასილის კუნძულის მეცენტ ხაზე განლა-
გებულ სახლთა ნომრების ათველა იწყებოდა მდ. ჩორნია რეჩქადან
თანმიმდევრობით (1, 2, 3, 4, 5... სულ 82 სახლი იყო) და მოდიოდა
მდ. ნევის სანაპირომდე, ამიტომაც, ოეიცურაზის სახლს, რომელიც,

185 ბ. ბასტამოვი, ჩემი თავგადასავალი, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუშებმის ხელნაწერი № 98, გვ. 20 — 21. აღწერილია ივ. ლოლაშვილის მიერ: ლიტერატურის მატიანე, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე, ხელნაწერთა აღწერა-ლობა 1, თბ., 1949, გვ. 75—77.

¹⁵⁶ Указатель жилищ и зданий в С.-Петербурге... издал С. Аллер на 1823 год, СПб., 1822, стр. 145.

187. *Та же* Муркашев, А. Г., СПб., стр. 145.
187. *Та же* Муркашев, А. Г., СПб., стр. 145.

С.-Петербурга снятый по масштабу $\frac{1}{4200}$ под начальством Генерал-майора Шуберта, 1828, № 67700: Государственный музей истории Ленинграда (ГМИЛ).



მისივე სიტყვით, „მახლობელ მდინარისა ნევისა“ იდგა, სანაპიროზარდა
№ 81.

ამის შემდეგ ისევ ორჯერ შეიცვალა მდგომარეობა:

1) 1835 წლიდან ათველა დაიწყეს უკვე მდ. ნევის სანაპიროდან ჩორნაია რეჩქას მიმართულებით და თან ისე, რომ მარცხენა ხაზი (ე. ი. „მეცხრე ლინია“) დანომრეს კენტი რიცხვებით (1, 2, 3... ა. შ.), ხოლო მარჯვენა (ე. ი. „მერვე ლინია“) კი, ლუწი რიცხვებით (2, 4, 6... ა. შ.). ასეთი სათვალავით კი, თეიმურაზის სახლი, რომელიც ნევის სანაპიროდან მეორე იყო, გახდა № 3¹⁸⁸.

2) ასე გაგრძელდა 1861 წლამდე. ამის შემდეგ მოხდა პირიქით: მარცხენა ხაზი (ე. ი. „მეცხრე ლინია“) დანომრეს ლუწი რიცხვებით (2, 4, 6... ა. შ.), ხოლო მარჯვენა (ე. ი. „მერვე ლინია“) კი, კენტი რიცხვებით (1, 3, 5... ა. შ.) ახლა თეიმურაზის სახლი გახდა № 4. ასეთი მდგომარეობა გრძელდება დღემდე¹⁸⁹.

მაშასადამე, პეტერბურგში ვასილის კუნძულის მეცხრე ხაზზე მდებარე თეიმურაზის სახლი სხვადასხვა დროს ყოფილა № 28, № 81, № 3, № 4 და არასრუოს № 8, როგორც ამას ი. მეგრელაძე ამტკიცებს: „...მდინარე ნევის ნაპირზე საკუთარ სახლში (შენიშვნაში: მეცხრე ხაზი, სახლი № 8 და არა 81, როგორც ს. ყუბანეიშვილს დაუბეჭდავს. თ. ბატონიშვილის წერილები მ. ბროსესადმი, თბ., 1964, გვ. 9) ცხოვრობდა თვით თეიმურაზ ბაგრატიონი ოჯახითურთ“¹⁹⁰. როგორც დავინახეთ ს. ყუბანეიშვილს სწორად აქვს დაბეჭდილი თეიმურაზის სახლის მისამართი გარკვეული პერიოდისათვის (1823—1835 წლები).

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ თეიმურაზ ბატონიშვილს თავისსავე სიცოცხლეში 1835 წელს ზაფხულში, ეს სახლი გაუყიდია. ამის შესახებ იგი სწერდა კიდეც მ. ბროსეს 1835 წლის 5 სექტემბერს: „მე ჩემი სახლი გაყიდე წელს და სხვა უკეთესის სყიდვას ვაპირობ. ამისთვის ქირით მიჭირავს და აღრესი წიგნისა ასე მოაწერეთ: „მათს უგანათლებულესობას საქართველოს მეფის ძეს თეიმურაზს, სანკტ პეტერბურგს, ვასილის ოსტროვში მესამე ლინიაზე სახლსა შინაზანდაცვუსა № 15“¹⁹¹.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზის სახლის გაყიდვას „სხვა უკეთესას სყიდვის“ სურვილით ხსნის. მაგრამ ახლადგამოვლენილი მასალები

¹⁸⁸ Государственный исторический архив Ленинградской области (ГИАЛЮ), ф. № 513, оп. № 102, ед. хр. № 1696.

¹⁸⁹ იქვე.

¹⁹⁰ ი. მეგრელაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი როგორც რუსთველოლოგი, ორიონი, თბ., 1967, გვ. 233.

¹⁹¹ წერილები, გვ. 59—60.

(ლენინგრადის ხელნაწერები E — 145, A — 13) მოშებენ, რომ თავ-
მოყვარე ბატონიშვილი ნამდევილ მიზეზს უძალავს უცხოვდა მეტერიკას.

სსრკ მეცნ. ფაცლემის აღმოსავლეთმცოდნების ინსტიტუტში
(ლენინგრადი) დაცულია თ. ბატონიშვილის სახლის ხელნაწერი (შავი)
აღწერილობა — E-145¹⁹². ხელნაწერის გაუმართვის რუსული გვა-
ფიქრებინებს, რომ იგი მართლაც თეიმურაზის ხელითაა შედგენილი,
როგორც აღნიშნული კატალოგის ავტორები ფიქრობენ. მოვყავს
ტექსტი უცვლელად, რომელიც დოკუმენტის შავს უნდა წარმოადგენ-
დეს:

„ ВО ВТОРОМ этаже

1. квартира — 1500

2. _____ — 1000 которая всегда ходила отд. 1200 но ныне по собственным . . . уступка 200 руб.

3. _____ — 850
в нижн. этаже

1. _____ — 900 которая также 1000 руб. но на первый год уступка

2. _____ — 1000

3. _____ — 1500
на дворе 700
да еще — 300 ныне в пусте

Сараи — 100
еще Сараи под тележную 400 ныне в пусте
в Мезонине — 264 также платил 300 ру.

M . . .	$\frac{30}{8869}$
---------	-------------------

Оній дом заложен в Заємном Банке в 1825 года на 12 лет суммою в 47 600 рув.¹⁹³

ამ საბუთოდან ირკვევა, რომ 1825 წელს თეიმურაზს თავისი სახლი ბანქში დაუგირავებდა 47600 მანეთად 12 წლის ვადით. მაგრამ თეიმურაზს მეორე საბუთს კორექტივი შეაქვს სახლის დაგირავე-

193 ၁၇၆. E-145.

ზის თარიღში — 1825 წლის მაგივრად აქ, 1824 წლის აგვისტოს ბოლო ნაჩვენები. ესაა თ. ბატონიშვილის თხოვნა შინაგან მინისტრის ა. ი. ზაქრევსკისადმი: «Его сиятельству Господину Генералу — от Инфатерии, Министру Внутренних дел и кавалеру Арсению Ивановичу Закревскому

Грузинского царевича Теймураза прощение

Съ разрешения предместника Вашего Сиятельства, управляющего Министр Внутренних дел, действительного тайного Советника Василия Сергеевича Ланского, последовавшего в следствие всеподданейшего прошения моего в Августе месяце 1824 года, каменный дом мой состоящий Василевской части в I-ом квартале под № 81-м придать залогом в 12-ти лет»¹⁹⁴.

მაგრამ ეტყომა ხელმოკლე ბატონიშვილს 12 წლის მანძილზე ვერ დაუფარავს აღნიშვნული სესხი (47600 მან.) და იძულებული გამხდარა 1835 წელს საფუთარი სახლი გაეყიდა, ხოლო თვითონ საცხოვრებლად გადასულიყო ნაწირავებ ბინაში — ვასილის კუნძულის მესამე ხაზზე (№ 15), ვინმე ზანდავუსთან. აქვე ჩამს მისი ბინა 1837 წლის ივნისისათვისაც¹⁹⁵.

ლენინგრადის ოლქის სახელმწიფო ისტორიული არქივის (ГИАЛ) მასალებისა და ცილოვის ატლასიდან ირკვევა¹⁹⁶, რომ თეომურაზის სახლი 1835 წლის ივნისში უყიდია სასახლის მრჩეველის ცოლს ე. ი. შევდირინას, რომელსაც თეომურაზის სახლისთვის მესამე სართული დაუშენებია. ამავე ფონდში დაცული მასალებით საშუალე-

¹⁹⁴ იმავე ფონდის ხელ. А—13.

¹⁹⁵ წერილები..., გვ. 80. საერთო თეომურაზის ნიეთიერ ხელმოკლეობას ცხადყოფს ცარსოფე სელოდან მის მიერ 1831 წლის 21 სექტემბერს იმანა ხელშეკრისადმი პეტერბურგში გამოგზავნილი წერილი (S—388, გვ. 27—28). საიდანაც ირკვევა, რომ ზოგიერთი ძირივასი ნიეთი მას პეტერბურგის ლომბარდში პეტონია დაგირავებული. ეს ნიეთიერ უმეტესად, მისი მეუღლის ელენე ამილაზერისეული ყოფილა, რომელიც თეომურაზის საბოლოოდ მაინც ვერ დაუხსნა, რასაც ვიგებთ მის 1846 წლის 2 თებერვლის ანდერძიდან: „უსასერველესო მეუღლეო ჩემო, მეფის სძილო ელენა, ოთარ ამილაზერის ასულო! მე კაბუკობიდანვე ჩემით მრავალთა სხუათა და სხუათა სოფლის შემთხვეულობათაგან თითქმის იწროებით განვატარე, ამისთვის ვინავდვან მე არა არა სიმდიდრე დამიშთა ჩემთა მშობელთაგან და სხვა შეძინებული არა არა მაქვნდა და თუ შენ, მეუღლეო ჩემო, რაცა გაქვნდა: ცელი სრულად მე დაგინარჩე და რაც ნიეთი გქონდა, ან ვერცხლეული—უოველივე ლომბარდში დაგიდირავე, რომელიც რომ ვეღარ დაგიხსენ და შენს მოვალეობას ქვემდევრისა” (გან. „საქართველო“, 1916, № 146).

¹⁹⁶ ГИАЛ, ф. № 513, оп. № 102, ед. хр. № 1696; Атлас XII частей С.-Петербурга, сост. Цыловым, Гос. музей истории Ленинграда, № 5727/6-Ц.

ბა გვეძლევა გავიგოთ თეიმურაზის სახლის მერმინდელი შეპატრონე-
ები და აგრეთვე გავითვალისწინოთ, თუ რა ცვლილებანფესტიშვილები
სახლმა ახალ მეპატრონეთა ხელში.

1852 წელს ე. შეკლინასაგან სახლი ლ. ო. ბექმა შეიძინა. მან
სახლს ფასადი შეუცვალა. ასევე არ მოსწონებია ფასადი სახლის ახალ
მეპატრონეს, პეტერბურგელ ჩინოვნიქს ვ. კარმანოვს და 1861 წელს
იგი დალავ გადააკეთა. 1874 წელს სახლი შეიძინა ა. გ. ბლანკმა, რო-
მელსაც სახლისთვის ახალი — მეოთხე სართული დაუმუშატებია. ბლან-
კები აქ 1916 წლამდე დარჩენილან¹⁹⁷. ამის შემდეგ თეიმურაზის
სახლს შესამჩნევი ცვლილებანი აღარ განუცდია და ასევე შემოგვრჩა
დღემდე.

უოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ: პეტერ-
ბურგის (ახლანდელი ლენინგრადის) კამილის კუნძულის მეცხრე ხაზის
თანამედროვე № 4 სახლი წარმოადგენს თეიმურაზ ბაგრატიონის საც-
ხოვრებელ სახლს, სადაც იგი ცხოვრობდა 1813—35 წლებში (ტაბ.
V).

თეიმურაზ ბატონიშვილს თავის სახლში მცხოვრებ ქვეშევრდომ-
თათვის იმთავითვე დაუდია ერთგვარი „შინაგანწესი“, რომელიც 5
მუხლისაგან („მცნებათაგან“) შედგებოდა მოგვყავს ეს „წესი“ იმა-
ხელაშვილისადმი 1816 წლის 6 თებერვალს ვაცემული ცალის მიხე-
დვით:

„წესი, რომელიცა გარდამოეცემის მეფის ძის თეიმურაზის ხელის
ქუშშეთა, არიან ესენი:

1. პირუშლად მცხოვრებმან, სახლსა შინა მათისა უგანათ-
ლებულესობისა, ჯერ არს რათა დაიდგინოს სჭულად თავსა თვალისა,
ესე, რათა ყოველთა თანა-მცხოვრებთა თვალთა, ცხოვრებდეს სათ-
ნო-ყოფით სიყუარულით და სიტყბოებით. ყოვლისა ამბოხები-
საგან უცხო, იქცეოდეს დიდთა თვალთა-თანა შესაბამითა სიტყ-
ბოებითა და ეცრეთუ მცირეთა თვალთა თანა შესაბამითა სიტყბოებითა;

2. სადაცა ნებავს წარსულა უამიერად აქუს ნება, გარნა ჯერ-არს
ოდეს იგი ნებავს საჭიროებისა რისათ ვისმე წარსულა სადამე, რათა
თვით უგანათლებულესობასა მისსა სისხლის ნება, მიწუხრი ხუალისა-
თვს, ანუ დილისა დღისა მისთვს, ანუ მწუხრისათვს, ვინამთგან საჭი-
რო არს უწყებად ადგილისა სადა წარვიდა, მიზეზისა ამისთვს, ნუ
უკუშ ეგეოსა დროისა საჭირო იქმნის გუაში იგი, რათა არა მიიღოს
დაბრკოლება საჭიროებამან, გარდა კითხუისა სხუად არა რად აქუს
დაბრკოლება, სადაცა ნებავს წარსლუა და აქუს თავისუფლებით კრა-

¹⁹⁷ Весь Петербург на 1916 год, стр. 194.



ყოფილება ამას შინა, ხოლო ოდეს შეემთხუას უამი და არა იყოს შინა
მეფის ძე, მიიღოს ნება მეფის სძლისაგან;

3. მეცადინებ იყოს რაოდენ შესაძლებელ-არს მისდა შეწევნებულებისა
და გენილსა თანა-მდებობასა თვესა შინა, შემატებად, ქებად და ჩუბები-
ბად გარეშეთა შორის შესაბამისა მწერებარეობისა, უცხოთაცა და
თვესთაცა შორის.

4. თანამდებობასა თვესა შეძლებისაებრ თვესისა რათა აღარისულე-
ბდეს დაუზარებლად;

5. დამცუტლსა პსჯულთა ამათ საჭიროებისათვის თვესისა მარადის
აქეს ნება განცხადებად მათისაღმი უგანათლებულესობისა და მიღებად
მის მიერ შეწევნისა მარადის შეძლებისაებრ.

ვინაადგან ყოველთა უფალთა სახლისათა, დიდითა და გინა მცირე-
თა აქცით ვალი საღმრთოხთა პსჯულითა, რათა აჩუშნეს კელისა
კუშშეთა თესთა გზანი წარსამართებელი ცხოვრებისათვს მათისა, და
მე ვინაადგან აღსრულებად ამა საქმისა წინათვე დაუდევ პსჯულად
თავსა ჩემსა ამისთვეს წინა-დაგიდებთ მცნებათა ამათ; თუმცალა შე-
ნებრ პატივოსნისაღმი გუამისა, და განათლებულისა გონებისა არა არს
ეს საჭირო, რამეთუ ყოველსაევ შინა უფალი გიძლუის შენ ყოველ-
საევ ჯეროვანსა უწინარეს თქმისა ჰყოფ და აღარისულებ, გარნა ამა მი-
ზუზისა გამო ვყოფ ამას, რათა არა დაიხსნას წესი იგი, რომელიც მი-
ეღი ჩუშეულებად, ამისთვეს მოგცემთ ამას და კუალად რათა უწინ-
დეთ ნებად ჩემი, და ჩუშეულება კელისა კუშშეთა ჩედა.

მიამ იონა მიიღებს ცხოვრებასა სახლსა შინა, მათის უგანათლე-
ბულესობის მეფის ძის თემურაზისასა 1816 წელსა 6 თებერვალს.
სანქტ პეტერბურგს¹⁹⁸.

გარდა პეტერბურგის იმ ძირითადი საცხოვრებელი სახლისა, თე-
მიურაზ ბატონიშვილს საკუთხულო სახლიც „საზაფხულო სახლიც“ პქონია სამ-
პერატორო აგარაკებზე პეტერგაოფსა და ცარსკოე სელოში, სადაც იგი
იმპერატორის თვალის წევრებთან ერთად ისვენებდა¹⁹⁹. ამას აღარისუ-
რებს ჯერ თვითონ თემურაზის წერილები მ. ბროსესაღმი, და შერე,
ბაღრბეგ ბასტამოვის ვრცელი ცნობები მისი „თავგადასავლიდან“. 1830—1831 წლებში, როდესაც მოსკოვსა და პეტერბურგში საშინე-

ლი ქოლერა მძინვარებდა (ამან იმსხვერპლა, სხვათა შორის, თემურა-

198 ს — 1532 — ფორათი (წერილების ქრებული), ვ. 128—129; ტექსტი შეორ-
დება ამავე ხელნაშერის 192—193 გვერდებზედაც.

199 იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, თემურაზისვე მოწმობით თურმე განსა-
კურებულ ურალებას იჩენდა მის შიმართ: „...ხელმშიიც იმპერატორი ყოველს
უაშ ჩევნედ განსხვავებით მოწყალე ბრძანდებოდა და ჩემს სახელს არ მოშლის“
(თემურაზის ანდერძი, გამ. „საქართველო“, 1916, № 146).

ზის რძალი — ბაგრატ ბატონიშვილის მეუღლე ექატერინე²⁰⁰) თემურაზ
ბატონიშვილი თავისი ოჯახით პეტეროფს სწორედ ამ „სახაფულ
სახლში“ ყოფილა განიჭნული: „ეამსა აქა ხოლერის შემოქმედებისა, მე
ჩემის სახლეულებით და ზოგის ჩემის ნათესავებითა, ვიცვენით ვიზ-
ვილად პეტერლოფს, საზაფხულოსა სახლსა (ეს ე
იგი აფარასა) ჩემსა, და ვინახდგან მას უამსა დიდებული ია-
პერატორი თვისისა დიდებულისა ფომილიითა სცხოვრებდეს მუნ, ყოვ-
ლითურთ გარემოცულ იყვნეს გარემონი ადგილისა მის და განმაგრე-
ბულ კარანტინითა დიდითა. ამისთვის ფრიადი შვეიცარია იყო მუნ და
უფიქრელობა სასტიკისა მის სენისა ვნებათაგან. მაგრამ, ვინახდგან,
ალაგისა მის იწროებისა ძლით ინება დიდებულმან იმპე-
რატორისა ფომილიამან ცარსკისელოდ წარსვლად, მუნიდგან, მეათ-
ოვეში (ესე იგი იღლისის თვეში), ჩვენცა წარვყევით თანა ცარსკისე-
ლოდ და მრთელსა ზაფხულსა, შემოდგომასა და ვიდრე ქამომდე
ვსცხოვრებდით მუნ.

გარემოთა დაბათა და სოფელთა შინა ცარსკისელომასთა თუმცა-
ლა მახლობელ მრავალთა ადგილთა იყო სენი იგი, მაგრამ შეწევნითა
ღვთისათა ცარსკისელობა შინა არა აუთლა კარანტინმან სენისა მის შე-
მოსლვა და ყოველნი მცხოვრებნი ქალაქისა მის სახლეულებანი და
მონათესავენი ჩემნი ყოველნივე განვერენით შვედობით. მაგრამ პე-
ტერბურგსა შინა, რომელიცა იყვნეს უამსა მას მონათესავეთა ჩემთა-
განნი, მოგვაკლდეს მათგან ვინ თნიმე, რომელთა
განი ერთი იყო ძმის ცოლი ჩემი მეფის სძალი ეკატერი-
ნა, დიახ შერაცხილი ჩვენს ოჯახში და პატიოსანი, და ამისთვის არა
მცირედი შშუხარება მივიღეთ, ვინახდგან გარდამეტებულად შშუხა-
რებს ძმას ჩემი, და წვრილი ძმისწულნი ჩემნი დაშონეს უდედოდ.

ფრიადი სიცრთხილე გვერდა ჩვენ და ალკალივა, ვინახდგან
მეუღლესა ჩემსა ეშინოდა უმეტეს (ვითარცა არს წესი დედათა ბუნე-
ბით ჭირთა მკრთალობასა) და ამისთვის ფრიად გვიან მოვეწდვენით პე-
ტერბურგს და არც რასა მივიღებდით მუნიდგან“ — წერს თეიმურაზი
მ. ბროსეს 1831 წლის 15 დეკემბერს²⁰⁰.

1830 წლის 5 აგვისტოს პეტერბურგში, თეიმურაზ ბატონიშვილ-
თან თბილისიდან ჩამოსულ ბალრბეგ ბასტამოვს მასპინძელი შემთხვე-
ვით დახედა შინ („ჩემი ბედისაგ, პეტერბურლში მობრძანებულიყო
ბატონისშვილი წირვაზედა“), რომელმაც მალე იგი პეტერგოფს, თა-

200 წერილები, გვ. 10. შლ. პ. კარბელაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, გაზ. საქართველო, 1916, № 145.

ვის „დაჩაზედ“, ხოლო იქედან ცარსკოე სელოში წაიყვანა: წა...მერე/ ერთ კვირას უკან ჩავსხედით ქარეტაშია და წავედით დაჩაშეკრუშუმზე ლიც არის პეტერბურლიდამ 26-ი ვერსტი, ჩემი ბეღისაგ, პეტერბურლში მობრძანებულიყო ბატონის შვილი წირვაზედა, ამიტომ პეტერბურლში დამხვდნენ, თორემ უნდა დროშეა მექირავნა და 26 ვერსტი მისული ყავი დაჩაში, რომელსაცა პეტერბურლში ცხელა, მოვედით და ბატონის შვილი თეომურაზის მეუღლე ელენე ამილახვრის ასული იქ ბძანდებოდა, იმანაც მიმიღო კარგათ და ვიყავი მე პეტერბურლის შინა.

აგრეთვე აქა ზაფხულათ იმპერატორი აქა ბძანდებოდა თავის ფამილითათურთ, ამიტომ რომ პეტერბურლში ცოტათ ცხელა, კარგის პაერის გულისთვის პეტერბურლის მობრძანდებიან ზაფხულში.

ამა პეტერბურლის შინა ვიყავი ორი თვე და ნახევარი. მერეთ შევიტყეთ უბედურება, რომ ხოლერა მოსკოვში გაჩენილა და ეშინოდათ ს. პეტერბურლშიც არ გაჩენილიყო. ...იმპერატორიცა ბძანდებოდა ცარსკოის-სელოსა შინა, რომელიც არის პეტერბურლიდამ 22-ი ვერსტი. იქ კარგი ჰაერის გულისთვის წაბრძანდა პეტერბურლიდამ. ბატონის შვილმა როდესაც შეიტყო, რომ იმპერატორიცა ცარცუის სელოს წაბრძანდა, ჩვენც ავიყარენით და იქ წავედით, ამიტომ რომ ღმერთმა ნუ ჰქმნას, თუ ხოლერა გაჩენილიყო ს. პეტერბურლისა, მაშინ, არავის აღარ გაუშვებდნენ, ამის გულისთვის ჩვენც აღრევე იქ მივატანეთ, ამიტომ რომ რასაკურველია საცა იმპერატორის ფამილია იქნებოდა, იქ კარგი დოხტერინიც იქმნებოდნენ. წავედით ცარსკის სელოსა და იქ დავდექთ. ამა ცარსკი სელო საკურველი კარგი აღაგი არის და წმინდა ჰაერი იყო და ...არის დიდი სასახლე და ამა სასახლეში არის პრიდეორნი ეკლესია და ამას ეკლესიაში ყოველ დღეს წირვა იდგა, აგრეთვე ყოველსა დღეს იმპერატორიცა წირვას ისმენდა და ჩვენც ყოველს დღეს მივდიოდით წირვაზედა.

მერეთ ერთ თვეს ანუ ქრისტიანობის 20. 1830-ს მობრძანდა იმპერატორი მოსკოვიდან და თევისი ჭამილითათურთ წაბრძანდნენ ს. პეტერბურლისა, ჩვენ დავრჩით ცარსკოის სელოსა, ამიტომ რომ ს. პეტერბურლში ნევა წყალი გაყინულ იყო, რახან ბატონის შვილის სადგომი იყო წყლის იქით ვასილევცის ოსტროვში მეცხრე ლინიაში. როდესაც გაყინების დრო იქმნებოდა იციან, მაშინვე ესე ხილს აშლიან და როცა გაყინდება მაშინ ისევ გამართამენ და ზაფხულში როცა დრო მოვა, ყინულის წყლის წალების დრო ისიც იციან, მაშინ კიდევ აშლიან ხილსა და როდესაც სულ ყინული გაიშმინდება მაშინ ისევ ხილს გამართავენ და ამის გულისთვის ჩვენც ველოდით, რომ ხილი გაედოთ და ვასილევცის ოსტროვში გასულ ვიყავით. მერეთ რამდენსამე ხანს უკან შევიტყეთ რომ ხილი გაუდინათ და შეიძლე-

ბა ვასილევცის ოსტროვში გასცლა*. მერეთ წავედით ს. პეტერბურგში
და ბატონის შვილმა მიბოძა ცალკე სადგომი და ვიდექი ჩემთვის მის
ვენებითა... საქართველოს მეფე გიორგის ძის თეიმურაზისაჭავალიშვილი
ს. პეტერბურლისა ვასილევცის ოსტროვში მეცხრე ლინიაზე დასახულდა.

* * *

ასლა, რაც შეეხება, თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ პეტერბურგ-
ში გამართულ კარის ექლესიას.

XIX საუკუნის დასაწყისს, პეტერბურგში გადასახლებულ საქარ-
თველოს სამეფო სახლის წევრთა წინაშე, ბუნებრივია, იმთავითე და-
დგა მათ ახალ დაგილსამყოფელში ქართული ეკლესის გამართვისა
და საეკლესიო ღვთისმსახურების ქართულ ენაშე შესრულების აუცი-
ლებლობა.

ამ მიზნით, ტახტის მემკვიდრეს, დავით ბატონიშვილს 1812 წელს
განუზრახავს თავის სახლში („თესია აგარასა შინა“) გაემართა კარის
ექლესია. საამისოდ, მას მოძღვარიც კი ჰყოლია შერჩეული. ეს იყო
პეტერბურგში 1806 წელს მოსული ონა ხელაშვილი, რომელსაც ამ
დროისთვის დამთავრულებული პეტრი ალექსანდრე ნეველის აკადემია,
სადაც იგი თვითონ დავით ბატონიშვილის ზრუნვით ჩაირიცხა 1809
წლის 10 ნოემბერს, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების კლასებ-
ში („მიართვა ვედრი მემკვიდრემან დავით იმპერატორს ალექსანდრე-
სა და მეოხებითა მეფის ძისათა კურთხეულმან მონასტერი წარგზავნა
შრანება ქარტითა ამბროსი მიტრაპოლიტთან... წმიდა ალექსანდრე
ნევერის აქადემიასა შინა, ფილოსოფიის და ღვთისმეტყველების კლა-
სებთა შინა... ესერა შევასრულე კურსი 1812-სა წელსა“, ი. ხელაშვი-
ლი, „რონინი“, S 388, გვ. 239) და უკვე მღვდელ-მონაზვნადაც იყო
შემოსილი („...და შემმოსა ამბროსი უწმიდესი სინოდის ბრძანები-
თა მონოზნად ოკდობრის ცისკრად და წირვაში იერო დიაკონად მა-
კურთხეს. და მესამესა დღესა იერომონაზნად ხელი დამსხა არხიერმან
დოსითეოზ“) და დავით ბატონიშვილთან სულიერ მოძღვრად მიწვეუ-
ლი („...და მერმე წარმავლინა [ამბროსი მიტრაპოლიტმან] მემკვიდრე
დავით მეფის ძისა თანა, თხოვისაებრ ნეტარ სახსოვრისა დავით კაცთ
მოყურისა მწირთა შზრდელისა“).

* პეტერბურგში ამ დროისათვის (ე. ი. 1830-იანი წლები) მდ. ნევაშე შედმივი
ხილები ჯერ კიდევ არ არსებობდა. პირველი შუღმივი ხიდი აქ აშენდა შეოლოდ
1842—50 წლებში, რომელიც ასლა ლეიტენანტ შემიდრის სახლს ატარებს.

201 ბ. ბასტაზო ი, ჩემი თავგადასავალი, საქ. სახელმწ. ლიტ. მუზეუმის
ხელნაწერი № 98, გვ. 22—28.

მაგრამ ნაპოლეონის შემოსვლამ ხელი შეუშალა ბატონიშვილი კი კით იმპერიატორ ალექსანდრე პირველისაგან კარის ექლესიერების მართად საჭირო სახსრები რომ „გამოეხოვა. ი. ხელაშვილის მცდელობას: „ამა ლამობდა სურვილით ეკლესიისა აღშენებასა დავით შემკვიდრე თვისსა აგარასა შინა დიდისა, გარნა შემოსვლამან ნაკოლევონისმან დაგვაპრკოლა. ვერდა თხოვა ვერცხლი მონარხსა შეწევნად“ (რონინი, გვ. 239). ასე, რომ დავით ბატონიშვილს კარის საყდარი არასდროს ჰქონია და ამგვარად, არც კარის მღვდლად ეყოლებოდა იონა, როგორც იმას გ. ლეონიძე ფიქრობს: „აუდემიის შემდეგ იგი [იონა ხელაშვილი] კარის მღვდლად ემსახურებოდა ბატონიშვილ დავით“²⁰².

თუმცა, ავე შევნიშნავთ, დავით ბატონიშვილის ცდას მთლად ფუჭად არ ჩაუვლია: ჩახან საცუთარი კარის საყდრის „აღშეიძა“ ვერ შესძლო, იმას კი მაინც მიაღწია, რომ მის სულიერ მოძღვარს იონა ხელაშვილს პეტერბურგელი ქართველობისთვის წირვა ქართულ ენაზე შეესრულებინა პეტერბურგის წმ. ანდრიას ეკლესიაში, რომლის ნებართვა 1812 წლის 13 ნოემბერს მიუღიათ „მყოფა სახლსა შინა მათის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ძის დავითისა იერომონას იონას ვიდრე აღშენებადმდე მას შინა გელესიისა, ნება ერთვის ამით შეწირუად საღმრთო ლიტურეტურისა ქართულსა ენასა ზედა, პრიდელნის ეკლესიასა შინა ანდრიას სობოროს ასა, თან კმობითა და ცნობითა მის სობოროს დადგენილს პროტოიერის სტეფანისითა ნოემბრის 13 1812. ამზროსი მიტრაპოლიტი ნოვლოროდისა“ (S — 1532, გვ. 327).

ამ დროისათვის უკვე პეტერბურგში გადმოასახლეს იმერეთის სამეფო სახლის წევრებიც (ხოლო მეფე სოლომონ II ოსმალეთს გაძიცა), აათ შორის უკვე ხანში შესული ანა ორბელიანის ასული, დავით მეფის მეუღლე და მარიამ კაცია დადიანის ასული, სოლომონ მეორის მეუღლე.

მღვდლ ბარნაბიშვილის ცონბით, „მოხუცებულ ...ანია დედოფალს ცირ წევრელო სხვაგან ეკლესიებში სიარული და თავის სახლის სადგომშივე გაიკეთა საყდარი..., ხოლო მემკვიდრემ დავითმა მიუჩინა.. მოცლურად თვისი მოძღვარი იონა ბერ მონაზონი“²⁰³. აურ თეთონ იონაც ამბობს თავის „რონინში“: „...უმაღლესმან ანია დედოფალმან

202 გ. ლეონიძე, იოანე ხელაშვილი. გან. „ლიტ. საქართველო“, 1938, № 5.

203 მღ. ი. [6] ბარნაბიშვილი ი. ბერი იონა ხელაშვილი, „სახალხო განეონი“, 1911, № 348. მღრ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. 1, თბ., 1960. გვ. 405.

იმერეთისამან სოხოვა მემკვიდრესა თავი ჩემი და მიმცა და ვმიმართე
უკლესიასა სახლისა მის უმაღლესობისასა სამწი წელი გამოსახული
დიდ ესვდა სამღოობასა ჩემსა“ (S — 388, გვ. 239). მაშენადამშეასუ
1812 წლის მიწურულამდე, წყაროების მიხედვით, იონა ხელაშვილი
დავით ბატონიშვილთან იყო მის სულიერ მოძღვრად, და ამის შემდეგ
იონასავე მოწმობით, იგი სამი წელი ემსახურა კარის მღვდლად იმერ-
თა დედოფალ ანა ორბელიანის ასულს, გამოდის, რომ იონა ხელა-
შვილი ანა დედოფლის კარის საყდრის მღვდელი იყო 1813—1816
წლის დასაწყისამდე.

ამის შემდეგ, ესე იგი 1816 წლის დასაწყისში, საკუთარი კარის
ეპლესია გაუმართავს თეიმურაზ ბატონიშვილს. როგორც ზემოთ გა-
მოირკვა, თეიმურაზმა 1813 წელს შეიძინა საკუთარი ორსართულიანი
ქვის სახლი პეტერბურგელ ვაჭარ ვინმე ვერტმანისაგან (ვასილის კუნ-
ძული, მეცხრე ხაზი, პირველი კვარტალი, მაშინ ნომერი 28). მას უკვე
თავისუფლად შეეძლო მასში გაემართა საკუთარი კარის ეკლესია. თეი-
მურაზს თავისი ეკლესია გაუმართავს სელით-უქმნელი ხატის
სახელობაზე, რასაც არკვევს მისივე „კურთხევანი“, რომელიც ამავე
1816 წელს შეუწირავს მისთვის ასეთი სათაურით: „ეს წმ. კურთხევა-
ნი მეფის ძის თეიმურაზის კარის ეკლესისა არის, ხელით-უქმნელის
ხატისა და შეეწირა წელსა 1816 წ. დეკემბრის 24“²⁰⁴.

საინტერესოა, ვინ ჰყავდა თეიმურაზ ბატონიშვილს თავის კარის
ეკლესიაში მწირეელ-მლოცველად და მღვდლად. ცნობილია, რომ მის
მიერ საქართველოდან 1810 წლის ოქტომბერში წამოყვანილი მოძღვა-
რი, გორელი დეკანოზი სიმონ გოგებაშვილი ვერ შევგუა პეტერბურ-
გის ჰავას და იქვე მალე — 1811 წ. სექტემბერში მიიცვალა²⁰⁵. ამის
შემდეგ, თეიმურაზის კარის საყდრის მოძღვარი ისევ იონა ხელაშვილი
უნდა ყოფილიყო, რომელთანაც თეიმურაზს ძევლი ნაცნობობა უნდა
ჰქონოდა: ჯერ ერთი, იონა ალიზარდა მისი პაპისა და მამის ოჯახში და
მათ ერთმანეთი უნდა სცოდნოდათ თელავის სემინარიიდანაც, სადაც
ორივენი სწავლობდნენ დავით რექტორის ხელმძღვანელობითა და მე-
თვალყურეობით²⁰⁶.

204 პლ. 3. კარბელაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, გაზ. „საქართველო“, 1916, № 145.

205 მასალები თეიმურაზ ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, ს. იორდანიშვილის
რედ. თბ., 1948, გვ. 75; 3. კარბელაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, გაზ. „საქართველო“, 1916, № 145.

206 თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები აკად. მ. ბროსესაღმი, ს. უცხანეიშვი-
ლის რედ. თბ., 1964, გვ. 30; ი. ხელაშვილი, რონინი, S—388.

მართლაც იონას სიტყვით, რომელიც მაშინ ანა დედოფალი ემაზე
ხურებოდა „თხოვა თავის ჩემი მეფის ძემ თეიმურაზ და წარმავლისა/
მისთანა“ (არინი, S 388, გვ. 239).

როდის უნდა მომხდარიყო ანა იმერთა დედოფლისაგან თეიმურაზ
ბატონიშვილის მიერ თავის ახლად დაარსებული კარის ეკლესის მო-
ძღვრად იონა ხელაშვილის გამოთხოვა? ქ. ქმპელიძის სახელობის ხელ-
ნაწერთა ინტიმურში დაცული ი. ხელაშვილისეული წერილების კრი-
ბული — „ავთრათიდან“ (S — 1532) ირკვევა, რომ იონა თეიმურაზ-
თან საცხოვრებლად გადასულა 1816 წლის 6 თებერვალს. თავისი სა-
ცხოვრებელი სახლის წესის ი. ხელაშვილისადმი გაცემულ ცალში თე-
იმურაზი ამოწმებს „მამა იონა მიიღებს ცხოვრებასა სახლსა შინა მა-
თის უგანათლებულესობის მეფის ძის თეიმურაზისასა, 1816 წელსა 6
თებერვალს, სანქტ პეტერბურგს“ (S — 1532. გვ. 129), ხოლო უფრო
დაწერილებით ეს ამზები მოთხოვობილია თეიმურაზის მიერ 1816 წლის
8 თებერვალს ი. ხელაშვილისადმი გაგზავნილ სამახსოვრო ბარათში:
„პატიოსანო ღირსო მამაო, იერომონახო კეთილშობილო კელაშვილო
იონაჲ; ვინახდგან აღზრდილი სიყრმითგან პალატსა შინა სანატერელთა
პაპისა და მამისა ჩემისათა ხარ, და მუნ დღითგან აქამომდე ყოვლითა
ერთგულებითა და შეძლებითა შენითა მსახურებ სამეფოხესა სახლისა
წევრთა და განსწავლულ ხარ შემწეობითავე მათითა თავისუფლითა
კელოვნებითა სამეფოსა ამას ქალაქსა შინა სემინარიისა წმიდისა ალე-
ქსანდრე შეველის მონასტრისასა, შემდგომად სწავლისა მღუდილ-მო-
ნიშონება შემოსილი, კვალად მსახურებ სამეფოხესა სახლის წევრთა.
ხოლო აშ ვინახდგან ჯერ იჩინე დაწესება სახლსა შინა ჩემსა, ამისთვის
განვიწესებთ თვეში 25 ოცდახუთსა რუბლსა ასიგნაციასა, რომელიც
მოგეცემის დაუკლებლად, ხოლო სანოვაგითა კმაიყოფვი ტრაპეზია
ჩვენსა ზედა; გაქუს კელია სათბობითა და სანათურითა თვესითა და შემ-
თხვევისათვს უალურებისა აქიმი და წამალი; თუმცა უმეტესისა ღირს
ხარ მოცემად საცხოვრებელისა, გარნა უცხოებასა ამას შინა ყოფად
უსარჩიობა ჩუშინი გვაბრკოლებს, და ოდეს ღმერთისა ზედა სასოებისა
დამდებელთა მიეიღოთ შესაბამი საცხოვრებელი ჩვენი, არა დატევი-
ბულ — იქმნები ჩვენ მიერ არამედ კმაიყოფილი ყოვლითურთ. აშ ვი-
თარცა შევენს პატიოსნებასა შენსა ეგრეთ წესიერად პატიოსნად უა
ჯეროვნად მცდელ იყავ სიამოვნისა და სამსახურისა. მიეცა წელსა
1816 ჭებერვლის 8.

საქართველოს მეფის გიორგის ძე თეიმურაზ, სანკტეპერ-
ბურგს“²⁰⁷.

ბალრბეგ ბასტამოვის²⁰⁸ ცნობით, რომელიც აქ იყო 1830 წლის
აგვისტოში, კარის საყდარი თეიმურაზს გამართული პერიოდის დროზე
საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე: „[1830 წლის] პერიოდის დროზე
[აგვისტოს] ა-ს მიეღლ ს. პეტერბურღს შინა ...ვიქილავე დროშა და ჩა-
მადანი წინ დავიდე და მოვიმართე ხელი ნავოსილებულის ოსტონვაში
მეცხრე ლინიასაკენ და რათა მქონდა მამიჩემისაგან წერილი პავიტ
ბატონის შეილთან თეიმურაზ გიორგის ძესთან, რომელიც მივიღ ქვე-
ვით სადგომში, ჩამაღნიდამ ამოვიღე რეკომენდაციას წიგნი და აველ
მაღლა სადგომში, რათა წირვა იღვა. სახლში
აქვთ საღდარი და ქართვლის ღვადელი, მე შე-
ვეღლ...“ (ლიტ. მუხ. № 98).

1817 წლის 8 აგვისტოს თვეში, ბატონიშვილის მიერ თავისი კარის
მოძღვრის იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ წერილში ძლიერ საინ-
ტერესო მასალაა დაცული თეიმურაზის კარის საყდარში წარმოებულ
ღვთისმსახურებაზე: „პატონსანო ღირსო მამაო იეროპონახო იონავ;
დღეიდან იყევევით ჩუტეს ეკლესიაში ყოველს მოხსენებაზედ და წმი-
დას მსპულ რალის გამოსუტებებაზედ მოხსენება ესრცთ:

პირუტლად დიდებული ცელუსიფე და მათი ფამილიანი ჩუტუ-
ლებისამებრ მოისუნე, ვითარც აქამომდე იხსენებ წესისამებრ და
დაცულებლად.

შემდგომად ამისა სამეფოსა სახლისა წევრნი ესრეთ მოგვიხსენე:

პირევლად: უკეთილმსახურესი და უმაღლესი სრულიად საქარ-
თუშილოსა დედოფალი რაზიამ მოისუნოს უფალმან.

ცორედ: კეთილმორწმუნენი და ქრისტეს მოყვარენი საქართუშ-
ლოს მეფეთ ძენი, სძალნი, ასული და მის ძენი მათი მოისუნოს
უფალმან.

მესამედ: კეთილ-მორწმუნე საქართუშლოს მცფის ძე თეიმურაზ
და მცულლე მისი მეფის სძალი ელენა მოისუნოს უფალმან

გაარისტოა შინა ჩემსა ესრეთ ჭერ მიჩნდა, რათა დღვევანდელს
დღესასწაულზედ იწყოთ ბატონის დედის ჩემის მარიამ დედოფლის
მოხსენება, და დღეს იქით დაცულებლად ყოველს აფგილა, სადაცა
წესია მოხსენიებისა, პირუტლად მარიამ დედოფალი დედა ჩუტნი მოი-

208 თბილისელი სომხეთი აზნაური, თავის დროს სპარსეთში გადახევილი ალექ-
სანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების ამალის წევრის — გორგა (ავორ) ბასტა-
მაშეილის უმცროსი ვარი. დაბადებულა 1806 წელს, 1826—28 წლებში, 20 წლის
ბალრბეგი მოაწილეობას იღებდა ამ დროს განაღებულ რესეთ-ირანისა და რესეთ-
ოსმალებთას ომებში. 1829 წლის 28 მაისს თბილისიდან გაძგვარებულა რესეთს
(გაუდრი ვლადიკავკაზი, ეკატერინაგრადი, რიაზანი, ტამბოვი...) და 1828 წლის 17
აგვისტოს ჩასულა მოსკოვს, ხოლო 1830 წლის აგვისტოში პეტერბურგს.

ხსენოთ მარადის და მერე საქართულოთ მეფეთ ძენი, სძალნი, ასეთი და მის ტენი.

ვგვბი მარადის უმდაბლესსა შინა პატივისცემასა თქელი მიზანურა ქართულოს მეფის ძე თეიმურაზ.

წელსა 1817

აგვისტოს 8

სანკტპეტერბურღს

არ დაგვაიწყდეს შენს მაღლასა და ესრეთ აღასრულე და ფამისა-
მებრ ვისაც შექუდებოდეს და აწირვინებდე ხოლმე საყდარში, ამათაც
ასევე გამოუცხადებდეთ მოხსენებას. დღესაც მათის უგანათლებულე-
სობის მეფის ის დავითოსათვის ჰსწირე და ამის შემდგომად ღმერთ-
მან მშვიდობით მიგუაწევინოს. წლამდის ასე განაწევს, კვირაში
ოთხჯერ წირუა: სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათს და კვი-
რას, კოლიოც (I)ყოველობის გენებათ ზედაშე და სეფის კვირი და
ორმეოცის წირებისას და ამ წლისას სამარხიდამ ავილებთ და სრული-
ად მიითუალავთ საწირავებს.

უმდაბლესად საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ²⁰⁹.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზის კარის საყდარში ღვთისმსახურე-
ბა გარკვეულად შემუშავებული წესითა და თანმიმდევრობით ტარდე-
ბოდა და მჩევლიც საცაოდ მრავალრიცხვოანი ყოფილა, როგორც
ამას ბ. ბასტამოვიც გვიდასტურებს: „აველ მაღლა საღვომში რათა
წირვა იდგა. სახლში აქვთ საღდარი და ქართვლის ღვდელი. მე შეველ
და არ ვიცრდი თუ ბატონის-წვერი თეიმურაზი რომელი ბძანდებოდა,
ამიტომ, რომ იქ მრავალნი იყვნენ ქართულის ტანისმოსით, აგრეთვე
ბატონის რძალნი დედოფალნი, მერეთ სულ ყოველნი შემომხედეს და
ბანებეს, რომ უცხო კაცი ვარ და წიგნი ხელში მიჰირავს, მაშინვე ბა-
ტონის შვილი თეიმურაზი მოვიდა ჩემთან და წიგნი გამომართო, წაი-
ტონის თეიმურაზი ნახა, რომ თავისთან იყო მოწერილი, მე მოვახსენ რომ
ბატონისშვილზედ თემურასთან არის მიწერილი, მე თვითონ ვარ თე-
მურაზიო: მაშინვე ხელთა ანუ გულთა ვაკოცე, მიმიღო როგორც თვი-
სი ძე²¹⁰.

თეიმურაზ ბატონიშვილი და მისი მეუღლე — ელენე ოთარ ამი-
ლახერის ასული ბერეს ცდილობდნენ კარის ექლესის გასამშევნიე-
რებლად და მისი საკულტო დანიშნულების ნივთების შესამყობად.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივის ლენინგრადის განყოფი-
ლების 10 აგ 1918 ა. ბაგრატიონის ბაგრატიონის ცელ ფონდში

დაცულია მეფის რძლის ელენეს (ვოიქონბოთ უფრო აბა მალიქის ასუ-

209 ს — 1532.

210 ბ. ბასტამოვი, ჩემი თავგადასვალი, ლიტ. მუზ. ხელ. № 98.

ლისა) 1825 წლის 25 მაისის დავთარი, საიდანაც ირკვევა თუ პიროვანი როგორ „განიძირულა“ ის, რათა კარის ეკლესიის ღვთმისადან და ხატი ღირსეულად შეემკო: „ქ. წელსა ჩყკე მასის ოცდაშეთ ნების ხელით ეწერ, რათა ამ კამოტის უჯრაში ნივთები მაქეს, სულ ეს ნივთები გადადებული არს ღმრთის მშობლის ხატისათვის. ამას თანაცა ოთხასი თუმანი, ეს ხსენებული ოთხასი თუმანი ამ ჩემის სამარხის ორის ათასის თუმნის ბილეთიდამ უნდა ავიღო და ეს ღმრთის მშობლის ხატი უნდა შეიმყოს ამ ნივთებით და ოთხასი თუმნის ოქროთი და თუ ეს ოთხასი თუმანი არ ეყოფა, ჩემის შინაურის ნივთებიდამ უნდა შესრულდეს ეს ჩემგან თქმული ღმრთის მშობლის ხატი, რაცა ნივთები არის ამ უჯრაში სულ წვრილათ აქ მიწერია. პირველათ ორი ათასის თუმნის უსახელო ბილეთი რომ იქიდამ ოთხასი თუმანი ხატისა არის როგორც დამიწერია, მეფის სძალი ელენე ვწერ:

- ქ. ორი დიდი ბრილიანტის ბეჭედი
- ქ. სამი კიდევ წვრილი ბრილიანტის ბეჭედი
- ქ. ერთი კიდევ იაგუნდის ბეჭედი წმინდა ბრილიანტით
- ქ. ერთი კიდევ დიდი როზის (!) ბეჭედი
- ქ. ორი ფორმუარი (!) ერთი იაგუნდისა წვრილი ბრილიანტით და მცირე როზის წვრილის ბრილიანტით
- ქ. ერთი კიდევ ალმასის ბეჭედი ხუთი თელიანი
- ქ. სამი ქინძის თავი მარგალიტისა (მარგალიტით)
- ქ. ერთი კიდევ ქინძისთავი ზურმუხტისა დიდი ბრილიანტით და იაგუნდით.
- ქ. ათი მარგალიტის თავიანი ნემსები
- ქ. ერთი ბრილიანტის ჭვარი თერთმეტის თველით
- ქ. ერთი ოქროს ბურნუთის ყუთი
- ქ. ერთი იაგუნდებით მოქედილი ოქროს არწივის ანბარჩა
- ქ. ექვსი ამანისტის (!) თვალი
- ქ. ერთის ქალადით წვრილი იაგუნდის თველები
- ქ. ერთი ოქროს წმინდა ჭაჭვი ხატისა
- ქ. სამი მოდიდო იაგუნდი, ორი პატარა ზურმუხტი და კიდევ წვრილი იაგუნდები.
- ქ. სამი კრიალოსანი (ეს ვაჩუქე სხვას)
- ქ. ერთი იე... ჭა... თევზის
- ქ. სხვა რაცა მაქეს წვრილად რუსულათ ერთის დავთრით მიწერია ან ეგ ერთი ხელეული ან რაცა ნივთები მაქეს სულ რუსულათ დავთარში მიწერია.
- მეფის სძალი ელენე²¹¹.

²¹¹ სსრკ. მეცნ. ავადემიის არქივის ლენინგრადის განცოფილების ფონდი № 789, აღწ. 1, № 7, გვ. 23—24.

მღვდელ პ. კარბელაშვილს 1904 წ. ივლისში ჯრუქის წმ. გორგავა
მონასტერში უნახავს აგრეთვე თეიმურაზის კარის ეკლესის ჭრების დღე
ლი იქრიში დაფერილი ვერცხლის სანაწილე კოლოფი ძეწევიათამოსის
მელსაც შემდეგი წარწერა ჰქონია: „ღმერთო შეეწიე მეფის ძეს თეი-
მურაზს და მცულლესა მისა მეფის სძალს ელენეს და ყოველთავე მა-
თთა. ეს წმ. სანაწილე შეიმკო მათის ეკლესის ღირს პატიოსანის
იქრომონახის ვიქტორ გიორგაძის სულის საოხად. წელსა ქრისტესით
1839“²¹².

თეიმურაზის ეკლესიში მრავლად ესვენა მათ მიერ შემკობილი
„ხატჯვარი“. ამას მოწმობს თვითონ თეიმურაზის 1846 წლის 8 თებერ-
ვლის ანდერძი მისი მეუღლისადმი: „...საყდარი ჩვენი ჩემი და შენი
არის და ჩემს შემდგომ სრულიათ შეამყე და მათი წმიდა ხატჯვარი
ყოველივე და ჩვენის სახლის შემკობილნი და შეუმკობელნი — შენი
არიან და ამ ეკლესიაში იმ წესით, როგორც ჩემს დროს იყო დაწესე-
ბული — ისე უნდა ისვენოს...“²¹³.

1849 წლის 8 მარტს პ. კარბელაშვილის ცნობით, „თეიმურაზის
მიცვალების შემდეგ ელენემ შეამყო მაცხოვრია ხატი 9/8 გო-
ჯი იქრო ბურეილი ვერცხლით, გარშემო ძვირფასი თვლებით გარშე-
მო წმ. ნაწილების ბუდეებით. 1. უჯარმის ჯვარის ნაწილი; 2. წმ. მთა-
ვარმოწმის ეკატათისა; 3. წმ. ანასტასია სწეულთა მცურნალისა; 5. წმ.
ქრისტეს საფლავის ლოდი და მიწა; 6. წმ. მოციქულისა სიმეონ მო-
ციქულისა მოშორნისა; 7. წმ. სევტისა ცხოვრებისა; 8. მიწა წმ. ნინოს
საფლავისა; 9. წმ. ნიკოლოზისა; 10. თმა წმ. ბესარიონ ფავლენიშვი-
ლისა.

ეს შშენიერი ძვირფასათ შემკული ხატი ბატონის რჩალმა ელე-
ნემ გამოგზავნა მცხეთაში სამთავროს დედათ მონასტერში ოთი თუმა-
ნი ფულით, თეიმურაზის სულის სახსენებლათ საუკუნოდ. 1899 წ. ვნა-
ხე ხატი და ზურგზედ პქონდა წარწერა: „შემიწყალე მაცხოვარო ჩემო
შემამკობელი პატიოსნისა ხატისა შენისა საქართველოს მცენის საბალი
და ასულით თავადის ოთარ ამილახვრისა ელენე და ღირს ჰყავ საუკუ-
ნესა ცხოვრებასა კურთხეული მცულლე ჩემი საქართველოს მეფის ძე
თეიმურაზ, შშებელი ძისა საქართველოს მეფე გიორგი მეუღლით, ძით
და ასულით. მარტის 12, 1845 წ.“²¹⁴.

212 პ. კარბელაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველო, 1916.
№ 148.

213 საქართველო, 1916, № 146.

214 საქართველო, 1916, № 148.

სამწუხარო ბედი ეწია ამ ხატს. იმავე ავტორის ცნობით, „1901წელში მონასტერი გაძარცვეს ავაზაკებმა და ამ ხატსაც ფლერტული და წაიღის. ეხლა ცარიელი ფიცარილაა“²¹⁵.

მიყუბრუნდეთ ისევ თეიმურაზის კარის ეკლესიის მოძღვართა საკითხს.

როგორც ვთქვით, საქუთარი საყდრის გამართვისთანავე, 1816წლის 6 თებერვალს თეიმურაზმა კარის მოძღვრად ანნა დედოფლისა-გან იონა ხელაშვილი გამოითხოვა. წყაროები მოწმობენ, რომ თეიმურაზმა და იონას შორის იმთავითოვე კარგი ურთიერთობა დამყარებულა, თეიმურაზი ძლიერ დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მას, როგორც შესანიშნავ ღვთისმეტყველსა და მწიგნობარს²¹⁶. შემონახულია რამდენიმე მიძღვნა, უმეტესად აკროსტიხებით იამბიკოები თეიმურაზი-სა იონასადმი.

თეიმურაზმა პეტერბურგში რუსულიდან თარგმნა და 1818 წლის 18 დეკემბერს იოსებ იოანესოვის სტამბაში დაბეჭდა „განვსჯანი არის-ტოტელისანი კეთილისათვს და ბოროტისა“. მისთვის წამლვარებული თეიმურაზის იამბიკო-წინასიტყვაობის სათაური ასეთია: „წინა სიტყუაობა აკროსტიხურით მისდამი ვისთვსცა ვიღვაწე“. აკროსტიხი: „იონა იერომონას გიძლვნი მეფის დე თეიმურაზი“, არკვევს, რომ მას თავისი ეს თარგმანი მიუძღვნია იონა ხელაშვილი-სადმი:

ისთვლების სიბრძნის, ყვავილნი სათნოებით.

ორ ფრთე ჰყოფს სულსა, ხდევის და საქმის თხებით.

ნათლად უჩრდილად, გზით ღმრთისა პსკულთა მცნებით.

ალიკანტის ზენდ. განაბრწყინვებს ვონებით.

იყი იცავს ჰავულს, ბუნებითს განმტკიცებით.

ესე ღილისა ფილოსოფობის პსფანი,

რომელთა უყუარსთ, სწავლათა უხვად მეანი.

ოქრო კით ბრძმედით, მის ბრძნისა გამომღნარნი.

215 საქართველო, 1916, № 148.

216 პ. კარბელაშვილი ასე ახასიათებს მათ ურთიერთობას: „თეიმურაზის სახლი 1811 წლიდან ხელ-ხელა გარდაიქმნა მწერალ-მწიგნობრობის ტრუიალთა საღვურათ. თეით თეიმურაზი და იონა ბერი თავის შეძლებით დიდათ ხელს უწყობდნენ წოდების განურჩევლათ ყველა ახალგაზრდა ქართველს, რომელიც კა პეტერბურგს მიაღწიედ სასწავლათ: პლატონ იოსელიანმა, სოლომონ დოდაშვილმა, ღავით ჩუბინშვილმა, სოლომონ რაზმაძემ, იოანე ბაძლიძემ, სიმონ ტაბიძემ აქ, თეიმურაზის სახლ-ში იგემეს შარბათი მეცნიერებისა და საშობლო ერის სიყვარულისა. აქ მეფის ძი კარხედ ივინი პერვებდნენ ნუგეშსა და შშობლიურსა მზრუნველობასა გაჭირებაში“. (საქართველო, 1916, № 146).

მიუძღვნათ ივერთ, განსუალონ მათნი ყრმანი.
 ორძილობის ჟამს, ეის შვენისთ კეთილთ წვრთან.

ნაცო საყულლად პსტეუცის, მოძღვართ სულის მშედობა:
 ალექსისმა ენებათ, მოთმინებითა ბრძნობა.
 ხელვით სიმღლე, აღსლეა სიყვარულს ტრფობა.
 საქმით სიმღაბლე, სიწრფელე არ ღადრობა.
 გულის-სიფიცხლის, ღამჭირვა ღაცამხობა.

ძერით და შერით, ღაიბრმობს უღმრთო თუალსა.
 ღმრთის განმარისხად, ღასთრგუნავს სამართალსა.
 ვნებას შისცემს ქერივთან, ობოლთ არ მსჯავრს მართალსა
 ნაცულად ქებისა, მაგინებლობის ალსა.
 იუქრვეეს პირითა, მით ღაბასნის კეთილთ ძალსა.

მშრომელი ყოვლითა, ცოდვათა ღიღი ძერი.
 ესე იგი არს, ვეგხლი ეშმაკი საცური.
 ფესვი ყოვლისა, ბოროტისა და ძირი.
 ისარი მყელელი. და გამბასერელი მწერი.
 სტულის წყალობას, ჰყოს სული მაღლათაგან მწირი.

ძლიერი იგი, არს მამაცი სულ-გრძელი.
 ერევის ეინმცა, ცუდთ ნებათ ღვაწლით ერცელი.
 თავს სიბრძნის მრჩეველი, უმეცრების განმძრცველი.
 მყელოს რაცა, არა რად შემჩაცხველი.
 იგი პსდგეს სიმხნით, მტკიცედ განუდრელი.

შშრომელ მეითხელთ, გენუკი შენდობასა.
 უკეთუ საღმე, შევაცდინე ცნობასა.
 რაც კეთილთა და ბოროტათვს სჭასა.
 არისტოტელე, მოგვცემს ვასმენთ თუ მასა.
 შესთა კეთილთ და, სოფლად უხუდეთ ღიღებასა²¹⁷.

არსებობს თეიმურაზის მეორე შესხეა-იამბიკო იონასი, აქროსტიჩი:
 „ი თ ნ ა ს“:

ინეტარების განბრძნობილი გონებით.
 ორიონ სიბრძნის დღისა წინამსრბოლისა.

217 განვსჯი არისტოტელისანი... ქართულისა ენასა ზედა გარდამოთარ-გმნილ იქმნა მეულის გიორგი მეთუცმეტის ძის თეიმურაზის მიერ. წელსა განხორ-ციელუბითგან სიტყვასა ღმრთისა 1818. დეკემბრის 18. ხოლო ქართულსა რიცხვესა მეთოთხმეტის ქორონიკონისასა ფკ. ღაიბეჭდა საფასითავე მათის უგანათლებულე-სობისათვის სამეცნიეროსა ქალაქსა შინა სანქტ-პეტერბურგის. სტამბასა შინა იოსებ იო-ნესოვისასა (კ. კეკელიძის სახ. ხელნაშერთა, ინსტიტუტში ღაცულია მისი სალი—S 142, გადმოწერილი 1823 წელს გორში, მღვდელ დამიტრი იქროვის მიერ).

ნათლისა მიერ შოთენითა ყუავილთ ზე.
 აღიმსთუშ სიბრძნის მოყუარეო დილეულ
 საგანმხედველოსა თრატისა მოსთულებად.
 თქმული მეფის ძის ოემიტრაზისაგან»²¹⁸.

მოიპოვება აგრეთვე მესამე შესხმაც თეიმურაზისა აკროსტიჩით:
 „ოონად იმხნე“:

იღუშა ოდეს ისონავე საჭურუშლით.
 თხერით საყვირასა სცა დასცნა უცხო თესლი.
 ნებისა ღმრთისა წინა აღმდევნი ერნი.
 აღიღევ შენცა მაგალითი სიმხნისა
 და ძალისამებრ შეუდევ მხნეთა სულსა.

იღიდებან ქრისტეს მოსახელენი.
 მხედარნი იგი მწყობრნ ერთ მთავრისანი.
 ხატ მხნენი იქმენ მობაძეობად ძლიერთა.
 ნეტიარებათა გულოვანთასა წვრთითა,
 ეზიარე და აღირაცხვე მათ შორის»²¹⁹.

თეიმურაზ ბატონიშვილს ანბანთქების ფორმითაც შეუქმნია ი. ხელაშვილის შესხმა:

„ამბან ღირს არს ესე შემკობად ამბანითავე

აღებაძე	ბძრენთ,	გონიერებით	დიდთა
ესე	ვითარის,	ჰეციებრითა	თხზვითა
იმსთვლე	კეთილ	მოსაგები	ნეტართა.
ჰადონ	ორფეს	პირი	ფლერს.
რა	სეით	. . .	ტურფასა.
უაღრსებენ	ჭრიად	ქების	ღირსბად
ფოვლადსა	შინა	ჩვენებულნი	ცობანი

²¹⁸ S 137, ვ. 93. IX, ეს ლექსი შესულია აგრეთვე შემდევ ხელნაწერებში: S 254, ვ. 09, 018; S 288, ვ. 10, 72; S 279, ვ. 10, X; S 306, ვ. 10, X, S 416, ვ. 1; ქუთაისურ ხელნაწერში № 224, ვ. 3. ხელნაწერის აღმწერელს ე. ნიკოლაძეს თეიმურაზის ეს ლექსი იონას ლექსად აქვს გამოცხადებული: ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1, ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1953, ვ. 404.

²¹⁹ S 279, ვ. 72v—73r.



მამაო იონა შდაბლად სრულიად საქართველოს მეფის ძე თეო-
მურაზ“²²⁰.

ჩვენამდე მოულწევია მადლიერი ბატონიშვილის 1823 წ. 19 ივ-
ლისის წერილსაც იონა ხელაშვილისადმი: „მაღალ ლირსო სულიერო
მამაო იონავ! საზრდელი ქორცთა არიან ნივთი ზრქელნი და მიწიერნი;
ხოლო საზრდელი სულისა სიტყუანი კეთილნი და თაფლ-ზავებულნი,
რომელნიცა აღაორძინებენ და ზრდიან სულსა; მსგავსადვე ქარტაზ წე-
რილისა შენისა გრძნობამან სულისა ჩემისაგან მიიღო, თუმცადა კი-
თილნი და თაფლ-ზავებულნი მატნ (!) ესუათ შუშნიერ-მოუბნარობა-
თა, ოდესუა შეუდგებოდეს მას კანონი სიმართლისა, გარნა საღმრთოდ
ნეკტარნი სიტყუათანი მატნ ყოვლითავე, და ესე უკეთილეს არს და
უგოლიერეს ყოვლისა სიტყობისა მტრფობი გონება ზესთა მის უმი-
ზეზომესა და ყოვლად სარკედ გონებისა ახედვებს შორის თუმსა წრფე-
ლსა სიფართესა საქმეთასა და დაუშრობელობასა სივოცესა ზედა გო-
ნიერებისასა დანერგვისა სათნოებათათა ე. ი. მარადის კეთილისა მე-
სურნეობასა, ღვწისა, განვიძებასა და მეძიებლობასა სიბრძნისასა,
რომელიცა სოფლისა ამის სიბრძნესა სიცოფედ გამოიჩინებულ — არს,
შედგომილი ამისი დღითი დღე მატ ნაყოფისა შრომათასა და საუნჯესა
იუნჯებ ნარუპარუშლისა (!) რომლისაცა ნაწილსა ლირს — გვყოსცა
უფალმან ყოველნი მოსავნი მისნი ამინ.

ხოლო ჩემ კერძ მარადის მაღრიელ ვარ მამაო შენი, ვინადგან
შრომითა ღამე და დღე არა დასცხრები სათნოდ ღუთისა და ღუაწლ-
ნი შენი ფრიად სამედო არიან სარგებლობისა მოცემად ბერთა მა-
მულისა ჩუშნისათა და იყავნ შშვილობითა სულისათა და ზოგადად მა-
რადის. 1823 წელსა იცლისის 19.

220 S 388, გვ. 65; 11—12; S 306, გვ. 334; S 1532, გვ. 35, 123. ამ ხელნა-
წერში 35-ე გვერდზე თეიმურაზის ეს ანბანოქება მოსცევს იონა ხელაშვილის წე-
რილს სოლომონ დოლაშვილისადმი, ამიტომ ხელნაწერის აღმწერელს ეს წერილიც
თეიმურაზისა: „თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი სოლომონ დოლაშვილ-
თან გვ. 22—35“. ქართ. ხელნ. აღწ. S კოლექცია. ტ. II, თბ., 1961, გვ. 324; რაც
რამაკეთველია, სწორი არ არის.

უმდაბლესად და უსაკუთრესად მოწაფე შენი მეფის ძე ოერე-
დაზ⁴²²¹.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თეიმურაზისა და იონას ერთობლები სა-
ქველოებიდო საქმიანობა. მაგალითად, როცა ქართველების მიმდევა-
მთავარმა დოსითეონმა გადაწყვეტა განახლებული იჲავერდის ტაძრი-
სათვის მოსკოვში კანკელის დაზარვინება, ნივთიერი დახმარებისათვის
მან თეიმურაზ ბატონიშვილსა და იონა ხელაშვილს მიმართა²²². მაგრამ
განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც იმსახურებს მათი გულისხმიერე-
ბა გეხაეს მიტროპოლიტ ეფთავმეს მიმართ.

ვინ იყო ეს ეფთვიმე გენათელი და რა ბედი ეწია მას? 3. კარბე-
ლაშვილის სიტყვით „მთავარმართებელ ერმოლოვის ბრძნებით მო-
ხუბული გენათელი ეფთვიმე (რაჭის ერისთვის როსტომის ძე) შეი-
პყრეს 5 მარტს 1821 წ. და ყარაულ ქვეშ გაისტუმრეა რუსეთში და
ნოვგოროდის ეპარქიის ალექსანდრე სფირელის მონასტერში დააბინა-
ვეს, სადაც მიიცვალა 21 პრილს 1822 წ. იონა მოძღვარი იყო ეფთვი-
მესი და მალ-მალ ინახულებდა ხოლმე. ეფთვიმეს სახელი და საფლა-
ვი დღესაც სალოცავია რუსებისათვის, როგორც წმინდა საკვირველთ-
მოქმედისა. იხ. საქ. კანტორისა № 1832²²³.

მართლაც, იონასა და თეიმურაზის გულთბილი დამოკიდებულება
ეფთვიმესადმი გამომეღავნებულია ეფთვიმეს იმ ორ წერილში ი. ხე-
ლაშვილისაღმი, რომელიც დაცულია ხელაშვილისულ წერილების
კრებულ „ავთრათში“. პირველ წერილში, რომელიც დათარიღებულია
1820 წლის 20 ივნისით, ალექსანდრე სფირელის მონასტრიდან ეფთვი-
მე წერს იონას: „სულიერო მამაო, მღუდელ მონაზონო უფალო იონა!

გვებრძანა სოფლად წარსლუა საარხიმანდრიტო ეპარქიაზედ ქელ-
მწიფის მობრძანებამდი, იყდომებრის თვემდე, და შემს უხილვად და
შეუნდობლად ნუ დაგვაგდებ და ესეც გვებრძანოს ჩვენის მოწ-
ყალის მეფის ძის თეიმურაზის, სამი წიგნი გუაქვს ნა-
თხოვრად, და აქ მოსკოვის გვებრძება თუ არა ის გვებრძანოს, ამასა
და ნეოგორიოდს შუა არისო საარხიმანდრიტოვო და ჩვენ არა რაც
უწყით;

გენათელ-მიტროპოლიტი ეფთვიმი, ლოცვა-კურთხევით ამბობს
გიყოფ ივლისს კა, წელსა ჩყკ²²⁴.

221 S 1532, გვ. 191—192.

222 S 1532, გვ. 135—136. დოსითეონის წერილი 1820 წლის 15 მარტის.

223 3. კარბელაშვილი, იონა ბერი (ხელაშვილი), საქართველო, 1916.
№ 206.

224 S 1532, გვ. 132—133.

მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის არის რომ თეიმურაზი
დაშვერალი რუსეთში გადმოსახლებულ ამ ქართველი მღვდელმწერების
რის გასათავისუფლებლად და პეტერბურგში თავის საცხოვრებელ
სახლში გადმოსაყვანად, რისთვისაც მას 1822 წლის 22 მარტის თხოვნით
მიუმართავს სინოდის ობერპროკურორ ალ. გოლიცინისადმი. თეიმუ-
რაზის თხოვნამ გაჭრა. თავადი გოლიცინი 1822 წლის 18 აპრილს მას
ატყობინებდა:

«Милостивый Государь!

По содержанию отношения Вашей Светлости ко мне от 22 прошедшего Марта, я имел щастие докладывать Государю Императору в 10 день сего апреля, и Его Величество Высочайше соизволил на ходатайство Ваше о пребывании впредь в доме Вашем Генатскому Митрополиту Ефимию, ныне находящемуся Александровском монастыре.

С сим вместе Его И. В ом повелено отпускать помянутому Митрополиту сумму, положенную на содержание его. А как доселе, кроме 2/т рублей, производится ему по 1/т руб., в год для найма себе служителей, содержания их и для отапливания и освещения занимаемого ими в вышеозначенном монастыре дому, то я ныне же отнесся к здешнему Митрополиту Серафиму с тем, дабы он сообщил мне свое мнение, какую именно сумму нужно будет отделить для Митрополита Ефимия из вышеупомянутой 1/т рублей.

К сему я присоединил, что находящегося при Митрополите Ефимии и Архимандрита Григория переводчика нужнее оставить при последних из них, так как первый, переселяясь в дом Вашей Светлости, не будет иметь собственной надобности в переводе, а последний, то есть Архимандрит Григорий, не может обойтись без онога.

Я долгом поставил уведомить о сем Вашу Светлость, присоединяя, что мною, с получением ответа от Митрополита Серафима, будет сообщено Г. Управляющему Министерством Внутренних дел Графу Виктору Павловичу Кочубею, дабы он учинил свое распоряжение к переезду Митрополиту Ефимию из Александровского Монастыря в дом Ваш.

Имею честь быть с истинным почтением и преданностью Вашей Светлости покорнейший слуга Князь Александр Голицын.

№ 1322

18 апреля 1822

Его Светлости Грузинскому Царевичу
Теймуразу Георгиевичу»²²⁵.

²²⁵ მასალები თ. ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, გვ. 82—83.

მაგრამ ქველმოქმედი ბატონიშვილი ამაოდ გაისარგა: ამ ბიუტი ბიდან სულ რაღაც 3 დღის გასვლის შემდეგ, 1822 წლის 21 მარტს, ალექსანდრე სვიტელის მონასტერში გენათელი მიტრიაშვილი ეფთვიმე გარდაიცვალა.

იონა ხელაშვილი ათი წელი (1816—25) ემსახურა თეიმურაზს. და ამის შემდეგ მარიამ იმერეთის დედოფალთან კარის მღვდლად გადაუდა: „ვმისახურე ეკლესიასა მისია ათნი წელი, ვიდრე გარდოთხევადმდე ბალთისა ზღვისა პუტრეს ქალაქსა შინა, აძისთვის იწყო ლტოლვა თეიმურაზ თვისის სახლთაგან წიაღ ნევისა, ამისთვის სთხოვა თავი ჩემი უმაღლესმან დედოფლმან მარიამ დადიანის ასულმან იმერთამან სულიერ მოწაფემან ჩემმან, რომელსა იმპერატორმან ალექსანდრე პავლეს ძემ მიუბოძა ეკლესია მოძრავი, რომელსა შინა აპა ესერა მღვდელობ ცხრა წელი მიმდინარეობენ“ — გვიამბობს იონა თავის „რონინში“.

3. კარბელაშვილი იმოწმებს რა „რონინის“ მოტანილ აღგილს, ფერადოვნად მოგვითხრობს ამ სტიქიური უბედურების ამბავს: „1824 წ. 7 ნოემბერს მდ. ნევა გადმოვიდა ნაციონებიდან და ...თეიმურაზს სახლში ღვარი შეუვარდა და ერთიანად გაუოხრა სახლის ავეჯეული და ცირტასი ბიბლიოთეკა. ეს იყო მიზეზი, რომ იონა თავში ცემით გადაბარებდა მარიამ დედოფალთან, რომელსაც ალექსანდრე იმპერატორმა „მიუბოძა ეკლესია მოძრავი“, რომელმაც იონა 9 წ. იმსახურა“²²⁶.

ვაგრამ როგორც ჩანს, მარტო ეს არ ყოფილა თეიმურაზისა და იონას დაშორების მიზეზი. გრიგოლ ბატონიშვილის სატირული ლექსიდან ირკვევა, რომ მათ შორის სერიოზულ კონფლიქტს ჰქონია ადგილი: „ოდეს თეიმურაზ ბატონის შვილიდამ იონა ხელაშვილი ბერე განვიდა და იმცრელ მეფის მეულეს მარიამ დედოფალთან შევიდა და დედოფალმან თავის უპრავიტელს ანუ ნაზირს სოგრატ ამაშუკელს მიაბარა: ამ ბერს კარგი პატივი მიაჲყარო და ყური უგდეო და მე მეფის ძის ძემ გრიგოლმა უსცან ესე ამბავი ასტრახანს და ასტრახნიდამ მივს-

226 3. კარბელაშვილი, იონა ბერი (ხელაშვილი), საქართველო, 1916, № 200; მისიერ, თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველო, 1916, № 145. 3. კარბელაშვილს სწორად ვერ გაუგია „რონინის“ შემდეგი ადგილი: მარიამ დედოფლის ეკლესიაში „აპა ესერა მღვდელობ ცხრა წელი მიმდინარეობენ“. „რონინი“ და წერილია 1834 წელს და ამიტომ ამბობს იონა მეცხრე წელია მარიამ დედოფლის კარის მღვდელი ვართ, თორებ იგი ამის შემდეგაც სიკედილამდე—1837 წლამდე კველა საბუთში (S 332, A 7...) მც მოძღვრად მოისხენიება. მაშესადამე, იონა ხელაშვილი მარიამ დედოფალს კარის მღვდლად ემსახურა არა 9 წელი როგორც ამას 3. კარბელაშვილი ფიქრობს, არამედ 12 წელი.

წერე ხსნებულს იონა ბერს ეს ლიქსი, რომელიც იგი იონა ბურიათის გაზრდილი იყო და მე მეწყინა, რადგანაც ბიძი ჩემის ფეიტონზიდამ გავიდა და იმერლებთან შევიდა და იმისთვის მიცის უკანასკნელი ესე²²⁷:

„ქ. მეფის ძეს თეიმურაზსა, ახლდა იონა ბერიო,
მას უღალატა გავიდა, სხუაგან ივარცხნა წევრიო,
ქ. რას ემართლი თეიმურაზს, რათ ამბობ მისსა ავსაო,
რაზე ულანძლავ სახლვარსა, ან დარბაზს, ანუ ბანსაო,
რა დავიშვა ერთი თქვი, არ ღირს ხარ ამის თქმასაო,
რისთვის უძაგებ ცოლშეიღსა, რათ უგდებ ცულსა ხმასაო“²²⁸.

მიუხედავად ამისა, როგორც წყაროები მოწმობენ, საბოლოოდ ურთიერთობა თეიმურაზსა და იონას შორის მაინც არ გაფუჭებულა²²⁹.

იონა ხელაშვილის შემდეგ, თეიმურაზის კარის ეკლესიაში მოძღვრებად ვხედავთ, ჯერ ცნობილ მწიგნობარს ტარასი ალექსი იმ ეს ხიშვილს, თეიმურაზის მასწავლებლის — დავით რექტორის ძმისშვილს, და მერე ვიქტორ გიორგი ადეს. პირველის შესახებ ცნობას გვაწვდის თვითონ თეიმურაზ ბატონიშვილი 1835 წელს შედგენილ თავის „წიგნთსაცავის კატალოგში“: მღვდელ მონაზონი, ტფილისელი ალექსის შვილი ტარასი, რომელიც იყო მღვდელი მეფის ძის თეიმურაზის სახლის ეკლესიისა²³⁰. A 349 ხელნაწერზე დაცულია ტარასი ალექსიშვილის მინაწერი: „მე ამის მეფის ძის თეიმურაზისაგან ვიჩუქე წიგნაკი ესე, რომელსა ვმსახურე ოთხწელ სახალის ეკლესიასა შინა მღლდელად“. (ფ. 63v), ალბათ 1826—30 წლებში, რადგან 1830 წელს, როგორც ვიცით, ტარასი ალექსიშვილი საქართველოში დაბრუნდა. ეს ტარასი ალექსიშვილი შემდეგში, როგორც ცნობილია 1832 წლის შეთქმულების ერთი აქტიური წევრი გახდა. შეთქმულების გამომცემავნენების შემდეგ მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში ტარასი ამბობს: „პეტერბურგში მქონდა მე მყუდრო და თავისუფალი ცხოვრება და საკუთარი ეკლესია სამოცი თუმანი ასიგნაცია ჯამავირი ცარევიჩის თეიმურაზისაგან, რომლისაც ეკლესიაში ვიყავ განწესებული“²³¹. ვიქტორ გიორგა-

227 მოვყავს შემოკლებით.

228 H 2130 — გრიგოლ ბატონიშვილის კრებული, გვ. 96—97.

229 S 388, გვ. 27—28, გვ. 30—31, გვ. 31—33.

230 A 1091, გვ. 6. შდრ. ბეჭდური გამოცემა ს. იორდანიშვილისა: თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, თბ., 1948, გვ. 5; ტრ. რუხა ადე, ძველი ქართ. ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 52—53.

231 გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, თბ., 1970, გვ. 200. შდრ. გვ. 136, 277.

ძის შესახებ ლაპარაკია თეიმურაზის კარის ეკლესიის ვერცხლის ანაწილე კოლოფის წარწერაში: „ღმერთო შეეწიე მეფის ქადაგზე მეტარაზაშის და მეუღლე მისსა მეფის საძალს ელენეს და ყოველს მარტინის ეს წმ. სანაწილე შეიმეო ეკლესიის ღირს პატიოსანის იეჲო მონახის ვიქტორი გიორგის გამოსახის სულის საობად. წელსა ქრისტესთ 1839“²³².

საინტერესოა, რა ბედი ეწია თეიმურაზის კარის ეკლესიას 1835 წლის შემდეგ, როცა მან, როგორც ახლა გაირკვა, გაყიდა თავისი საცხოვრებელი სახლი პეტერბურგში.

ჩეენ ზემოთ უკვე გვჭონდა საუბარი იმის შესახებ, რომ გარდა პეტერბურგის საცხოვრებელი სახლისა, თეიმურაზის საცუთარი „საზაფხულო სახლი“ ედგა აგრძელე საიმპერატორო აგარაზე პეტერგოფში და როგორც თეიმურაზის ანდერძიდან ირკვევა, პეტერგოფის ამ „საზაფხულო სახლში“ გადაუტანია მას თავისი კარის ეკლესია პეტერბურგიდან, მას შემდეგ, რაც 1835 წლის ზაფხულში პეტერბურგული საკუთარი სახლი მიჰყიდა ე. შჩედრინის. 1846 წლის 2 თებერვალს დაწერილ ანდერძში თეიმურაზი სთხოვდა თავის მეუღლეს: „უსაყვარლესო მცულეო ჩემო, მეტის სძალო ელენავ, ოთარ ამილახვრის ასულო!... ჩემი საყდარი პეტერბურგში და სახლში გადადგი და როგორც დაგარიგე ისე შეამკვეთ და ისე გააწყევ“. თეიმურაზი დაუინგბით სთხოვს ელენე ამილახვარს არ მოშალოს მისი სიკედილის შემდეგ ეს კარის ეკლესია — ან ააშენოს მისთვის ცალკე სახლი პეტერბურგში ან კიდევ, გააწყოს საკუთრად საქართველოში რომელიმე ნაოხარი ეკლესია: „აწ მე სასოება მაქუს ხელმწიფე იმპერატორისაგან, რომ... ჩემს შემდგომად... ჩეენს სახლის საყდარს არ მოვიშლის, საყდარი ჩვენი ჩემი და შენი არს და ჩემს შემდგომ სრულიათ შეამკედა და მათი წმიდა ხატ-ჯვარი ყოველივე და ჩეენის სახლისა შემკობილნი და შეუმეობელნი — შენი არიან და ამ ეკლესიაში იმ წესით, როგორც ჩემს დროს იყო დაწესებული — ასე უნდა ესვენოს და ასეთი ბინა უნდა დაუდგა ხელმწიფე იმპერატორის თხოვნითა და შეწევნით რომ ის ეკლესია არ მოიშალოს. ჩემი ქართული წიგნები სრულათ შენ დაგიზევ და თქვენ შემდგომად ჩეენს საყდარს საცა გექნებათ, გამორჩევით ერთი სანლი უზღა გაუკეთოთ და დაუწყოთ ყოველივე წიგნები საღმრთო თუ საერო, რომ საქართველოს ხალხის სახმარათ იქ ეწყოს საუკუნოთ... და თუ აქ არა ვნებავს და საქართველოში წაიღევ და იქ აღარჩივე ერთი ნაოხარი, ანუ ნაკლულევანი ეკლესია, რომ შენ-

232 საქართველო, 1916, № 148, იხ. აგრძელე; ვიქტორ გიორგის ანდერძის წიგნი=H—3164 და A 1278:12.

თვის საუკუნოთ საკუთარი იყოს, ის გააწევე და ჩემს სულს საუფლისტო
ნუ დაივიწყებ.

წელსა 1846 თებერვლის 2, სანკტ-პეტერბურგს სრულიადა მექანიზმებით და ისა საქართველოსა მეფის გიორგის მეათე ამეტის აქ თემუტიშვილი.

ეს მთელი ანდერძი სრულიად მეფის ძემ თეიმურაზმა ჩემის კი-ლით დავწერე”²³³.

ელენე ამილახვრის კულტა ვერ შეუსრულა სასურველი ანდერძი
მეუღლეს. ნივთიერი ხელმოკლეობის გამო, მან ვერ შეძლო ცალკე „გა-
მორჩევითი სახლის“ აშენება თეიმურაზის კარის ეკლესიის გასამარ-
თად და თეიმურაზისეული წიგნთსაცავის შიგ მოსაწყობად. კარის ეკ-
ლესიის კუთვნილი „ხატჯვარი“ საქართველოს მონასტრებში (სამთავ-
რო, ჯრუჭი...) გამოვზავნა, ხოლო თეიმურაზის ბიბლიოთეკა სააზიო

მუშაობის გადასცა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეიძლება და-
ვასკვნათ:

1) თეიმურაზ ბატონიშვილს ხელთუქმნელ ხატის სახელობაზე
პეტერბურგში საკუთარ სახლში გაუმართავს კარის ეკლესია, რომლის
მრევლს პეტერბურგიდან ქართველობა — უმეტესად საქართველოს სა-
მეფო სახლის წევრები შეაღვენდა და ლოთისმათურებაც ქართულ
ენაზე სრულდებოდა.

2) თეიმურაზ ბატონიშვილის კარის საყდრის მოძღვრებად სხვა-
დასხვა დროს ყოფილან: იონა ხელაშვილი, ტარმი ილქესი-მესხიშვი-
ლი, ვიქტორ გიორგაძე...

3) 1835 წელს, სახლის გაყიდვის შემდეგ, თემიშრაზე კარის ექლესია პეტერბურგიდან გადაუტანია თავის „საზაფხულო სახლში“ პეტერბურგოს.

4) თეიმურაზის სიკვდილის (1846 წ.) შემდეგ მისი კარის ეკლესია მოშლილა, ხოლო კარის საყდრის კუთვნილი ზოგიერთი ნივთი („ხატ-ჯვარი“) თეიმურაზის მეუღლეს — ელენე ოთარ ამილახვრის ასულს საქართველოს სხვადასხვა მონასტრებისათვის (სამთავრო, ჭრუჭი...). შეუწირავს.

ახლა უნდა განვიხილოთ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე გამოიწველი მოსაზრებები თეომურაშ ბატონიშვილის კარის ეკლესიის თაობაზე.

მღვდელმა ი. (6) ბარნაბიშვილმა 1911 წელს, „სახალხო გაზეთში“ გამოკვეყნებულ ერთ წერილში, თეიმურაზ ბატონიშვილის ხელთუქმნელ ხატის სახელობაზე პეტერბურგში 1816 წელს გამართული კარის ეკლესია იმერეთის დედოფლალ ანა ობელიგიანის ასულის

233 საქართველო, 1916, № 145.

კუთვნილებად გამოაცხადა, ხოლო თეიმურაზი მის უბრალო შემამყობლად გამოიყვანა: „პეტერბურგში სცხოვრობდა აგრეთვე იმინეთის სავარეულოც: მოხუცებული დედოფალი იმერეთისა ანუსაფაფული მარიამ კაცის ასული და სხვანი. ანნა დედოფალს პიკინისტების სხვაგან ეკლესიებში სიარული და თავის სახლის საღვოშივე გაიკეთა საყდარი სასწაულთ მოქმედი ხატის ხელთუქმნელ მსხენლის სახელზე, მეცის ძემ თეიმურაზმა შეუმკო შესაფერის სამკაულითა“²³⁴.

პ. კარბელაშვილს იონა ხელაშვილის კარის მღვდლად თეიმურაზ ბატონიშვილთან გადასცლა და მაშასადამე, თეიმურაზის მიერ კარის ეკლესიის გამართვაც 1814 წელს ჰქონდა წარმოდგენილი: „1814 წ. იონა თეიმურაზ ბატონიშვილმა მიიპატიყა მოძღვრათ“²³⁵, რასაციორველია, ეს თარიღი სწორი არ არის და ი, რატომ: 1812 წელს ი. ხელაშვილმა დაასრულა ალ. ნეველის აქადემია, იმავე წლის ოქტომბერში შეიმოსა მღვდელ-მონაზვნად და მას შემდეგ, რაც დავით ბატონიშვილს ნაპოლეონის შემოსვლის გამო ხელი შეეშალა საკუთარი კარის ეკლესია მოეწყო, იონას ნება დართვე ვეტერბურგელი ქაჩითველებისათვის წირვა ქართულ ენაზე წმ. ანდრიას ეკლესიაში ჩაეტარებინა, რომლის სათანადო საბუთი (S 1532 გვ. 327) უკვე ზემოთ მოვიტანეთ. ასე გაგრძელდა 1813 წლამდე. ამ წელს მოხუცებულობის გამო თავის სასახლეში კარის ეკლესია გამართა ანნა იმერეთის დედოფალმა, რომელსაც დავით ბატონიშვილმა მოძღვრად იონა ხელაშვილი დაუთმო. იონასავე ცნობით: „უმაღლესმან ანნა დედოფალმან იმერეთისამან სთხოვა მემკვიდრესა დავითს თავი ჩემი და მიმცა და ემსახურე ეკლესიასა სახლისა მის უმაღლესობისა სამნი წელნი“ (რონინი გვ. 239). მაშასადამე, თუ ანა დედოფალმა იონა თავის კარის მღვდლად 1813 წელს მიიწყია და იონამ მას „სამნი წელნი“ ე. ი. 1813—1815 წ. ემსახურა. ცხადია, თეიმურაზი მას 1814 წელს ველარ გადაიყვანდა თავისთან იმერეთის დედოფლის კარის მოძღვას და არც მომხდარა ასე. ზემოთ მოტანილი სათანადო საბუთიდან (S 1532, გვ. 192, 193, 327) გაირკვა, რომ იონა თეიმურაზ ბატონიშვილის საცხოვრებელ სახლში გადავიდა 1816 წელს 6 თებერვალს და თეიმურაზმაც მხოლოდ ამავე — 1816 წელს გამართა ხელთუქმნელი ხატის სახელობის საკუთარი კარის ეკლესია. იონამ აქ ათი წელი დაპყო: ანა დედოფალს „თხოვა თავი ჩემი მეფის ძემ თეიმურაზმა და წარმავლინა მისთანა და ვმსა-

234 მ. ი. (6.) ბარნაბიშვილი, ბერი იონა ხელაშვილი, სახალხო განეთი, 1911, № 348.

235 მ. პ. კარბელაშვილი, იონა ბერი (ხელაშვილი), საქართველო, 1916, № 198.

ხურე ეკლესიასა მისსა ათ ნ წელნი“ (რონინი გვ. 234), მაშაბაზა
მე, 1816 — 25 წლებში, ხოლო ამავე წლის მაისში იგი იმერულის და
დოფალ მარიამთან გადავიდა მის მოძღვრად, სადაც დარჩა სუეტულუაზე
და — 1837 წლამდე.

გ. ლეონიძეს იმერეთის დედოფალი მარიამი სამეგრელოს დედო-
ფლად მიუჩნევია: „აკადემიის შემდეგ იონა კარის მღვდლად ემსახუ-
რებოდა ბატონიშვილ დავითს, შემდეგ იმერეთის დედოფალს ანას,
ათი წელი თეიმურაზ ბატონიშვილს და ბოლოს, სამეგრელოს
დედოფლის მარიამს“²³⁶.

სამეგრელოს ასეთ დედოფალს ამ პერიოდში არავინ იცნობს: სა-
მეგრელოს დედოფლებად ამ დროისათვის ითვლებოდნენ გრიგოლ და-
დიანის ქვრივი — ნინო გიორგი XII-ის ასული ბაგრატიონი, უმცროსი
დაი თეიმურაზ ბატონიშვილისა და მისი რძალი — დედოფალი მართა
ზურაბ წერეთლის ასული, მეულე ლევან გრიგოლის ძე, დადიანისა.

ანდა, ეს მარიამი როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო სამეგრელოს
დედოფალი, მაშინ როდესაც თვითონ იყო სამეგრელოს მთავრის ქა-
ცია დადიანის ასული და იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ
II მეულე, რომელიც ქმრის ოსმალეთში გაქცევისა და იმერეთის
სამეფოს რუსეთთან შეერთების (1811 წ.) შემდეგ, პეტერბურგში იყო
გადასახლებული.

ტრ. რუხაძემ თავის ერთ წიგნში გამოთქვა შემდეგი ტოსაზრება: „თეიმურაზმა პეტერბურგში ააგო თავის „კარის ეკლესია (დაცულია
ახლაც), სადაც მწირველად ჰყავდა ტარასი ალექსიძევლი, იონა ხელა-
შეილი და იმერელი გასილ გიორგაძე“²³⁷. ამის შემდეგ, „სახალხო გა-
ნათლებაში“ გამოქვეყნებულ წერილში მან უფრო „დააკონკრეტა“
თეიმურაზის კარის ეკლესის ადგილსამყოფელი და მას ახლო სახე-
ლიც შეარქვა: თეიმურაზ ბატონიშვილი დაქრძალულია ლუნინგრაძე,
ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრის სასაფლაოზე, სადაც თეი-
მურაზმა ააგო ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულო ტაძარი“²³⁸.

ტრ. რუხაძის ამ მოსაზრებას სამართლიანად გამოეკამათა ი. მეგზ
რელიძე: „ტრ. რუხაძე აღნიშნავს: თეიმურაზი დაკრძალულია „ლენინ-
გრაძის ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრის სასაფლაოზე, სა-
დაც თეიმურაზმა ააგო ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულო ტაძარი.

236 გ. ლეონიძე, იოანე ხელაშვილი, ლიტერატურული საქართველო, 1938,
№ 5.

237 ტრ. რუხაძე, ქველი ქართული ლიტერატურული საქართველო, თბ., 1954, გვ. 126.

238 ტრ. რუხაძე, რუსთის მეცნიერებათა ეკადემიის პირველი ქართველი
აკადემიკოსი (თეიმურაზ ბატონიშვილის გარდაცვალებიდან 110 წლისთვის გამო),
სახალხო განათლება, 1956, № 47, 21 ნოემბერი.

ამ ცნობის მეორე ნაწილი არაა სწორი“, მაგრამ თვითონ ჩვეულებულომაში, როცა ასეთი „აზალი თვალსაზრისი“ განავითარა: კარტივულურგის ქართული ეკლესია ახლაც დგას აღეჭვანდრე ნეველიშვილის დაშორებით და საწინააღმდეგო მხარეს — ვასილის კუნძულის მეოთხე ხაზზე (წმ. ანდრიას ე. წ. ანდრეევის ტაძართან), რომლის მახლობლადაც მდინარე ნევის ნაპირზე საკუთარ სახლში ცხოვრობდა თვით თეიმურაზ ბაგრატიონი ოჯახითურთ“²³⁹.

აქ აღსანიშნავია შემდეგი: ი. მეგრელიძის მიერ „პეტერბურგის ქართულ ეკლესიად“ გამოცხადებული ე. წ. „церковь Тбехсвятители“ დგას ვასილის კუნძულის მეექვსე (და არა მეოთხე) ხაზზე და რაც მთავარია, ის არის XVIII საუკუნეში (1740—1760 წწ.) აგბული შენობა, იტალიელი არქიტექტორის ჯუზეპე ტრეზინისა²⁴⁰ და არავითარი კაშირი არა აქვს პეტერბურგში თავის საცხოვრებელ სახლში წმ. სასწაულთმოქმედ ხელთუქმნელ ხატის სახელობაზე გამართულ თეიმურაზ ბატონიშვილის კარის ეკლესიასთან.

ბ. თეიმურაზ ბაგრატიონი და რუსეთის ხასოფადოებრიობა

თეიმურაზ ბაგრატიონის პეტერბურგში ყოფნის პერიოდში (1811 — 1846 წწ.) რუსეთის ცხოვრებაში ორი დიდნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა: 1812 წლის სამამულო ომი და დეკაბრისტთა მოძრაობა. წარმოუდგენელია, რომ ორივე ამ მოვლენას თავისი ასახვა არ ეპოვა ქართველი ბატონიშვილის სულიერ ცხოვრებაში.

მართლაც, თეიმურაზის ნაქონ ხელნაწერ წიგნებს შემოუნახავს 1812 წლის დიდი სამამულო ომის გმირთა სახელები (მათ შორის, იგი იცნობდა ქართველებსაც) და ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსი ხალხის გმირული ბრძოლის ამსახველი ეპიზოდები. მაგ., რუსული პრესის მიხედვით. თეიმურაზი აღადგენს ისტორიული მნიშვნელობის მონაცემებს: 1. „წელსა 1813 მარტის სევერნიის პოშტიდამ გამოწერილი, რაც რუსთა ამ ომებში მოუკვდათ ფრანცუცის პირდაპირ წელსა 1812:

²³⁹ ი. მეგრელიძე, თეიმურაზ ბაგრატიონი როგორც რუსთველოლოგი, ორიონი ობ., 1967, გვ. 233.

²⁴⁰ ეს ჯუზეპე ტრეზინი არ უნდა იყერითოთ აღეჭვანდრე ნეველის ლავრის სამონასტრო კომპლექსის (XVIII ს.) აღმშენებელ არქიტექტორებში დომენიკო და პეტრო ტრეზინებში, რომლებიც აგრეთვე თანამედროვენი იყვნენ ჯუზეპე ტრეზინისა. იხ.: ლ. ა. მადერსკი, იстория строительства и архитектуры Александро-Невской Лавры, Л., 1944 (ხელნაწერი შრომა, დაცულია ლენინგრადის საქალაქო სკულპტურის მუზეუმში).

ქ. მინცვის გუბერნაციი	18797
ქ. ბერეზინას	30106
ქ. მოსკოვს	49754
ქ. სმოლენცვას	71735
ქ. ვილენცვას	12203
ქ. კალულას	1027
<hr/>	
ქ. ჭამი	213516

ქ. რაც ბოროდინის ოშში დაიხოცა წელსა 1812, აგვისტოს 26, კუტუზოვი რომ დამარცხდა, ის არა სწერია.

ეს ზემო ნაწერი, რაც განხეთის ძალით იპოვეს რუსთა და ბრძანება ჰქონდათ გუბერნატორებს დამარცხისა და დაწვისა, და რაც ყრუტყვი ვერ იპოვს, ან წყალში დაიჩინ, ან ნადირმა და ფრინველმა შეჭამა — ის სხვა არის, ამაში არ ურევია, და არც ტყვეთ წასული”²⁴¹. ამას გარდა, პეტერბურგიდან თეიმურაზი, ეტყობა, გულისყურით აღევნებდა თვალს ომის მსვლელობას და გვაწვდის საქუთრად მის მიერ შეგროვილ ცნობებს:

2. „მოსკოვიდამ რომ დაბრუნდნენ ნოემბრის 24, უდინომ დაამარცხა მეწინავე ჭარი ჩიჩაგოვისა. ირანალ ლამბერტი ბორისოვთან დაიკრა. 2000 ცოცხალი წაართვა, ხუთასი ბარგის ურემი და ექვსი ზარბაზანი. 27. ორიათასი კაცი გარდაწყდა ფრანცუცებისა გზა დაჭარებულ და ვიტელშტეინის ჭარის წააწყდნენ, თავიანთი ფრანცუცი ეგონათ და ის ორი ათასი ფრანცუცი დაიჭირეს რუსთ. 27. ორივ ჭარი ერთათ შეიყარა ჩიჩაგოვისა და კუტუზოვისა. დვინას ბერეზინასთან რომ გავიდა ფრანცუცის ჭარი — წინიდან უდინო, იმან უკან ვიკორ, იმას უკან ნეი და იმას უკან მორტიე — იქ მოხდა ომი. 28. დამარცხდნენ რუსნი: აქ კარგათ იყო ღენერალ დურმექ; იძლივნენ რუსნი და ფრანცუცი შეიძყრეს 600 კაცი რუსი ორი ბაირალი და 6 ზარბაზანი. 29. ვიკტორმა დაამარცხა ვიტელშტეინი და დაიკრა 6000 რუსი ცოცხალი, უდინო დაიჭირა გვერდში წინა ჭარში“ (იქვე, 316).

ან კიდევ:

3. „წელსა 1812 სეკდენბრის 3, სამშაბათს დღეს აიღეს მოსკოვი,
- ქ. ოსტორმან დაამარცხეს ივლისის 13.
- ქ. სმოლენცვა აიღეს და ბარკლაი დამარცხდა აგვისტოს 5.
- ქ. კუტუზოვი დაამარცხეს მოვაის ახლო აგვისტოს 26, ბოროდინ წოდებულსა ადგილსა“ (იქვე, 316v).

4. „რომელიც გუბერნიები ფრანციულად იავარ იქმნა:
- ქ. მოსკვი
- ქ. სმოლენცკი
- ქ. კალუზა
- ქ. მოლილევი
- ქ. მინსკი
- ქ. ვიტებსკი
- ქ. გროდინსკი
- ქ. კურლიანდსკი
- ქ. ბელოსტოკი
- ქ. პსკოვსკი
- ქ. წელი 1812, კვირას შევიღნენ“ (იქვე, 316v).
5. „ვონა აიღეს 17 ივნისს ფრანცულთ,
სვანციანა 20
დრისა 30
პოლოცკა 2 ივლისს და იძლიერებ... ძალიან
ვიტებსკა ...ივლისს
მოლილევ 17[“]²⁴².

ნაპოლეონისადმი ინტერესი თეიმურაშს, როგორც ირკვევა, მის რუსეთში დამარცხების შემდეგაც არ შეუნელებია: „ტუონიში გამოვიდა ბონაპარტე წელს 1815 მარტში, აიღო ლრენტილი, იშოვა ჭარი და არტილერია და შევიდა პარიჟში და კოროლი გაიქცა“ (S—3860, ფ. 314v).

ახლა რაც შეეხება დეკაბრისტებს. ცნობილია, რომ გასული საუკუნის 20-იანი წლები რუსეთის სინამდვილეში აღინიშნა ე. წ. დეკაბრისტთა მოძრაობით, რომლის ლოზუნგი იყო ბატონებობის გაუქმება და შეუზღუდავი მონარქიის (აბსოლუტიზმი) დამხობა. დეკაბრისტები მოიხოვდნენ კონსტიტუციურ მონარქიას ან კიდევ, რესპუბლიკას.

ისტორიულ მეცნიერებაში დაწვრილებითაა გამორჩეული დეკაბრისტთა მოძრაობა და თავისი დროისთვის მისი პროგრესული ხასიათი²⁴³. ამდენად მასზე აღარ შევჩერდებით. ჩვენი მიზანი სხვაა.

²⁴² S—3860, ქვემო საც. ფ. შიდა მხარე (შდრ. ხელნ. აღწერილობა, S კოლექცია, V, 1967, გვ. 281—82).

²⁴³ იხ. უკანასკნელი შემაგამებელი ხასიათის ნარკეცევი ეკად. მ. ვ. ნეჩინისი: Декабристы, წიგნშა: История СССР. т. IV, М., 1967, стр. 175—216. იხ. აგრეთვე ლ. ბარაშია, დეკაბრისტები საქართველოში, თბ., 1955.

როგორც ცნობილია, დეკაბრისტული იდეები სათავეს საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული ოვოლუციიდან და დიდი ფრანგი ტახტის მიერთებული თლებლებიდან იღებდნენ. ასანიშნავია, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის სულიერი მოწაფე იყო თავისი უფროსი ძმის დავით ბატონიშვილისა, რომელიც ჩვენში „ვოლტერიანელის“ სახელითაა ცნობილი²⁴⁴. დაუითს თეიმურაზის თხოვნით, 1814 წელს, უთარგმნია მონტესკიე „წიგნი მონტესკუ. საზოგადოდ არსებობისათვის სჭულთა (ფრიად ჩინებულთა წიგნთაგანი) და ყოველთა სხვათა და სხვათა გართა მართებლობათა, ქმნილი ფრანციულსა ენასა ზედა ბრძნის მონტესკუს მიერ, ხოლო თარგმნილი ქართულად სრულიად საქართველოს მეფის გორგის XIII-ს ძის დავითის მიერ, რომლისცა თარგმანება სთხოვა ძმამან მათ-მან უგანათლებულესმან მეფის გორგი XIII-ს ძრმან თეიმურაზის²⁴⁵. თავის მხრით, დაუითს თარგმანზე დაუწერია:

„ჩემო სასურველო ძმაო თეიმურაზ!

უაღმატებულესი სურვილი და სწავლისადმი მოცალეობაი, რომელიცა შეპქმნია სულსა შენსა თვისებად, აღმოჩნდა ღირს ხსოვისა ყოველთა კაცთათვის. განლგიძებულმა ამით ხელვაყავ თარგმანებად წერილისა ამის მონტესკუსაგან ქმნილისა სჭულთათვის გულისხმისყოფისათა, რომელიცა არს ერთიცა ესე უმჯობესთა წერილთაგანი ყოველსა ევროპასა შინა, ხოლო მე ქსასოებ რომელ შრომა ესე ჩემი მსახურ მექმნას დატყბობისა შინა ძმებრისა სიყვარულისასა.

თქვენი ძმა დავით²⁴⁶.

მონტესკიეს გარდა, თეიმურაზს თავის ბიბლიოთეკაში ჰქონია „რომელიმე ვოლტერის თხზულებათაგან, სხვათა და სხვათა, ჭრანციალულისაგან და რუსულისა სხვათა და სხვათა ქართველთა ავტორთა-ცულისაგან და რუსულისაგან და რუსულისა სხვათა და სხვათა ქართველთა თარგმნილი“²⁴⁷, ხოლო სახელდობრ, ვოლტერის „აღა-გან ქართულად თარგმნილი“²⁴⁸, ასე, რომ არაფერია თოკლე“ თეით თეიმურაზის მიერაა ნათარგმნი²⁴⁹. ასე, რომ არაფერია მოულოდნელი, თუ თეიმურაზ ბაგრატიონს გაიტაცებდა დეკაბრისტული იდეებიც. თეიმურაზ ბაგრატიონის სხვა კრიპტოგრაფულ ჩანაწე-

244 ლ. ა. სათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1933, გვ. 63—76.

245 თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნისაცავის კატალოგი ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბ., 1948, გვ. 43; ხელნაწერის ახლანდელი შიფრია: S—370, და S—371; ის აგრეთვე, ტ. რუსაძე, მონტესკიე და ქართული მწერლობა, ლიტ. გაზეთი, 1955, № 10.

246 S—370, გვ. შრ. ლ. ა. სათიანი, დას. შრ., გვ. 74—75.

247 კატალოგი, გვ. 45.

248 ლენ. ჩ—20. ამის შესახებ ის. ტრ. რუსაძე, მცენი ქართული თეატრი და ლრამატურგია, თბ., 1949, გვ. 295, 532—540.

რებთან ერთად, ლუნინგრადულ მასალებში, რ. ორბელმა დამოუკიდებულინა დეკაბრისტთა ლიდერების კ. რილევისა და ა. ბესტუევის მასალებისა და გამოთქმების თემურაზისეული კრიპტოგრამები²⁴⁹. მკვლევას სიტყვებით: «Нельзя не упомянуть также о зашифрованных именах декабристов К. Рылеева и А. Бестужева, со следующими изречениями, записанными по русски в грузинской транскрипции: Рылеев — «Что поселяно, то будет пожато», Бестужев — «Семена поселяны, цветы произрастут, плоды будут», რ. ორბელის დაკირვებით, მართალი «Эти записи никак не комментированы Теймуразом, но они производят впечатление сделанных в положительном для декабристов смысле, что представляет любопытную черту для характеристики взглядов Теймураза»²⁵⁰.

რილევის ეს სიტყვები თემურაზს გამოუხებული აქვს აგრეთვე იონა ხელაშვილის „სულიერი იფქლისთევის“ წამდლვარებულ გალექ-სილ წინასიტყვაობაში: „რასაცა კაცი დასთეს, მასვე მოიმკის“. (S—285, გვ. IX), რაც ცხადად მოწმობს თემურაზ ბაგრატიონის თანაგრძნობას დეკაბრისტული იდეებისადმი. იგი მოწმეა 1825 წლის 14 დეკემბერს, პეტერბურგში, სენატის მოედანზე მომხდარი სისხლიანი ამბებისა.

როგორც ვხედავთ, თემურაზ ბაგრატიონი ცხოველ მონაწილეობას ღებულობს რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა თუ კულტურულ ცხოვრებაში. იგი რუსეთის იმპერატორის კარისა და პეტერბურგის მაღალი საზოგადოების წრეში ტრიალებს. მაგალითად, 1836 წელს ევროპაში მოგზაურობიდან პეტერბურგში დაბრუნებას თემურაზი ბროსესთან მიწერილ წერილში ასე აგვიწერს... „...არ მეცალა: ქელმწიფესთან, იმპერატორიცასთან, სამეცოს სახლის შეილებთან, ყველასთან შემდგომად მოსკოვისა წარვდეგ. ეთილის თვალით და გულით და პირით მიმიღეს, ღმერთმან ადლეგრძელოსთ და აქაურს პირველსა და ჩინებულს გვამებთან, მანამ ყველას მოუვლიდი“ (წერილები, გვ. 73).

ჩვენ ვიციქობთ, რომ თემურაზ ბაგრატიონი პირადად იცნობდა ალექსანდრე პუშკინს. წარმოუდგენელია, რომ იმპერატორის კარზე

²⁴⁹ ლენ. Н—28, ფ. 41г.

²⁵⁰ Р. Р. Орбели. Из крипт. записей Теймураза Багратиони, Уч. записки ИВ, т. XVI, М.-Л., 1958, стр. 399. დ. მასალაზე დაყრდნობით. 6. მახათაძე წერს: „თემურაზ ბაგრატიონის ერთ-ერთი კრიპტოგრამული ჩანაწერი იძლევა რილევის სიტყვებს: „რასაც დასთეს იმას მომეი“, 6. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში. გვ. 158. რა დაშვება ა. ბესტუევიმა?

ან პეტერბურგის სალონებში, მისივე მოწმობით, აგრე რიგად მიღებული ქართველი ბატონიშვილი ან შეხვედროდა დიდ რუსული სალონებში მექანიკური პოეტის რომ თავი დავანებოთ, ალ. პუშკინის სიცოცხლეში შექმენილ პოეტის ერთ-ერთი საუკეთესო პორტრეტის ავტორის ა. ტროპინინს, როგორც ამ უკანასკნელ დროს გაირკვა, დაუხატავს თემურაზის მეუღლის—ელენე ამილახვრის შესანიშნავი პორტრეტიც²⁵¹. დიდი რუსი მხატვრის ინტერესი ამ ორი ოქანისადმი შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამასთან, ხაზი უნდა გაესვის იმ გარემოებას, რომ თემურაზ ბაგრატიონია ქართულ ენაზე პუშკინის პირველი გადმომდები (თარგმნა „ანგელოსი“). ამას გარდა თემურაზის ალბომში დაცულია მისივე ხელით „სუფთად და გულმოდგინედ გადაწერილი სხვების თარგმანები პუშკინის ლექსებისა... „ო, ვნებიანო სატირის მუზავ“ (2 თარგმანი), „ელეგია“, „დემონი“, „წინასწარმეტყველი“, პეირული თალხინი“, „ძმები ყაჩალები“ (ნაწყვეტი) და „ევგენი ონეგინის“ მე-7 თალხინი“, „ძმები ყაჩალები“ (ნაწყვეტი) და „ევგენი ონეგინის“ სტრიუმი²⁵². შემთხვევებითი არ უნდა იყოს ისიც, რომ თემურაზთან ერთად პუშკინის პოეზიით ქართულ ლიტერატურაში პირველად დაინტერესდა აგრეთვე თემურაზ ბაგრატიონის აღზრდილი სოლომონ ჩამაძე, რომელმაც თარგმნა „ღიმპანური სიმღერა“ (Испанский роман), „განლვიძება“ (Пробуждение), „ლხინი“ (Веселый пир), „დემონი“ (Демон), „წინასწარმეტყველი“ (Пророк), „ონეგინიდან“ (Из Евг. Онегина) — (ნაწყვეტები), „ვაზაკებიდან“ (Братья-разбойники). ამათგან პირველი ორი თავი პუშკინის სიცოცხლეში დაიბეჭდა (იხ. „ტფილისის უწყება“, 1830, № 2, „საქართველოს უწყება“, 1832, № 5)²⁵³.

თემურაზ ბაგრატიონი დაახლოებული ყოფილა პეტერბურგის გამოჩენილ მხატვრებთან და საიმპერატორო სამხატვრო აკადემიასთან. მას უშუალო ნაცნობობა და მიმოწერა აქვს აკად. ა. ტროპინინთან²⁵⁴, პროფ. კ. ბრიულოვთან²⁵⁵, სამხატვრო აკადემიის მაშინდელ პრეზიდენტ ოლენინთან და კონფერენც-მიზიან ვრიგოროვიჩთან²⁵⁶.

251 გ. ჭარაძე. ტროპინინის „უცნობი ქართველი ქალის პორტრეტი“, საბჭოთა ხელოენება, № 10, 1969.

252 კ. დონდუ ა. პუშკინი ქართულ ლიტერატურაში, კრებული: „ა. პეტერბურგის საქართველოში“, თბ., 1938, გვ. 145. აღრე დაბეჭდა რუსულად: К. Д. Донаძ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 145. ა. პუშკინი საქართველოში“, თბ., 1938, გვ. 139—140, 228.

253 ი. გრიშაშვილი, პუშკინის პირველი მთარგმნელები (ბიბლიოგრაფიით), კრებული „ა. პუშკინი საქართველოში“, თბ., 1938, გვ. 139—140, 228.

საგანგებოდა აღსანიშნავი თეიმურაზის ურთიერთობა რესტაურაციის მიზნიდელ მაღალ სახელმწიფო მოღვაწესა და მეცენატთა შემოქმედების ურთიერთობას. პეტერბურგში ჩასვლისთანავე (1811 წ.) თეიმურაზის თავისი თხზულება „ყავართა ისტორია“ რუმიანცოვის მიურთმევითა: „აღწერა მოკლედ აწინდელისა სპარსეთის მპყრობელთა შპთა გვარეულობისა ყავართასა, თუ სადიდებან წარმოებენ, მეფის გიორგის XIII-ის ძის თეიმურაზის მიერ შეთხშული. ეგრეთვე სპარსეთისა კარის განგებანი. ესენი წელსა 1811 წამსა მოსვლისა თვისისა, გათმიან უგანათლებულესობამან მეფის ძემან სპარსეთით თავისუფლადა ქ. ს. პეტერბურგს მოწევნილმან აღუწერა მათს ბრწყინვალებას ვრაფს კანცლერს ნიკოლაი პეტროვიჩს რუმიანცოვს“ (კატალოგი, გვ. 36). 1822 წელს კი, ნ. პ. რუმიანცოვმა ქართველი ბატონიშვილისაგან მიიღო „ქართლის ცხოვრების“ ერთი საუკეთესო ნუსხათაგანი, რომელიც დღეს უკვე საქართველოშია ჩამოტანილი. ხელნაწერის პირველ ფურცელს თეიმურაზის ხელით აწერია: „მათს ბრწყინვალებას ვრაფს ნიკოლაი პეტროვიჩს რუმენცოვს კანცლერს. საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ გძლვნი წელსა 1822, ხოლო ქართულსა მეათოთხმეტისა მოქცევისასა წელსა 509“ (იგივე რუსულადაც)²⁵⁷.

რუსეთის სინოდის ობერ-პროკურორი, ბიბლიური საზოგადოების თავმჯდომარე ა. გოლიცინი დიდად აფასებდა სწავლულ ქართველ ბატონიშვილს. 1814 წელს ა. გოლიცინმა თეიმურაზ ბაგრატიონი რუსეთის ბიბლიური საზოგადოების წევრად ჩარიცხა²⁵⁸, ხოლო როგორც მათი მიწერ-მოწერიდან ირკვევა, რუსეთის ბიბლიურ საზოგადოებას დაიდი მაღლობით მიუღია დასაბეჭდად თეიმურაზის მიერ თურქულ და სპარსულ ენებზე მ. თოფჩიბაშვილთან ერთად თარგმნილი „დავითი“²⁵⁹.

254 გ. შარაძე, ტრაპინინის „უცნობი ქართველი ქალის პორტრეტი“, საბჭოთა ხელოენება, № 10, 1969.

255 გ. შარაძე, მხატვარ ოქნათანიანის ბიოგრაფიისათვის, საბჭოთა ხელოენება, № 10, 1969.

256 ა ქ გ ვ.

257 H—2080 (ამ ხელნაწერის შესახებ შექმნილია მდიდარი ლიტერატურა — ბრძოლება, ალ. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ს. ყაუხებიშვილი ალ. ბარამიძე, კ. გრიგოლია).

258 P. Օրբელი, Новые биогр. данные о Мирза-Джафар Топчибашеве, стр. 39.

259 თ. ბაგრატიონის წერილი ალ. გოლიცინისადმი დაცულია ლენ. ინსტ. II—28, გვ. 154, ხოლო გოლიცინის საპასუხო წერილი თეიმურაზისადმი გამოვევენა ს. იორგეანიშვილმა: „კატალოგი, თბ., 2948. დამატება, გვ. 80. მის შესახებ ის. შარაძე, თ. ბაგრატიონის მთარგმნელობითი მოღვაწეობილი. „მაცნე“. № 2, 1972,

გარდა რუსული მხატვრული სიტყვისა თუ ფრენჯის დიდობრაბებისა, თეომურაშ ბაგრატიონი ახლო ურთიერთობაშია პეტერბურგის სამეცნიერო სკოლასთან. რ. ორბელის სიტყვებით: „... с конца 20-х годов, мы видим Теймураза в сотрудничестве с археографом П. М. Строевым (1796—1876), юристом Г. А. Розенкампфом (1762—1832)... В научном общении Теймураз был и с востоковедом Х. Д. Френом (1782—1851), кавказоведом А. М. Шёгреном (1794—1855) и почетным академиком П. В. Ганом (ум. в 1856 г.)»²⁶⁰.

ამათ შეიძლება დაემატოს აქად. ფ. შარმუას და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აქად. ს. უვაროვის სახელები. მხედველობაშია აგრეთვე მისალები პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ის აკადემიკოსები, რომლებმაც ერთხმად დაუკირქს მხარი 1837 წლის დეკემბერში თეიმურაზ ბაგრატიონის საპატიო აკადემიკოსად არჩიეს. ესენია აკადემიკოსები მ. ა. დონდუკოვ-კორსაკოვი, ფუსი, ვიშნევსკი, ზაგორისკი, ოსტროგრადსკი, უსტრიალოვი, ერუგი, შმიდტი, ბრანდტი, პერმანი, კუპფერი, პესი, ლენცი, ბუნიაკოვსკი და სხვ²⁶¹.

ბ. თეიმურაზ ბაგრატიონი და ქართველი ინტელიგენციის ასალი თაობა

„წამია პეტერბურგისა, ზაფხულის სახის ჩერნება,
ორ თვემდის ნათობს ღამეცა ყოვლს სულ აქეს მისი ქენება.
თუ წვიმას იწყებს ძნელა არს დარი და გაზომზევნება,
სტანგავს კაცს რვა თვე ზამთარი, გაეს სვეს ჩვენს ასე ენება“.

ასე გადმოგეცემს თეიმურაზი ქართველი კაცისათვის უცხო პეტერბურგის ბუნებას²⁶².

საქართველოსაგან მოშორებულ სევდიან ბატონიშვილს („აშ მეურლოშიდ მყოფელსა“) თავის ერთ ხელნაწერ კრებულში ჩაუწერია:

„შენი მიჯნური, შენგან შორ ქმნილი,
რომელსა აქვნდა, თვალთ ცრემლთა მილი
და მსგავს ირმისა, წყაროს წყურელი
აშ წიაღს შემსა ის განცცხებს მტკბარად.

260 Р. Орбели. Из криптографических записей Т. Багратиони, Ученые записки ИВ АН СССР. М.-Л., 1958, стр. 395.

261 Académie Impériale des sciences, № LXV, LXIII, ЛО Архива АН СССР, ф. 1, оп. 1^a, № 56.

262 ლენ. Е 23, გვ. 294.

სამშობლოს სიყვარული თეიმურაზ ბაგრატიონმა პეტერბურგში თანამემამულეთა ახალი და საუკეთესო თაობის აღზრდითაც დაამტკიცა: თეიმურაზია ქართული ინტელიგენციის ახალი თაობის ერთ-ერთი მოძღვარი.

პეტერბურგის სასულიერო აქადემიაში სწავლის დროს (1831—1835 წწ.) პლატონ იოსელიანი სხვა ბატონიშვილებთან ერთად, თეომურაზის ყურადღების საგანი იყო: „მეცა თვით ვიყავ დაახლოებული მეფის ძეთა, ვითარცა მათთანა შინაური, მათთან დაბინავებული, მათთან გამოკვებული და შენახული მათთანა ოთხსა წელსა (1831—1835) და კუალად ორიცა წელი (1843—1844); „პირნი ესენი.., იყვნენ დაახლოებით ცნობილი ჩემგან მეუღლე თვით მეფისა ბატონი დედოფალი მარიამ; ძმანი თვით მეფისა მირიან და ფარნაოზ, ძენი მეფისა ბაგრატ, თეიმურაზ.., ელენე მეუღლე მეფის ძის თეიმურაზისა...“²⁶⁴. 1834 წელს პლატ. იოსელიანს თეიმურაზისა და ელენესთვის მიურთმევია თხზულება „მწუალებელთათვის“²⁶⁵.

ეტყობა, პლ. იოსელიანს მეცნიერულ-ლიტერატურული საუბრებიც ჰქონია თეიმურაზთან: „მეფეთა ისტორია, მეფემან უნდა ჰერიონი, — ხშიოდ მეტყოდა მეფის ძე თეიმურაზ. თქმასა ამას აქუს თავისი ჰაზრი, ძალი და მნიშვნელობა“ — გადმოვცემს პლ. იოსელიანი²⁶⁶.

მეტად საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა აგრეთვე პლ. იოსელიანმა „ცხოვრებაში“ თეიმურაზის კარის ეკლესიის შესახებ²⁶⁷. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ თბილისში დაბრუნების შემდეგ პლ. იოსელიანის ისტორიული შრომებით თეიმურაზი უკმაყოფილო დარჩენილა და მასზე შეუქმნია სატირული ლექსები, რომლებიც მოგვარეობენ ნ. ბარათაშვილის განთქმულ მახვილსიტყვაობებს პლატონ იოსელიანზე: „ასე ამბობენ იოსელიანს თაფლს შინა ქაქი გაურევია“.. ან „კიდევ: „ფილოსოფი გამოგვიჩნდა, თავს არ უდებს ღობეს ბრძენსა...“²⁶⁸. ჩევნოთვის ამჟამად, უცნობია, სახელდობრ, პ. იოსე-

²⁶³ ლენ. E 23, გვ. 298.

²⁶⁴ ცხოვრება..., გვ. 284, თხ. აგრეთვე, „ცისკარი“ № 12, 1868 წ. შედრ. 6. მახათაძე, ქართ. კრეტურის კერა პეტერბურგში, გვ. 160—161.

²⁶⁵ H—2317.

²⁶⁶ ცხოვრება, გვ. 284.

²⁶⁷ იქვე. გვ. 177.

²⁶⁸ ლენ. E 23, გვ. 281, 289—290.

ლიანის რომელი ისტორიული შრომა აქვს მხედველობაში თვითშემომავალის ბაგრატიონის²⁶⁹. ისე კი, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სამეფო ოჯახის სხვა შთამომავალი, კერძოდ, ალ. ოჩბელიანიც (თეკლე ბაგრატიონიშვილის ვაჟი) პოლემიურად არის განწყობილი პლ. იოსელიანისადმი, როგორც ისტორიკოსისადმი²⁷⁰. ამ მხრივ, უთუოდ ანგარიშგასაწევებია ა. გაშერელიას თვალსაზრისი: „ალ. ოჩბელიანის მსოფლმხედველობა პოლიტიკური რომანტიზმის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება იყო მე-19 ს. I ნახევარში, ის ბოლომდე დარჩა ბაგრატიონთა ღინასტიის წარსულ დიდებაზე მეოცნებები არისტოკრატიად... პლ. იოსელიანის კი არაერთხელ გამოუთქვამს ხოტბა რუსეთის მმართველობისადმი... პოლიტიკური მსოფლმხედველობის მხრით, პლ. იოსელიანი ეკუთვნოდა იმ ჯგუფს, რომელიც მეფერამეტე საუკუნის საქართველოსათვის ერთადერთ გამოსავალად რუსეთთან შეერთებას სთვლიდა“²⁷¹.

როგორც ცნობილია, 1826 წელს ნიკო ჩუბინაშვილმა პეტერბურგს სასწავლებლად ჩაიყენა თავისი ძმისშვილი დავით ჩუბინაშვილი, რომელიც შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი პროფესორი გახდა²⁷².

თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსესთან ერთად, მონაწილეობას ღებულობდა დ. ჩუბინაშვილის მეცნიერულ წრითობაში. ამის დამამტკიცებელია „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა, რომელიც ზ. ფალავანდიშვილთან ერთად, განხორციელდა ამ სამი პიროვნების დაულალავი მეცნიერული თანამშრომლობით²⁷³. თეიმურაზ ბაგრატიონის მეცნიერული ავტორიტეტი დ. ჩუბინაშვილისათვის იმდენად დიდი ყოფილა, რომ ზოგიერთი მისი დებულება უკრიტიკული აქვს გამორებული²⁷⁴. მათი ახლო ურთიერთობის დამამტკიცებელია ის ფაქტიც,

269 უკველ შემთხვევაში, ნ. მახათაძის მიერ მოყვანილი სიტყვები, ღამიწმებული პლ. იოსელიანის მიერ 1868 წელს გამოქვეყნებული წერილიდან: „Отклик кавказца, кавказцам Петербурга“, Кавказ, 1868, № 15. არა გვგონა თეიმურაზს სკოლნიდა, რაღაც ივი ამ დროს 22 წლის გარდაცემილი იყო.

270 ს—1646—გ.

271 ცხოვრება..., ა. გაშერელიას შესავალი წერილი, გვ. VIII—IX. შდრ. 6. მათა ძე, დაბახ. ნაშრ., გვ. 163.

272 დაწვრილებით იხ. А. ცაგარელი, Сведения, вып. III СПБ, 1894, стр. LXVII—LXXXV, აგრეთვე, კ. კინწურაშვილი, დავით ჩუბინაშვილი, თბ., 1970.

273 გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა, კრებულში „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, თბ., 1966.

274 გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის ავტორის ენათა-მსოფლმხედველობის პრობლემა, „მაცნე“, №, 1966.

რომ თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ (1846 წ. ოქტომბერი) მდიდარი ქართული ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენტარაქტეფერდლ. ჩუბინაშვილისათვის მიუნდვიათ, რომელიც ახლახანი მოწყვეტილი იყენებდა. აკადემიის არქივის ლენინგრადის განყოფილებაში გამოვლინდა²⁷⁵. მადლიერმა მოწაფემ, 1848 წელს, პეტერბურგში აკად. მ. ბროსეს მეცაფინეობითა და ხელშეწყობით, გამოსცა თეიმურაზ ბაგრატიონის „ისტორია დაწყებითგან ივერიისა“.

როგორც ისკვევა, თეიმურაზი, ბაგრატ ბატონიშვილთან ერთად, უშაალო დახმარებას უწევდა ცნობილ ქართველ ფილოსოფოსსა და ვანმანათლებელს სოლომონ დოდაშვილს მისი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს (1824—27 წწ.). იონა ხელაშვილი ორ სხვა ქართველთან (ერიანოვი, ადამ ლირიაშვილი) ერთად, პირდაპირ ასახელებს სოლომონ დოდაშვილს თეიმურაზის აღზრდილად: „...აპა სამნი მექუცყნენი ჩემნი მოვიდნენ სახლსა შინა თქუცნსა, რომელთაგანნი თრინი გაბედნიერდნენ დოდაევი და ერიანოვი და მიიქცნენ საგნებ შესრულებული მამულად. რომელთაცა ნატრიან თემი ივი დიდი“²⁷⁶. ამას გარდა, თვით ს. დოდაშვილის წერილებში ხმირად მადლობით იხსენიება თეიმურაზ ბაგრატიონის სახელი²⁷⁷. 1830 წელს როცა ს. დოდაშვილმა თბილისში ბეჭდურად გამოსცა თავისი „შემოკლებული ქართული ლრამმატიკა“, ერთი ეგზემპლარი წარწერით მიურთმევია თეიმურაზ ბაგრატიონისთვის (ამჟამად ლენ. ე 21 შდრ. P. Օբელი, ერთ. რუ. № 145), ხოლო 1832 წლის შეთქმულების გამომედინების შემდეგ მიცემულ ჩვენებებში ს. დოდაშვილი აღიარებს პეტერბურგში ყოფნის დროს თეიმურაზ ბაგრატიონთან სიახლოეს²⁷⁸.

თეიმურაზი დახმარებია აგრეთვე ადამ ლირიაშვილს (კახელი მღვდლის შეილი, დაიბადა 1804 წელს, სწავლობდა თბილისის სემინარიაში) პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩასარიცხად²⁷⁹, რომელიც შემდეგ იხსენიება უნივერსიტეტის აღზრდილთა შორის²⁸⁰.

275 Փ 2, օп. 1847, № 15, ამის შესახებ იხ. გ. ზარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი ბიბლიოფილი. ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, ქართ. ლიტ. ინსტიტუტის სამეცნ. კონფერენცია, თბ., 1970.

276 Н—2226, გვ. 323; შდრ. მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955.

277 სოლომონ დოდაშვილის წერილები. ს. ხეციშვილის შესავალი წერილთა და შენიშვნებით, წიგნში: მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. 11. თბ., 1945.

278 გ. გოცაძე, 1832 წლის შეთქმულება, II. თბ., 1970, გვ. 228, 247.

279 Н—2226, გვ. 323.

280 В. Григорьев, Императорский С.-Пет. университет в течении первых пятидесяти лет его существования, 1870.

ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ თეიმურაზმა 1810 წელს, თბილისიდან პეტერბურგში გამგზავრებისას დედასთან ერთად, რაც წაიყვანა 12 წლის სოლომონ რაზმაძე, რომელიც პ. კარბელაშვილული სიტყვებით, ბატონიშვილმა „თავისი ხარჯით გაზარდა და შემცირდის სწავლა მიაღებინა“²⁸¹, ხოლო თვით ს. რაზმაძე პირდაპირ ამბობს: „მი- ცილე განათლება თეიმურაზის ხარჯზე“ (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, გვ. 274).

პეტერბურგში ს. რაზმაძემ თეიმურაზთან თითქმის 22 წელი გა- ატარა. ზედმიწევნით შეუსწავლია რუსული და ფრანგული, თითქოს სპარსული, თურქული და სომხური ენებიც, და ხელი მიჰყო პოეტურ და მთარგმნელობით მოღვაწეობას²⁸². თეიმურაზისვე თხოვნით, მისმა ქვისლმა გენერალ-მაიორმა სიმონიშვილმა, როცა ის რუსეთის ელჩად და- ნიშნეს სპარსეთში (1831 წ. დამლევს) თან წამოიყვანა ს. რაზმაძეც, რასაც თვითონ აღიარებს: „ქართველმა ბატონიშვილებმა თეიმურაზმა და ელენემ, რომლებთანაც ჩემი დედითურთ ცუხოვრობდი ბავშვობი- ლანვე, სოხოვეს თავის ნათესავს გრაფ სიმონის, როდესაც ის პე- ტერბურგში იყო, წავეყვანე სპარსეთში“ (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, თბ., 1970 გვ. 223. შდრ. იქვე, გვ. 166. 395). თბილისში გამოვლისას ს. რაზმაძე აქტიურად ჩაება 1832 წლის შეთქ- მულებაში და ბოლოს გაიზიარა სხვა შეთქმულთა ბედი.

ჩეენ არ მოგვეპოვება არავითარი პირდაპირი საბუთი 1832 წლის შეთქმულებასთან თეიმურაზის დამოკიდებულებისა²⁸³. ოღონდ ფაქ- ტია, რომ შეთქმულების სამი აქტიური მონაწილე — ს. დოდაშვილი, ტარასი ალექსი-მესხიშვილი და ს. რაზმაძე თეიმურაზის აღზრდილები იყვნენ. მათ გარდა შეთქმულების სხვა მონაწილენიც (დ. ორბელიანი, გ. რ. ერისთავი, მამაცაშვილი) აღიარებენ თეიმურაზთან სიახლოვეს, ამასთან, მიუთითებენ შეთქმულების ერთ-ერთი უცხოელი მონაწილის ყოფილ თბილისის საფრანგეთის საკონსულოს მდივნის ლეტელიეს ნაცნობობაზე თეიმურაზთან (იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II. თბ. 1970, გვ. 156, 262, 352, 519). რასაც არც თვი- თონ ბატონიშვილი მალავდა: „უფალი ლიტელიე მოგვიყითხე დიდის სიყვარულით თავის მეულლითურთ“ წერდა იგი ბროსეს (წერილები,

281 პ. კარბელაშვილი, სოლომონ ივანეს ძე რაზმაძე, გვ. „დროება“, 1882, № 259.

282 6. ალანია, სოლომონ რაზმაძე, თბ., 1968 (ჩეენ აღიარ ვასახელებთ სხვა ადრინდელ მეცნიერთა შრომებს, რადგან ცველა ისინი ამ უკანასკნელ მონოგრაფი- აში გათვარისწინებულია).

283 შდრ. გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, I, თბ., 1935, გვ. 145. შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 44—45.

33. 25). მაგრამ ეტყობა, ეს არ ყოფილი საქმარისი მამხილებული ჩამა-
ლა თეიმურაზშე ეჭვისატანად. ყოველ შემთხვევაში გადარჩენილია
ერთი ღოკუმენტი, რომელიც მოწმობს თეიმურაზ ბაგრატიონიშვილის
თან კავკასიის მაშინდელი მთავარმართებლის ბარონ როზენის კარგ
დამოკიდებულებაზე²⁸⁴.

ახლო მეგობრობა და მშეღირო ლიტერატურული თანამშარომო-
ბა აკავშირებდა თეიმურაზს თავისი უფროსი დის ნინოს შეილიშვი-
ლებთან — დავით და გრიგოლ დადიანებთან.

იონა მეუნარგიას დახასიათებით „დავითი იყო მწიგნობარი, მცო-
ლნე სალვო წერილისა და საერო მწერლობისა, თვითონ კარგი მწე-
რალი და მთარგმნელი“, ამასთან „დიდი მოყვარე იყო ქართულის მწი-
ვნობრობისა. მისი ქართული ხელთნაწერი ბიბლიოთეკა, რომელიც
შემდევში მისმა შეიღმა, სამეცნიეროს თავადმა ნიკომ „შ. კ. გ. ს“-ს
შესწირა, ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკათაგანი იყო თუ არა ერთად-
ერთი საქართველოში“²⁸⁵.

როგორც ვხედავთ, სამეცნიეროს უკანასკნელი მთავარი დავით
დადიანი (1813—1853) განთქმული ბიბლიოფილი და კოლექციონერი
ყოფილა. თეიმურაზი, ეტყობა ზრუნავდა დავით დადიანის მდიდარი
ბიბლიოთეკის ხელნაწერული მემკვიდრეობის შესავსებად. ასე, მაგ.:
მას ამ ბიბლიოთეკისთვის გამოუგზავნია თავისი დრამატული თხუზუ-
ლების „სამსახურობა რაინდისა“ უნიკალური ავტოგრაფული ხელნაწე-
რი²⁸⁶, ასევე „ფრიქსა და ელეია და ოქროს მატყლოვანისათვის ვერ-
ძისა²⁸⁷, „მოგზაურობა ევროპაში“²⁸⁸ და სხვ.

284 იხ. თეიმურაზ ბაგრატიონის 1835 წლის 30 ივნისის წერილი ბარონ როზე-
ნისაღმი (რუს. ენაზე): Отдел ПИ ГИМ СССР. Ф. 6. арх. Розена, ед. хр.
№ 4, стр. 534—595.

285 ი. მე უ ნარგია, სამეცნიეროს სამთაეროს უკანასკნელი პერიოდი და და-
ვით დადიანი ს. ცაიშვილის რედაციით, თბ., 1939, გვ. 136. შედრ. მისიევ, ქართველი
მწერლები, I, გვ. 307. იხ. ავრეოვე. ს. ცაიშვილის კომენტარები და შენიშვნები
ი. მეუნარგიას წიგნში: ქართველი მწერლები, II, თბ., 1957, გვ. 287, 324.

286 ზუგდიდის სახელმწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა
ცონდი, სია №3—904: „მათის უგანათლებულესობის ბატონი ჩემი საკუთარი მეგობ-
რის დალიანის ძის გრიგოლისათვის ვილეში გარდაწერასა ამა შშენერისა რაინდის
სამსახურობისასა...“, ხოლო გრიგოლს ძმისთვის გამოუგზავნია მისი ოხონის პასუხად:
„რაინდი თუ გიყვარვარ გამომიგზავნე“ წერდა დავითი გრიგოლს (ზუგდ. გრ. დადი-
ანის ფონდი. № 21).

287 ს—3723; შედრ. ქუთაისის სახელმწ. ისტორიულ-ეთნ. მუზ. ხელნ. № 480:“
ვიერლენ დისტრილის ძესა მისსა დადიანს დავით ლეონის ძეს ნიშნად მის მიერისა
სიყვარულისა...“.

288 დაცული იყო. ზუგდიდის მუზეუმში.

აღსანიშნავია, რომ დიდი ფრანგი განმანათლებლის მონტევეკიეს სახელგანთქმული თხზულება „გულისხმის ყოფისათვის სკუპის უკავშირი“ ეთ ბატონიშვილმა თეიმურაზის თხოვნით თარგმნა პეტერბურგში, 1814 წელს. თეიმურაზს მისთვის ესოდენ ძვირფასი ხელნაწერიც არ დაუშერებია დავით დადიანისთვის მისართმევად: „ქ. ეს პირველი ტომი მონტესკეუ და მეორე ტომი ამისივე, ორივ წიგნი ერთად მომირთმევია თქვენი უგანათლებულესობისათვის, ბატონო დისტულო და სულით მეგობარო დადიანო, მემკვიდრევ დავით. ეს წიგნი მეფის ძემ დავითმან ჩემის თხოვით სთარგმნა და მისივე კელით არის დაწერილი ორივ წიგნივე. უსაკუთრესი შენი ბიძა და მეგობარი, მეფის ძე თეიმურაზი“²⁸⁹ ან კიდევ: „...ამ წიგნს ...თქვენზე ჩენოთვის უკეთესს უძღვნიდით? ღმერთმან... შვილობაში, დღევარძელობაში, სიცოცხლეში და ბედნიერებაში გახმაროსთ“²⁹⁰. თავის შერივ, დავითიც უგზავნიდა თეიმურაზს წიგნებს; 1838 წლის 24 თებერვალს გრიგოლ დადიანისადმი პეტერბურგში გაგზავნილ წერილშია დავითი წერს: „ბატონიშვილს თეიმურაზს მომავალს მძიმე ფომტით ვუგზავნი ბევრს წიგნებს“²⁹¹ ან კიდევ: „ბატონის შვილს ჩემს თეიმურაზს წიგნები ებოძებინა ჩემთვის და მასთან მოყითხეა მოეწერა... თეიმურაზს ქხლა წიგნი ვერ ვახელ, მომავალს ფომტაში იოსიპოსს უთუოდ მოვართმევ და პეტრეს შერქმნულს ახლად დილარიანს“ (1838 წ. 1 დეკ.)²⁹².

1834—35 წლები დავითმა პეტერბურგში გაატარა თეიმურაზ ბაგრატიონთან. როგორც ცნობილია, ამ დროს მ. ბროსე პარიზიდან პეტერბურგში ჩამოსასვლელელად ემზადებოდა, რაც მაშინ ვერ ვანხორციელდა. თეიმურაზს განზრაბულ ჰქონია დავით დადიანი მისთვის მეგზურად გაეყოლებინა საქართველოში, რის შესახებაც 1835 წლის 1 მაისს ბროსეს წერდა: „რა ვყო, შენი ნხვა კიდევ დამიგვინდა. ახლა დავაჭრე გული, რომ თქვენ თბილი ჰაერი გიყვართ, ცივს ჰაერს ერიდებით, მაგრამ საქართველოში ძალიან თბილა. აქ კარგი მგზავრი მყვანდა თქვენთვის, ჩემი ღვიძლი ღისტულის შვილი, ჩვენი ქვემო საქართველოს-მეგრელის სამთავროს მეკვიდრე, თავადი დადიანის შვილი და უცხოთ გაზრდილი; შვენიერი ჯერეთ ყმაწვილი, ოცდაერთის წლისა იქნება ხნითა, დიდად სიბრძნის მოყვარე, სხვა ენეპისაც კარგად მცოდნე, რუსულისა, მცირე ფრანცუალიც იცის. ძალიან კარგი გულისა და ჰქვიანი. გულით მინდოდა ამ უამში აქ ყოფილიყა-

289 ს—370, ვვ. 3.

290 ს—371, ვვ. 463—464.

291 ზუგდ. გრ. დადიანის ფონდი, № 22.

292 იქვე, № 20.

ვით. იმისთვის გამეტანებინე. ერთი თვე იქნება წავიდა საჭიროებული-
ში”²⁹³.

დიდი გულთბილობით გამოეხმაურა პეტერბურგიდან თეიმურაზ
ბაგრატიონი 1838 წელს თბილისში, დაით დადიანის ეკატერინე ჰავ-
ჰავაძეზე დანიშვნის ამბავს. თეიმურაზს ეკატერინესადმი მიუძღვნია
ორი ლექსი, რომელიც ეკ. ჰავჰავაძის ალბომის პირველ და მეოთხე
გვერდებზეა მოთავსებული:

„სჭირებს ორიონით ნათელ-შერთოლინა, მთიებრ შექ-მფენი სპეტა-ბროლინა,
თუალ-შევარდენა, მყერლ-შშუაზარინა, გულის მიდამოს სულს მომნადირნა.
შშეილდნი მოზიდნა, გოშრის ისრინ, ინდო რაზმით ფრინა გულს განასრინა.
ვარდთ კოობთ მცინა, კავკას ზმირინა, ესრეთ შემცულ არს ეკატერინა.

* * *

ეკატერინა ვარდკოკობინა, სულნელ კასია ალი შტახსინა,
ცერიალა მცინ კარგ თვალთ შაქცინა, სიხარულის ფრთით კოლჩიდს მომფურინა.
თუალ-შევარდენა, მყერლ-შშუაზარინა, გულის მიდამოს სულს მონადირნა.
ვათ მტრელ-გურიტინა შენდა მღლინა სიხარულს თეს ტოლს მდიდრად შემძინა.
საქართულოს მეფის ძე თეიმურაზ 1839 აპრილის 18²⁹⁴.

ამ ლექსის ლენინგრადულ ავტოგრაფულ ნუსხაში თვითონ თეი-
მურაზის ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: „დადიანის ლეონის ძე და-
ვით 1838-ში მეგრელის მემკვიდრე რომ დაინიშნა ჰავჰავაძე კნიაზ
და ჩემს დისწულს დავითს გავუგზავნე მე მეფის ძემ თეიმურაზ”²⁹⁵
(იხ. აგრეთვე, H—1430:10, ფ. 34 v).

ასევე ახლო ურთიერთობაში ყოფილა თეიმურაზ ბაგრატიონი
გრიგოლ დადიანთან (1814—1902), რომელიც შშერლობაში კოლხი-
გრიგოლ დადიანთან

293 ს. ცაიშვილი, კომენტარები და შენიშვნები წიგნში: ი. მეუნარვა, ქართველი შშერლები, II, 1957, გვ. 316.

294 მარქსის სახ. რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის ხელნ. განცოფილება, S—8, 63-ეკატერინე ჰავჰავაძის ალბომი, გვ. 1, 4; შლრ. ს. ცაიშვილი, შენიშვნები და კომენტარები ი. მეუნარვის წიგნისათვის: ქართველი შშერლები, II, 1957 გვ. 325—24.

295 ლენ. E 23, გვ. 284. დავითის და თეიმურაზის ურთიერთობის შესახებ იხ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, 1967, გვ. 165—
168.

დელის ფსევდონიმითაა ცნობილი. გრ. დადიანი 1830-იან წლებში
(ი. მეუნარგიას ცნობით, 1834—47 წწ.) პეტერბურგში ცხოვრიშვილის
სადაც დაქორწილდა კიდეც ტერეზია მამის გურიელის ასულის შვილი.²⁹⁵ შემდეგ
დადიანის სიტყვით „თეიმურაზ მეფის ძემან ოქროს კალმით აღწერა
ქორწილი ესე იშვიათი სასიქადულო და სახსოვარი და გაუგზავნა და-
დიანის მამას“²⁹⁶. ლენინგრადულ და ზუგდიდურ ხელნაწერებს საქა-
ონდ უხვად შემოუნახავს თეიმურაზ ბაგრატიონისა და გრიგოლ დადია-
ნის პოეტური გაპატერებანი²⁹⁷. გრ. დადიანს მიუძღვნა თეიმურაზმა
თავისი პოემა „ვაშლი“²⁹⁸.

აგაფონ ოვნათანიანი (რუსულ საბჭოთა შემოწმე—ავნათაშვილი), წარმოშობით სომეხი, თბილისში დაიბადა XIX ს. 20-იან წლებში და თბილისის მოქალაქეთა წოდებას ეკუთვნოდა. აგაფონის პაპა—ოვნათანი და მამა—მიკიტუმ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარის ცნობილი მხატვრები იყვნენ და თავიანთი წვლილი ქვეთ შეტანილი ფრესკულ (ეჩმიაძინის ტაძარი) და პორტრეტულ ფერწერაში. განსაკუთრებით გაითქვა სახელი მისმა უფროსმა ძმამ აკოფმა, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ მხატვრად ითვლებოდა თბილისში და თანამედროვენი „ქართველ რაფაელს“ უწოდებდნენ. შ. ამირანაშვილის თქმით, ამ ორი მხატვრის შემოქმედებამ გარკვეული კვალი დაჩინია თბილისორი მხატვრული სკოლის პორტრეტულ ხელოვნებას²⁹¹.

1836 წელს ბარონ როზენმა სახელმწიფო ხარჯზე თბილისიდან პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში პანსიონერად გაგზავნა აგვიონ ოვნათანიანი. მაგრამ იგი პეტერბურგში გვიან ჩასულა, როცა უკვე აკადემიაში შეწყვეტილი ყოფილა მიღება. იმპერატორის ბრძანებით, ა. ოვნათანიანისთვის გამოუყვაით სპეციალური თანხა აკადემიის საერთო სახსრებიდან და ჩაურიცხავთ ისტორიული და პორტრეტული

296 ზოგი, გრ. დალიანის ფონდი, № 226.

298 სოლ. ცაგვერალი, თემურაშ ბატონიშვილის უცხოიდი ანქივი. გვ. 1-ლიტ. და ხელოვნება, 1947, № 12.

аб. օջախը: Р. Г. Драмиян, Армянский художник Акоп Овнатанян и иранские влияния в его искусстве. III международный конгресс по иранскому искусству и археологии. Доклады, Ленинград, сентябрь, 1935, М.-Л., 1939.

ფერწერის კლასში, სადაც მიუმაგრებით პროფესორ ქ. პ. ბრინული-
ვისათვის. შავრამ 1840 წლისთვის აკადემიას შეუწყვეტიაზე მის მუშაობაზე
ნიშნული დახმარება. მაშინ გაჭირვებულ ახალგაზრდა მხატვარს დახ-
მარებისთვის მიუმართავს პეტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზ ბაგრა-
ტიონისათვის, რომელიც მას აღმართ იცნობდა მშობლების მხრიდან.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტი-
ტუტის (პუშკინის სახლი) ხელნაწერთა განყოფილებაში გამოვლინდა
თეიმურაზ ბაგრატიონის 1840 წლის 26 მარტის წერილი პეტერბურ-
გის სამხატვრო აკადემიის კონფერენც-მდივან ვასილ ივანეს ძე გრი-
გორივიჩისადმი, რომელშიც იგი ითხოვს იშუამდგომლოს აკადემიის
პრეზიდენტ ა. ნ. ოლენინთან, ანგარიში გაუწიონ ცოდნას მოწყურე-
ბულ დარიალ აზალგაზრდას და დატოვონ აკადემიაში პანსიონერად,
ფუნქის დიდოსტატ ქ. ბრიულოვთან.

ჩანს თეიმურაზის თხოვნამ გაჭრა: როგორც მხატვრის შემდგომი
ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, მან მეცადინეობა მართლაც გააგრძელა
აკადემიაში პროფესორ ბრიულოვის ხელმძღვანელობით 1843 წლის
აგვისტომდე, დაასრულა სწავლების სრული კურსი 6 წელი (1836—
1843 წ.). და მალე დაუბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქს თბილის
და უფროს ძმასთან აკოფთან ერთად შეუდგა პორტიკეტების ხატვას³⁰⁰.

1831 წელს გრიგოლ ორბელიანი თბილისიდან ნოვგოროდში გა-
ემგზავრა მოსკოვ-პეტერბურგის გავლით³⁰¹. პეტერბურგში იგი ოთხ
თვეს დარჩენილა. ამ ხნის განმავლობაში იგი დაუახლოვდა ქართული
სამეცნი ოჯახის წევრებს, კერძოდ, 1832 წლის 14 ივლისს პეტერგოფ-
ში სწვევია თეიმურაზ ბაგრატიონს³⁰².

თეიმურაზის პიროვნებასა და ხასიათზე საინტერესო მოგონება
აქვს გადმოცემული გრიგოლ ორბელიანს იონა მეუნარგიასთან საუ-
ბარში. „ბატონიშვილ თეიმურაზთან რომ შევიდოდა კაციო—გვითხრა
ერთხელ პოეტმა — ის ჯერ თავაზიანად დაუწყებდა სტუმარს ლაპა-

300 დაწყოლებით იხ. გ. შარ ა. გ., მხატვარ ა. ოვანათანიანის ბიოგრაფიისათვის „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 10, გვ. 79—80; აქვეა დაბეჭდილი თეიმურაზის წერილის ტექსტი (რუს. ენაზე).

301 ვ. ი. ი. ბ. ლ. ი. ნ. ი., მგზავრობა ჩემი ტუილისიდამ პეტერბურლამდის, თხულებათა სრული კრებული, ა. გაწერელიასა და ქ. კუმბურიძის რედ. თბ., 1959, გვ. 155—265.

302 ი. ქ. ვ. გ. გვ. 262.

რას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უცილად, თითქო დაიღიალო, განკუთხული მდებოდა, დაფიქრდებოდა და ოცნებისაგან გატაცებული დადგებოთა, ან დაჯდებოდა ერთს ადგილზე დიდ ხას, უძრავად, უენოდ. ფასაჭმულისა მარეობიდან რომ გამოთხიზლდებოდა, ჩევეულებად პქონდა წამოეძახნა: მერე? და ნაცნობ-მეგობრებიც გასცემდნენ იმგვარ პასუხს. რა-გვარსაც მოიმარჯვებდნენ. ერთხელ, ამგვარი დაკარგული ფქრის შემდეგ, მეც მყითხა ჩევეულებრივად: მერე, მერე, ჩემო გრიგოლ? მეც მოვასენე ხმამალლა: მერე, ბატონო, წავასხით ყარაიაში მწევარ-მე-ძებრები, დავედევნეთ ჯეირანს და მანამ ესდიეთ, სანამ... ამაზე იმანაც სიამოვნებით: ოპო! ოპო! პო! ჩემო გრიგოლ, ჩემო გრიგოლ! მაგრე, მაგრე!“³⁰³.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გრიგოლ ორბელიანი, დედის მხრით ბაგრატიონთა გვარს ენათესავებოდა (გრიგოლის დედა ხორეშანი ერეკლე II ქალის ელენეს ასული იყო). ამიტომ გასაგებია მისი ამგვარი სიახლოეს პეტერბურგში მყოფ ქართველ ბატონიშვილებთან და მათ შორის, თემურაზთანაც.

თემურაზ ბაგრატიონის სახელთან არის დაკავშირებული გასული საუკუნის ცნობილი ქართველი მწიგნობრისა და მესტამბის სეიმონ ტა-ბიძის პეტერბურგში მოღვაწეობა.

სამცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, თითქოს ს. ტაბიძე 1776 წ. დაბადებულა და უცხოვრია ს. ტობანიერში (ახლან-დელ ენის რაიონში), რომ იგი სახლოუბუცეს ზურაბ წერეთლის ასულ ქეთევანისათვის გაუყოლებიათ მხითევში ფარეშად, როცა ქე-თევანი იოანე ბატონიშვილზე გათხოვილა. ამ გზით ს. ტაბიძე მოხვე-დრილა იოანე ბატონიშვილთან და გაპყოლია კიდეც მას 1801 წელს რუსეთში³⁰⁴.

ისტორიკოსი თ. ენუქიძე არ ეთანხმება ამ მოსაზრების ავტორს, რადგან „ტრ. რუხაძის მიერ მითითებულ ხელნაწერში ამ ცნობის მსგა-ვსი არაფერია დაცული. თანაც საეჭვოდ მიგვაჩნია წერილში მოცე-მული ცნობა ს. ტაბიძის დაბადების თარიღის შესახებ. ხელნაწერთა

303 ი. მეუნარვია, ცხოვრება და ლვაწლი გრიგოლ ორბელიანისა, ქართველი მწერლები, I. სოლ. ცაიშვილის რედაქციით წინასიტუაციითა და შენიშვნებით, თბ., 1954, გვ. 44–45.

304 ტრ. რუხაძე, სეიმონ ტაბიძე, გაზ. „ლიტ. და ხელოვნება“, 1946, № 22, 25 მაისი.

ინსტიტუტის Q—781 ხელნაწერში, 1881 წლის თარიღით შოთა გოგოვანი ვება ს. ტაბიძის ლექსი-ავტოგრაფი, რომელიც მიძღვნილია ალექსანდრე II გარდაცვალების გამო პეტერბურგში ჩასული ქაზიშვილის პუტატებისადმი. ჩვენ გვევევება, რომ ტაბიძეს 1776 წლიდან 1881 წლამდე და შემდეგ ეცოცხლოს“³⁰⁵.

ყველ შემთხვევაში, ს. ტაბიძის პეტერბურგში, თეიმურაზ ბაგრატიონთან მოხვედრის მიზეზი მაინც ღიად არის დატოვებული. საბუთების მიხედვით, იგი პეტერბურგში 1830-იანი წლებიდან ჩანს.

თ. ენუქიძის გამოკვლევით „1835-46 წლებში სიმონ ტაბიძე ახლო დგას თეიმურაზ ბაგრატიონთან. მისი დავალებით იგი იწერს ხელნაწერებს და გამსაზღვრულ გასამრჯელოსაც იღებს თეიმურაზისაგან. ეს უკანასკნელი მასზე გარკვეულ მეუვნეობასაც იჩენს; 1843 წლით დათარილებულ ბარათში ბროსესადმი დეიმურაზი. წერს: სკიმონიკა ტაბიძეს შეეწიეთ და ეს ატესტატი, რომელიც ამას მიუღია სახელმწიფოს ტიპოლრაჭით აკადემიისა გამოუცვლევინეთ ესრუთ. რომ კარონის სამსახურის ოტესტატი (ესე იგი სვიდეტელსტეა), მიეცეს რომ შეეძლოს იმითი სამსახურში საღმე შესვლა, თქვენს აკადემიის კომიტეტში ითხოვეთ და ესეც გამოაცხადეთ. რომ შუამავალი მე ვარ ამ სკიმონ ტაბიძისა“³⁰⁶...

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში ს. ტაბიძეს აუქცვია „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ბეჭდური 1841 წლის გამოცემის ტექსტი, რის შესახებაც გამოცემისთვის დართულ ლექს-ანდერძში ვკითხულობთ:

„შესტამბე სკიმონ ტაბიძე ბეჭდვაზედ იყო მცდელია“.

ახლა უკვე გამორკვეულია, რომ გამოცემისთვის დართულ ამ ლექს-ანდერძის, რომელშიც „სულ ყველანი შშრომელნი არიან გამოყვანილნი“, ნამდვილი ავტორი არის თეიმურაზ ბაგრატიონი (გამოცემაში კი, იგი მ. ბროსეს სახელითაა დაბეჭდილი)³⁰⁷.

ს. ტაბიძე თეიმურაზთან ხელნაწერების გადამწერი ჩანს მისი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკისათვის. ერთ-ერთ ხელნაწერისთვის დართულ ანდერძში სც. ტაბიძე წერს: „უნდა მარადის ჩუღნი მეფის შვილი თეიმურაზ ეადიდოთ, რადგანაც დღე და ღამე საქართველოს

305 თ. ენც ქ ი ძ ე, ს. ტაბიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნ. ინსტიტუტის მამბე, II, თბ., 1960, გვ. 101, 1880 წელს სც. ტაბიძის მიერ გრ. დადიანისათვის გადაწერილი ორი ხელნაწერი ზუგდიდის შეზერმშიცაა დაცული: უ. სხეადასხეა თხზულებები, № 4, № 5.

306 იქვე, გვ. 102.

307 ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაზე დართული „ანდერძისათვის“. „მაცნე.“ 1970, № 5, გვ. 131—136.

შემატებისათვის მრავალს წიგნს და ისტორიას იღუშის, თვისის წარ-
საცებლით გუაშერინებს..."

თეიმურაზი სვ. ტაბიძეს მთარგმნელობით საქმიანობაში უმა-
რებოდა. კერძოდ, ტიხონ კორონეეველის „სიტყვანის“ ტართულ-
ქართულ თარგმანის ანდერმში ვკითხულობთ: „მე, ულისმან გურიის
სამთაცროსამან სვიმონ ტაბიძემ, ეთარგმნე შემწეობითა მათისა უგანა-
თლებულესობისა, სრულიად საქართველოს მეფის გორგის ძის თეი-
მურაზისათა, ვინცა იხილოთ, ღმრთისათვის მოხსენებასა ჩემსა პუოფ-
დეთ, წელსა 1836-ს, თთუშსა მარტსა, ს. პეტერბურლა „შინა“ (ლენ.
E—92).

თ. ენუქიძის დაკვირვებით „ეტუბა, ს. ტაბიძე თეიმურაზ ბატო-
ნიშვილთან ახლოს ყოფნის დროს ყოფილა ამ საქმით გატაცებული,
სხვა პერიოდში მისი მთარგმნელობითი მუშაობის შესახებ ცნობები
არ გავვიჩინია“.

თეიმურაზ ბაგრატიონთან ახლო ურთიერთობაში მოჩანს პეტერ-
ბურგში ამ დროს მოღვაწე ქართველი მწერალი ოანე ბაზლიძე, რო-
მელიც თარგმნილა სხვადასხვა შინაარსის თბზულებებს³⁰⁸. თეიმურაზ-
თან ი. ბაზლიძის დახლოება ვთქიქრობთ, ოანე ბატონიშვილის გარ-
დაცვალების (1830 წ.) შემდეგ უნდა მომხდარიყო, რადგან მანამდე
მის მიერ ნათარგმნი თითქმის ყველა ძეგლი ოანე ბატონიშვილისად-
მის მიძღვნილი³⁰⁹.

ჩენი ნარკევეის ეს ნაწილი შეიძლება დავამთავროთ 3. კარბე-
ლაშვილის სიტყვებით: „თეიმურაზის სახლი 1811 წლიდან ნელ-ნელა
გარდაიქმნა მწერალ-მწერების ტრფიალთა სადგურათ. თვით თე-
იმურაზი და ონა ბერი თავის შეძლებით დიდათ ხელს უწყობდნენ
წოდების განურჩევლათ ყველა ახალგაზრდა ქართველს, რომელიც კი
პეტერბურლის მიაღწევდა სასწავლათ: პლატონ ოსელიანმა, სოლო-
მონ დოდაშვილმა, დავით ჩუბინაშვილმა, სოლომონ რაზმაძემ, ოანე
ბაძლიძემ, სიმონ ტაბიძემ აქ, თეიმურაზის სახლში იგემეს შარბათი
მეცნიერებისა და სამშობლო ერის სიყვარულისა. აქ მეფის კარზე დ
იგინი ვჰვებდნენ ნუგეშსა და მშობლიურსა მშრუნველობასა გაჭირ-
ვებაში“³¹⁰.

308 ი. ბაზლიძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ იხ. ტრ. რუ ხ. ა. ე.,
ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 48.
92, 135, 154, 196, 201 და სხვ.

309 S-276, S-289, S-337, S-362 და სხვ.

310 3. კარბელაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, გაზ. „საქართველო“,
1916, № 146.



მე-19 საუკუნის 20-იან წლებში, პარიზში, აღმოსავაფედეციულმა იმპიტო მუშაობა გაშალა მაშინ ჯერ სრულიად ახალგაზრდა მარი ბროსემ (დაიბადა 1802 წელს). მას ამ საქმეში ენძარებოდა სახელგანთქმული ფრანგი ორიენტალისტი აკად. სენ-მარტენი და მის მიერ 1821 წელს აკადემიკოსებთან სილვესტრ დე სასისთან და აბელ რემუზასთან ერთად დაარსებული პარიზის სააზიო საზოგადოება, რომლის წევრად იგი 1825 წლის 7 თებერვალს იირჩიეს. მ. ბროსეს მეცნიერული ინტერესები თანდათან ქართველოლოგიით შემოიფარგლა, გულმოდგინედ შეუდგა ქართული ენის შესწავლას და ამ მიმართულებით რამდენიმე სპეციალური ნაშრომიც გამოაქვეყნა³¹¹, ამასთან, თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტი³¹², რის მეობებითაც ევროპელი მკითხველი პირველად გაეცნო რუსთველის უკვდავ პოემა³¹³.

მიუხედავად ამისა, მ. ბროსე მაინც ვრძნობდა ქართველოლოგიის დარგში ღრმა და სერიოზული მუშაობისათვის მეცნიერი ხელმძღვანელის საჭიროებას. ამ ხანებში პეტერბურგში მოღვაწეობდა ბროსეს თანამემამულე, პეტერბურგის აღმოსავლური ენების ინსტატუტის პროფესორი, შემდეგში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი—ფრანც შარმუა (1793—1865), რომელმაც ბროსე დააკავშირა თ. ბაგრატიონთან. კერძოდ, 1829 წელს შარმუა, ეტყობა, სამშობლოში ყოფილა ჩასული, საიდანაც მას პეტერბურგში წამოულია 1829 წლის 30 აპრილს ბროსეს მიერ პარიზში ქართულ ენაზე დაწერილი ბარათი თემიშის ბაგრატიონისადმი, რომელიც მას მიულია კიდევ „ქელითა უფლისა შარმუასითა, მახლობელთა ამათ უამთა მოსალვისა მისისასა, სამეცნიერო ამის ქალაქესა სანკტპეტერბურლად“, გვაცნობებს თემიში 1830

³¹¹ Notice sur la langue Georgienne, Journale Asiatique (ქემოთ შემოკლებით: JAs), 1827, p. 351—364; Sur la langue Georgienne, JAs, XI, 1827, p. 321—344; Etat actuel de la littérature Georgienne, JAs, 1828 და სხვ.

³¹² Première histoire de Rostévan..., JAs, 1828, II, p. 277—294. უდრ. JAs. 1830, V, p. 257—284; JAs 1831, VII, p. 321—372.

³¹³ მ. ბროსეს შესახებ იხ. Bibliographie analytique., S-ptb. 1887; ქართულ ენაზე: გ. იმე დაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 7—9 და სხვ. რ. დოლაშვილი, მარი ბროსე—ქართული შესწავლის მკვდევარი, თბ., 1962; შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966, (აზლახან გამოიცა შევსებული სახით რუსულ ენაზედაც); ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967, გვ. 199—226.

წლის 18 ივლისს ბროსესადმი გაგზავნილ თავის პირველ ბარათში და აღტაცებას გამოთქვამს იმის გამო, რომ წერილი ქართულ ეწიზე დაწერილი: „მრავლისა მხიარულებითა აღივსო გული ჩემიც ფრინველი გან, პირუტლად მე მივიღე შრომილი შენი და ეგრეთვე წილი მასწავლებლებს რილი ბუნებითსა ენასა ზედა ჩუმნსა ქართულსა, რომელმანცა გან- მავჭირვა მე დიდად... სრულიად ევროპისა სწავლულთა შორის, აწ შენ იწყე პირუტლად, და თვინიერ მოძღვრისა და მასწავლებლისა მხო- ლოდ თავით თვისით მშრომელი მიიწიე ესეოდენსა საზომსა ქართული- სა ენისა და წერილისა სწავლისა“³¹⁴.

მართალია მ. ბროსეს ამ წერილს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ თეიმურაზის პასუხიდან ჩანს, რომ ახალგაზრდა ფრანგი სწავლული ქართველ ბატონიშვილს დახმარებას სთხოვდა, რაზედაც კმაყოფილი თეიმურაზი იმთავითვე უცხადებს სრულ მზადყოფნას: „მე მოსწრა- ფე ვარ და უჰჭეველად დიდისა კმაყოფილებითა მზა ვარ... ეითარცა მოყუარესა მიმულისა ენისა ჩემისასა, მე თვთ გემნები შენ თანამო- საუბრე ეს იგი კორექსპონდენტი ზოგად ყოველთავე ძველთა და ახალთა საექცელესიოთა ვინა საეროთა და სამოქალაქოთა კელოვნება- თა ჩემენისა სწავლისათა ხედებითისა, ეს იგი სათეორიოსა და საქმი- თისა, ეს იგი საპრატიკოსა ქართულისა ენისა და წერილობათა ზედმიწევნილებისათვს... ხოლო წიგნი ქართულნი, თუ რომელიმე რაცაცა და რომელსაცა უაშსა საჭირო იქმნების და მოიხსოვთ, გულს- მოდგინე ვიქმნები თქვეზნოვის მოპოვებად მათდა“. ამისთან, თეიმუ- რაზი თავის მხრით ეკითხება ბროსეს, როგორც პარიზის საზომი სა- ზოგადოების წევრს, „უკეთუ კაცსა მას აქუნდეს სურვილი დაწესე- ბად კელისა ქუმშე მეაზიელებასა საზოგადოობისა თქუმნისა, მოღებულ იქმნების იგი მას შინა?“ (გვ. 8).

თ. ბაგრატიონის ეს სურვილი ბროსეს გულთან ახლოს მიუტა- ნია და ეტყობა, მისი წარდგინებით, 1831 წელს თეიმურაზ ბაგრატი- ონი მართლაც ჩაურიცხავთ პარიზის საზომი საზოგადოების წევრად, რასაც ვიგებთ თეიმურაზის 1831 წლის 15 დეკემბრის წერილიდან: „დიდად მოხარული ვარ და ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავსა, ვინადღვან მრავლად სახელოვანსა და ყოვლად სიბრძნითა განათლებულსა დიდე- ბულის პარიზის მეაზიელეს საზოგადოობის რაცხში აღვირეცხვე“ (გვ. 9). (იხ. აგრეთვე JAS, XII, 1833, p. 155). ბროსეს თეიმურაზი- სათვის გამოუგზავნია „წიგნიცა აღრიცხვისა ჩემისა საზოგადოობასა

314 თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, თბ. 1964, 83. 7.

თქვენსა შინა უფლისა ფრიად ბრძნისა და სახელოვანისა ბუროსფისა
მიერ კელმოწერილი³¹⁵. მ. ბროსეს ხატოვანი თქმით „თემურაზ ზა-
ტონიშვილი სააზიო საზოგადოების მშვენებაა“³¹⁶.

თემურაზი ბროსეს საფრანგეთის ელჩის კურიერის 『მალებებობლი-
ლის』 ხელით პარიზში უგზავნის ანტონ I „გრამატიკას“, დავით ბატო-
ნიშვილის „გრამატიკას“, მის მიერ შეთხულ „მოთხრობა მოკლედ
შემთხვეულებათათვს ღირს სახსოვართა საქმეთა ძმისა მის ჩემისა და-
ვითისათა“ და „მცირე რამ წერილობანი, რომელსა შინაცა პირველად
გავასწორე თქვენი მეორედ მოწერილი ეპისტოლე და მასთანვე რამ-
ცა გეკითხათ რომელთამე საუწყებელთათვს ცნობანი“ (გვ. 11 და 14).

აღნიშნული ქართული ხელნაწერები მ. ბროსეს მიუღია³¹⁷. კერ-
ძოდ, ანტონის „გრამატიკას“ მან სპეციალური წერილი მიუძღვნა, სა-
დაც მოგვცა ამ ხელნაწერის აღწერილობა: იგი წარმოადგენს ანტონ
კათალიკოსის მიერ 1767 წ. შედგენილი „გრამატიკის“ ასლს (288 გვ.
in folio) გადაწერილს გიორგი პაიჭაძის მიერ 1813 წ.³¹⁸ თემურაზის
მიერ გაგზავნილ ანტონის ამ „გრამატიკას“ ბროსე შემდეგში არაერ-
თხელ გამოიყენებს თავის გრამატიკულ შრომებში³¹⁹. რ. ობელის
სწორი დაკვირვებით, მ. ბროსეს თავისი ერთ-ერთი შრომის სათაური:
„ქელოვნება აზნაურებითა (I) გინა ქართულისა ენისა თვით მასწავლე-
ბელი. L'Art Libéral...“ (Paris, 1834, ლითოგრ.) აულია სწო-
რედ ანტონის ამ გრამატიკის ნუსხიდან, რომელიც თემურაზის მიერ
ყოფილა ამგვარად დასათაურებული: „ქელოვნება. აზნაურებითა...“
(ლენ. M—54, შდრ. P. Օրბელი, გრუ. რუკ. стр. 150). რაც შეეხება
დავით ბატონიშვილის „გრამატიკას“, იგი დღეს პარიზის ნაციონალურ
ბიბლიოთეკაშია დაცული (№ 18) და ექვთ. თაყაიშვილის აღწერილო-
ბით, „შედგენილია 1790 წელს ქალაქ ტფილისს, მხედრული ხელნაწე-
რი... ეს წიგნი ერთი საუკეთესო ეგზემპლარია დავით ბატონიშვილის

315 სამუხაროდ, ეს დიპლომი თემურაზის არქივში არ ჩანს.

316 „Le prince Théimouraz, membre de la Société Asiatique, dont il est l'or-
nement“, JAs, 1834, XIV, p. 145.

317 Notice des manuscrits géorgiens envoyés en France par le prince Théimouraz, membre de la Société Asiatique. JAs, XII, 1833, p. 155—162.

318 Notice et analys raisonée du commencement de la Grammaire georgienne
du Patriarche Antoni I... JAs, XI, 1833, p. 385—414. (ამჟამად ლენ. M—54. P.
Օრბელი, გრუ. რუკ., № 142).

319 Mémoires inédits... Paris, 1833, p. 1—40; Apercu général..., JAs, XIV,
1834, p. 369—405 და სხვ. მ. ბროსეს გრამატიკულ შრომათა შესახებ ის. აზნ.
ჩიკობავა, იმერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, ვ. 132—139.

ლრამატიკისა, თვით დავითისავე ნაქონი³²⁰. პირველ ფურცელზე თუ მე თემიმურაზის ხელით აწერია: „ლრამატიკა ესე ვინაშდგან არს ქართულსა ენასა შა ურჩეულესი ამისთვის უძღვინი დიდებულსკარეჭვები უის ყდ ბრძანსა მეაზიელესა საზოგადოებასა. რათა წევრის მისი მისი კართულისა ენისა მეცნიერნი სარგებლობდნენ ამით“ (იქვე).

რაც შეეხება „მცირე წერილობაში“, თემიმურაზი აქ აღმართ გულისხმობს თავის თხზულებებს, „წამება წმიდათა შორის ქეთევანისა კახ დედოფლისა“ და „დიდისა მოურავისა გიორგი სააკაძის სიკუდი-ლი“ (ორივე თხზულების ხელნაწერი დაცულია პ. კველიძის სახ. ხელ. იმსტ. S—193, S—213), რომლებიც მას, როგორც დავინახეთ, ბროსესთვის გადაუგზავნია თავისისავე მესამე თხზულებასთან („დავით ბატონიშვილის ცხოვრება“) ერთად.

ბროსემ თემიმურაზის სამივე ეს თხზულება 1833 წელს ლითოგრა-ფიული წესით გამოსცა პარიზში, ქართული და ფრანგული სათაურით: „შემოქრებული მოთხრობა საქართველოსა“ „Memoires inédits relatifs à l'histoire et à la langue géorgienne, Paris, 1833“. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში შესულია „წამება³²¹ ქეთევან დედოფლისა“ (22—29) და „გიორგი სააკაძის სიკუდილი“ (ფ. 30—33r), ხოლო მეორეში „დავით ბატონიშვილის ცხოვრება“ (ფ. 49—112). წიგნს შესავალი სახით დართული აქვს მ. ა. თ. მეფის ძის თემიმურაზის წინასიტყვაობა (ფ. 22r), საიდანაც ირკვევა, რომ სამივე თხზულების ავტორი თემიმურაზ ბაგრატიონია. ამიტომ გაუგებარია დ. ჩუბინაშვილის პოზიცია, როცა იგი „ქეთევანის წამებასა“ და „გო-ორგი სააკაძის სიკუდილს“ უცნობი ავტორის თხზულებებად აცხადებს³²². ეს მით უფრო მოულოდნელია ჩვენთვის, რაღაც დ. ჩუბინაშვილის ეს შესავალი წერილი „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომისათვის თვით მ. ბროსეს თვალმიღევნებითა და რედაქტორობით დაიხეპვის თვით მ. ბროსეს გამოცემაში შეცდომით „წამების“ ნაცელად „მოწმობაა“ დაბეჭდილი (დრ. ფრანგულ სათაურს „Martyre..“) რაც გადასულა „ცისქონის“ პებლიკაციაშიც.

320 ექ. თა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი..., პარიზი, 1933, გვ. 51—52.

321 ბროსეს გამოცემაში შეცდომით „წამების“ ნაცელად „მოწმობაა“ დაბეჭდილი (დრ. ფრანგულ სათაურს „Martyre..“) რაც გადასულა „ცისქონის“ პებლიკაციაშიც.

322 ქართლის ცხოვრება, 11, სპბ. 1854, გვ. XXIV, XXVIII.

323 „ცისქარი“, 1862, № 4. გვ. 325—326.

ნალ „ცისკრის“ 1862 წლის ფურცლებზე, ოღონდ „დავით ბერძნი-შვილის ცხოვრება“ ბოლომდე აღარ მიუყვანია³²⁴.

თავის მხრით, ბროსე თეიმურაზის უგზავნის საკუთარი უკანონობის მებს³²⁵, რის გამოც თეიმურაზი „ყოვლითურთ პირუთნებლად და პეტემარიტად“ აღიარებს თავის სიხარულს და ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ ადგილთა თარგმნის გამო წერს: „ვიზილე... დიდისა მის და სახელოვანისა ჩვენისა მელექსეთა გმირისა შოთა რუსთველისა რჩეულნი ლექსნი და შენ მიერ ლამაზად თარგმანება მისი ფრანციულს ენაზედ ვაშა! ვაშა!“ (გვ. 12).

როგორც ცნობილია, 1830 წელს მარი ბროსეს პირველი მეუღლე გარდაეცვალა, რაზედაც დამწუხებული თეიმურაზი თანაგრძნობას უცხადებს უცხოელ მეგობაზის: „...სახლეულებისა თქვენისა უბედურის შემთხვეულებისათვის თანა ვილმე და ღმერთსა ვსთხოვ ყოველი ვე მწუხარებად თქვენი შესცვალოს სიხარულად და ვინამდგან ყოველი მწუხარების დასასრული მხიარულება არის და უბედურებისა — ბედნიერება, ამისათვის მსასოებელ ვარ, რომ შემდგომი უამი თქვენი ბედნიერებით, სიმრთელით და მხიარულებით ეგოს“ (გვ. 13).

1831 წელს კონსტანტინოპოლიდან თავშესაფრის საძეპნედად პარიზში ჩავიდნენ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ძმის შვილები ვახტანგი და ტარიელი, რომლებიც სამშობლოდან იყვნენ გადახვეწილი იმერეთის 1820 წლის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ. ბროსე მათ მეგობრობდა. თეიმურაზი დაინტერესებულია იმერელი ბატონიშვილების ბედით: „გთხოვ უსაკუთრესად ეგ ჩვენი მოძმენი კაცი, რომელნიცა მანდ მოსულან... ძმებრივის სიყვარულით მომიკითხოთ და მაგათ ვითარება. მაცნობოთ, როგორ არიან მიღებული და ან როგორ იქცევიან. ეცადნენ, რომ კარგი და პატიოსანი ყოფაქცევა აჩვენონ მანდაურს საზოგადოობს და სწავლასაც ეცადნენ...“ (გვ. 13).

როგორც ცნობილია, 1713 წელს ვახტანგ VI-მ ევროპაში დიპლომატიური მიზნით გაგზავნა სულხან-საბა თრბელიანი, რომლის ხელით ლუდოვიკ XIV-თან წაღებული ვახტანგ VI-ის ბეჭედდასმული წერილი ეტყობა უნახავს მარი ბროსეს. ბროსეს ვერ გაუგია ვახტანგ VI-ის ბეჭედის ლეგენდა, რადგან იგი ზმებით არის შესრულებული და 1831 წლის 9 დეკემბერს თეიმურაზის უგზავნის წერილს, რომელშიაც

324 „ცისკრი“, 1862, №4 (გვ. 325—339), №5 (გვ. 9—21) №6 (გვ. 41—62), №7 (გვ. 99—115), №8 (გვ. 169—182), №9 (გვ. 17—34) №10 (გვ. 155—165), №12 გვ. 261—286.

325 Chronique Georgienne, traduite par M. Brosset, Paris, 1830; Recherche sur la poesie Georgienne. JAs, 1831, VII, p. 321—372.

1832/

სოხოვს განმარტებას. თეიმურაზიც პასუხს არ აყოვნებს და წლის 30 იანვარს ბროსეს სწერს: „განმარტება (ანუ ახსნა) მეფის ბეჭდისა იუწყეო ესრეთ:

რტოდ ვარ და
ვითის ძველ
ლმა დავითის ვ
ახტანგ ვმტ
კიცებ მეფ.

1. რტოდ ვარ და ვით ის (ამას ნიშნავს), რტოდ ვარდისა ქმნა იგი, ვით დავით ეგ სახედ.

2. ძველმა დავით ის (ამას ნიშნავს), ძველმა დავით იგი, ესე იგი ძველმა დავით წინასწარმეტყველმან და მეფემან, ანუ ძველმან დავით წინასწარმეტყველის შთამომავლობამან“³²⁶.

ამის შემდეგ ქართველ მეფეთა ბეჭდების ლეგენდებში ზმებისა და მაჯამების არსებობის საილუსტრაციოდ თეიმურაზი ბროსეს აწვდის დამატებით მასალას: დავით აღმაშენებლის, თეიმურაზ II-ის და ერეკლე მეორის ბეჭდების ლეგენდებს, აგრეთვე მაგალითებს ქართულ პოეზიაში მაჯამების ხმარებისა (რუსთველი, შავთველი, თეიმურაზ I, ანტონ I) და მათ მნიშვნელობებს (გვ. 15—19).

3. ბროსემ თეიმურაზის აღნიშნული ცნობები ფრანგულად თარგმნა, ხოლო ბეჭდების ლეგენდები ლითოგრაფიულად დაბუძდა³²⁷. თავისი წერილის ერთ-ერთ დამატებაში ბროსემ დაბეჭდა აგრეთვე თვით თეიმურაზ ბაგრატიონის საბეჭდავი, რომლისთვისაც გამოყენებულია ბაგრატიონთა ლერბი, ლეგენდებად კი ფსალმუნისა და იოანეს სახარების სიტყვები: „I. ქ. ეცუცა უფალი დავითს ჰეშმარიტებითა

326 ს. ყუბანეიშვილს ვერ გაუვია თეიმურაზისეული ინტერპრეტაცია ვატრანგ VI ლეგენდისა და გამოცემაში ასე დაუბეჭდდას: „I. რტოდ ვარ დავითის. 2. ძველმა დავითის (წერილები, გვ. 15); ასევე, ერეკლე II ბეჭდის ლეგენდა, რომელიც თეიმურაზს ასე ესმის: „I. მე ფერხთ განბანილთა მიერ. 2. ერ ეკლესია ვადიდე“. ს. ყუბანეიშვილი ამგვარად ასწორებს პირველ სტრიქონს: „I. მე ფერხთ განბანილთა მი“ (გვ. 17), რაც რასაკვირველია არაა სწორი (შდრ. იქვე, გვ. 120), ხოლო ა. ბაქრაძეს „მიერ“ სიტყვა, რომელიც „ეკლესია“ სიტყვასთან ერთად ზმურად გვაძლევს „ერეკლეს“ (მი-ერ ეკლე-სია) საერთოდ ამოულია ბეჭდის ლეგენდიდან და ასე ვასწორებით დაუბეჭდდას: „მე ფეხთ განბანილთა ეკლესია ვადიდე, ერეკლე“. (იხ. პალეოგრაფიული ძეგბანი, II, 1960, გვ. 20. შდრ. იქვე, ტაბ. IV. XVI, სურ. 7. 22).

327 Sur les cachets georgiens, avec l'extraits d'une lettre du prince royal Théimouraz, JAs, X, 1832, p. 177—190.

და არა შეურაცხყოს იჯი. ნაყოფისაგან მუცლისა შენისა და უსა-
ლართა შენთა. 2. ქ. კვართი იგი რომელ იყო უკერველ, ზეორეუმშემ-
ვილ ყოვლად³²⁸. ნასიამოვნები თეიმურაზი მაღლობაში მაღლობაში უ-
ცხოველ მეგობარს 1832 წლის 18 ივლისს ბარათში: „მივიღევ დერ-
ბი ფრიად მშვენიერად გამოხატული ღირსი ქებისა და მაღლობისა,
ამას საუკუნოდ ვალადა გვდებ ჩვენზედ. ღმერთმან გვიცოცხლოს შე-
ნი თავი და ჩვენც მაგიერი სიკეთე შევაძლებინოს“ (გვ. 21).

ამასობაში, საქართველოში ნაყოფმა ვ. ლეტელიემ (თბილისის
ყოფ. საფრანგეთის საკონსულოს მდივანი, 1832 წლის შეთქმულების
მონაწილე) პარიზის სამეცო ბიბლიოთეკას გადასცა საბას „ლექსიკო-
ნის“ ნუსხა, რომელსაც ბროსე გაცნობია და თეიმურაზისთვისაც
უცნობებია. თეიმურაზი პასუხობს „საბას წიგიები რომ გიშვინია
დიახ კარგი არის ქართულის ენისათვის. ხშირად იკითხეთ“ (გვ. 20).
ხოლო ვ. ლეტელიეს იგი პირადად იცნობდა: „უფალი ლეტელიე მო-
გვიყითხე დიდის სიყვარულით თავისის მეუღლითურთ“ (გვ. 25), რა-
საც ადასტურებს აგრეთვე 1832 წლის შეთქმულების მონაწილის
გ. ერისთავის ჩვენება: „ფრანგი ლეტელიე იყო თეიმურაზითან“
(გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 352).

თეიმურაზი 1832 წელს ახალ ხელნაწერ წიგნებს უმშადებს ბრო-
სეს, რომლებიც 1833 წლის 15 თებერვალს გადაუგზავნა კიდეც:

„პირველი: ისტორიათაგან ჩვენთა გამოკრებული, თუ რაოდენი
იყვნეს მეფენი ჩვენი, რომელთა ეწოდათ ვიორგი ანუ ვახტანგ“ (გვ.
22), რომელიც დღეს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული
(№ 22) და ორშერიც აქვს ექ. თაყაიშვილს: „შემოკლებული მოხთ-
რობა ქართული ისტორიიდან შეღვენილი მეფის გიორგის ძის თეიმუ-
რაზ ბატონიშვილის მიერ დეკემბერში 1832 წელს პეტერბურგს, ავ-
ტოგრაფი თვით თეიმურაზისა, ლამაზი მხედრული ხელით დაწერილი,
შშვენიერის ოქთოს ვარაყიანი ყდით, 180 გვერდი“³²⁹. „ანბანი ქარ-
თული შშვენიერად ორშერიც არის“ (გვ. 22 შდრ. ლენ. აღმ. ინსტ. C—56
—თ. ბაგრატიონი, ანბანი ქართული სხვა და სხვა გვარნი). მ. ბრო-
სემ თეიმურაზის მიერ მართლაც შშვენიერად გამოყვანილ—გამოხატუ-
ლი ქართული ხუცური და მხედრული ანბანი ჩართო თავის წიგნში:
„L'Art Liberal an Grammaire, Paris, 1834, p. 3, p. 6.“
ამათ გარდა, ბროსემ ამ ხანებში თარგმნა თეიმურაზის ნაშრომები ქარ-

³²⁸ Armoiries du prince Théimouraz, servant de cachet..., JAs, X, 1832, p. 185—188.

³²⁹ ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 53—54; შდრ. თეიმურაზის ამ თხიც-
ლების ბროსესეულ ფრანგულ თარგმანს: ლენ. C—52.

თული წელთაღრიცხვის, თვეების, გარსკვლავებისა და ცოდნილთა თემაზე
ლი ქართული სახელწოდებების შესახებ³³⁰, რომელიც შემფეხტებული
დარა ანანია შირაქელის თხზულებაში მოცემულ თვეთა საჭრელებს ჩასას.

ცალკე ინტერესის აღმძვრელია თეიმურაზ ბაგრატიონის თხზუ-
ლება „დავით ბატონიშვილის ცხოვრება“, რომელიც ბროსეს ფრან-
გულად უთარგმნია და გამოცემა განუზრახავს, რის თაობაზე თეიმუ-
რაზისთვის რჩევა უთხოვია 1832 წლის 2 ოქტომბრის წერილში. თეიმუ-
რაზმა ასეთი პასუხი გაუგზავნა 1833 წლის 15 თებერვალს:
„მე რჩევასა რომ მყითხევთ, მოგახსენებთ, რომ დია კარ-
გი იქმნება რომ დაიბეჭდოს მაგრამ მხოლოდ მაგ წიგნში ინებეთ,
რომ ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხვზა მაგ წიგნისა. მე
სხვა არა რა მიზეზი მაქვს, რომ ჩემს სახელს არ გწერინებთ მაგ წიგნ-
ში, რადგან ეგ წიგნი მე აღვწერე, იქმნება წარმყითხველთ ასე
იფიქრონ, რომელ თავის ძმათ სიყვარულით მეტები და გომა-
ტებული ქიბაები დაუწერიაო, მაგრამ მე წინაშე ღვთისა და
წინაშე თქვენსა ჰემარიტებით ამას აღვიარებ, რომელ რაც
ჩემს ძმას, მეფის ძეს დავითს, სიკეთები სჭირდა და საქე-
ბელი საქმეები ჰქონდა, იმის ღირს სახსოვართა საქმეთაგანი მეათე-
დიცა ნაწილი არ აღმიწერია, მგონია რომ საჭირო არ იყოს მაგ წიგნ-
ში მოხსენება ვისგანაც არის აღწერილი. მაგრამ ამაზედ არამცუ ნე-
ბას არ დაგროვა, არამედ ვეღრებითაც გთხოვ, რომ რადგანაც მაგდე-
ნი ღვაწლი დასდევ და ეგ მეფის ძის დავითის ჩემის ძმის ისტორია
სთარგმნე, თქვენს ღვაწლს ნულარ წაანდენთ და დაბეჭდეთ და გამო-
ცით“ (გვ. 23).

ბეჭდეის პროცესში ბროსეს თეიმურაზის თხზულების ორი ფურ-
ცელი 1833 წლის დასაწყისში ავტორისათვის გამოუგზავნია, რათა
გაესინჯა, არამე შეცდომები წომ არ იყო გაპარული. თეიმურაზს ბრო-
სეს მიერ გამოგზავნილი ფურცლის კიდეებზე გაუკეთებია მცირე შე-
ნიშნები („აქ შეცდომა არა არის რა“, არცა ამ ტრიქონში არს შეც-
დომა. ერთი ღვეში (ე. ი. სიტყვა, გ. შ.) აკლდა მეორეს მხარეს ნიშანი
იგი უჩვენებს: „იყვნეს“) და პასუხიც გაუგზავნია, ოღონდ მესამე პი-
რით და ხელმოუწერლად. წერილის ტექსტი მოგვყავს სრულად:

³³⁰ Calcul chronologique des Georgiens, extrait d'un ms envoyé par le prince royal Théimouraz, I. Des Années, II. Des mois, III. Des Astres. JAs, X, 1832, p. 168 — 177. თეიმურაზის ეს შრომა დაცულია ლენ. ღმ. ინსტ. ხელნ. ვან-
კოფილებაში: E — 52.

³³¹ Extrait du manuscrit arménien n° 114 de la Bibliothèque royale, relatifs au calendrier géorgien. JAs, X, 1832, p. 526—536.



„საქუთარო მეგობარო ბროსეტ!

ეს ფურცელი ამ ისტორიისა გაგიმართე. მაგთენი ჩანაცხადის შეცომა.

ეს ინებეთ რომ ამ წიგნში რაცა დასაწყისები არის თვთოსა და თვთოს შემთხვეულებისა თავებში ზედა წარწერები ამ სახეო გაუკითეთ:

შემთხვეულება პირველი.

შემთხვეულება მეორე.

შემთხვეულება მესამე (და თვთოსა და თვთოს თავშე ამ სახეო მოაწერეთ) და სხვანი.

გთხოვათ ვისგანაც ეს წიგნი არის ქმნილი იმისი სახელი ამ წიგნიდამ ამოიღოთ, როგორათაც რომ აღრეც მოგწერეთ³³². მარტო ამისთვის ის კმარა რომ ორიგინალში არის მოხსენებული³³³. თუმცა ამ მოთხოვბაში წინააღმდევგი რომ არა სწერია, რა, რომ დამაყენებელი იყოს და დამაბრკოლებელი რაზედმე. მაგრამ იმან ასე თქვა ამ წიგნში ჩემი სახელის ხსენება სულ ნუ იქმნებაო, რა საჭირო არისო. მხოლოდ თუ საჭირო იყოს რომ ვისგან არის ეს წიგნი ნამუშავევი ასე უნდა დაიწეროს; ამ წიგნში რომ მაშინდელთ მომსწრე კაცთაგან არის ვინცა ვინ ამ შემთხვეულებაებში დასწრებიან და გამოწერილი სხვა და სხვა ბარათებისაგან (ესე იგი მონაწერის წიგნებისაგან) და ამ მოთხოვბაში ბოლოს შემთხვეულებაში საცა ეწეროს ამ წიგნის გამკეთებლის სახელი, ისიც ამოიღეთ და დაბეჭდაში ნუ ჩატანთ ნურც ქართულსა და ნურც ჭრანციცულში ამ წიგნის გამკეთებლის სახელსა. ნურც თავს, ნურც ბოლოს და ნურც საშუალზედ სრულად.

ეს მოთხოვბა ამ ფურცლითა სწანის რომ დიას კარგათ და ლამაზათ იძებეჭდება. რადგანაც ზაფხულით მე ქალაქს გარეთ ვსღვევარ და შორს, ამისთვის მე ესა თქვენგან გამოგზავნილი ორ ფურცელაჟი მომცეს აგვისტოს თვეს 17-სა და 20-ს. ამ აგვისტოში სრულყოფილი წარუგზავნე გამართული პაკეთით მას ვისაც გამოეგზავნა. ჩემთან არ დაპვეიანებია და ისიც ქალაქში არა დგის და ამის იქით მე თითონ მოვიკითხავ ყოველთვის თქვენს გამოგზავნილს. რაც ვასამართავი გენებათ იქავ გამოგზავნეთ და ვიცები ყოველთვის რომ არ დაგიგვიანდესთ ხოლმე.

332 ივულისხმება თემურაზის 1833 წლის 25 თებერვლის წერილი ბროსესაღმი (იხ. წერილები, გვ. 22—25).

333 ივულისხმება „ისტორიის“ შემდეგი ადგილი: „და ვიუოფოდი მეცა თვთ აღმწერელი ამა მოთხოვბათა შეფის გიორგის ძე თემურაზ“, პარიზი 1833, ფ. 15.

თქვენს შშეიღობას ამბავი მაცნობეთ თქვენის წიგნით“ (წერილი 83. 28).³³⁴

მართლაც, 1833 წელს, პარიზში Roissy-ს ლითოგრაფიული განვითარებული სემ გამოსცა აღნიშნული თხზულება პარალელური ფრანგული ტექსტითურთ აეტორის სახელის მოუხსენიებლად შემდეგი სათაურით: „დიდებულისა სრულიად საქართველოსა ზემოქსა, ქართლისა, კახეთის და სხვათა მეფის გიორგი მეათუამეტისა პირშოსა ძესა და მემკვიდრეება საყდარისა მათისა სამეფოსასა მეფის ძეს დავითს, დავითიან ბაგრატოვანსა, მამულსა შინა თვესა სადაცა შეემოხვევიებს ბრძოლანი პირის-პირ მტერთა მ[იმ]ართ მამულისა მათისათა, და ძლევა-შემოსილებანი მიუღიერს სიჭაბჭუკისა ასაფა შინა მყოფსა მოკლედ უწყებად მათთვეს, ნაწილი მეორე“. აეტორის მოუხსენებლობამ კი ის გაუგებრობა გამოიწყია, რომ „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიაში იგი დავით ბატონიშვილის სახელით იქნა გატარებული.³³⁵

1832 წელს გარდაიცვალა გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტი, აკად. სენ-მარტენი, რომელსაც ნეკროლოგი მიუძღვნა მ. ბროსე.³³⁶ თემურაზიც ღრმად დაუმწუხერებია ამ ამბავს: „უფლისა სანქტ-პიტერბურგისათვეს ფრიად ჰსწუხს გული ჩემი. ფრიად დასანანებელ არს ვევ ვითარი კაცი ბრძენი და გონიერი, სწავლულებითა სავსე და კეთილ“ (გვ. 23).

ბროსეს სენ-მარტენზე დაწერილი თავისი შრომა თემურაზისთვისაც გამოუგზავნია, რაზედაც მაღლიერი ბატონიშვილი ოცნებებს: „მივიღე უფლისა სანქტ-მარტინის ცხოვრება აღწერილი და საქებელნი საქმენი მისნი შობითგან მისით ვიდრე ალსასრულადმდე. და როდეს მოცალებულ ვიქმნე, გარდავთარგმნი ამას ქართულად, რათა ქართველთაცა წარიკითხონ ღირსახსოვარისა მის კაცისა საქებელნი საქმენი სახსოვრად მისსა“ (წერილები, გვ. 26).

თემურაზი მუდამ აფრთხილებს ბროსეს, რომ შრომები „ეგრეთ დააბეჭდინე, რომ ან მე და ან თქვენ არავინ დაგვჭრახოს, რომ ფრთხილი არ არიან ლიტერატურაშით“ (გვ. 24). ან კიდევ: „რომელსაც ვერ მიხვდე, მყითხე, რომ ტყუილები არ ჩაგვიწერო, თორემ სიჩტვილი იქნება, მერმე ქართველები მე დამცინებენ, აი ამისთანა შაგირდი გყავსო“ (გვ. 31).

³³⁴ ხელნ. ინსტ. ბროსეს არქივი № 65, იხ. აგრეთვე ამავე ფონდში დაცული 1832 წლით დათარილებული თემურაზის ფრანგული წერილი ბროსესადმი, რომელიც არ შესულა ს. ყუბანევიშვილის აღნიშნულ გამოცემაში (ბროსეს არქ. № 31). ბროსეს თემურაზის შენიშვნები მართლაც გაუთვალისწინებია.

³³⁵ ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტომი პირველი, თბ., 1941, გვ. 100.

³³⁶ Notice historique sur M. A. j. Saint-Martin..., Paris, 1832.

1833 წლის დასაწყისში ბროსე ინტერესდება ქართული ლიტერატურის სპეციალური საკითხებით და მცელი ქართველი პუსტიკური (იოანე შავთელი, სარგის თმოგველი, შოთა რუსთველი, ზოგიერჩებული...), როს თაობაზე თხოვნით მიმართავს თეიმურაზე³³⁷. სწავლული ბატონიშვილი ამ მიმართულებით წერს საგანგებო წერილებს: „ვაფსისტყაოსნის უკანასკნელი სტროფის („ამირან დარეჯანის ძე“...) და მათში მოხსენებულ ავტორთა შესახებ³³⁸, ცნობები შაირზე და ქართული პოეტიკის საკითხებზე („გვარინი ანუ საზომი ქართულისა ენისა სტიხთა“)³³⁹. ბროსეს თეიმურაზის ეს შრომები გამოუყენებია თავის წერილში: „Notice littéraire sur quelques auteurs géorgiens“³⁴⁰ და თეიმურაზის ზოგიერთი არასტორი ცნობა (მაგ. შოთა რუსთველის საფლავის შესახებ) შიგ უკრიტიკოდ შეუტანია³⁴¹. ამავე ხანებში თეიმურაზი ბროსეს უკანასკნენის თავის შრომებს ქართული მონეტებისა და საფას-საზომების შესახებ³⁴², რომელიც მან ფრაგმულად თარგმნა და დაბეჭდით კიდევ: „Dissertation sur les monnaies géorgiennes, traduite d'une lettre du prince Théimouraz avec des éclaircissement“ (JAs, XV, 1835, p. 401—445). ხოლო შემდგეში საფლავლად დაედო ბროსეს გამოკვლევას ამავე საკითხზე: „Dissertation sur les monnaies géorgiennes“ (JAs, 3-e serie, t. II, p. 5—35).

თეიმურაზი დაინტერესებულია პარიზში ახალი ქართული შრიფტის (ხუცური და მხედრული) დამზადებით, რისთვისაც იგი ნახაშებს უგზავნის ბროსეს და ენერგიულ მიმოწერას აწარმოებს ამის თაობაზე. ვუკიქობთ, ამ საკითხს ცალკე შევეხოთ („თეიმურაზ ბაგრატიონი — ქართული შრიფტის მოამაგე“) და ამიტომ აქ სპეციალურად აღარ შევჩერდებით.

„საქართველოს ისტორიისა“ და „ვეფხისტყაოსნის განმარტების“ პარალელურად, თეიმურაზ ბაგრატიონი მუშაობს თავისი საკუთარი

³³⁷ ბროსეს ერთი ასეთი წერილი ქართულ ენაზე დაცულია ხელნ. ინსტ. ბროსეს არქ. № 5. შდრ. ს. უუბანერშვილის გამოცემა, გვ. 108.

³³⁸ იბ. 1833 წლის წერილი, ს. უუბანერშვილის გამოცემა, გვ. 32—38.

³³⁹ ლენ. აღმ. ინსტ. E—53, E—54.

³⁴⁰ JAs, XIV, Paris, 1834.

³⁴¹ ამის შესახებ იბ. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის ავტორის კინაბა-მსოფლმხედველობის პრობლემა, „მაცნე“, 1966, № 4.

³⁴² იბ. წერილები, ს. უუბანერშვილის გამოცემა, გვ. 38—50, აგრეთვე, ლენ. E—53 შდრ. ს. კაკაბაძის გამოცემას: ხაისტორიო მოამზე, 1925, I. გვ. 31—35.

ქართული წიგნთსაცავის „ქატალოგის“ შედგენაზე. „ქატალოგის“ შედ
გენა თეიმურაზისთვის ბროსეს უთხოვა: „შენს პირველ წიგნებისა“ (გვ. 72).

თეიმურაზის „ქატალოგის“ შედგენა და გადაწერა დაკრძალებულის 1835 წლის 21 ოქტომბერს, პეტერბურგის³⁴³. ავტორის იგი პარიზის საა-ზიო საზოგადოებისათვის ჰქონია განკუთხილი, მაგრამ გადაცემი ვერ მოუხერხებია „ჩემი წიგნების ზანდუკი დიდი ხინა არის მზათა მაქვს. რა ვენა, მუსიე შარმუა ასე დამაკლდა, ვერავინ მიშოვნია, რომ გა-
მოვატანო, ყოველ დღე ვეძებ მგზავრსა“ (გვ. 75). ბროსემ აღნიშნული „ქატალოგი“ შემდეგში ფრანგულად თარგმნა და გამოსცა³⁴⁴.

პარიზში ყოფნის პერიოდში, კერძოდ 1834 წელს, ბროსეს განუ-
ზრახავს „ვეფხისტყაოსნის“ ლითოგრაფიული წესით გამოცემა. ამავე
წესით დაბეჭდა მან უფრო ადრე, 1833 წელს თეიმურაზ ბაგრატიონის „შემოქრებული მოთხრობა საქართველოსა“, რის თაობაზედაც თეიმუ-
რაზი წერდა: „ქვაზედ დაბეჭდილი მაშინ კარგი არის, როდესაც კარგის
ქელით დაიწერება და ისე დაიბეჭდება. ჩართულადი ძალიან კარგი
არის, მომეწონა... მაგრამ სხვა სრულად ამ წიგნის მსობები წაძღლუ-
ლად არის“ (გვ. 48). ამის გამო, თეიმურაზს დაუწუნია „ვეფხისტყაო-
ნის“ ლითოგრაფიულად დაბეჭდვის ბროსეს უფლის გეგმა: „ვეფხისტყა-
ოსნის დაბეჭდას ლიტოლრაფიით ამ ხელშედ არ გირჩევ ამისთვის,
რომ ვისაც ვაჩვენე თქვენგნ გამოგზავნილი ფურცელი დაიშუნეს“,
წერს იგი 1834 წლის 17 ოქტომბერს ბროსეს და განაგრძობს: „ამის-
თვის, ჯერ ხანად იყოს დაყენებული, მანამ თქვენ აქ პეტერბურგში
მოხ-
ვალთ და მაშინ ვიფიქროთ, როგორც სჯობდეს ისე აღვასრულოთ“³⁴⁵.
როგორც მომავალმა დაგვანახვა, თეიმურაზის და უკვე პეტერბურგში
1837 წლიდან დასახლებულ მ. ბროსეს კარგად „უფიქრიათ“ და „აღუ-
სრულებიათ“ კიდევ „როგორც სჯობდა“ 1834 წელს დადებული პი-
რობა: 1841 წელს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში ს. პე-
ტერბურგში, დ. ჩუბინაშვილთან და ჭ. ფალავანდიშვილთან ერთად, მათ
გამოსცეს „ვეფხისტყაოსნი“³⁴⁶.

343 ლენ. С—38.

344 Catalogue de livres georgiens., Recueil des actes., St.-Petersbourg, 1838, p. 119—178.

345 გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონის ერთი გამოუქვეყნებელი რუსოვ-
ლოლოგიური ნაშრომი, შოთა რუსთველი, თბ., 1966, გვ. 408.

346 ამის შესახებ დაწვერილებით იხ. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფ-
ხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა, „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“,
თბ., 1966.

მ. ბროსე იმთავითვე ოცნებობს რუსეთში და ამ გზით, საქართველოში ჩამოსკელასა და, ამისთან თეომურაშ ბაგრატიონთან პირადად ვაკრობაშე. ამის შესახებ პირველად თხოვნით მან ჭერ კიდევ 1830 წლის 22 აპრილს მიმართა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს შარლ პეირონეს. მაგრამ იმავე წლის ივლისს გადატრიალებამ გააუქმდა პეირონის თანხმობა. 1834 წლს საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრი გიზო თითქოს დათვინიშდა ბროსეს რუსეთში და მაშინადამე, საქართველოში გამომგზავრებას. გახარებულ თეომურაშს ბროსემ, საქართველოში მეგზურად იმ ხანად პეტერბურგში მყოფი სამეცნიელოს მთავრის შვილი დავით დადიანიც კი ჰყოლია გამზადებული მაგრამ ამჯერადაც ბროსეს უარი უთხრეს. ამის მიზეზი გახლდათ საქართველოში 1832 წლის ცნობილი შეთქმულების გამუღავნება და რუსეთის ხელისუფლების მიერ ბროსეს ჯაშუშობაშე ეცვის მიტანა; ნესელროდე საიდუმლოდ სწერდა ბარონ როჩენს: „პარიზიდან მიღებული ცნობის თანახმად... ვინმე ბროსეს განხრასული ჰქონია საფრანგეთის მთავრობის ბრძანებით სომხეთსა და საქართველოში ვითომდა სამეცნიერო მოგზაურობა, რომლის ნამდვილი მიზანია ამ ქვეყნებში არეულობის თესლის მობნევა და ჯაშუშობი მოღვაწეობა ... მ. ბროსემ ასმდენიმე წლის წინეთ დაწყო ს. პეტერბურგში მცხოვრებ თეომურაშ ბატონიშვილთან მიმწერა, ის ურთიერთობაშია აგრეთვე იმერე-

³⁴⁷ Extrait d'une lettre du prince Théimouraz à M. Brosset, JAs, 3-e série, II, 1836, p. 395-397.

³⁴⁸ Bibliographie analytique, p. 96.

³⁴⁹ Rapport sur les livres en langue de l'Ossethi, présentés au nom S. A. R. le prince Tnéimouraz le 9 octobre 1835, JAs, 3-e série, 1836, p. 202—205.

თის უკანასკნელი მეფის სოლომონის ძმისწულებთან ვახტანგთან /
ტარიელთან“³⁵⁰.

სამართლიანად შენიშვნავს ამის თაობაზე შ. ხანთაძე: „რა თქმა შემცირდება
და ეს ეჭვი სრულიად უსაფუძვლო იყო. ბროსეს ურთიერთობაში ქარ-
თელ ბატონიშვილებთან არავითარი პოლიტიკური მიზნები არ ისახე-
ბოდა. მისი ინტერესები წმინდა მეცნიერული იყო“³⁵¹.

საბოლოოდ, მარი ბროსეს ოცნება მაინც აუხდა: 1835 წელს პე-
ტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდა ცნობილი ფრანგი ორიენტა-
ლისტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ფრანც შარმუა, რა-
თაც რუსეთის აკადემიაში გათავისუფლდა აღმოსავლეთმცოდნის აღ-
გილი. აკადემიის პრეზიდენტის გრაფ ს. უვაროვის წინადაღებით, ამ
ადგილის დასაყავებლად მოწვეულ იქნა მ. ბროსე. მართლაც, 1836
წლის 14 დეკემბერს ბროსე აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადე-
მის აღიუნჯტად, რაც იმპერატორმა დამტკიცა 1837 წლის 4 აპრილს,
ბროსეს კი მოწვევა და სამეცნიერო ფული გაუგზავნეს.

გახარებული თეომურაზი უცხოელ მეცნიერს სწერს: „მანამ მოხ-
ვიდოდეთ შენს მეულლეს ქართული ასწავლე რამდენიმე, რომ ჩემს
ცოლს ელაპარაკოს. ქართულს ახლა შეიმეცნებ კარგა და ქართველებ-
საცა“ (გვ. 73), ან კიდევ: „თუმცა მაგათ ქართული ენა არ იციან, ჩემ
სახლში გვყენან პატიოსანნი გვამინი, რომელთაც ფრანცუაცული კარ-
გათ იციან და გერმანული. და პეტერბურგში მცხოვრებნი უფროი
ერთი ლაპარაკობს ფრანციულს ენას. არ შეწერდება და დროებსაც
ერთი ლაპარაკობს ფრანციულს ენას. არ შეწერდება და დროებსაც
მხიარულად გავატარებთ. მაგრამ თითო-ორთოლი ქართული ასწავლე,
იქნება საქართველოშიაც წახვიდეთ, ვინ იცის შემთხვევა“ (გვ. 78).
თეომურაზი შეწერდულია ბროსეს ოფასს გზაში ზამთრის გამო რამე
ხიფათი არ შეემთხვეს: „...პეტიონი რომ გაეიღეს, მალე ნუ წამოხვალო,
მანამ მაისი არ განახევრდეს ნუ წამოხვალო. ზღვა აქეთ არ არის კარ-
გი. მაისის ნახევარს რომ წამოხვალო, ზღვა უფრო მყულროთ იქნე-
ბა და მოსვენებით მონვალო. თქვენი შეუხარება მექმნება, მანამ მშვი-
ღობით გნახავთ“ (გვ. 78).

იტყობა, ბროსეს მიუღია თეომურაზის რჩევა: იგი თავისა ოჯახით
(მეუღლითა და სამი შეილით) პეტერბურგში 1837 წლის 18 ივნისს
ჩამოვიდა. მეორე დღესვე ქართველი ბატონიშვილი თავის მოწაფეს
ჩამოვიდა.

350 Акты. VIII, стр. 963; გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება,
I, 1935, გვ. 38—39; შ. გესხია, დას, ნაშრომი, გვ. 41—45. Л. Меликset-
Бек, Французские армянисты первой половины XIX в. по архивным материа-
лам Грузии, т. 2, შ. გ. 1966, გვ. 299—310.

351 შ. გ. 1966, გვ. 1966, გვ. 39.



ეროვნული
ბიბლიოთი

საკუთარ ბინაში მიიწვევს: „საქართველოს მეფის ძე თეიმურაზემის უკუნა-
დებთ პატივისცემით ფრიად უფალს როსიის აყადემიის წევრს, ბრო-
სეტს! რომელ აქ ვასილის ოსტროვში, მესამეს ლინიაზე, ჩვენს საღ-
ომს მოხვიდეთ, დღესა ამას ორშავათს, ივნისის 19. შუაღლიდამ მე-
ორის საათის ნახევარზედა, პირველს შემთხვეულებაში გაცნობადცა
პირისპირ“ (გვ. 80).

ამ დღიდან მათი შორეული მეგობრობა ახლო პირად მეცნიერულ
ურთიერთობასა და ნათესაობაშიც გადაიზარდა (მარი ბროსეს ვაკი
ლორან ბროსე, შემდეგში ცნობილი მეცნიერ-ბიბლიოგრაფი, თეიმუ-
რაზის მონათლული იყო)³⁵².

ე. ქართული დამწერლობისა და შრითების მოამაგე

როგორც უკვე არაერთგან იყო აღნიშნული, თეიმურაზ ბაგრა-
ტიონის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭი-
რავს ქართული ხელნაწერი წიგნის, ქართული დამწერლობის მოვლისა
და პატრიონობის საქმეს. ჩვენი ქვეყნის სიძველეთსაცავებს შემოუნა-
ხავს თეიმურაზ ბაგრატიონის იშვიათი კალიგრაფიული ხელით გადა-
წერილ-გამრავლებული ქართული ხელნაწერი წიგნები (იხ. ბიბლიო-
გრაფია). ამასთან, მათ შორის, ხშირია თეიმურაზის მიერ დიდი სიყვა-
რულით და ოსტატობით გამოყვანილი ქართული ანბანის (როგორც
ასომთავრული, ნუსხა-ხუცური, ისე მხედრული) ნიმუშები (ტაბ. IX)³⁵³.
თეიმურაზი ცდილობდა თავის მიერ გადაწერილ ხელნაწერებში და-
ეცვა და ესმარა ქართული ანბანის ორივე სახეობა. აყავი შენიძის სიტ-
ყვებით, „თეიმურაზ ბაგრატიონი მხურვალე მიმდევარი იყო მთავრუ-
ლების ხმარებისა“³⁵⁴.

ქართული დამწერლობის მაღალი კულტურის შენარჩუნები-
სათვის დაუცხრომელმა ბრძოლამ თეიმურაზ ბაგრატიონი იმთავითვე
მიიყვანა ქართული შრითების ახალი სახეობის შექმნის აუცილებლო-
ბამდე. ეს მომენტი ჩვენში საკმაოდ დიდხანს უცნობი დარჩა. უკანას-
კნელ ხანს ბ. გორდეზიანმა ბროსესადმი გაგზავნილი თეიმურაზ ბაგ-
რატიონის წერილების მიხედვით, თავის მრავალრიცხოვან შრომებში.

352 წერილები, გვ. 86, 91 და სხვ.

353 გ. 2225; სალტ. შჩ. ახალი სერია, № 24; ლენ. გ. 11; ლენ. С—56.

354 ა. შანი გ. დაფარული საუნგე, რუნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1962, № 9;
33. 53.

აღადგინა თეიმურაზის მიერ ამ მიმართულებით გაწეული შრომის უკრავებელი მართლიანი სურათი³⁵⁵.

ბ. გორდეზიანის თქმით, „თეიმურაზისა და მარი ბროსკების უკრავებელი გამართულ მიმოწერილან... ნათლად ჩას თუ ვის მიერ და რა პირობებშია გაეცემული ის შრიფტი, რომელსაც ჩვენ აკადემიურს ცურდებთ და რომელიც ერთ-ერთ ძირითად შრიფტად ითვლებოდა სამოცდაათიან წლებამდე“, „დღემდე უცნობი იყო ამ შრიფტის პირველი მოხაზულობის შემქმნელის ვინაობა. დღეს საშუალება გვიპლევა კრცლად შევეხოთ იმ ადამიანს, რომელსაც დ. ჩუბინაშვილთან და მ. ბროსესთან ერთად მიუძლევის უდიდესი ლავშილი ქართული კალტურული ძეგლების გამოქვეყნებისა და კერძოდ, ქართული მხედრული შრიფტის შექმნის საქმეში.

ეს ადამიანი არის იმხანად პეტერბურგში გადასახლებული ბატონიშვილი თეიმურაზი, შვილი გიორგი მეცაშეტისა, კაცი ფრიად ვანს-წავლული და მეცნიერი³⁵⁶.

ჩვენ დაწვრილებით აღარ გამოვლდგებით ამ საყითხს, რადგან იგი შესწავლილ და გამორკვეული აქვს ქართული შრიფტის სეთ კომპიუტერულ მკვლევარს, როგორიც ბ. გორდეზიანია. დასკვნების სახით შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ შედგენილი ქართული ანბანის ნახაზების მიხედვით³⁵⁷ (ტაბ. VII—VIII). და მის მიერვე გაღებული ხარჯით (785 ფრანკი) მ. ბროსემ პარიზის საუკეთესო ასოთ-ჩამომსხმელ ქარხანაში (დელიაფონისა) დამზადა პუნქონები, ხოლო მათი მახვდეთ, მატრიცები.

შემოხვევითი არ არის, რომ თეიმურაზმა ქართული შრიფტის მის მიერ შექმნილი ახალი სახეობის დასამზადებლად მაინცდამაინც პარიზი აირჩია. შრიფტის მეურნეობის ისტორიაში კარგადაა ცნობილი რომ მე-18 ს-ში სწორედ პარიზში ჩაეყარა მყარი საფუძველი სასტამბო ზომას სიმონ ფურნიეს მიერ, რომელიც შემდეგ გააუმჯობესა ფრანგმა შესტამპერ დიდომ და მას შემდეგ ეს ქალაქი საშრიფტო მეურნეობის ერთ-ერთ მოწინავე ცენტრად დარჩა მსოფლიოში.

ჩვენ გვვინია, რომ ვარდა ქართული მხედრული შრიფტის მატრიცებისა, თეიმურაზის ნახაზების საფუძველზე დამზადდა ასოთავრიცებისა,

355 ბ. გორდეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, I გამოცემა, თბ., 1953, გვ. 64—75; II გამოცემა, თბ., 1955, გვ. 78—88; მისივე, ქართული სასტამბო შრიფტები, თბ., 1961, გვ. 106—116; მისივე, ქართული სასტამბო შრიფტების ცნობარი კატალოგი, თბ., 1965, გვ. 31, გვ. 33.

356 ბ. გორდეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი. თბ., 1953, გვ. 64—65.

357 ეს ნახაზები დაბეჭდილია მ. ბროსეს წიგნში: „L'Art Liberal...“, პარიზი, 1834.


რულის მატრიცებიც, რომელიც შემდეგ გამოყენებულია თეიმურაზის „საქართველოს ისტორიაში“, სპ. 1848, მაგრამ იგი პარტიული და უნდა იყოს დამზადებული, არამედ პეტერბურგში, შესაძლებელია რევილონის ასოთხამომსხმელ სახელოსნოში.

თეიმურაზის ნახაზების საფუძველზე, პარიზში დამზადებული ახალი ქართული მხედრული შრიფტის მატრიცები (სულ 77) მ. ბროსემ 1837 წლის ივნისში პეტერბურგს ჩამოიტანა და პატრონს ჩაბარა (მანამდე 44 ფოლადზე მოკრილი ასო მას იტალიელი ქალის ხელით გამოუგზავნია, „წერილები“, გვ. 71).

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია ამ დროს დაინტერესებულია ახალი ქართული შრიფტის შექნით და აკადემიის მუზემის მდივანს, აკად. პ. ნ. ფუსს წერილით მიუმართავს თეიმურაზისთვის, რათა მათი სტამბისათვის დაეთმო მატრიცები, რომ ჩამოესხათ მაღალხარისხოვანი ქართული მხედრული შრიფტი. თეიმურაზი სიხარულით დათანხმებულია. მის თაობაზე დღემდე ცნობილი იყო თეიმურაზის 1837 წლის 16 ივლისის წერილი მ. ბროსესადმი, რომელშიც იგი აცხობებს ფრანგ მეგობარს თავის გადაწყვეტილებას (წერილები გვ. 80—81).

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აჩქივის ლენინგრადის განყოფა-ლებაში გამოვლინდა თეიმურაზის ბავრატიონის 1837 წლის 16 ივლისის წერილი (რუსულ ენაშე) თვით პ. ნ. ფუსისადმი, რომელიც საინ-ტერესო დოკუმენტია ქართული მხედრული შრიფტის, ე. წ. აკადემიური პეტიტის შექმნის ისტორიის გასათვალისწინებლად:

«Милостивый Государь Павел Николаевич

Я получил почтенное письмо от Вашего Превосходительства нынешняго сего Июля 8-го дня под № 1083-м. Вы просите от меня матриц мелкие Грузинские Гражданские буквы, которые я получил полный текст для себя, из Парижа, сделанные прекраснейшим характером (!) Шрифты буквов Грузинского.

Я с большим удовольствием исполняю желание Императорской Академии наук дать насколько время нужно будет лить литер сколько понадобится для первой случаи Литературы нашего языка.

Господин Адюнкт Академии наук Бросет сам припоручает полной матрици буквов со своим ортографическим знаком, А после употребление Лития буквов прошу мне возвратить назад.

Я душевно рад, и также прочие Грузинские учёные особы, что Академия наук начинает ныне заниматься Литературы Гру-
120

зинского языка, которая надеюсь, что будет не бесполезна для моих трудов Императорской Академии наук, моего отечества и моего языка.

Я всегда готов, для Академии наук, по случаю моей возможности оказать старание Грузинской Литературы или прочих.

С Истинным почтением
и Преданностью честь имею быть
Вашего Превосходительства
Грузинский Царевич Теймураз.

16-го Июля дня
1837 года
Его Превосходительству
Павел Николаевичу
Фусу»³⁵⁸.

მართლაც, აღნიშნული მატრიცების საფუძველზე პეტერბურგის
მეცნიერებათა აკადემიის სტამბისათვის, ეტყობა, რევილონის სახელი-
სწოში, დაუმზადებიათ ე. ჭ. აკადემიური პეტიტი. ბ. გორდეზიანის
ცნობით, „როგორც მეცნიერებათა აკადემიის შემდგომი გამოცემები-
დან ჩანს, აკადემიის სტამბას თემურაზის მიერ დამზადებული პეტი-
ტი უცვლელად გაუმტავლებია, მხოლოდ უფრო მოზრდილი კეგლები
ამ ნახაზის საფუძველზე დაუმუშავებიათ და რუსული შრიფტის გრო-
ბე ციცეროს მსგავსად ჩამოუსხამთ ციცერო ნათელი და ციცერო ნა-
ხევრად მუქი. როგორც ნათელ ციცეროს, ისე მის ნახვაზ მუქს აკ-
ლია ის სინაზე და კუთილნაკვეთობა, რომელიც პეტიტის ახლავს. მიუ-
ხედავად ამისა, ეს ორი კეგელი რამდენიმე წლის მანძილზე მეცნიე-
რებათა აკადემიის სტამბის ძირითად გარნიტურას შეადგენდა. ცოტა
უფრო მოგვიანებით (1846 ჭ.) აკადემიის სტამბა მხედრული შრიფ-
ტის ახალ ყალიბებს ამზადებს, თემურაზის პეტიტის მიხედვით იქმ-
ნება მხედრულის ახალი კეგელი 16, სადაც გასაოცარი ხელოვნებით
არის დაცული ქართული ასოს ნაკვეთობა და პროპორციულობა. შემ-

358 ЛО Архива АН СССР, ф. I, Оп. 2—1837, № 25, § 446. 1837. VII. 16.
Письмо Теймураза Багратиона к П. Н. Фусу о представлении Академии
матриц на грузинском шрифте. ნაწერია კალიგრაფიული ხელით. ხელმწერა უტო-
გრაფულია—თემურაზისეულია. აკადემიის მუდმივ მდივანს პ. ნ. ფუსს თემურაზის
აღნიშნული წერილი 1837 წლის 11 ავგვისტოს № 869-ით. არსებობს თემუ-
რაზის ამ წერილის შეორე ფალიც. ხელნ. ინსტ. პროსეს არქ. № 158 (ძ. S—4797/2).



დეგში ამ შრიფტის ზომა კეგ. 16 მექანიკურად გააღიფებულ უკანონობაში კავშირის გაცემის და ჩამოასხმევინა 24 პუნქტზე სამოსწავლით მიზანული იყო”³⁵⁹.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ შექმნილი ქართული შრიფტის ახალი სახეობაა გამოყენებული „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემიში, დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონში“ (1840 წ.), დ. ჩუბინაშვილის „ქართულ ქრისტომათაში“ (1846 წ.) თ. ბაგრატიონის შრომაში „ისტორია ივერიისა“ (1848 წ.), „ქართლის ცხოვრებაში“ და ა. შ., რომლებიც იმ დროს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბილან გამოვიდა და სამართლიანად შექმნა ახალი ეტაპი ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიაში.

მარი ბროსესთან თეიმურაზ ბაგრატიონის მეცნიერული თანამშრომლობის მიმოხილვის დროს, ჩვენ უკვე გაკვრით აღვნიშნეთ თეიმურაზ ბაგრატიონის ერთი შრომა ქართული ანბანისა და მისი წარმოშობის შესახებ. იქვე ისიც გვძონდა ნათქვამი, რომ ამ შრომის ერთი ნაწილი ბროსემ ფრანგულად დაბეჭდა ისეთ სახელმოხვევილ მეცნიერულ ორგანოში, როგორიცაა Journale Asiatique, 3 serie, II, Paris, 1836, p. 395—397. სამწუხაროა მხოლოდ, რომ დღემდე იგი ქართულად არ გამოქვეყნებულა. ყველაფერს რომ თავი დავინებოთ, თეიმურაზ ბაგრატიონის აღნიშნული ნაშრომი გვითვალისწინებს თავის დროზე ამ მეტად ავტორიტეტული მეცნიერის თვალსაზრისს ქართული და სომხური ანბანის წარმოშობა-განვითარების თაობაზე და ამას გარდა, იყენებს ჩვენს წარმოდგენას, როგორ იდგა ეს საყითხი ჩვენს საზოგადოებრივ და მეცნიერულ-კულტურულ ცხოვრებაში, თუ გნებავთ, ამ თრი საუკუნის წინათ.

ნაშრომი ახლა დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (H — 39) და წარმოადგენს თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ 1834 წლის 17 ოქტომბერს პარიზში, მ. ბროსესადმი ვაზზავნილ წერილს, რომელმიაც პალებია გაცემული ფრანგი ქართველობის რამდენიმე შეკითხვაზე (რუსთველოლოგიური, ლექსიკოლოგიური...); მათ შორის, ქართული ანბანის სომხურისაგან დამოუკიდებლობისა და ევროპულ ლიტერატურაში ზოგიერთი მცდარი თეორიის გავრცელების მიზეზის შესახებ თეიმურაზი წერს:

„კეშმარიტად, ჩვენ არა რად შური უმეტეს სომეხთა ზედა არა გვაქვს რა, უმეტეს ამისთვის, ადრეცა მრავალგზის და შემდგომადცა დაცუმისა მეფობისა მათისა, იგინი ღყვნეს მვუფლველობისა ქვეშ სა-

³⁵⁹ ბ. გორდეზიანი, ლასახ. ნაშრ., გვ. 73—74.

ქართველობისა... შემდგომად დაცემისა მათისა, არვინა ჰყეათ მუვად
 მფარველი, გარდა საქართველოს მეფეთა და ოლიარებდნენ უწყიშის უძველეს
 ფეხის საქართველოსათა თვისითა ზედა მეფედ. შეერთებამდე როგორია,
 მათ არა ძალედვათ დასმად კათოლიკოსისა თვისისა, უკეთ არა და-
 ამტკიცებდნის მეფე საქართველოსა, ღირსებისამებრ არჩეულისა მა-
 თისა. მეფენი საქართველოსანი ზრუნვიდეს მათვის მარად, ვითარცა
 ძეთათვის მამულისა თვისისათა; განჩენმობა არა რამ იყო მათ შო-
 რის და ქართველთა. იგინი თვით ოლიარებენ ამას. რადცათვის ეყვის
 მწიგნობრობასა, არა იყო მათ შორის ძველთა შინა საუკუნეთა: პარ-
 თია უმეტეს განდიდებულ იყო, ვიდრე არმენია. სხვანი და სხვანი ნა-
 იესავნი ხშირად ჰფლობდეს არმენთა. ამისნი მოთხოვობანი ერცლად,
 იპოებიან ეკროპისა ისტორიისა შინაცა. იგინი სარგებლობდეს პირ-
 ველ ბერძულითა წიგნითა და ქართულითა. ქრისტეს მოსლვითგან მრა-
 ვალთა წელთა განცემეს. მერმე ქმნეს სომეხთა წერილი თვისი, რო-
 ნელსაცა იტყვიან იგინი მოძღვრისა მათისა მესროფისათვის, ვითარმედ,
 მან განაწესა და ქმნა ასონი მათის, მსგავსნი ქართულის ხუცურის წე-
 რილისა... სომეხთა ოდესცა გააკეთეს წერილი თვისი, იწყეს მათცა
 თარგმანება ბერძულით და ქართულითგანცა მრავალნი წიგნი სთარგ-
 მნეს. მაგრამ ჯერეთ მათ შორის ესე ოდენი წარმატებულება არა აქვნ-
 და წერილობათა მათთა. ოდეს მეფობად სომეხთა დაცუა უკანასკნე-
 ლად ფსკერიალმდე და განიბნიერეს იგინი პირსა ზედა კნინდა ყოვლი-
 საა ქვეყანისასა, მისრულთა სომეხთა იტალიასა შინა დაიწყეს თითქ-
 მის ახლად მწიგნობრობა და ენისა თვისისა განვრცელებად*. ვენეცი-
 ასა შინა ვაჭართა სომეხთა ოლიშენნეს სახლნი და საევანენი სამკვიდრე-
 ბლად თვისიად. მიუწოდეს სხვათაცა სომეხთა მრავალთა. ქმნეს მო-
 ნასტერნი წესითა თვისითა, გარნა სხვად სახედ. პირველად იწყეს მუნ-
 ბეჭდვად წიგნთა და შემდგომად რაოდენისამე წლისა დაბეჭდის ლექ-
 სიკანიცა თვისი. მიხითარ იყო უპირველესი მოძღვარი ვენეციანელ-
 თა სომეხთა, რომელმან იცოდა ენანიცა ლათინური და იტალიანური
 ზექმიწევნით. მან შეუკრიბნა სომეხთა მრავალნი ზღაპარისიტყვაობანი
 და ადიდა ენად მათი. გარნა მიხითარ ეგრეთცა არა უყვარდათ აზიისა
 და იმის განვითარებას სომეხთა. მოძღვარნი ეჩმიაწინელნი სხულობდენ მას და უწილებდეს
 სომეხთა. მოძღვარნი ეჩმიაწინელნი სხულობდენ მას და უწილებდეს
 სომეხთა. მოძღვარნი ეჩმიაწინელნი სხულობდენ მას და უწილებდეს
 სომეხთა. სახწმუნოებისაგან მათისა... სომეხთა, თუმცა, სამეფო-
 მათისა დაცემამან დიდი ბოროტი მოატყვა, მაგრამ იმათს ენას კი
 დიდი სარგებლობა მისცა ამისთვის, განპნეულნი სომეხნი მოცკიდნენ

* აქ და ქვემოთ თემურაზ ბაგრატიონი გულისხმობს მხითარ სებასტიელისა (1676—1749) და მისი შინლევრების (შინთარისტების) საქმიანობას ვენეციაში, წმ.
 ლაზარეს კუნძულზე.



ევაჭრობასა, მიიწიგნენ უცროპისა რომელთამე ადგილთა, შეჟოლებულ ნეციასა შინა, ისწავეს ლათინური და იტალიანური. მაშინ კუნძულის იყოფვოდა სუალმატებულებისა ხარისხსა უვავილოვნებისასა. უცხოსა მხრისა ჯერეთ უცნობნი ხალხი (ანუ თესლი) იხილეს კენეციანელთა მისრალი მათ შორის, არა უგულებელს-ჰყვეს იგინი. მისცეს მათ ადგილი და წარუმართეს ყოველსაც შინა საქიროებასა მათსა, მაშინ შიმხედველთა სომეხთა სიბრძნის მოყვარეობასა ზედა კეროპელთა, იწყეს მათგა შხრუნველობა წერილთა თეისთავის და მუნითვან აღი-დეს და გააეტეს ენა თვისი. მაგრამ მიიღეს მათ, სომხებმა, კენეციაში მყეიდრთა, სარწმუნოება რომის კათოლიკეთა და წესსა საეკლესიოთა თვისთასა, რომელიც განუწესა მხითარმან. ოლასრულებენ ვიდრე აქა-მომდე სომხურადვე. ქმნეს მუნ სტამბანი წიგნთანი და მუნითვან წა-რუგზავნიდეს სხვათაც ქვეყანათა შინა მცხოვრებთა სომხეთა. ხოლო ქართველთა, არავის შეწევნით, არამედ, ჩადაცავის ეყვოდა წერილო-ბასა და ენასა მათსა, აქენდათ დაცულნი სიმტკიცესა შინა და უცვა-ლებელად ჰყრობასა. დროთა შინა ძველთა, მთარგმნელნი ჩეენნი შემ-წეობითა მეფეთა საქართველომასათა იქცეოდეს ყოვლითურთ საფასი-თა თავისითა საბერძნეთისა საბჭობელოთა შინა და ასურასტანისა და იეროსალემისა ადგილთა. მუნითვან აღმოისებდეს სიბრძნეთა, სთარ-გმნიდეს წიგნთა მრავალთა, აშენებდეს საფასითა საქართველოს მე-ფეთათა მრავალთა მონასტერთა წმიდასა იქროსალიმს, მთაწმიდას (ესე ივი, ათონის მთისა შინა), ანტიოქიას და სხვათა და სხვათა ადგილთა საქართველომასათა და საბერძნეთისათა. დასცვიდენ მუნ ბიბლიოტე-კათა თეისთა ქართულისა ენისათა... და იპოვებდან დღესაც მრავალნი ესრეთნი წიგნნი ქართულსა ენასა ზედა, რომელიცა ფრიად ასაჩინო-ებენ ლირსებისა ენისა ქართულისასა და სიძელესა მისსა და თუ დრო-თა შინა ძეელთა, ვითარ ყოფილან ქართველნი განათლებასა შინა, მაგრამ არა ოდეს არა აქვნდათ და არცა ჰქონიესთ ქართველთა ხარაკ-ტირი ცუდ-დიდებობის მოყვარეობისა და მკვეხარეობისა და ზღაპარ-თა მოგონებისა, არამედ მეცადინეობა მათი ყოფილ-არს მარადის გა-ნურყნელობისათვის და დაცვისა წერილობათა და ენისა მათისათვის.

არა ხშირად აქვნდათ ქართველთა შემეცნება კეროპელთა თანა, რათამცა იცნობდენ იგინი ზედ-მიწევნილებით ენასა ჩეენსა მის უამი-თვან აქამომდე, ვგონებ, ხუთას წელზედ მეტი იყოს... დროსა ვახტანგ მეექვსისა ქართლის მეფისასა, მოვიდა რომს საბა ოჩბელიანი, რომე-ლიცა თქვენ ქარგათ უწყით, თუმცა ღიღად იყო მოყვარე სიბრძ-ნისა და ქართულისა წერილობათა, მაგრამ იმას არ მიეცა ფამი, რო-

მელ წვლილიად რამე ეცნობებინა თქვენთა პრძნოთათვის, რაღანაც
იგი ჩომისაცა შინა და პარიგისაცა შინა მოვიდა იგი სულ სხვას საჭრ
ლეტიკის საქმისათვის და სხვათაცა რომელთამე ადგილთა ევროპისა-
თა მოვლო მან ამისთვისთვე და უკვე-მოიქცა, ვერა მიმთხვეშრულად არ-
წადელსა საგანსა თვისისა. არამედ სომეხნი, მას უამითგან, რა მათ გა-
ნა გაიჩინეს ცენტრისა შინა, იქიდგან დადიოდნენ და დატანტალობდ-
ნენ სხვათა და სხვათა ევროპის ქალაქებში და ზღაპარ-მსიტყველობ-
დენ და ცუდ-მედიდებობითა თვისითა მქევხარობდენ აღურაცხელად.
ამის ვამ, რომელთამე ადგილთა შინა შეაცუნენეს რომელნიმე ევრო-
პოლიტიკა მწერალნი და აწერა ვეონებ, მეცადინე იყვნენ რომელთამე
ადგილთა, რომელ ვანპფინონ მქევხარეობანი თვისინი და მოზღაპროე-
ბანი თუ სადამე ძალედვასთ.

მე ცემმარიტებით ამას გარშემუნებ, რომელ ქართველთა არაოდეს
სძლებიათ სომეხნი და ცემმარიტად არც დღესა ჰსძლესთ ამისთვის,
რომელ არა არიან შორიელნი ჩვენნი, არამედ ცეცანად სომხითისა მე-
სამზღვრე არს საქართველოში და... არა თუ საქართველოსა შინა
მცხოვრებთა სომეხთათვის ვიტყვი,... იგინი არიან ჩვენნი საქართვე-
ლოსა შვილ-ქმნილნი მრავლის უამითგან.

წერილს ქართულსა სომხური რომელნიმე ასონი ჰგვანან და არა
ყოველნი. სომეხნი ვიეთნიმე იტყვან, რომ სომხური წიგნის ასოები
და ქართულის წიგნის ასოები სუცურით მესროფშა გააცეთაო. მაგრამ
ქართული სუცური ასოები მესროფშა არ გაუკეთებია, დიდი ტურილი
არის. მანამ მესროფ დაიბადებოდა და ამ სოფელში შემოვიდოდა, ად-
რევე ქართული სუცური წიგნი იყო და მესროფზედ უწინ, საღმრთოს
წერილის მთარგმნელნი ჩვენთა წმიდათა ქართველთა მამათაგანი მრა-
ვალნი იყვნეს, რომელნიც ებრაულისაგან და ბერძულისა და ასურუ-
ლისაგან ქართულად სთარგმნილენ... ხოლო მხედრულის წიგნისა ქარ-
თლის ცხოვრება და სხვანი მრავალნი წერილნი ქართულნი მოუთხრო-
ბენ, რომელ ფარნავაზ მეფემან პირველმან (ფარნავაზ მეფე, პირველი
მეფე ქართველთა მრავლით წლითვან უწინარეს იყო ქრისტეს მოსვ-
ლისა) ქმნა და ამას ამტკიცებენ ცემმარიტებით მტკიცით დამტკიცე-
ბითა: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა უამთაცა შინა.
კიდრე ფარნავაზამდე სწერიდნ იგინი უხუცესთა წერილითა ესე იგი
კურუმთა მათ. რომელთაცა უხუცესთა და კვეის-ბერთა უხმობენ, ივი-
ნი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა
მიმართ. და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი. ფარნავაზ-
მან წერილთა მათთაგან განცყო მხედრობისათვის თვისისა მპრლოდ
კილით წერილი განცოფილი ასონი და არა სხვით რახთამე. მაგრამ

წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან გადაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა წიგნის ხუცურნი“ — წიგნისა მისგან, რომელ არს შეკრებული და დაწერილ შემეცნებათა, გამოვწერე ესე აღრევე რაოდენისაძე ზღვისა წინათ, ბიძას ჩემს კათოლიკოსს ანტონი მეორესა თანა, ოდესცა მყოფი იყო იგი სანკტ-პეტერბურგს, წელს 1822-სა წიგნისა მისმაგან, ხოლო სომხურნი რომელნი ასონი პევანან ქართულსა, რომლითაცა გულისხმა-იყო და გამოიყების და ჰემის რომელ სომხური უნდა იყოს ქართულის ასოებიდამ გარდაკეთებული, კათოლიკოსი ანტონი მეორე, ბიძა ჩემი ბრძანებდა და ჩემის სატატის დავით ალექსიშვილისაგანაცა მსმენია ესე და ტფილისას პირველის სამიტროპოლიტო სობოროსა პროთოიერეის ითანე ისეს შვილისაგან, რომელიცა იყო ეგამსწავლული ანტონი პირველისა ქათოლიკოსისაგან, მრავალგზის სწავლულთა სომებთა თანა პქონიერსთ პაექტობანი სხვათა და სხვათა საგანთა ზედა და ორდეს პქონიერსთ მათ ენისათვის ქართულისა და წერილისათვის წიგნისა ქართულისა, ყოველსა ეამსაო ცვემულ ჰყოფდენი სომებთა ამას ზედა, რომელ სიტყვათა მათ, რომელთაცა ხადიან იგინი სომხურად, არა არიანო იგინი სომხურნი და დაუმტკიცებდითო მოძღვართა და მეცნიერთა კაცთა სომებთასა, რომელ ათწილად სომებთა აქვთ უმეტეს მიღებულნი სახელნი და სიტყვანი ქართულნი, ვიდრედა ქართველთა სომხურნი. და ოდეს სრულებით არა აქვნდათ ჯერეთ სომებთა წერილნი თვისთა ზედა ენათა, საჩეკბლობდეს და ხმარობდეს იგინი ქართულითა წიგნითა და წერილითა. მათ შორის, იყო ფილოსოფოსი მღვდელი სომებთა ერთი, ტფილისელი ტერ-ფილიპე ყაითმიჩაშვილი, განსწავლული ქართულსა ზედაც და სომხურსა ზედმიწევნით ესრეთ, რომელ მრავალთა რამეთა სიბრძნეთა და მცნობელობათა პყვათ იგი მოძღვრად (ესე იგი ისტატად) ანტონი კათოლიკოსა პირველსა და ანტონის ჰყოდინდელსა, ძესა მეგრელის მთავრისა დაზიანისა ოტიასა, რომელიცა იყო მიტროპოლიტი და მწყემსი სრულიად სამენგრელისა. იგი იყო ფრიად ბრძენი და კაცი ფილოსოფოსი, შეადაგებდელი და ჩინებული ენამჭევრი, ანტონი კათოლიკოსისა თანამედროვე და მეგრებარი. ესე არიან ანტონნი, ერთი-ზემოსა და მეორე-ქვემოსა საქართველოსა შინა იყვნეს ნათელნი ერისანი. ამასაც ისტატათ ჰყოლია ტერ-ფილიპე, რომელთამე გამოსაძიებელთათვის სომებთა შორის. მას უამსა ტერ-ფილიპე ყოფილა პირველი სწავლასა შინა განბრძნობილი. იგი თვით დაუმტკიცებდაო სომებთა, რომელ დიდი ცომიღება არსო ესე, უკეთე ჩერენგან იტყვის ვინმე, რომელ სომხური ენა უძველესი იყოს ქართულისაგან და ანუ სომებთა პქონდესთ მაშინ

საკუთარნი წერილი თვისნი. ოდესცა ქართული ჭრაო და ჩერტვა
იყო მაღალსა ხარისხსა ზედა ყვავილოვნებისასა, მაშინ ჩვენ ხომა-
ნი გვარებლობდითო წიგნითა ბერძულითა და ქართულითო ფრაზები-
არა გვაქვნდაო ჩვენ წიგნი საკუთარი. უკანასკნელ მოვალეობისა ჩვენ
ნი არიო, რათა საუკუნოდ ვაქებდეთო ვენეციასა, სადაცა მისელითა
წინაპართა ჩვენ სომეხთასა მიეცათ განბრძობა და სტამბამან მუნე-
ბურმან მოიყვანა ნათესავი ჩვენიო აღრიცხვასა შინა ეროვნებისასა,
ვინამდგან სომეხთა მეფობასა დროსა მხოლოდ სამღვდელოთა ჩვენ-
თა შორის თუ იყო რამეთ ნაწილი მწიგნობრობასა და სწავლასა,
სხვანი სომეხთა ერნი ეგრეთცა იყვნესო მთათა და კლდეთა შინა მა-
ვალნი, უსწავლელო ყოვლითურთ.

ჰეშმარიტად, მე ესენი რაცა ვსთქვი, არც ერთი, ღმერთმან ხომ
იცის, სომხების სიძულვარით არ მითქვამს და დიდათაც მიყვარს სო-
მეხთ ნათესაობა, ამისთვის, როგორც ჩვენი საქართველოს მცხოვრე-
ბნი, ბუნებით ქართველნი, ისე საკუთარნი არიან ჩვენი იგინი. მაგრამ
ვერც სახით, ვერც ენით, ვერც წიგნით, ვერც ხალხის სიძველით სომ-
ხები ქართველებზე თავს ვერ აიმაღლებენ და თუ ამათგანი ვინმე იტ-
ყვის, უმეცრებით გამოუვათ“.

თეიმურაზ ბაგრატიონი ქართაში

(„მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა აღგილთა“)

თეიმურაზ ბაგრატიონის ევროპაში მოგზაურობის ფაქტი კარგა
ხანს უცნობი იყო ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. კერძოდ,
დ. ბაქრაძე 1887 წელს წერდა: „Теймураз жил, сколько нам
известно, безвыездно в Петербурге“ (Статьи по истории и древ-
ностям Грузии, СПБ, 1887, стр. 10).

მას შემდეგ, დასავლეთ ევროპის (ლონდონი, ვენა, ბერლინი, პა-
რიზი) წიგნთსაცავებში დაცულ ქართულ ხელნაწერთა შესწავლის
დროს, ალ. ხახანაშვილი ბერლინის სამეცნ ბიბლიოთეკაში (განც.
Ms. Orient) წაწყდა ს.-ს. ორბელიანის „სიტუკას კონის“ შახაშდე
უცნობ ნუსხას (in 8°, 21X16 სმ, 236 ფ. მხედრული, 18 ს.), რომელსაც
თავფურცელზე ახლდა რუსულ-ქართული მინაწერები: „1. Его Вели-
честву корола прусского Фридриху велгемъ третію для Его
величеству с библиотеки сей лексиконъ грузинской диалекта.
сочиненной князи Сулхана Саба Орбелиани и писанной граждан-
ского бѣквами нижайше преданностю грузинскій царевичъ Тей-
мураз Георгіевичъ.“

2. შევწირე ლუქსიკონი ესე მათს დიდებულებას პრუსიის
როლისა ჭრიდერიკოს ვილდელმ მესამესა: მათის დიდებულების
ლიოტიკისათვის: უმონოებრიელის სიმდაბლით სრულიად ჟავეტევულია
ლოდასა მეფის გორგი მეათცამეტის ძე თეიმურაზ. 1836 წ. ი. ი. ი.

22 (ივნი 4) ვ გ. ბერლინე.

3. საქართველოს მეფის ძის თეიმურაზის არს. 4. მათს უდიდე-
ბულესობას, პრუსიის კოროლს ჭრიდერიკ ვილდელმს შევწირე მეფის
ძემ თეიმურაზ. ბერლინის ყოფასა შა ჩელსა ჩილვ ოქტომბე³⁶⁰.

აღნიშნული მინაწერების საფუძველზე, ალ. ხახანშვილი ვარაუ-
დობდა: „ბატონიშვილმა, შესაძლოა, იმოგზაურა სამხლვარ-გარეთ და,
სხვათა შორის, ინახული ბერლინი, სადაც დასტოვა ფრანგის-ვილ-
გელმის წიგნთაცავისათვის ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი... მომავალმა
მისმა ბიოგრაფმა უნდა დაწვრილებით გამოიკვლიოს ეს გარემოება“
(გაზ. „სავაჭრო გზა“, 1908, № 17 გვ. 3).

ამის შემდეგ დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულ თეიმურა-
ზისეულ „ქართლის ცხოვრებაზე“ არსებული მინაწერის: „ეს ქართლის
ცხოვრება მქონდა გერმანიაში რომ წველ წელსა 1836,—მეფის ძე
თეიმურაზ³⁶¹ გათვალისწინებით, პ. კარბელაშვილი წერდა: „1836 წ.
თეიმურაზი გაემგზავრა და მოიარა გერმანია, დანია და საფრანგე-
თი“³⁶². ეს ორი უკანასკნელი (დანია, საფრანგეთი) როგორც ჩანს ვა-
რაულით, უკვე პ. კარბელაშვილის მიერ იყო წამატებული.



შ. მესხიამ თავის საფუძვლიან გამოცელევაში, თეიმურაზ ბატონი-
შვილის მიერ მარი ბროსესადმი გაგზავნილ მანამდე უცნობ წერილებ-
ზე დაყრდნობით, საბოლოოდ დამტკიცა 1836 წელს თეიმურაზის ევ-
როპაში სამკურნალო მიზნით მოგზაურობის ფაქტი³⁶³.

360 ალ. ხახანიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილის საბიოგრაფიო მასალად,
გაზ. „სავაჭრო გზა“, 1908, № 17, გვ. 3. ალ. ხახანივ. ერთობლივ მასალად,
სერბების ხელნაწერი აღწერა ი. ა. სფალგმ: Georgische handschriften, Wiesbaden,
1963, № 9. ასფალგმს მიხედვით, ყოფილი პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის
1963, № 9. ასფალგმს მიხედვით, ყოფილი პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის
(ბერლინში) ქართული ხელნაწერები დღეს დაცულია მარბრეგსა და ტუბინგენში,
მეფის შორის თეიმურაზისეული „სიტყვები კონა“ სულხან-საბასი ტუბინგენში. ქარ-
თული მინაწერები მოვცევს ასფალგმის შრომით. შდრ. D. M. Lang, The Last
Years of the Georgian Monarchy, New-York, 1957, გვ. 255—256, 279.

361 ალ. ცაგარელი, სვედენია, III, СПб., 1894, стр. 148.

362 პ. კარბელაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, გაზ. „საქართველო“,
1916, № 146, იხ. აგრეთვე ლენ. E 23-ის თეიმურაზისეული მინაწერი: „წელსა 1836
მეფის ძე გერმანიაში იყო წასული“ (გვ. 277).

363 შ. გესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღაწეობა, მასალა-
ბი..., 1939, გვ. 45—47.



თეიმურაბ ბაგრატიონის
ევროპაში მოგზაურობის მაჩვრევი
(1836 გ)



ამას მაღლ ზედ დატოვთო ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ს. იორდანიშვილის მიერ თეატრულაზე ბატონიშვილის უნიკალური ავტოგრაფის: „მოგზაურობა ჩემი ერთ-ერთ სხვათა და სხვათა ადგილთა“ აღმოჩენა, რომელიც შესავალი წერილით და კომენტარით მან კიდევაც გამოსცა³⁶⁴. წიგნს ახლავს გ. ნათოძის მიერ შედგენილი რუკა „თეატრულაზე ბატონიშვილის მოგზაურობის მარშრუტი“.

ჩვენ ეს ხელნაწერი საგანგებო შესწავლის მიზნით 1968 წელს მოვიყითხეთ ზუგდიდის მუზეუმში, მაგრამ მუზეუმის თანამშრომლებმა, სამწუხაოოდ, იგი ადგილზე ვერ იპოვეს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვხდებით, მიემართოთ ისე ს. იორდანიშვილის აღწერილობის:

„მოგზაურობის ხელნაწერი, ერთის შეხედვით, სრულიად არ გამოიჩინა რამე განსაკუთრებული ნიშნებით თეატრულაზის ხელით დაწერილ და გადაწერილ, ჩვენამდის მოღწეულ წიგნებიდან. იყი უბის რვეულის ზომის ($19,5 \times 11,5$ სმ.) უბრალო, ოდნავ სირუხეშეპარებულ ქაღალდზე დაწერილი. ხელი თეატრულაზის წერილებისათვის ჩვეული მხედრულია, რომელსაც შიგაშიგ ასომთავრული ხუცური აქვს გარეული. ალაგალაგ ხელი უფრო მოიწმინდავებს. დამთარიღებელი ბოლო მინაწერი ჩვენამდის მოღწეულ „მოგზაურობის“ ავტოგრაფს არ შემოუნახავს. საფიქრებელია, რომ ეს მინაწერი ხელნაწერს ექნებოდა ბოლო ფურცელზე, როგორც ეს შემონახეს თეატრულაზის მიერ შესრულებულმა თუ სხვის მიერ გადაწერილმა ხელნაწერებმა, რომელთაც კი უდებშემოუძარცელად მოაღწიეს ჩვენამდის მისი მდიდარი ბიბლიოთეკიდან. „მოგზაურობის“ ხელნაწერი თავის დროს აკინძული და ვარაყით მოჭრილი ყოფილა. ყდებიდან ამოგლეჭისას, თუ შემდეგ, მას რამდენიმე ფურცელი (შესაძლოა, რვეულიც) დაჰკარგვია“ (გვ. 11). საბედნიეროდ, წიგნის 25-ე გვერდზე გამომცემელს დაუბეჭდავს „მოგზაურობის“ პირველი გვერდის ფოტოპირი, რითაც უცემელად მტციცდება ნუსხის ავტოგრაფულობა (საბედნიეროდ, ვამბობთ, რადგან თვითონ ნუსხა ჯერჯერობით არ ჩანს!).

„მოგზაურობის“ ჩვენამდე მოღწეული დაფექტური ნუსხით (როგორც უკვე ითქვა, მას აკლია ბოლო თავები), მაინც შესაძლებლობა გვეძლევა წარმოვიდგინოთ თეატრულაზის ეფროპაში მგზავრობის მარშრუტი პეტერბურგიდან მარიამბადამდე. ხოლო მარიამბადიდან ჩეინის

364 თე იმ ურაზ ბატონიშვილი, მოგზაურობა ჩემი ეკროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა, სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წერილითა და შენინებით, თბ., 1944 (ყდაზე: 1945) წიგნი იხსნება ა. გაბისონის „წინასიტყვის მარტ“, გვ. 3—8.

ოლქში გამგზავრება და იქედან ვეიმარ-ლაიპციგის გაულით ტერიტორიაში დაბრუნება შეგვიძლია შეევასოთ თეიმურაზის მიერ ბროკაზადი 1836 წლის 26 ოქტომბერს ბერლინიდან და 1837 წლის 9 მარტის შემდეგ მარტის 19 მარტს ს. პეტერბურგიდან გაგზავნილი წერილებით.

როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, თეიმურაზი ევროპაში სამკურნალო მიზნით გამგზავრებულია. 1831 წლის დასაწყისში იგი უკვე უჩიოდა ავალმყოფობას³⁶⁵ (როგორც შემდეგ გახდა ცნობილი თეიმურაზის წყალმანები სკირდა): „მე იანვრის 7 (19) ავათ გავხდი სა-შინელის გვერდის ტკივილით და ისე ავათ ვიყავ, რომ კნინდა განვს-წირე ჩემი ცხოვრება... ერთი თვე და ნახევარი სარეცელზედ ვიწევ“, წერდა თეიმურაზი მარი ბროსეს (წერილები, გვ. 65).

1836 წლის 26 მაისს თეიმურაზი ბაგრატიონი მეურნალი ექიმის კაპ-ლერის, სიყრმის მეგობრისა და თავისი ამალის წევრის დავით ალიბე-გამვილის, აგრეთვე ივანე ლაქიას თანხლებით პეტერბურგიდან ევრო-პაში გაემგზავრა: გაუგლია ქსტონეთი, ლიფლანდია, კურლანდია, აღმ. პრუსია, რომელსაც მაშინ მიტაცებული ჰქონდა პოლონეთის მიწები, დას. პრუსია, პომერანია, მეკლენბურგი და ოცი დღის მგზავრობის შემ-დეგ, 1836 წლის 17 ივნისს ჩასულა ბერლინში. პრუსის მაშინდელი იმპერატორი ფრიდრიხი ვილჰელმ III ბერლინში არ დახვდრია. რუ-სეთის იმპერიის საელჩოს ბერლინში შეხვედრა მოუწყვია ქართველი უფლისწულისათვის. 27 ივნისს თეიმურაზი ბერლინიდან ბროსეს წე-რილს უგზავნის პარიზში (წერილები, გვ. 67). ამის შემდეგ იგი გამოემ-გზავრა ბოჭემიაში და ჩავიდა სამკურნალო წყლებზე კარლსბადში (დღ. კარლოვი-ვარი) და მარიამბადში 27 ივნისს³⁶⁶. აქ თეიმურაზი 7 სექტემბრამდე დარჩენილა. „მოგზაურობას“ ხელაწერიც აქ წყდება. მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, ბროსესადმი ბერლინიდან 1836 წლის 26 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში (წერილები, გვ. 68—70) თეიმუ-რაზი ვრცლად აგვიწერს გერმანიაში მისი მოგზაურობის მერმინდელ მასშტაბს. 7. სექტემბერს იგი წამოსულა საქსონიაში და ვეიმარ-ლაი-პიცგზე გავლით 3 ოქტომბერს დაბრუნებულა ბერლინში. აქ იგი დი-დი პატივით მიუღიათ პრუსიის იმპერატორის ფრიდრიხი-ვილჰელმ III

365 ი. ელენე ამილახერის წერილი იონა ხელაშეიღილისადმი—S 388, გვ. 30—31 აგრეთვე, ლენ. C—50 და თეიმურაზი ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, სოლ. ცუბანეიშეილის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 9, 20.

366 შდრ. გრ. ზარდალიშვილი, პირველი ქართველი მეცნიერი ჩეხიაში, „ლორშა“ № 9, 1960; 6. ალანიას (ვეუ. თბილის 1962, № 165) და ი. მეგრე-ლიძის (ორიონი, თბ., 1967, გვ. 233) ცნობით, თეიმურაზი პრაღაშიც ყოფილა, ხო-ლო ალ. დარიაშვილის მიხედვით (გაზ. „რეინიგზელი“, 3. XI. 1959), პარიზშიც, რაც რასაკვირელია, არაა სწორი.

ოფიციალური და დასწრებია იმპერატორის ძმისწულის ქორწილის, რომელიც ცხრა დღეს გაგრძელებულია. ამავე დროს მიუძღვნება მთელი დროს-ვილპელმ III-ისათვის სულხან-საბას „ლექსიკონის“ შექმნის დღის ნიშნული ნუსხა, ხოლო ტახტის მემკვიდრისთვის (შემდეგში — იმპერატორი ფრიდრიხს-ვილპელმ IV 1840 წლიდან) კი, ბროსეს მიერ 1834 წელს გამოცემული „კელოვნება აზნაურებითი, გინა ქართულისა ენისა თვა-მასწავლებელი³⁶⁷, რის საპასუხოდაც კრონპრინცს თემურაზისთვის ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნია, რომლის ქართული თარგმანი გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა: „ჩემო ბატონო უდიდესი სიმოვნებით მივიღე საინტერესო ლექსიკონი, რომელიც ოქვენმა უმაღლესობამ პატივი და გამომიგზავნა წერილთან ერთად ამ თვეს 28 რიცხვში. მე შეძლება მექნება სიმოვნებით გავეცნო მას და ვეცადო გავერკვე ცოტათი იმ ენაში, რომელიც მართლაც არ არს ცნბილი ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ რომელიც თუნდაც იმის გამო, რომ მსოლოდ მასზე ლაპარაკობენ ამეამად ამ დედაქალაქში, არ იმსახურებს მას, რომ უყურადღებოდ იქნეს დატოვებული, შემიძლიან, ოქვენო უმაღლესობავ, მიყიდო იგი მაღლობის გრძნობით და უდიდესი პატივისცემით და ამ განშუობილებით დავრჩები თქვენი უმაღლესობის მარად ერთგული. ბერლინი, 29 ოქტომბერი, 1836“.

წერილს ახლავს თემურაზის შემდეგი მინაწერი: „წიგნი ესე არს იმ წიგნის პირი, რომელიც იმათმა უმაღლესობამ პრუსიის კოროლის ძემ და მემკვიდრეშ მოსწრერა საქართველოს მეფის ძეს თემურაზს ბერლინში ყოფაში. იმის მაღლობათ ბრისეტისაგან თვითმსაწავლებელი გაქოთებული ფრანციულ და ქართული რომ გაუგზავნა აღმეცდილი და მიართვა“³⁶⁸.

თემურაზისეული სხვა ხელნაწერების მინაწერებიდან ირკვევა, რომ გარდა საბას „ლექსიკონისა“ და ბროსეს „თვა-მასწავლებელისა“, ბატონიშვილს ეკროპაში თან პქონია „ძლისპირები“ (S—3631), ვახუშტის „ცხოვრება ქართლისა“ (S—3860), „საპოლეტიკო თეატრონი“, რუდოლფ ისტრატის „ღირსი ხსოვნისა ქალაქთა ეკროპისათა“ (H—2314, დავით ბატონიშვილის თარგმანი), „გამოკრებული სადღე-სასწაულო“ (სალტ. შექტ. ბიბლ. № 20589)...

ბერლინში თემურაზი 26 ოქტომბრამდე დარჩენილა. ამის შემდეგ დელი მარშრუტით იგი ბრუნდება პეტერბურგში: „ყოვლითურთ

³⁶⁷ L'Art Liberal an Grammaire Georgienne, Papis, 1834.

³⁶⁸ წერილები, გვ. 115—116; თარგმანის ფრანგული დედანი იხ. ხელნ. ინსტ. ბროსეს არქ № 47; თვეს მხრით, წერილის ფრანგული ასლი გაქოთებული ყოფილა ბროსესთვის (შდრ. წერილები, გვ. 69).

განთავისუფლებული სნეულებათაგან, გოორგობის თუს (ნოემბრის) გასულს პეტერბურგს მოველ“—ატყობინებს თეიმურაზი ბრძოლების შესაბამის რილები, გვ. 71). ამიტომ გაუგებარია გრ. ზარდალიშვილის „მოგზაურობის“ ხელნაწერის ბოლო დაკარგულია და არაა ცნობილი თუ როგორ და რა გზით დაბრუნდა თეიმურაზი სამშობლოში“ (დროშა, 9, 1960).

ა. აბრამიშვილმა ყურადღება მიაქცია სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში დაცულ „გამოკრებული სადღესასწაულოს“ (№ 20589) 201-ე გვერდზე თეიმურაზის ხელით გაკეთებულ მინაწერს, რომელიც უხება ევროპაში მის მოგზაურობას: „...იქიდამ მობრუნებული მოველ ს. პეტერბურგს ნოემბრის გასულს“. ა. აბრამიშვილის დასკვნით: „ეს მინაწერი ავსებს თეიმურაზ ბატონიშვილის მემუარების სახით შედგენილ დაუსრულებელ „მოგზაურობას“... რაღან სკენებულ ნაშრომში აღნიშნული არ არის, თუ როდის დაბრუნდა თეიმურაზი ს. პეტერბურგს. მინაწერში კი ცხადად არის ნათქვამი, რომ „იქიდამ მობრუნებული მოველ ს. პეტერბურგს ნოემბრის გამულოს“³⁶⁹.

ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ ამ მინაწერამდე ვინც იცნობდა თეიმურაზის 1837 წლის 9 იანვრის წერილს ბროსესადმი (მას კი იცნობენ შ. მესხია, ს. იორდანიშვილი, ს. უბანევშვილი...), ყველასათვის ცხადი იყო თეიმურაზის პეტერბურგში უკან დაბრუნების თარიღი.

თეიმურაზის „მოგზაურობას“ გეოგრაფიული მეცნიერებისათვის საინტერესო ქხარეს უკვე შეეხენ ქართველი გეოგრაფები გ. გეხტმანი³⁷⁰, ნ. ილაშვილი³⁷¹, გრ. ზარდალიშვილი³⁷², მაგრამ ვინერიობთ, მაინც არაა მომწურავად. „მოგზაურობისთვის“ გ. ნათებისა და გრ. ზარდალიშვილის მიერ შედგენილი რუკებიდან თავისი სისრულით, ყველაზე საინტერესოა გ. ნათების ნამუშევარი (ახლავს ძველის იორდანიშვილის ეულ გამოცემას, თბ., 1944).

„მოგზაურობის“ ლიტერატურულ-მნატვრულ ღირებულებებს შეეხენ ა. გაბისონია და ს. იორდანიშვილი თავიანთ წერილებში, რომლებიც დაურთეს გამოცემას: „თეიმურაზ ბატონიშვილი, მოგზაურობა

369 ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1968, გვ. 68.

370 Г. Н. Гехтман, Выдающиеся географы и путешественники, Тб., 1962, стр. 280.

371 ნ. ილაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, წიგნში: გ. გეხტმანი, ნარკვევები გეოგრაფიის სტორიდან, თბ., 1955, გვ. 442—45.

372 გრ. ზარდალი შვილი, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები, თბ., 1958, გვ. 71—74.

თეიმურაზის „მოგზაურობა ეკროპაში“ დღიურების სახელში დაცულია რეპრესიების შემთხვევაში და დაკავილით აღწერილია ავტორის უშუალო შთაბეჭდიილებანი და დაკავილებანი რუსეთსა და ეკროპაში მგზავრობისას. პროზაულ ტექსტს არცთუ იშვიათად ენაცვლება რუსთველური სახომით დაწერილი შეიარები, რაც მყითხველის ერთგვარ გამოცოცხლების იშვევს ხანდახან მეტისმეტად დაძლეველი აღწერილობების კითხვის შემდეგ. ნაწარმოებში გვხვდება ჰემორული სცენები (კაბლერის ვირიდან გაღმოვარდნა, ბოკემიის საზღვარზე საბაჟოს მოხელის გამასხარავება...). განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი კაცის თვალით დანახული ეკროპელთა ხელმომჭირნეობა და სიძუნწე (კერძოდ, როსტოკში, შაურების ოჯახმა საკუთარი სახლის ნაცვლად სტუმრები რომ სასტუმროში დაბინავა, თეიმურაზი ირონიულად შენიშნავს: „...მიგვიძღვნენ ისინი და ჩამოგვარდინეს ჩინებულს ტრასტიჩშია, რომელიც შეიძლებოდა რომ უიმითოთაც კარგა გვეპოვნა“—გვ. 26. ან კიდევ, მისმა მკურნალმა წარმოშობით გერმანელმა ექიმმა კაპლერმა სხვის სახლში მეტისმეტი ლორმუცელობა გამოიჩინა, რაზედაც თეიმურაზი ამბობს: „კაპლერი თავის სახლში კი, არა მგონია, მაგდენ ლვინოს სეამდეს... მაშინ მივხედი, რომ ექიმები თითონ ჯიბის ჭარის უფრო უფროთხილდებიან ვიცრე მუცლის ჭარიშსა“—გვ. 36).

მკითხველი ნაწარმოებში ხშირად იპოვს ბუნების მშენიერ აღ-
წერას, განსაკუთრებით შეკვარებულია ავტორი ვარდზე: „მე ვარდი.
რაღაც ღიდად მოყვაჩას, აქ მნებავს სიყვარულისა მისისათვის ვსთხევა“
(და მოყვანილია შაირი — გვ. 47).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ბატონიშვილის ზნეობრივი სიფაქიზე და მისი დაცინვა გერმანელი ქალების ქცევაზე (გვ. 30 და სხვა). ამის გარდა „მოგზაურობაში“ უხვევადაა ჩაუთული ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები ევროპის ქალაქებზე (მაგ. კარლსბადის და არსების ლეგენდა) და ბევრ გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებაზე (ნაცოლეონ ბონაპარტე, მორი, ფრიდრიხ II, ფრიდრიხ III და ფრიდრიხ IV და ა. შ.). მედიცინის დარგში მომზადეთათვის აცტორი იძრის IV და V. შ.). მედიცინის დარგში მომზადეთათვის აცტორი იძრის IV და V. შ.). მედიცინის დარგში მომზადეთათვის აცტორი იძრის IV და V. შ.).

ცალკე აღნიშვნის ღირსია „მოგზაურობის“ ჯანმარტი პატრიოტული მსახურე. მართალია, ავტორი გამოთქვამს აღტაცებას ევროპის ბუნების სიმშვენიერის გამო, მაგრამ მისთვის საზომი მაინც საქართველო

და ქართული ბუნებაა. კერძოდ, მარიამბადის წყლების გამო, ქართველი ბატონიშვილი ამბობს: „მარიამბალში... ისეთი წყლები უნდა ჰქონდა ადამი სასმელი, რომ უკეთესი გემრიელი, შემრგვი და წმინდა წყალი თუ არ საქართველოში, სხვაგან არსად მინახავს“ (გვ. 75).

გასაგებია ქართველი უფლისწულის გულისტკივილი, რასაც იგი პრუსიის მიერ მიტაცებული პოლონური მიწების გამო გამოთქვამს: „ვნახეთ... ელბინლი ... უველად პოლშისა არის, ახლა პრუსიის კოროლს უპყრია. ეგრეთვე დანცილიცა პოლშისავე ყოფილა და პრუსთ უპყრავსთ“ (გვ. 24).

შეიძლება გადაუკარბებლად ითქვას, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის „მოგზაურობა ევროპაში“, ქართული სამოგზაურო ქანრის ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

P. S. როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, თ. ბაგრატიონის „ევროპაში მოგზაურობის“ ზუგდიდში აღმოჩენილი ნუსხა დეფეტურია და ამიტომაც მასშე დამყარებული ს. ოორდანიშვილის ეცლი გაძოცემაც (1945 წ.) ნაცლულია.

თეიმურაზისეულ სელნაწერ კრებულში (ლენ. H-28. ფ. 289), გამოვლინდა „ევროპაში მოგზაურობის“ აღტოგრაფული ნუსხის ერთი ფურცელი. მასში მოთხრობილია მარიამბადის სამკურნალო წყლების შესახებ, რომელიც რედაქციულად განსხვავდება ს. ოორდანიშვილის მიერ გამოცემული ტექსტის შესაბამისი ადგილისაგან (შდრ. გვ. 80—83), ამასთან, მასში განსხვავებულია თეიმურაზის მარიამბადში ყოფნის თარიღიც (შდრ. ს. ოორდ. გვ. 83, 88).

არ ვიცი, ეს ფრაგმენტია „მოგზაურობის“ სხვა რედაქციისა, თუ იგი ზუგდიდური ნაკლული ნუსხის ნაწილია. მისი გამოქვეყნება საჭიროდ მივვაჩნია:

„...მინერალის წყლების სმაში და როგორ უნდა მოიქცეს და ანუ შემდგომად გათავებისა მისმა ეილრე ორს კვირადმიდე.

სისხლის აღლვებისათვის და სამყუდროებლად სისხლისა დიდი შემწე არს და საკვირვლად გასწმედს სისხლსა. მე მირჩია ჩემმა აქიშმა სკიდეროს შეეთიელმან, რომელ ვსვა მე მინერალისა წყლებისაგან, რომელსა უხმობენ მარიანბადს. ესე წყალი ბოლემისა შინა გამოსდის ადგილსა (...)

ვიწყევ მე წყლისა მის სმა მარიანბადისა წელსა 1836-სა იგვისტოს 14 და შევასრულე სეკვებრის 12-სა, რადგანაც ვეიან მოვყევ შემთხვეულებათა გამო რომელთამე, ამისთვის აღრე გავათავე, რომ სიცივეში აღარ ვარგა სმა ამ წყლისა და მასში როცა კაი დარები

დაღვება ან ივნისში უნდა მოჰყვეს ვისაც ნებავს უმეტესი რევენუ და
ორმოცი დღე უნდა სეას. მე დიდი მარგებლობა შევატუვ ფარგლები
ჩემ თავზე გამოვცადე, ამისთვის თუ საჭირო იყოს ვისამაგრესო მახა
დაბრკოლდება ამ წამლობას, რომ სისხლის დასამუშადროებლად და
გასაშემდალ უკუთესი წამალი ვეონებ აღარ იქმნება.

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ କଣ୍ଠାରୀ ମାତ୍ରାମଣିଙ୍କ ମହାପଦ୍ମନାଥ

პირველს დღეს გაის ჰაერში მოჰყვეს, ვისაც ნებავს ბაღში მიაღს, უმჯობესია ყოველ დღე. პირველს დღეს დილაზედ აღგეს აღრე: შეუალამიდამ ექვსი რომ დაპყრის საათმა. ერთი დიღის სტაქნით მიაღს.

ერთი საათის მეოთხედი რომ გავიდეს, ესე იგი თხუთმეტი მინუტი
ტი, სტაქნითა მითვე მეორე მიიღოს და კუალად თხუთმეტი მინუტი
რომ გავიდეს კიდე ერთი სტაქანი მიიღოს. რეა საათი რომ შესრულ-
დეს და საგულონდ წავიდეს დროშით ცნენით და თუ წვიმა და აფდა-
რი იყოს, კარეტითა თორმეტს ვერსამდის მისვლითა და მოსვლით
იაროს და სიარულში საცა კარგი ადგილი შეხვდეს და გამოაჩინოს,
მცირეს ხანს კიდეც დაისვენოს. შინ რომ მოვიდეს, ას საათზე ერთი
ფინჯანი კარგათ მოღულებული კავა მიიღოს ოთხის მცირეს შაქრი-
ანის მსუბუქის სუხრითა. კავა წყლით უნდა იყოს მოღულებული
ასე, რომ ფინჯანი დადგეს და შაქრით უნდა მიიღოს. რა ეს მიიღოს,
მერე ცოტას ხანს შინ იყოს, ნუ წამოწვება კი, მერე ქვევითად იგუ-
ლაოს, ახლო-მახლო კარგს ადგილებში ილაპარაკოს, შეექცეს, იყინოს
და სიარულით კი ნუ დაიღლება, სიარულში ოფლს ნუ გამოიდებს. სა-
დილი პირველი საათი რომ შესრულდეს, მაშინ მიირთოს ძროხის სუ-
პი მწვანილის ძირებით და სატაცურით მოხარშული, ჩენჩოებს კი ნუ
შეატანს. ანუ ქათმისა ეგრეთვე მოხარშული უნდა იყოს. მაჩტო წვე-
ნი მიიღოს, მსუქანი წვენი ან იყოს. ფრინველი რომ შემწვარი ცივათ
დიახ მცირეს ერბოთ ანუ ვარია, მხალი რამ და კვერცხის ყვითელი
გულიც ეჭმება. არც მღაშე, არც მჟავე, არც ლორეული, გინა მწნი-
გულიც ეჭმება. არც მღაშე, არც მჟავე, არც ლორეული, გინა მწნი-
გულიც არა ეჭმება რა. სატაცური ლიტონათ მოხარშული მარილწყალ-
ში ანუ წვენში ის მიიღოს, თუ იმოება ყოველს დღესა დიახ აჩვებს.
ში ანუ წვენში ის მიიღოს, თუ იმოება ყოველს დღესა დიახ აჩვებს.
მძიმე საჭმელი სხვა არაფერი არა ეჭმება რა. ვაშშმათ მცირე წვენი
თეთრის პურით და სატაცური მიიღოს და დიახ მცირე ანუ ვარია და
ანუ ფრინველი, ვარდა მწყრისა, ღუპელშნეპისა და რომელიც მსუქა-
ნი და ფიცხი ფრინველი არიან იგინი ან ეჭმება მანამ ამ წყალსა
სომს. საღილს უკან სამი საათი შინ იყოს. არ წამოწვეს, თუ დაიძინა
დღიდად ავნებს. ოთხი რომ შესრულდეს საათისა, წავიდეს და ქვევი-
თად იაროს და თუ ნებავს კალიასკით, კარეტით გინა დროშით. რვა

საათი რომ შესრულდეს ვახშამი მიიღოს მსუბუქათ და თავით გადასაათი რომ შესრულდეს და დაიძინოს და ექვს საათზედ დიდი შედეგი გვის. და ამ მოქცეს ყოველ დღე, მანამ ამ წყალსა სომლებს და კომისარების საკურალებოა ქართული მედიცინის ისტორიკოსისთვისაც.

მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობა პეტერბურგში

პეტერბურგში ცხოვრების წლები (1811—1846) არის თემურაზ ბაგრატიონის უნაყოფიერესი მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობის ხანა. თავდაპირელად თემურაზი შეუდგა უცხო ენებისა და დამწერლობის შესწავლის. მან კერ კიდევ ირანში ყოფნისას შეითვისა სპარსული და თურქული ენები³⁷³. ნაწილობრივ ალბათ არაბულიც აქვე უნდა დაეწყო თემურაზს, დიპლომატიური მოსახრებით, ფრანგული და იტალიური ენების. შესწავლაც³⁷⁴. ამათ ვარდა, სწავლული ბატონიშვილი თურმე ყრმობაში სწავლობდა ბერძნულ ენას. „თუმცა ყმაწვილობას ვსწავლობდი ბერძნულს, მაგრამ უამთა ცვლილებისაგან ვერ შევისრულეო“—გვიამბობს იგი³⁷⁵. ამიტომ პეტერბურგში მას ბერძნული ენის „შესრულებაში“ ეხმარებოდა ვინმე ბერძენი გიორგი: „ამისთვის გიორგი ბერძენი შევიწივე“³⁷⁶. აქვე სწავლობდა იგი რუსულ, სომხურ, ლათინურ, ებრაულ, ინდურ, კურულ და ინგლისურ³⁷⁷ ენებსა და დამწერლობებს.

უცხო ენების ცოდნა თემურაზს ხელს უწყობდა მთარგმნელობით მუშაობაში — ამ პერიოდში მან თარგმნა არასტორელე, ტაციტი, კიცერონი, კოლტერი, ნაპოლეონი, პუშკინი, ჩამჩიანი³⁷⁸, დოსტოევსკი

373 М. Броссе. ЖМНП, 1846, ноябрь, отд. VII, стр. 39.

374 უ. მ ე ს ხ ი ი, დასახ, ნაშრ., გვ. 33; ზ. ხ ი ნ თ ა ძ ე, თემურაზ ბატონიშვილის „იტალიურ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი“, გაზ. „ლიტ. და ხელოება“, 1950, №39.

375 წერილები, გვ. 29.

376 ი ქ ვ ე, გვ. 30.

377 თემურაზის რომ ინგლისური ენაც შესწავლია, ამას გვაფიქრებინებს კეშ მოჩიერის „პაჭი ბაბას თავგადასაცლის“ თემურაზისეული ქართული თარგმანი (ლენ. Н—28). შედრ. უ. მესხის სიტყვებს: „დანამდვილებით, შეიძლება ითქვას, თემურაზმა ინგლისური არ იცოდა“ (დას ნაშრ. გვ. 74).

378 ლ. შელიქშეთ-ბეგისათვის უცნობი ყოფილა მიეკულ ჩამჩინის „სომხეთის ისტორიის“ თ. ბაგრატიონისეული არასრული ქართული თარგმანი (ლენ. Н—27, Н—28), რომელიც რ. ორბელის სომხერილან შესრულებულად მიაჩნია (ახ. Р. Орбели, Груз. рукописи... М.-Л., 1956, стр. 63—64 შდრ. ლ.

პატირიარქი, დავითნი³⁷⁹, ამასთან სწავლობდა ცოდნის სულ წიგნებისა—
დარგებს (ახითმეტიყა, გეომეტრია, ზოოლოგია—ორნითოლოგია შემცირებული
ტიოლოგია, სამხედრო საქმის ხელოვნება, გეოგრაფია...).

მთარგმნელობითი მუშაობის გარდა, თეიმურაზი ქმნიდა ორიგი-
ნალურ ლექსებს, პოემას. თავისი წველილი შეიტანა ქართულ დრამა-
ტურების — შეთხზა პიესა „სამსახეობა რაინდისა“. ორიგინალურ
შემოქმედებით მუშაობისთან ერთად თეიმურაზი კრეფდა ქართული
ხალხური სიტყვიერების მასალებს³⁸⁰; ეწეოდა ქართული ხელნაწერი
მემკვიდრეობის გამრავლებისა და გამდიდრების მძიმე ტეიროს. ამის-
თვის მას სპეციალური გადამწერლუბიც ჰყოლია დაქირავებული (ი. ბა-
ზლიძე, ი. ნაზაროვი, გ. პაიჭაძე, ი. ხმალაძე, ტარმი ალექსი-შესხიშვი-
ლი, ს. ტაბიძე...), ხოლო არაიმეოთად თვითონაც გვივლინება გადამ-
წერის როლში. თეიმურაზი არ ზოგადს ხარჯებს ძველი ქართული ხელ-
ნაწერი წიგნების შესაძნად და გადასაჩინად. ყველაფერმა ამან განა-
პირობა თეიმურაზი ბაგრატიონის უმდიდრესი ქართული წიგნთსაცა-
ვის შექმნა, რითაც მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული სუ-
ლიერი კულტურის ისტორიას³⁸¹.

როგორც მომავალმა დაგვანახა, თეიმურაზი პატიონი ამ პერი-
ოდში ქართველოლოგიაში სერიოზული მუშაობისათვისაც ემზადებო-
და. გარდა იმისა, რომ მან აღზარდა ქართველოლოგთა ახალი და საუ-
კეთესო თაობა (პროფ. დ. ჩიტინაშვილი, პლ. იოსელიანი...), თავისი
ფუნდამენტური შრომებით სრულიად ახალი ეტაპი შექმნა საქართვე-
ლოს ისტორიისა თუ წერილობითი წყაროების შესწავლაში, რუსთვე-
ლოლოგიაში, პოეტიკაში, ლექსიკოგრაფიაში...³⁸²

შელიქსელ-ბეგი მიქაელ ჩამჩინის „სომხეთის ისტორიის“ ქართული თარგმანი
(H — 3107. თარგმანი პლ. იოსელიანისა), საქ. მუზეუმის მოამბე. VIII, 1935,
გვ. 55—58; მისივე, ეპიზოდი პლ. იოსელიანის ცხოვრებიდან. „ლიტ. საქართველო“,
20. XII — 1938; შ. მესხია, დას. ნაზრ, გვ. 74). თეიმურაზი რომ ზედმიწევნით
სცილდია სომხური, ამას ამტკიცებს მის მიერ დამუშავებული უხევი სომხურ-ქარ-
თული ლექსიკოგრაფიული მასალა (ლენ. H—39).

379 ეს უკანასკნელი მან თურქულ და სპარსულ ენებზე თარგმნა რუსეთის ბიბ-
ლიური საზოგადოებისათვის.

380 გ. შარაძე, თეიმურაზი ბაგრატიონის ფოლკლორული ჩანაწერები, „მაცნე“,
4, 1969.

381 გ. შარაძე, თეიმურაზი ბაგრატიონი—ბიბლიოფილი, ბიბლიოგრაფი და კო-
ლექციონერი, ქართ. ლიტ. ინსტიტუტის სამეცნ. სესია, 1970.

382 დაინტერესებული მეითეველი მათ შესახებ დაწერილებით ცნობებს იპოვის
ჩვენ მიერ შედგენილ „თეიმურაზი ბაგრატიონის შრომათა ბიბლიოგრაფიაში“ (კრთ-
ვის ამ წიგნს), ხოლო მათ შრომათა მეცნიერებულ-ლიტერატურული ანალიზი და მათი
სადღეისო მნიშვნელობა ცალკე მონოგრაფიული წესით იქნება დამუშავებული.

მეცნიერი ბატონიშვილი ითანე, 1824 წელს, თეიმურაზის ფიზიკური შეთხხულ „ძალი სულისანის“ ანდერძში, თავის უმცროს უმცროს ახასიათებს: „ვინავთვან ხართ სრულ ბრძენობასა შინა ზეღმიწვნილ“³⁸³.

თეიმურაზ ბაგრატიონის უანგარო პიროვნებამ და თავგამოდებულმა შრომამ იმთავითე ჰელი საყოველთაო აღიარება. როგორც უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული იმპერატორმა ალექსანდრე I 1811 წლის 31 მარტის ბრძანებით, თეიმურაზ ბაგრატიონი წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა³⁸⁴, ხოლო 1837 წელს პრუსიის იმპერატორმა ფრიდრიხ ვილჰელმ III თეიმურაზს წითელი არწივის ორდენი უბოძა: „ამ წარსულს კვირაში პრუსიის კოროლისაგან კავალერია მებოძა წითელი არწივ-ვარსკვლავით“ — წერდა ბატონიშვილი 1837 წლის 3 აპრილს მ. ბროსეს³⁸⁵. ამიტომა, რომ თეიმურაზი თავის თავს ორდენობად იხსენიებს³⁸⁶.

თეიმურაზ ბაგრატიონის მეცნიერული დამსახურება კი სათანადოდ აღნიშნა რუსეთისა თუ საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებმა.

1814 წელს თეიმურაზ ბაგრატიონი აირჩიეს ახლად დაარსებულ (1813 წ.) რუსეთის ბიბლიოური საზოგადოების (Библейское общество России) წევრად³⁸⁷.

1831 წელს აკად. სენ-მარტენისა და მ. ბროსეს წარდგინებით თეიმურაზ ბაგრატიონი ჩაირიცხა პარიზის საზიონ საზოგადოების Societé Asiatique წევრად³⁸⁸.

1837 წლის 11 აგვისტოს თეიმურაზ ბაგრატიონის კანდიდატურა წიმოყენებულ იქნა რუსეთის (ს. პეტერბურგის) სამპერატორო მეც-

383 Н—2226, 82г.

384 კატალოგი, თბ., 1948, დამატება, გვ. 71—72.

385 წერილები. გვ. 79; შდრ. 3. კარბელაშვილი, გაზ. „საქართველო“. 1916. № 146.

386 შდრ. ტრ. რუს. ხუნდე, ძვ. ქართ. ლირიკის ისტორიდან, 1954, გვ. 132.

387 Р. Орбели. Новые биографические данные о Мирза-Джафар Топчибашеве, стр. 39.

388 წერილები ბროსესადმი, გვ. 9; იხ. აგრეთვე, JAs, XII, p. 155.

ნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აჩხევისათვის³⁸⁹. სკრუმი მარტენ-ერებათა აკადემიის არქივის ლენინგრადის განყოფილებშედაზე უფლება „აკადემიის ოქმების“ მიხედვით, საშუალება გვეძლევა მკითხველების შექმნას ტალურად გვაცნოთ ამ საქმის ვითარება: 1837 წლის 18 აგვისტოს აკად. მ. ბროსეს დახასიათების საფუძველზე აკადემიის საერთო კრებამ დაამტკიცა თეიმურაზის კანდიდატურა³⁹⁰. წინასწარი ფარული კენტისყრა შემდგარა 1837 წლის 15 დეკემბერს, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიულსაბი: ს. უვაროვი (პრეზიდენტი), მ. დონდუკოვ-კორსაკოვი (ვიცე-პრეზიდენტი), პ. ფუსი (სწავლული მდივანი), ზავოჩსკი, ვიშნევსკი, ფრენი, ოსტროგრადსკი, შეგრენი, ბროსე, უსტრიალოვი და სხვ., რომლებმაც ერთხმად აირჩიეს თ. ბაგრატიონი საპატიო წევრად, მაშინ როცა ზოგიერთმა კანდიდატურამ შავი ხმები მიიღეს³⁹¹.

1837 წლის 29 დეკემბერს აკადემიის საერთო კრებაზე საზიონდ გამოაცხადეს, რომ საქართველოს მეფის გიორგი XII-ის ძე თეიმურაზ ბაგრატიონი არჩეულია რუსეთის (ს. პეტერბურგის) სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრად³⁹².

1837 წელსვე თეიმურაზ ბაგრატიონი აურჩევიათ, არ ვიცით ზუსტად, საფრანგეთის თუ რუსეთის³⁹³ „თავისიუფალის ხელოვნებათ აკადემიის“ საპატიო წევრად, რის შესახებაც თეიმურაზი 1838 წლის 15 იანვარს აკად. ნ. ბროსეს სხე ატყობინებდა: „მოვილევ დიპლომი თავისუფალის ქელოვნებათ აკადემიასაგან ჩემისა შორის მათსა პაჩოტნი ჩლენად შერაცხვისა მაღლობითა დიდითა და კმაყოფილებითა.

და თვევნდაცა ფრიად მაღრიელ ვარ და ვალდებულ, ვინაღგან ნაწილ კერძოებთ ყოველსა შინა სამწემქებროსა შემთხვევასა ჩემდამი“ (წერილები, გვ. 82).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით „ამავე დროს (1838 წ.) უნდა მომხდარიყო მისი (თეიმურაზის) ჩარიცხვა „კოპენბაგენის ანტიკვართა საზოგადოების“ წევრად“³⁹⁴. 1843 წლის სექტემბერში დამთავრებულ თავისი თხზულების „განმარტება პოემა ვეფხისტყოსნისა“ ანდერეში, თეიმურაზი მართლაც თა-

³⁸⁹ Académie Impériale des sciences. N XXVI, § 446 (ЛЮ Архива АН СССР).

³⁹⁰ ი. ვ. ვ. № XXVII, § 455—465.

³⁹¹ № XIII, § 697.

³⁹² № XV, § 716.

³⁹³ ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ამ დროს რუსეთშიც არსებობდა ხელოვნებათა აკადემია, რომელიც 1841 წლიდან შეუერთდა მეცნიერებათა აკადემიას. თეითონ დიპლომი კი არ ჩანს, რომლის მიხედვით შეიძლებოდა უფრო მეტად დაზუსტება.

³⁹⁴ შ. მ. ს. ხ. ია, დას. ნაშრომი, გვ. 48.

ეს თავს მოიხსენიებს კოპერნიკაგრინის ანტიკვართა საზოგადოების ხანა
ტიო წევრად³⁹⁵, მაგრამ უცნაურია, რომ საკუთრივ ამ საქართველოში მიერ დანიურ ენაზე გაცემული დიპლომის მიხედვით, თუმცამდებრიშაბუ-
რატიონი კოპერნიკაგრინის ანტიკვართა სამეცნ საზოგადოების საპატიო
წევრად 1844 წლის 27 იანვარს აურჩევათ³⁹⁶ და ბროსესადმი მიწე-
რილ წერილებში მხოლოდ ამის შემდეგ იხსენიებს თავის თავს სხვებ-
თან ერთად ამ ტიტულითაც³⁹⁷.

1845 წელს ეტუობა, მომწიფებულა საკითხი საფრანგეთის (პარიზის) მეცნიერებათა აკადემიაში თეომურაზე ბაგრატიონის ასაჩქევად და ეს არცა გასაყვირი: საფრანგეთის სამეცნიერო წრეებში თეომურაზე იცნობდნენ უკვე 1831 წლიდან, როგორც პარიზის სააზიო საზოგადოების წევრს, რომლის ნაშრომები ფრანგულად ხშირად იქცევდოდა „Journal Asiatique“-ში. ამას გარდა, მას საქმიანი მიმოწერა და ნაცნობობა ჰქონდა ფრანგ აკადემიკოსებთან შარმუასთან (რომელიც 1836 წლიდან იყვნენ საფრანგეთში ცხოვრობდა), ბურნოფთან, მოპლისთან, სილვესტრ-დე სასისთან...³⁹⁸. ამიტომ იყო, რომ პარიზში გამგზავრებულ ბრისეს 1845 წლის 10 აგვისტოს თეომურაზი სწერდა: „მე ესე მსურს, რადგანაც, რომ აქა, როსიის იმპერიასა ს. პეტერბურგის აკადემია ნაუკისაგან პოჩეტნი ჩლენათა ვარ მიღებული, პარიზის აკადემია ნაუკიამაც მიმიღოს ამ სახითვე პოჩეტნი ჩლენად, და რადგანაც რომ ნორდისა, ესე იგი (დანიის სამეფოობა) კოპერნულენისა სამეფოსა შეკრებულებასა შინაცა ანტიკვართასა პირველთა ჩლენათ შორის ვარ აღრიცხულ და რუსეთის აკადემია ნაუკისაც და კოპერნულენის სამეფოს ანტიკვართა შეკრებულებისაც დიპლომში მქონან, და მსურს, რომ პარიზის აკადემიამაც ინგბოს ჩემი პოჩეტნი ჩლენობა, რადგანაც ჩვენს ოჯახსა და შთამთმავლობას იცნობს ეტროპა“ (წერილი, გვ. 88).

თეიმურაზი ასე ასაბუთებს თავის მეცნიერულ დამსახურებას: „...რაღაცაც პირველი მიზეზი მე ვარ ამ საქმისა, რომ ქართულის ლიტერატურის დაწყება, უფალო უფალო ბროსეტ, თქვენის თანაშეწევნითა ჩემგან დაიწყო პირველად პარიის მეაზიელეს შეკრებულებაში და თქვენ თვალ უწყით, რაოდენი შრომა მქონდა თქვენთან სხვადასხვას საგანზედ მოწერითა, და ბოლოს თქვენიდამ ქართული ლიტერატურა აქ-

395 ගුරු සුදාන් පාදනාමි මෙහෙයුම් පැවත්වා යුතු සිද්ධාච්චිලා,
S-3716 201 ජා. නිශ්චාලීම්ප්‍රාග්ධන ආ. මේලුදාම්ප්‍රාග්ධන වෝරු, තං., 1960, අං. 2.

397 ab 1845 රෝප 10 පැවත්සිරු සිංහල ග්‍රන්ථය (ග්‍රන්ථාධී, 33, 88).

როსსიაშიც დაიწყო. თუ პირველად მე არა კუოფილვიყავ მიხედვის აქციაზე ერთი ან მოხდებოდა. ასეთის საქმის დაწყება ჭრანისის სამართლოს სათვაც და პარიეს მეაზიერებულებობისაც დიდი საჭელიაზე მიმდინარეობდა. რუსეთის აკადემია ნაუკამ, ამისთვის პატივის საცემლად პოჩეტნი ჩლენად მიმიღო და იმუდი მაქეს, არც პარიეს აკადემია ნაუკა მეტყვის უარსა” (იქვე).

მაგრამ თეიმურაზ ბაგრატიონის ამ სურვილს განხორციელება არ დასცალდა. იგი მალე გარდაიცვალა.

ცხოვრების დასასრული

გამუდმებულმა შრომამ და პეტერბურგის პავამ ადრე გატეხა თეიმურაზის ჯარმრთელობა. 1831 წლის დასაწყისში იგი უკვე უჩიოდა აეადმიონობას³⁹⁹. 1836 წლის თეიმურაზი, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, სამყურნალოდ იმყოფებოდა ევროპაში, კარლსბადისა და მარიამბადის მინერალურ წყლებზე, რამაც ეტყობა შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო: „მე ღვთის მოწყალებით ყოვლითურთ განთავისუფლებული სნეულებათაგან, გიორგობისთვის (ნოებრის) გასულს პეტერბურგს მოველ“—წერდა თეიმურაზი ბროსეს 1837 წლის 9 იანვარს (გვ. 71). როგორც უკვე შემდეგ გახდა ცნობილი, თეიმურაზს წყალმანი სჭირდა (სხვათა შორის, ამ სენამ იმსხვერპლა მისი პაპაც ერებულ II)⁴⁰⁰.

1845 წლიდან იწყება თეიმურაზის ძლიერი დაცემა წყალმანკისავან. 1846 წლის 2 თებერვალს მსა უკვე დაუწერის ანდერძი: „ქ. სახელითა მამისათა და ძმისათა და სულისა წმიდისათა ამინ. და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისათა და ცხოვლს მყოფელს ჯვარისათა და ყოველთა წმიდათა ღვთისათა ვყოფ ანდერძსა ამას უსასურველესო მეუღლეო ჩემო, მეფის სძალო ელენავ, ოთარ ამილახერის სულ! მე კაბუკობითვე ჩემით მრავალთა სხუათა და სხუათა სოფასული! შემთხვეულებათაგან თითქმის იწროებით განვატარე, ამისთვის ლის შემთხვეულებათაგან მე არა რახ სიმღიდრე დამშთა ჩემთა შშობელთაგან და სხვა ვინავდგან მე არა რახ მაქვნდა და თუ შენ, მეუღლეო ჩემო, რაცა შეძინებული არა რახ მაქვნდა და თუ შენ, მეუღლეო ჩემო, რაცა ფული სრულათ მე დაგიხარჯე და რაც ნივთი პქონდა, ან ვერგაქვნდა ფული სრულათ მე დაგიხარჯე და რაც ნივთი პქონდა, ან ვერგაქვნდა ფული სრულათ მე დაგიგირავე, რომელიც რომ ვეღარ ცხლეული, ყოველივე ლომბარდში დაგიგირავე, რომელიც რომ ვეღარ

399 ს—388, გვ. 30—31; წერილები ბროსესალმი, გვ. 9, 20, 65; ლენ. С—50.

400 შემოჩენილია თეიმურაზისეული ხელნაწერი: „წყალმანის უწყებულება და მისი მოჩენება ვითარითა სახითა ჯერ არს“ (ლენინგრადის სალტიკოვ-შედრინის სახ. საჭარო ბიბლიოთეკის ხელნ. განციფილება, საბინინის კოლექცია, № 134).

დაგიხსენ და ბილეთები ისე დაგრჩათ და შენს მოვალეობაზე ქვემო დავ-
რჩი. აწ მე სასოება მაქუს ხელმწიფე იმპერატორისაგან, რომ რატ მე
პენცია მაქუს იმისი მოწყალება არ ინებებს, რომ ის პუტინის მიერ
დაგიმტკიცოს ჩემს შემდგომად, ამისთვის რომ რაღაც ხელმწიფე
იმპერატორი ყოველს უამს ჩვენზედ განსხვავებით მოწყალე ბრძანდე-
ბოდა და ჩემს სახელს შენს სიცოცხლეში არ მოშლის. არც ჩემის სახ-
ლის საყდარს მოგოშლის, საყდარი ჩემი და შენი არის და ჩემს
შემდგომ სრულიათ შეამკე და მათი წმიდა ხატ-ჯვარი ყოველივე და
ჩვენის სახლისა შემკობილი და შეუმკობელი — შენი არიან და ამ
ეკლესიაში იმ წესით, როგორც ჩემს დროს იყო დაწესებული — ისე
უნდა ისვენოს და ასეთი ბინა უნდა დაუდვა ხელმწიფე იმპერატორის
თხოვნითა და შეწევნით, რომ ის ეკლესია არ მოიშალოს. ჩემი ქართუ-
ლი წიგნები სრულათ შენ დაგიდევ და თქვენ შემდგომად ჩვენს საყ-
დარს საცა გვექმნებათ გამორჩევით ერთი სახლი უნდა გაუკეთოთ და
დაუწყოთ ყოველივე წიგნები საღმრთო, თუ საერო, რომ საქარ-
თველოს ხალხის სახმარათ იქ ეწყოს საუკუნოთ.
ამას გარდა ჩემი წილი სრულიად ჩვენის ქარვასლისა ტფილისში რო-
მელიცა გვაქვს, შენთვის მიანდერდებია და ეს ქარვასლა ჩვენი მდგო-
მარეობს სიონის მეორე ულიცაში, მეორეს კვარტალში სდგას. ეს ჩემი
წილი ამ სენებულის ჩვენის ქარვასლისა საუკუნოთ შენთვის, სასურ-
კელო მეუღლეო ჩემო, მეფის სძალო ელენე მიჩუქებია ღმერთმან მო-
ვახმაროს, როგორც შენი სურვილი იყოს — მე მოიმარე. ჩემი საყ-
დარი პეტერბურთის შენს სახლში გადადგი და როგორც დაგარიგე, ისე
შეამკევ და ისე გააწყევ და თუ აქ არა გნებავს და საქართველოში წა-
იღევ და იქ აღარჩივე ერთი ნაოხარი ანუ ნაკლულევანი ეკლესია, რომ
შენთვის საუკუნოთ საყუთარი იყოს, მე გაწყევ და ჩემს სულს საუ-
კუნოთ ნუ დაივიწყებ.

წელსა 1846 თებერვლის 2, სანქტ-პეტერბურღს სრულიად ზემო-
ისა საქართველოსა მეფის გიორგის მეათვამეტის ძე თეიმურაზ.

ეს მთელი ონდერძი სრულიად მეფის ძემ თეიმურაზმა ჩემის ქი-
ლით დაწერე “⁴⁰¹”.

18 თებერვალს თეიმურაზის ანდერძი რუსულად დაუწერია ვასილ
ალექსის ძე გრეხოვს, იმ დამატებით, რომ ბატონიშვილის პენისა რე-
ბოდა მეუღლეს ელენე ამილახვარს და სიყრმის მეგობარს დავით ივა-
ნეს ძე ალიბეგაშვილს. თეიმურაზს გარდა, ანდერძზე ხელი მოუწე-

401 გაზ. „საქართველო“, 1916, № 146, დედანი არ ჩანს. თეიმურაზ ბაგრატიო-
ნის ანდერძის წიგნად აღწერილი H—3164 ხელნაწერი (ხელნ. აღწერილობა, H კო-
ლექცია, ტ. VI, 1953) სინამდვილეში ვიქტორ გიორგიძის ანდერძს წარმოადგენს.

რიათ სულის მოძღვარს ვიქტორ გიორგაძეს, ქართველთა ბოჭულა
ტერბურგში სერგი ლაშეკარევს და სამსახურიდან გადამდგარ ვენიციან-
მაიორს ზაქარია ონისიმეს ძე იოსელიანს. ხელას მოწერას კურიული იჩენ
ნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი მირზა-ჯაფარ თოფჩი-
ბაშვი, თემურაზის მეურნალი ექიმი ივანე შჩეკლოვი და პეტერ-
ბურგის საქალაქო პალატის მეორე დეპარტამენტის თავმჯდომარე
ი. შჩერბაროვი⁴⁰².

1846 წლის 25 ოქტომბერს თეიმურაზ ბაგრატიონი პეტერბურგ-
ში გარდაიცვალა⁴⁰³. 29 ოქტომბერს დაყრძალეს ალექსანდრე ნეველის
ლავრაში, წმ. თევდორეს ეკლესიაში თავისი უფროსი ძმის დავითის
(გარდაიცვალა 1819 წ.) გვერდით⁴⁰⁴.

თეიმურაზ ბაგრატიონის დასაფლავებაზე აკად. მ. ბროსეს ქარ-
თულ ენაზე წარმოუთქვამს მხურვალე სიტყვა, რომელიც იმავე დროს
თეიმურაზის უანგარო პიროვნებისა და მთელი მისი შეგნებული ცხოვ-
რების მყაფიო, ზუსტი დახასიათებაცაა:

„მოწყალენო კელმწიფენ!

შეკრებილნი ვართ ჩვენ დღეს უკანასკნელისა პატივის ცემად
ერთნი მონათესავისა, სხვანი ნაცნობისა, კეთილ მყოფელისა და უმო-
წყალესისა პატრონისა, მე დიდად პატივცემულისა და გულით შევა-
რებულისა სტატისა ბატონიშვილის თეიმურაზისა მეფე გიორგის ძი-
სა. შობილი წელსა] ათას შეიდის თხხმოც დამეორესა, ბატონიშვილი-
სა გიორგისაგან და თანა მეცხვდრისა მისისა მარიამ გიორგის ასუ-
ლისა ციციშვილისაგან⁴⁰⁵. სიყმაწვილის დროს უნახავს საშინელი მო-
ოქრება ტფილისისა, პაპა მამის სიყუდილი, დასასრული საქართველოს
მეფობისა, შემდგომად რამდენთამე წელთა მამულის სიყვარულით
გარდაიხვეწა სპარსეთში და იქავ დაპყო შვიდი წელიწადი. წელსა] 1811 თავის ნებით მოვიდა რუსეთში, დაიმკვიდრა პეტერბურლს.

402 ვაზ. „საქართველო“, 1916, № 146.

403 ЖМНП, ноябрь, 1846, отд. VII, стр. 38; Санкт-Петербургские ведо-
мости, 1846, № 250, Петербургский некрополь, т. IV, СПб., 1913, стр. 234.

404 უკანასკნელი დროის სპეციალურ ლიტერატურაში არასწორად აღნიშვნავინ
თეიმურაზის გარდაცვალების თარიღს. ასე, პროფ. გ. ნ. გეტმანი მიუთიხებს 1848
წელს: Выдающиеся географы и путешественники, Тб., 1962, стр. 280;
ხოლო ნ. სიხარულიძე კი 1845 წელს: ქართული კატალოგრაფიის ისტორიისათვის,
„მაცნე“, 5, 1964, გვ. 101.

405 აქ ბროსე შეცდომას უშევებს: თეიმურაზის დედა იყო ქეთევან პაპუნას ასუ-
ლი ანდრონიკშვილი, რომლის გარდაცვალების შემდეგ შეირთო გიორგი ბატონი-
შვილმა მარიამ გიორგის ასული ციციშვილი. გადათეთებულ ცალში ეს ადგილი ხა-
ვრთოდ ამოღებულია.

ყოველნი აქა მყოფნი (!) ვიცით, რაგვარი იყო ბატონიშვილის
მოქალაქება: უფროსიერთად ღუთის მოყვარე, თვინიერ ფრთიშვილის
მისი ნების მორჩილი, მოწყალე გლახავთათვის, ქართველთა კულტურის
და იუნენ პატივის მცემელი და კეთილის მყოფელი. დღუნი და წელ-
ნი ცხოვრებისა თვისისა გაატარებდა მშეოდობისად მონათესავეთა და
ნაცნობთა თანა: ყოველთა მეგობრულად მიმღებელი, არც ამჟარტავ-
ნებისა, არც მრისხანებისა და ორაფრის ცუდისა ვნებისა სახე აროდეს
არ მაჩვენებელი. მსახურნი მორჩილებდნენ ერთგულობითა თავის
მოწყალეს პატრონსა, ნაცნობნი ყოველთვის ახლის სიხარულითა ნა-
ხამდნენ პურად კეთილის მასპინძელსა, მონათესავეთა რამდენ უყვარ-
დათ გულკეთილი და ერთგული ნათესავი თვისი.

რა მოგახსენო მეუღლე მათი დიდად განვითარებული თავადინა
ამილახოროვნა ელენა ოტარის ძული? (!) ესოდენ წელს ბედნიერ
ყოფილი მასთანა ცხოვრებითა აწ უნუგეშოს ცემოდ დარჩომოლი? (!)
ეს არის ქება მათი, ყოვლი ერთ ერთმანერთის სიყვარულით ასე შეკ-
რულნი იყენენ ორნივე.

აროდეს არ დაიცწყა ბატონიშვილმა [თემისურაზმა] მამულის
სიყვარული. თუმცა დროთა კითარებისა ძლით ექსორია ქმნილი, გან-
შორებული საქართველომდემ, ამაზე ფიქრობდა მარადლე, როგორ
აღადგინოს სახელი თავის ხალხისა და ქვეყანისა; დილითვან საღამო-
დინ მკითხველი საქართველოს მატიანეთა ასე ისწავლა ძეელი ისტო-
რია და სიტყვიერება მისი, რომ ახლანდელს დროს ამისთანა მეცნიე-
რებაში არ იპოვბა სწორი მისი. არა მხოლოდ კითხამდა ქართულნი
წიგნები (!), თეთი გადასწერდა, შეამწორებდა უცხო წიგნებსა თანა,
თავისი აზრები (!) წერილით დამტკიცებდა, ჩანს, რაც მასზე დაყიდე-
ბული (!) იყო, უნდოდა სიკუდილს უკან დაეტევა საყოველთაო სამა-
რადისო მოსახსენებელი თავის მამულისა.

ამის ძლით მეცა მომისუდა ბეღნიერად ნაცნობობა თეიმურაზ ბა-
ტონიშვილთან ქართულის ენისა მოთხოვნათა და სიტყვიერებათა მე-
ძიებელი უცხო ქვეყანაში მყოფი როგორ ვესავდი შოვნად ამისთანა
მაღლისა და მეცნიერის შემწისა და მოძღვრისა! განა თუ როგორმე მო-
ვაძესარი და წინ ჭარვებართე საქართველოს წავლაში (!), თუ როგორ-
მე მოწონათ ქართველთა ბეჯითობისა ჩემისა მცირედა ნაყოფი, ვალ-
გიარები, მაღლის ქმით ვემოწმები: ამისი მოვალე ვარ ბატონიშვილის
თეიმურაზისა სწავლისა.

სასაფლაო მიწის ქვეშ შეგესმებინ ბატონიშვილო ქმა სიყვარუ-
ლისა ერდგულებისა მაღლობისა ჩემისა. კორცი თქვენი აქ დარჩე-
ბა აღამიანთ ვარიობის ვალითა, სული თქვენი ავიდა სასუფეველში

საუკუნოს სიხარულისა ნაწილის მიღებად; სამარადისოდ დაწერილი ჩვენი, შეწუხება დაკარგვება / ერთოვეული გილობრივება / თქვენისა“⁴⁰⁶.

თეიმურაზის გარდაცვალებით დაწუხხებულ დავით დადიანის, რომელსაც იმავე 1846 წელს ზედიზედ ჯერ მამა—ლევან დადიანი და მერე სიმამრი—ალექსანდრე ჭავჭავაძე გამოეცალა ხელიდან, ლრმა სამიმარი გაუგზავნია ელენე ამილახვის სულისთვის, რაზედაც თე-იმურაზის მეუღლეს ასეთი შინაარსის წერილით უპასუხნია:

„თქვენ უგანათლებულესობავ, მთავარო დავით ლევანის ძევ!

წიგნი თქვენი დაწერილი ნოემბრის 22 დღესა 1846 წელსა სავსე მწუხარებით მივიღე. ვმაღლობ მონაწილეობისათვის, რომელიც მიიღო ჩემს უბედურებაზედ: გარნა მე შევცვლი უბედურებათა მითის მწუხარებათა და მღურელი სიღრმით გულისა ჩემისა ცრემლთა და გვლოველი სასურველისა ნუგე მისა ჩემისა, ნეტარ ხსენებულისა მეფის ძის თეიმურაზისა. აქამიდინ ვერ შევძელ თქვენდამი პასუხის მიწერა მისთვის უფროორე, რომელ სავსე სიყვარულისა თქვენდამი გული ჩემი შეიცვა მწუხარებისა ცეცხლითა ოდენ სცნა სიკულილი ძვირფასისა მა-ზისა თქუენისა და სიქველით განთქმულისა სიმამრისა თქვენისა. ვინა- მდან ნებისა ღვთისა ვერავინ წინაღუდვების, ამისთვის ჯერ ას ჩვენდა ყოვლისა მოთმინება.

შეპყრობილი მწუხარებითა გული ჩემი მხოლოდ ნახვითა თქუე- ნითა და თქუენის ძეირფასის მეუღლითა მიეცემა სიმოვნებასა, მის- თვის რომელ თქუენ მხოლოდ იყავით მეგობარი და სასურველი ძმა ნე- ტარად ხსენებულის მეუღლისა ჩემისა, რომელიც მარაზის პატივის- ცუმელი იყო თქუენის უგანათლებულესობისა, სხვებ დავმოები თქუე- ნი კეთილად წარმატების მსურველი უბედური მეფის სძალი ელენე“⁴⁰⁷.

თეიმურაზ ბაგრატიონის საფლავი ალექსანდრე ნეველის ლავრის ჭმ. თევდორეს სახელობის ეცლესიაში ამეამად დახურულია, ხოლო

406 სსრ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ფანიკოლება, მ. პროსეს არქივი, Р—18/115; ავტოგრაფი 4 ფ. აქვეა დაცული ამ სიტყვის ბოლომდე გადაუთვრებელი ცალი (3 ფ.) და მისი რუსული თარგმანი, რო- მელიც ნეკროლოგის სახით გამოქვეყნდა უურნალში: ЖМНП, ნოემბრь, 1846, отд. VII, стр. 38—40 იხ. აგრეთვე Сант-Петербургские ведомости, 1846, № 250; Кавказ. 1846, № 47. ამ სიტყვის ფრაგმენტი დაბეჭდილი აქვს შ. ხანთაძეს, მრია- ბროსე თბ., 1966, ვ3. 68 შდრ. ნ. მანათაძე, ქართული ფლტურის კერა პეტერ- ბურგში, თბ., 1967, ვ3. 217—218.

407 ს. ცაიშვილი, კომინტარები და შენიშვნები წიგნში: ი. შეუნარვია, ქარ- თველი მწერლები, II, 1957, ვ3. 321—322.

საფლავის ქართულ-რუსულ წარწერიანი ბრინჯაოს ფილა ბაგრატიონი-
თა ღვრბით გამოფენილია აღ. ნეველის ლავრის ხარების ეკლესიაში,
საღაც დღეს საქალაქო სკულპტურის მუზეუმია მოწყობილი ქადაგით.

„საქართველოს მეფის
გიორგი მეათცამეტის ძე თეიმურაზ
დაიბადა 1782 წელსა აპრილის
23 დღესა: გარდაიცვალა
1846 წელსა ოქტომბრის 25 დღესა.

Грузинский Царевич, сын последнего
Грузинского Царя Георгия XIII-го Теймуразъ,
Родился 1782-го года, апреля 23-го
дня, Скончался Октября 25-го
дня, 1846-го года.

არა რად არს სოფელსა შინა მტკიცე
ყოველივე მსწრაფლ წარმავალ არს სრულიად
არცა სიმდიდრე, არცა სიგლახაკე და
არცა დიდება, აჩრდილი და სიზმარი,
მოიძულენ შენ ყოვლი გონიერო“⁴⁰⁸.

თეიმურაზ ბაგრატიონის მდიდარი ქართული წიგნთსაცავი ელუნე
ამილახვარმა გადასცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუ-
ზეუმს და პეტერბურგის სამპერატორო საგარეო ბიბლიოთეკას. ნაწი-
ლი თეიმურაზისეული ხელნაწერი წიგნებისა საკავშირო მთავრობის
დადგენილების საფუძველზე, 1923 წელს საქართველოში ჩამოიტანეს
და დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სა-
ხელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში. მანამდე კიდევ, ზო-
გიერთი ხელნაწერი თეიმურაზის წიგნთსაცავიდან პროფ. დ. ჩუბინა-
შვილის კოლექციაში მოხვდა და ამ უკანასკნელის სხვა ხელნაწერ
წიგნებთან ერთად, მისი ანდერძის თანახმად მემკვიდრეებმა გასული
საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-
ცელებელ საზოგადოებას გაღმოსცეს (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუ-
ტის S ფონდი).

⁴⁰⁸ Музей городской скульптуры г. Ленинграда, Доска-надгробие гру-
зинского Царевича Теймураза, I пол. XIX в. бронза золоченная чеканной ра-
боты.

თეიმურაზ ბაგრატიონის შეუღლე ელენე ამილახვარი პეტერბურგში გარდაიცვალა 1866 წლის 10 მარტს და დაკრძალეს საყვარელში შეუღლის გვერდით⁴⁰⁹.

